# ნეტი კვირის პალიტრა

40 გვ

№ 52 (2[illegible]) 25 – 31 დეკემბერი, 2000 წ. ◆ ფასი 90 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.












გაგზავნეთ წერილი მომავალში!



## საჩუქარი! — გადაშალეთ შუა გვერდზე

## რედაქტორის სვეტი

არ მაქვს უფლება, ასე დავიწყო ეს წერილი, მაგრამ ამ სიტყვების ავტორი იმიტომ გახლდათ ბრძენკაცი, რომ იცოდა, როდის რა და როგორ ეთქვა... აბა, მიდი და უკეთ თქვი ამ შინაარსის ტევადი სხვა სიტყვათწყობა... ამიტომაც, კვლავ... რა გითხრათ, რით გაგახაროთ!

დავიწყოთ იმით, რისი თქმაც მინდა, უფრო სწორად — რისი კითხვაც მინდა:

ვინ ვართ ჩვენ... თუ ქართველები ვართ, რა დაგვემართა, რაღა ის „ქართლის ჭირი“ შეგვეყარა, დიდ მგოსანს რომ ზარები შემოაკვრევინა...

რაღა იმ ქართველების გენი და ჯიში გავაგრძელეთ, „Бежали робкие грузины“-ო, რომ შემოგვკადრა ჩრდილოელმა პოეტმა...

რატომ დავიჯიჯგნეთ და სხვასაც ვაჯიჯგნინებთ თავს... სად გაგვიწყდა დედლობარღვი და ჩავიშალეთ მძივის მარცვლებად... როდის ვიგრძნობთ, რომ დიდი ხანია გვტკივა სული, თითოეულ სხეულში ჩამყუდროებული და მყუდროებადარღვეული... როდის მოვინატრებთ მამულს, რომელიც გვქონდა და ხელში გველევა, რომელსაც თუ შველა სჭირდებოდა, „ქუდზე კაცი“ წამოუდგებოდა ფეხზე... ნუთუ მხოლოდ წარსულში ჩავრჩით, ჩავეწერეთ მატიანეში, გამოვიხურეთ საუკუნეების კარი და ახალი ათასწლეულის ზღურბლთან მისულთ ხელთ აღარაფერი შეგვრჩა...

იქნებ დედა აღარ არწევს აკვანს... იქნებ „ვეფხისტყაოსანს“ აღარ სწავლობს პატარა ქართველი... იქნებ „ფერხულს“ აღარ ცეკვავენ და „ურმულს“ აღარ მღერიან... იქნებ აღარც „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“ გვახსოვს...

ვის ველოდებით... დიდი სიტყვა გვაქვს სათქმელი — მთქმელი არა გვყავს, ოღონდ!

სვეტის თავში ჩვენს (ილიას) მიერ დასმული კითხვა ხომ ორნაწილიანია... ახლა ის მინდა გითხრათ, რაც იმ პატარა ლექსმა თქვა, რედაქციაში რომ გამოგვიგზავნა ერთმა 12 წლის მკითხველმა, რომელსაც ქართველი კაცისთვის საოცარი მუხტის მატარებელი სახელი, „ლაზარე“ ჰქვია:

)ტგ პფშპდშოუ პგდშბ ქფქგდწბ
სწეფ ჩფტთ ლშვუმ პფჟუდბ
ფკ ვფფვგქწ Ωუტშ )დშდუ( ვფ
ქწმფდბ ფპშტეუი ლფტვუდთყყყ
ეგ პშტვფ აუეღმშებ წკწტვ
X ვფქშჩმვშბ
ფკ ვფშΩკშეწ ემფდშბ
წკწტვ ქუდწვუბ წკწტვ ქშცფქუბ
ქწმფდ შქუვფვ ჩმფდშთ1
Ωუტშ სწეტუ მფკბ Ωუტშ ეფქფკშბ
ქწმფდ ვფმშეფვბ თფიფვყყყ
ვშვშ ჩფტშფ კწქ პუტფეკუიფბ 0
ქწმფდ შქ ღფკემუდ ლფსფვყ
Ωუტშ პგეტშთ ვფ Ωუტშ ფლმფტშთბ
Ωუტშ ღფკეგდშ წვშთბ
Ωუტშ ეიშდშთშთ ქფვდშ კწქ შსშთბ
თცწკუვ შთ იშცშ ქწვშთ1(

აი, ეს მინდოდა მეთქვა — ხომ გაგიხარდათ, ხომ გაგითბათ სულის პატარა ნაწილი მაინც... მოდის ის ბიჭი... მოდიან ბიჭები... ის მაინც მოვახერხოთ, თუნდაც „მფეთქავი“ მაინც დავახვედროთ მამული.

ჩვენ გვქონდა წარსული... გვექნება მომავალი... აწმყოს კი — უნდა გავუძლოთ...


ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ახალ ათასწლეულს სავიზო რეჟიმით შევხვდით

შეიძლება თამამად ითქვას, რომ გასული 2000 წელი დიდი შემართებით დაიწყო ჩვენმა ქვეყანამ, მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური, ენერგეტიკული და სხვა უამრავი პრობლემისა. საკრალურ-კალენდარული თარიღის — 2000-ის გარდა, მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ დიდი ზეიმით აღნიშნა ქრისტესშობის 2000 წლისთავი. პალესტინის წმინდა მიწას მიაშურა მილიონობით მართლმადიდებელმა ქრისტიანმა დედამიწის ყველა კუთხიდან. 6-7 იანვარს იერუსალიმის შობის ბაზილიკაში გაიმართა ქრისტესშობის გრანდიოზული დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელი ქვეყნის ეკლესიათა პატრიარქები, მღვდელმთავრები, სახელმწიფოთა ხელმძღვანელები. პატრიარქებსა და პრეზიდენტებს იერუსალიმის საპატრიარქოს უმაღლესი წოდება — იესო ქრისტეს წმინდა აკლდამის რაინდთა წოდება მიანიჭეს და ჯვრის ორდენები გადასცეს! საზეიმო ცერემონიალზე გამოსვლისას პრეზიდენტმა შევარდნაძემ ქართულად ბრძანა: „ეს უმაღლესი ჯილდო ეკუთვნის ქართველ ხალხს, უძველეს ქრისტიანულ ერს დედამიწაზე." იერუსალიმში იმყოფებოდა პრეზიდენტობიდან ახალგადამდგარი ბორის ელცინიც, რომელმაც იმავე ცერემონიალზე თავის თავს „წმინდა პრეზიდენტი" უწოდა და აუწყა მართლმადიდებელთ, — მალე გროზნოს თავზე რუსეთის დროშა აფრიალდებაო(!). გროზნოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ ელცინის მემკვიდრე პუტინმა რომ იმთავითვე „ჯვაროსნული ლაშქრობა" წამოიწყო საქართველოს წინააღმდეგ, ფაქტია. მთელი წლის მანძილზე არ შეწყვეტილა ეს „ლაშქრობა", ათასგვარი შანტაჟით, დეზინფორმაციით, ანტიქართული გამოხდომებით და, ჯერჯერობით, დასრულდა სავიზო რეჟიმის შემოღებით...

## ინიციატივა გენპროკურატურამ აიღო

მრავალწლიან აფიშირებულ იდეას ხორცი შეესხა და პრეზიდენტმა, როგორც იქნა, შექმნა ანტიკორუფციული ჯგუფი, ე.წ. „შვიდკაცა", რომელმაც ოთხთვიანი მუშაობის შედეგად პრეზიდენტს და საზოგადოებას წარუდგინა „ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებები", რამაც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია პოლიტიკურ სპექტრსა და მოსახლეობაში. საერთო აზრით კი პროგრამა კარგია, მაგრამ პრობლემა ის არის, ვისი განსახორციელებელი იქნება იგი. „შვიდკაცა" და პრეზიდენტი, ჯერჯერობით, თავს იკავებენ საგანგებო, დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნისგან იმ მოტივით, რომ შეიძლება კორუფციამ ამ უწყებაშიც შეაღწიოსო... როგორც ბოლო თვეებმა გვიჩვენა, ინიციატივა ხელში აქვს აღებული გენერალურ პროკურატურას, რომელმაც კვირა ისე არ გავა, ვინმე ჩინოვნიკი არ ამხილოს სახელმწიფო სახსრების გაფლანგვაში, ვინმეს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრას და ა.შ. ჯერჯერობით, მხილებულ-დაპატიმრებული ჩინოვნიკები მამა აბრაამის ბატკნებად მოჩანან იმათთან შედარებით, რომელთა სასახლეებისა და ქონების შესახებ დიდი ხანია ლეგენდები დადის თბილისში... კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა კი ძალას იკრებს და, როგორც გვპირდებიან, ახალი წლის შემდეგ სასახლეების მეპატრონეებსაც მიუკაკუნებენ კარზე...

## 2000 წელს გვირაბების თხრა იყო მოდაში!

ქვეყანა იმედით შეხვდა პრეზიდენტისგან წამოსულ ინიციატივას ეროვნული თანხმობის პროცესის დაწყების შესახებ. პრეზიდენტის სიტყვას საქმეც მოჰყვა და საპატიმროებიდან ვადაზე ადრე გაათავისუფლეს 1991-1993 წლების სამოქალაქო ომის დროს ჩადენილ დანაშაულთათვის და 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის მოწყობისთვის მსჯავრდადებული პატიმრები, თუმცა ამნისტია არ შეეხოთ მკვლელობის მუხლით გასამართლებულთ. მათ რიცხვში აღმოჩნდნენ ლოთი ქობალია და რამდენიმე მისი თანამებრძოლი. ასევე გურამ აბსანძე, რომლის სასამართლო პროცესი დღემდე მიმდინარეობს... ოთხწლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს ჯაბა იოსელიანიც!

ნამდვილ სენსაციად კი იქცა „რუსთავიდან" [illegible] გვირაბის მეშვეობით ლოთი ქობალიას, გურამ აბსანძის და კიდევ 10 პატიმრის გაქცევა... უნდა ითქვას, რომ გვირაბების თხრა ერთობ პოპულარული საქმე იქცა საქართველოს კოლონიებში და პატიმრებმა [illegible] ხელი. [illegible] რუსთავის, [illegible] კოლონიებიდან ზოგმა მოახერხა გაქცევა, ზოგიც ადგილზე [illegible]. შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომლის დაქვემდებარებაშიც შედიოდა ადრე სასჯელაღსრულებითი კოლონიები, [illegible] იუსტიციის სამინისტროს, რომელმაც [illegible] „შეისისხლხორცა" პენიტენციური სისტემა. [illegible] პარლამენტში [illegible] ბაბილაშვილის და [illegible] უწყებებს შორის. [illegible] ექსპერტები კი, ჯერჯერობით, კვლავ უხმაუროდ აგრძელებენ მუშაობას თბილისში!

(ვრცლად იხ. გვ. 10)

## რა „ჩამოიტანა" ბალცეროვიჩმა?!

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან მთელი წლის მანძილზე მიტოვებულ საქართველოს კორუმპირებულ ხელისუფლებას და [illegible] ქართულ ეკონომიკას მოულოდნელი პოტენციური „მხსნელი" გამოუჩნდა. [illegible] პოლონური „შოკური თერაპიის" მამად წოდებული ლეშეკ ბალცეროვიჩი დასთანხმდა შევარდნაძის მრჩევლის პოსტის დაკავებას და თბილისშიც ჩამობრძანდა. [illegible] ბალცეროვიჩი [illegible] თბილისში [illegible] „ჩამოიტანა" ის, [illegible]

## საქართველო ადამიანთა გატაცების პოლიგონია

საქართველო მთელი წლის მანძილზე კვლავ რჩებოდა გაეროს, „წითელი ჯვრის" ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და რიგითი ადამიანების გატაცების, მძევლად აყვანისა და მათი ცემა-ტყეპის „პოლიგონად". მარტო კოდორის ხეობაში სამჯერ გაიტაცეს გაეროს მეთვალყურეები, უცხოელი ბიზნესმენები ჰყავთ გატაცებული პანკისის ხეობაში, სადაც ადრე „წითელი ჯვრის" წარმომადგენლები ჰყავდათ მძევლად. თბილისში კი ისეთი მასშტაბური ხასიათი მიიღო უცხოეთის მოქალაქეებზე თავდასხმებმა, მათმა ძარცვა-ცემამ, რომ აშშ-ისა და ბრიტანეთის საელჩოებმა თბილისი და საქართველოს რიგი რეგიონები უცხოელთათვის საშიშ ზონებად გამოაცხადეს... ადამიანთა გამტაცებლებისა და თბილისელ ბანდიტთა ვინაობა კი დღემდე უცნობი რჩება!

## როგორი იყო წინასაარჩევნო ბაქანალია?

წლის უმთავრეს შინაპოლიტიკურ მოვლენად კი, ალბათ, 9 აპრილს გამართული საპრეზიდენტო არჩევნები შეიძლება ჩაითვალოს და არა იმიტომ, რომ ედუარდ შევარდნაძის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა... არა, საინტერესო გამოდგა თავად წინასაარჩევნო ბაქანალია, კულუარული ინტრიგები და გარიგებები; ჯერ ორი „მძლავრი" კონკურენტი დაუპირისპირდა შევარდნაძეს ასლან აბაშიძისა და ჯუმბერ პატიაშვილის სახით, რომელთა ვარაუდითაც, ორივეს ხმათა მაქსიმალური რაოდენობა უნდა წაერთმია შევარდნაძისთვის და შემდეგ ამ ხმებით ზურგგამომაგრებულ ერთ-ერთ კანდიდატს უნდა გაემართა „დიდგორი" შევარდნაძისთვის. გეგმა უკვე რეალიზაციის სტადიაში იყო, როცა მოულოდნელად ყველაფერი ყირაზე დადგა. ასლან აბაშიძემ მოხსნა თავისი კანდიდატურა, რაც თბილისსა და ბათუმს შორის მიმდინარე ინტენსიური ფარული თუ აშკარა კონსულტაცია-გარიგებების შედეგი იყო და ბრძოლის ველზე მხოლოდ პატიაშვილიღა დარჩა (პრეზიდენტობის სხვა კანდიდატები აქ სათვალავში არ არიან). ამას მოჰყვა ის, რომ პეტერბურგიდან ოპერატიულად ჩამოიტანეს განსვენებული ანატოლი სობჩაკის არქივი 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის საგამოძიებო დოკუმენტებითურთ და ამით თითქოს პატიაშვილს დარტყმა მიაყენეს. მაგრამ სობჩაკის არქივმა ახალი, ფაქტობრივად, არაფერი გვითხრა 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ და ეს უფრო პოლიტიკურ წინასაარჩევნო შოუს დაემსგავსა, ვიდრე ტრაგედიის მიზეზთა ჭეშმარიტების დადგენის სურვილს...

## საით გვაქვს კურსი აღებული?!

განუკითხაობით მოცულ საქართველოში გასულ წელსაც ჩამოდიოდნენ დასავლელი დიპლომატები, ბიზნესმენები, დელეგაციები, მაგრამ მათი სტუმრობა ვერა და ვერ შველოდა ქვეყნის წინსვლის საქმეს. აქ მძვინვარე კორუფციამ ხომ საბოლოოდ მოუთავა ხელი საქართველოს ავტორიტეტს დასავლეთის თვალში, თუმცა მას, როგორც საკუთარი ინტერესების სფეროში მოქცეულ რეგიონთან, მაინც ჰქონდა ინტენსიური თანამშრომლობა საქართველოსთან. აშშ კონგრესმა 100 მილიონამდე დოლარიც გამოგვიყო დახმარების სახით... სექტემბერში კი საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ნატოს გენერალური მდივანი ლორდი რობერტსონი, რომელმაც არაორაზროვნად მიგვანიშნა, ნატოში გაწევრებისთვის საქართველოს დიდი გზა აქვს გასავლელიო! რობერტსონის ჩამოსვლამ საბოლოოდ გააცოფა ოფიციალური მოსკოვი, დუმა და რუსეთის გენერალიტეტი, რომელიც დაიმუქრა — ქართველებს ურჩევნიათ დაანებონ თავი ნატოსთან „არშიყობას", თორემ ძვირად დაუჯდებათო... აკი გვიჯდება კიდეც. დღეს უკვე გაურკვეველია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია — საით აქვს აღებული სტრატეგიული კურსი და ორიენტაცია: დასავლეთისკენ თუ რუსეთისკენ?! თუ გავითვალისწინებთ რუსეთის სამთავრობო და საპარლამენტო დელეგაციების ვიზიტების ბოლოდროინდელ სიხშირეს საქართველოში, დავრწმუნდებით, რომ ზეწოლის პარალელურად მოსკოვი ააქტიურებს დიპლომატიურ და ეკონომიკურ ძალისხმევას საქართველოს მიმართ. პრეზიდენტ შევარდნაძეს კი უკვე აშკარად ეტყობა... ორჭოფობა!

## იმიჯი ნულს ქვემოთ... ცელსიუსით!

გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოს არ მოსწრებია უთვალავ საპროტესტო აქციათა ისეთი მასშტაბები, რისი მოწმენიც მთელი წლის მანძილზე გავხდით. ქუჩაში ამჯერად გამოვიდნენ სოციალური პრობლემებით განაწყენებულ ადამიანთა ჯგუფები, ლტოლვილები, სხვადასხვა უწყებისა და სამსახურის თანამშრომლები. მათ „იერიში" მიჰქონდათ პარლამენტზე, კანცელარიაზე, ფინანსთა სამინისტროზე, თუმცა ამაოდ: გაძვალტყავებული ბიუჯეტი, როგორც წესი, ხელცარიელს ისტუმრებდა მათ. ამასთან, ოღონდაც აქციები დაეშალათ, ერთი-ორი თვის პენსიას, ხელფასს, შემწეობას თუ გაიმეტებდნენ ხოლმე... შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყებოდა და ა.შ.

მასების მოთმინების ფიალაში უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა მორიგი ენერგოწყვდიადი, როცა მთელი დედაქალაქი ფეხზე დადგა და „ციტადელებში" შეყუჟულ ხელისუფალთ გვარიანი შიშიც აჭამა! გაისმა ხმები და მუქარა ხელისუფლებისა და პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით, მაგრამ ვერც ამ მუქარამ მოიყვანა ქალაქელთა ბინებში 24-საათიანი შუქი. მწყობრიდან გამოსული მე-9-10 ბლოკების ამარა დარჩენილმა ენერგომამებმა 6-საათიანი გრაფიკის შენარჩუნებაც ვერ შეძლეს... დიდი ხნის ბრძოლისაგან დაღლილმა „ეი-ეს-თელასის" შეფმა მაიქლ სქოულმაც (იგი კატეგორიულად მოითხოვდა თბილისის ელექტროენერგიით მაქსიმალურად მომარაგებას) „დაიბანა ხელი" და ქალაქს თავს დაატყდა უპრეცედენტო წყვდიადი... ამიტომ ხელისუფლების რეიტინგმა და იმიჯმა ნულს ქვემოთ დაიწია... ცელსიუსით!

## განხეთქილება „მოქალაქეთა კავშირში"

ასევე ნულს ქვემოთ დაეცა მოქალაქეთა კავშირის, უმრავლესობისა და, საერთოდ, მმართველი ელიტის რეიტინგიც უმაღლეს ეშელონებში მძვინვარე განხეთქილებებისა და სკანდალების შედეგად: პირველი დიდი დარტყმა ვაჟა ლორთქიფანიძემ და მისმა წრემ მიიღო ჟვანია-სააკაშვილის გუნდისგან. 2000 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის ირგვლივ ამტყდარი სკანდალისას, ზურაბ ჟვანიამ პირდაპირ მოსთხოვა მთავრობას აეღო თავის თავზე პასუხისმგებლობა, თუ ბიუჯეტი არ შესრულდებოდა! ლორთქიფანიძემაც იკისრა ეს პასუხისმგებლობა და როდესაც ბიუჯეტის პირველი თვეების შესრულების გეგმა ფიასკოთი დამთავრდა და საჭირო გახდა ახალი, უკვე მაგრად „შეკრეჭილი" ბიუჯეტის მიღება, ლორთქიფანიძე გადადგა!

ყველასთვის მოულოდნელად პრეზიდენტმა ამ პოსტზე დაასახელა კახეთის გუბერნატორი, მათემატიკოსი და პროფესორი გია არსენიშვილი. ეს კანდიდატურა მოულოდნელი აღმოჩნდა იმიტომ, რომ ლორთქიფანიძის წასვლის შემდეგ აქტიურად მუსირებდა ხმები — სახელმწიფო მინისტრად აუცილებლად დასახელდებოდა რომელიმე წარმატებული ბიზნესმენი, კერძოდ. ე.წ. „ახალი სახეებიდან" და გაისმოდა გვარებიც — დავით გამყრელიძე, ლევან გაჩეჩილაძე... მაგრამ ეს არ მოხდა და მმართველ პარტიაშიც ახალი სკანდალი და განხეთქილება დაიწყო. მოქალაქეთა კავშირის საარჩევნო სიით პარლამენტში შესული გამყრელიძე-გაჩეჩილაძის ტანდემი მკვეთრად დაუპირისპირდა ჟვანია-სააკაშვილის გუნდს და ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირს", რომელიც უცერემონიოდ მიატოვეს! შექმნეს „ახალი ფრაქცია," ხოლო 1999 წლის ბიუჯეტის ჩავარდნის მიზეზთა შემსწავლელი კომისიის ანგარიშში (კომისიას დავით გამყრელიძე თავმჯდომარეობს) მთავარ დამნაშავედ ზურაბ ჟვანია დაასახელეს!.. მანამდე კი ჟვანია-სააკაშვილის გუნდმა მძიმე დარტყმა მიაყენა გამყრელიძის სადაზღვევო კომპანია „ალდაგს", როცა კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ შემოსავლების სოლიდური წყარო შეუზღუდა... დაპირისპირება დღემდე გრძელდება და ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირიდან" „ახალ ფრაქციაში" უკვე დაიწყეს გადაბარგება დეპუტატებმა...

## ერგნეთის ეგზეკუცია... ოსი „სამართალდამცავები"

შემოსავლების სამინისტროს შექმნისა და ამ უწყების მინისტრად მიშა მაჭავარიანის დანიშვნისთანავე (შეგახსენებთ, რომ ამ პოსტზე პრეზიდენტმა, თავდაპირველად, გია ბარამიძე წარადგინა, რომელმაც დეპუტატად დარჩენაც მოითხოვა. უარის მიღების შემდეგ, ბარამიძემ დეპუტატობა არჩია მინისტრობას, რითაც პრეზიდენტისა და მოქკავშირის რისხვა დაიმსახურა...) დაიწყო ბრძოლა კონტრაბანდის წინააღმდეგ. პირველი დარტყმა მაჭავარიანმა ერგნეთის ბაზრობაზე მიიტანა და... თავზარიც დაეცა! ოფიციალურ დონეზე პირველად გაცხადდა ის ფაქტი, თუ რა ასტრონომიული რაოდენობის თანხებს კარგავდა სახელმწიფო ბიუჯეტი მარტო ამ ბაზრობის „წყალობით". ქართულ-ოსური მაფიის თარეშის ალკვეთის მიზნით, მაჭავარიანმა საბაჟო, საგადასახადო და საგზაო პოლიციის სამსახურებისგან შექმნა „საეგზეკუციო" ჯგუფები, რომლებმაც უამრავი უკანონო საქონელი ამოიღეს. დაიწყო ლაპარაკი კონტრაბანდისტების მფარველ სახელისუფლებო და საპარლამენტო „კრიშებზე" (რომლებიც, რა თქმა უნდა, „ვერ" გამოვლინდნენ), მაგრამ საპასუხო დარტყმა „ეგზეკუტორებმაც" მიიღეს. წვრილი თუ მსხვილი კონტრაბანდისტები პირდაპირ შარაგზაზე დასხდნენ და პროტესტის ნიშნად გზების გადაკეტვას მიჰყვეს ხელი. ვითარება ისე დაიძაბა, ხშირად არანაირ კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. უკიდურესად „დაიტვირთა" შემოვლითი გზები, საიდანაც არანაკლები წარმატებით წამოვიდა კონტრაბანდა საქართველოს ბაზრებისკენ...

სხვათა შორის, ერგნეთის ბაზრობაზე შექმნილი ვითარების გასაშუქებლად იქ მივლენილი „კვირის პალიტრის" ორი ჟურნალისტი ოსი „სამართალდამცავების" ხელში მოხვდა, რომლებმაც უცერემონიოდ გაიტაცეს ისინი და ცხინვალის ციხეში უკრეს თავი (სადაც ისინი, 24 საათი ჰყავდათ დაკავებული). მხოლოდ გაზეთის ხელმძღვანელობისა და გორის პოლიციის ოპერატიული რეაქციის შედეგად მოხერხდა ჟურნალისტთა დახსნა ცხინვალის საპყრობილიდან. ჟურნალისტებმა თან შემზარავი ფაქტებიც წამოიყოლეს, რომელთა წყალობით გაირკვა, რომ ცხინვალში „სასჯელს იხდიდნენ" სხვადასხვა დროს გატაცებული ქართველები, რომლებიც არაადამიანურ დამცირებასა და ცემა-ტყეპაში ჰყავდათ სეპარატისტებს... მოგვიანებით მოხერხდა რამდენიმე მათგანის გამოხსნაც!

## როგორი იქნება კანონი პრესის შესახებ?!

წინასაახალწლო დღეებში პრეზიდენტმა საკმაოდ უსიამოვნო „სიურპრიზი" შესთავაზა ქართველ თავისუფალ ჟურნალისტთა საძმოს. თურმე ნუ იტყვით და, ტელევიზიის პირველი არხისა და კიდევ რამდენიმე სამთავრობო გაზეთის გარდა, ყველა სხვა გამოცემა და ტელეკომპანია ტოტალურ საინფორმაციო ომს ეწევა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამას წერტილი უნდა დაუსვას პრესის შესახებ კანონის მიღებამ. ეს სიტყვები ბატონმა შევარდნაძემ ბრძანა და ეს მაშინ, როცა რამდენიმე დღის წინ ამხნევებდა რუსეთის ტელეკომპანია ნტვ-ს, რომელსაც პრეზიდენტი პუტინი შავბნელ მომავალს უმზადებს, ანუ გადაწყვეტილია ნტვ-ის დახურვა მისი ბოსის — გუსინსკის ფინანსური მაქინაციების საბაბით... ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, შევარდნაძე მაგალითის აღებას პუტინისგან აპირებს და მერე რა, რომ ქართულ დამოუკიდებელ საინფორმაციო საშუალებებს არა ჰყავთ შეფებად გუსინსკები! რადგან ვაკრიტიკებთ მთავრობას, ამიტომ ან უნდა „მოვკეტოთ", ან დავიხუროთ, ან კიდევ მმართველი ძალის და პრეზიდენტის რუპორებად ვიქცეთ?!

რაც შეეხება კანონს პრესის შესახებ, ანუ ნორმალურ და ცივილიზებულ კანონს, მის წინააღმდეგ რომელი ჭკუათმყოფელი ჟურნალისტი გამოვა? ვფიქრობ, არავინ, მაგრამ თუ პრეზიდენტს და ხელისუფლებას სურს დისკრიმინაციული კანონის შემოღება, ნურას უკაცრავად, არ გამოუვათ. თუ მაინც გაჯიუტდებიან, ეს იქნება ამ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისისკენ მათ მიერვე გადადგმული ნაბიჯი...

(ვრცლად იხ. გვ. 7)

## რუსის ჯარი 15 წლით რჩება?!

ახალი წლის ხეირიანად დადგომა არ გვაცალეს და საახალწლო საჩუქრად რუსის ჯარის კიდევ 15 წლით ფეშქაშად დატოვება შემოგვთავაზეს!

თუმცა, რუსებს რას ვერჩით, პუტინს თავისი სტრატეგიული ინტერესი აქვს და, ბუნებრივია, ხან ტკბილი სიტყვით და ხანაც მათრახით ეცდება რუსეთის ძლიერი იმპერიის აღდგენას.

მაგრამ გვაკვირვებს ჩვენი „ძლევამოსილი და უჭკვიანესი" წამყვანი პოლიტიკოსების პოზიცია — თუკი რუსეთი მოგვიგვარებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემებს, მაშინ შეიძლება დავსთანხმდეთ მისი სამხედრო ბაზების კიდევ 12-15 წლით საქართველოს ტერიტორიაზე დაკანონებასო! ნუთუ კიდევ ვილაცას სჯერა, რომ კრემლი თვითონ დათმობს იმ ბერკეტებს, რითაც საქართველოთი (და, უპირველესად, მისი ხელისუფლებით) მანიპულირებს?!

მოსკოვის ამ მოთხოვნის იმით გამართლება, რომ ბაზების რუსეთში გაყვანა და იქ განთავსება დიდ ხარჯებსა და რესურსებს მოითხოვს, რასაც 15 წელი მაინც დასჭირდებაო, სასაცილოა, რადგან ბათუმსა და ახალქალაქში დივიზიის მესამედიღა თუ არის დარჩენილი.

მოსკოვს თავისი ინტერესი აქვს და ამიტომაც აფხაზეთის დაბრუნებას კი არ გვპირდება, არამედ პანკისის ხეობაში ერთობლივი სამხედრო ოპერაციის ჩატარებას, რაც საბოლოოდ, აქ ახალ „ჩეჩნეთის ომს" წარმოქმნის.

რუსეთის ვიცე-პრემიერის კლებანოვის ვიზიტისას, მოლაპარაკებები ვაზიანის აეროდრომსაც შეეხო, რომლის შემდგომში ექსპლოატაციას მოსკოვი იუგოსლავიური პრიშტინის დარად გვთავაზობს — აეროდრომის კომენდატურა ორმხრივი იქნება და ყველა თავის თვითმფრინავს მიიღებს და მოემსახურება. მართლდება „კვირის პალიტრის" მრავალგზის გამოთქმული ვარაუდი, რომ ვაზიანის აეროდრომს რუსი სამხედროები ასე იოლად ვერ დათმობენ.

სამაგიეროდ (საბედნიეროდ), არ გამართლდა ჩვენი ეჭვი, რომ გუდაუთის სამხედრო ბაზიდან რუსული ტექნიკის გატანა ექსცესებით ჩაივლიდა. ეს ასეც მოხდებოდა, რადგან აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება სულაც არ აპირებდა საბრძოლო ტექნიკა რუსეთისთვის გაეტანებინა, მაგრამ ბოლო მომენტში კრემლის ზეწოლით სეპარატისტებმა ენა ჩაიგდეს.

***დადგა, ალბათ, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი საიდუმლოებით დამუხტული წელიწადი, რომელთან მიახლოებაზეც ყველა ჩვენგანს უფიქრია... ის კი არა, სათითაოდ ალბათ ყველას გამოგვითვლია საამდროო ასაკიც — ორიათას წელს... ამდენი წლისა ვიქნებიო... მაინც რა რიცხვია ასეთი ეს „2000“?.. ვინ აპოკალიფსის ჟამად შეიცნობს დღევანდელობას, მავანი ისტორიაში პოულობს ანალოგებს და იმედს არ იწურავს... რიგს ადამიანებისას უკვე ათასწლეულში ერთი წლის შესულად მიაჩნია თავი...***

***საბოლოო ჯამში, ბეთლემში განკაცებული უფლის შობიდან სწორედ ის ორი ათასი წელი გასულა, კიდევ ვიმეორებ, დიდ ფიქრს რომ აღძრავს და განცხადების დიდი მოლოდინი რომ მოაქვს ჩვენთვის...***

***ფიქრს კი მივცემივართ, მაგრამ სახელი ვერ შეგვირჩევია მისთვის; განცდებს კი მივცემივართ, მაგრამ ვერ გამოგვირჩევია ის ერთადერთი, რომელიც იმძლავრებს. თავისით წამოტივტივდა სიტყვა „გაოგნება“ და მოიხდინა კიდეც — გონი არ შეიძლება მისწვდეს ათასწლეულთა შეყრასა და გაყრას... გონი ბევრ რამეს ვერ სწვდება, მაშინ რწმენაა ძლიერი, ირწმუნო უნდა!***

***უნდა ირწმუნო, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა! და ღვთის ნებაა სწორედ, რომ თავის ერთ-ერთ ჭეშმარიტ მართლმადიდებელ ერს უფალმა ჩვენმა ამ მისტიკასთან მიახლოებულ დრო-ჟამს „მწყემსად კეთილად“ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II მოგვივლინა:***

***ვისაც ყური აქვს, უსმინოს:***

**— თქვენო უწმიდესობავ, ახლა ნამდვილად ვეღარ „გადავავადებთ“ მესამე ათასწლეულს, ახლა ის ნამდვილად ჩამოდგება... რას ფიქრობს ერის პატრიარქი, როგორ შეაღო XXI საუკუნის კარი ქართველმა კაცმა... (რა თქმა უნდა, სრულიად საქართველოს ვგულისხმობ).**

— როდესაც ახალი საუკუნის საწყისთან ვდგავართ და თანაც ეს ათასწლეულთა მიჯნაც არის, თავისთავად განსაკუთრებული ყურადღება წარსულზე გადადის და ბუნებრივად იბადება კითხვები: როგორ გამოვაღწიეთ ისტორიის ლაბირინთებს და არ გადავშენდით? როგორ გავუძელით თავს დამტყდარ უბედურებათა დიდ ნიაღვრებს? როგორ შევინარჩუნეთ თავისთავადობა, სახელმწიფოებრიობა...?

მართალია, ჩვენსავით მცირერიცხოვანი ერები სხვებიც არიან და ჟამთა სიავეს მათაც გაუძლეს, მაგრამ ამ ერებს მონათესავენი და დამხმარენი მრავლად ჰყავდათ და მათ ჭაპანს ისინიც ეზიდებოდნენ. ჩვენ კი, მხოლოდ ღმერთის და საკუთარი თავის იმედით ვიყავით. ასე იყო მუდამ, ასე იქნება მომავალშიც, როგორი კეთილისმყოფელი მფარველებიც არ უნდა გვყავდეს, რადგან ეს ჩვენი ხვედრია.

ჩვენს ერს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იმიტომაც აკისრია, რომ მხოლოდ და მხოლოდ უფალზე და მასზეა დამოკიდებული მისი აწმყო და მომავალი. მსგავსად ძველი ისრაელისა, თუ ღვთის გზას განვშორდით, უფლის წყალობას დავკარგავთ და ჩვენ თვითონ დავიხშობთ იმ ერთადერთ არტერიას, რომლისგანაც სასიცოცხლო ენერგიას ვიღებთ. განდგომა ღვთისგან და ჩვენი სულიერი თუ ფიზიკური სიკვდილი, — ერთია.

ამჟამად ქვეყანას მძიმე დრო უდგას. მრავალი პრობლემის გამო ზოგიერთი მომავლის იმედსაც კარგავს, რაც არასწორია, რადგან ეს პრობლემები ძირითადად ეკონომიკური მდგომარეობიდან მომდინარეობს. ის, რომ ქვეყანა სიდუხჭირის პირზეა, ძალიან ცუდია და აქედან გამოსავალი ყველამ უნდა დროულად მოვძებნოთ, მაგრამ ამ სიტუაციით რომ სარგებლობენ ზოგიერთები და სურთ არასწორი ცხოვრების წესი დაამკვიდრონ ხალხში, შეაჩვიონ ისინი უზნეობას, ძალადობას, აღვირახსნილობას, ცდილობენ, დააბინძურონ ადამიანების სული და იქ ღვთის დასაბრძანებელი ტახტი მოშალონ, — აი, ეს არის ყველაზე საშიში. მართალია, ამას ჯერ კიდევ ტენდენციის ხასიათი აქვს მხოლოდ და საყოველთაო მოვლენად იგი არ ქცეულა, მაგრამ ერი თუ დროზე არ გამოფხიზლდა და საპირისპირო რეაქციით არ უპასუხა სულიერი გახრწნის ამ შედარებით ახალდაწყებულ პროცესს, შედეგი უკვე ძალიან მძიმე იქნება.

ჩვენ ურწმუნოების 70 წლიანი პერიოდი გავიარეთ, მაგრამ მიუხედავად ათეისტური რეჟიმის ბატონობისა, ხალხში რწმენა ბოლომდე არ დაკარგულა. იგი ნაცარწაყრილი ნაკვერჩხალივით ენთო მათ სულში და მან დღეს კვლავ ამოანათა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ მიუხედავად საყოველთაო გაჭირვებისა, ამჟამად საქართველოში ასობით ტაძარი შენდება. ხალხი უკანასკნელ შესაძლებლობებს უშურველად იღებს ღვთის სადიდებლად. ზოგჯერ ეს გაუცნობიერებლადაც ხდება. ინტუიციური გრძნობა უფლისკენ უხმობს ათასობით ადამიანს და უკვე აღარ არის გასაკვირი, რომ ტაძრები სავსეა ხალხით; მართალია, ბევრი მათგანი სხვისი მიბაძვით მოვიდა, ბევრიც ჯერ კიდევ ვერ გრძნობს ეკლესიის განმწმენდ და განმაცხოველებელ ძალას, მაგრამ მთავარია, რომ ამ ადამიანებმა პირველი ნაბიჯი უკვე გადადგეს, დანარჩენი კი უფალს მივანდოთ; მისთვის ხომ ყოველივე ცხადია. მაცხოვარი შეეწევა ყველას, ვინც წრფელი გულით მივა მასთან და მოინდომებს მისი გადამრჩენელი ბილიკით სვლას.

ამ ერთადერთ ჭეშმარიტ გზას დღეს მრავალი საცდური ფარავს, რადგან ბოროტი მთელი მონდომებით ცდილობს, ხალხი სხვა მიმართულებით გაიყოლიოს.

ჩვენ უნდა გავუძლოთ დროის მძიმე გამოცდას და ღმრთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა უფლის კარამდე მშვიდობით მივიყვანოთ. „ღმრთისა მიერ ვყოთ ძალი და მან შეურაცხყვნეს მაჭირვებელნი ჩუენნი“ (ფსალმუნი).

**— რა ვქნათ, თქვენო უწმიდესობავ, ვინ შევიწყნაროთ, ვინ შევაჩვენოთ, ვინ ვიგულოთ მოყვარედ და ვინ მტრად... იქნებ დადგა დრო სამხილებელი ვამხილოთ, გასათიშსა და უვარგისს გავეთიშოთ... ანუ, იქნებ დადგა ჟამი ქვათა გროვებისა...**

— მე არაერთხელ მითქვამს ქადაგებაში, რომ ჩვენ სხვა სისუსტეებთან ერთად ერთი ასეთი სენიც გვჭირს: გამოსწორებას ყველა სხვისგან იწყებს, ყველას უნდა, რომ პირველ რიგში სხვამ შეიცვალოს ცხოვრების წესი, თვითონ კი ან საერთოდ არ ფიქრობს თავის თავზე, ან თუ ფიქრობს, ისევ სხვისი მიბაძვით. ქრისტიანული მიდგომა კი ამ საკითხისადმი ის არის, რომ



## — ნუ დავიხშობთ იმ ერთადერთ არტერიას, რომლისგანაც სასიცოცხლო ენერგიას ვიღებთ...

გამოსწორება ჩვენ ჩვენი თავიდან უნდა დავიწყოთ. პირველ რიგში, საკუთარი თავი უნდა ვამხილოთ და გარდავქმნათ და განკითხვის ცოდვაში არ ჩავვარდეთ. სახარებაში წერია: „რაისა ჰხედავ წულილსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დვირესა თუალსა შინა თვისსა არ განიცდი?“ ეს სიტყვები ყველას შინაგანი განწმენდისაკენ მოგვიწოდებს.

ამასთან შევნიშნავთ იმასაც, რომ ის გაჭირვება და განსაცდელი, რის წინაშეც დღეს ქართველი ერი დგას, ღმერთმა ჩვენს გამოსაფხიზლებლად დაუშვა, რათა შევინანოთ. ასე რომ, ჟამი გვიდგას დაფიქრებისა და სინანულისა. XX საუკუნის წმიდა მამა სილუან ათონელი შესანიშნავად ბრძანებს: როდესაც ადამიანს საქმე ცუდად მისდის, გულით უნდა მოინანიოს და მისი საქმეები გამოსწორდება. ასევე ერიც, რომელსაც ბევრი პრობლემა აქვს და ეს პრობლემები უფრო და უფრო უმრავლდება, უნდა მიხვდეს, რომ, სინანული აკლია და სულიერი განწმენდა სჭირდება. მონანიების შედეგად, როგორც ადამიანის ცხოვრება, ერის ცხოვრებაც იცვლება. სწორედ ამისკენ უნდა მივმართოთ ჩვენი გულისყური.

**— ახლა ჩვენი გაზეთის იდეის გარშემო მინდა გაგესაუბროთ... ერს უნდა ჰქონდეს თავისი მეხსიერება... ჩვენ ხომ მანამ ვცოცხლობთ, ვიდრე ვახსოვართ... და თუ ვემახსოვრებით 5, 10, 25 და... ასი წლის შემდეგაც და ჩვენს შთამომავალთ ისიც ეცოდინებათ — სად გავჩერდით, ან სად გაგვაჩერეს — როგორ გგონიათ, არ გამოვდგებით წინ წამძღვარებულ სანთლად, ანუ, ხომ ვიქნებით „წინა კაცის“ როლში...**

— თქვენ მიერ შემოთავაზებული იდეა მართლაც საინტერესოა. ეს იქნება საუკუნეთა და ათასწლეულთა გადაძახილი. მე ვფიქრობ, ვინც ასეთ წერილს დაწერს, პირველ რიგში უნდა დალოცოს თავისი შთამომავალნი, დალოცოს თავისი ერი და ქვეყანა: ამასთან, რა თქმა უნდა, ყველას თავისი სათქმელი ექნება, მაგრამ კარგი იქნება, თუ სერიოზულ, ცხოვრებისეულ, მნიშვნელოვან ფაქტებს შეულამაზებლად მოყვებიან საკუთარი წარსულიდან, დაწერენ თავის სურვილებს, იმას, თუ როგორ ხედავენ ქვეყნის მომავალს და თვითონ რის გაკეთებას ისურვებდნენ... საინტერესოა ასევე, ჩვენთვის დამახასიათებელი რომელი ტრადიციები არის მისთვის ცნობილი და მისაღები, ხოლო რა — მიუღებელი. რა აღმსარებლობისაა იგი და რატომ.

ამ წერილების სახით ჩვენ დავაფიქსირებთ ჩვენი ხალხის სულიერ-ინტელექტუალურ მდგომარეობას და ისტორიისთვის მართლაც უნიკალურ მასალას დავტოვებთ.

**— საქართველო ერთი ციდა ქვეყანაა და იტყვიან, ქვა რომ გადააგდო, ერთის გამოტოვებით, ნათესავს თუ არა, მოყვარეს მაინც მოხვდებაო... ჩვენს პროექტში ერთ, ჩვენი აზრით, ლამაზ მიგნებად გენეალოგიური ხის შედგენა მიგვაჩნია... ამით ხომ, სულ ცოტა, თითოეულს თავისი უშუალო ექვსი წინა თაობა გვეცოდინება... იქნებ ერის გამთლიანებაში ერთი ძირების მიგნებამაც გვიშველოს.**

— თქვენ სწორი ბრძანდებით. იმის გამო, რომ მცირერიცხოვანი ერი ვართ, საქართველოში ბევრი ერთმანეთის ახლობელი და ნათესავია. სამწუხაროდ, ახალმა დრომ განსხვავებული ცხოვრების წესი შემოიტანა; ადამიანები ჩაიკეტნენ თავის პრობლემებში და გარეშეთათვის ნაკლებად იცლიან. გაჭირვებამ სანათესავო წრესთან სიახლოვის საშუალებაც შეზღუდა და ამან თვისტომთაგან გაუცხოების საშიშროება წარმოქმნა. გენეალოგიური ხის შედგენა ნამდვილად დაეხმარება შთამომავლებს ნათესაური კავშირების დადგენასა და აღდგენაში.

მე ადრეც, ერთ-ერთ ინტერვიუში, გამოვთქვი სურვილი იმისა, რომ ყოველ ოჯახში ყოფილიყო წიგნი გენეალოგიური ხისა, სადაც ჩვენს წინაპართა მარტო სახელი და გვარი კი არ იქნებოდა, არამედ მათი ბიოგრაფიაც. კარგი იქნება, თუ დაიწერება, რა დადებითი თვისებები ახასიათებდათ მათ, რა სიკეთე ჰქონდათ გაკეთებული და პირიქით, რა დააშავეს. ეს შთამომავლებს თვალნათლივ დაანახვებს ცოდვა-მადლის შედეგს, რაც ბუნებრივად აღძრავს სურვილს საკუთარი ცხოვრების გააზრებისა და გამოსწორებისა.

**— ახლა ისევ ათასწლეულს და მის მობრძანებასთან დაკავშირებით მოჯარულ კითხვებს დავუბრუნდეთ. რიგი მოძღვრებისა უკანასკნელი ჟამისა და უახლოეს მომავალში მოსალოდნელი მეორედ მოსვლის შესახებ ქადაგებენ. როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან. და საერთოდ, რა იგულისხმება ივერიის გაბრწყინებაში, რომელშიც სხვადასხვა შინაარსს დებენ სხვანი და სხვანი.**

— ამ საკითხთან დაკავშირებით მართლმადიდებლური სწავლება ასეთია: ყოველი ქრისტიანი მარადჟამს უნდა ელოდეს მეორედ მოსვლას, რადგან მისი ზუსტი თარიღი არავინ უწყის. იგი ღვთის საიდუმლოა. სახარებაში წერია, რომ ზეციური ანგელოზებისთვისაც კი დაფარულია ეს. ამიტომაც ადამიანები არ უნდა შეეცადონ, განსაზღვრონ ბოლო ჟამის დადგომის დრო. მაგრამ სახარებაში ასევე წერია, რომ ქრისტიანები ვალდებულნიც კი არიან, იცოდნენ და გააცნობიერონ მეორედ მოსვლის ნიშნები. ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა ამისა არის ჭეშმარიტი სარწმუნოების შემცირება მთელ მსოფლიოში; ასევე, ნამდვილი სიყვარულის (მისი სხვადასხვა გამოვლინებით) განქარვება, ადამიანის მდაბალი გრძნობების წინ წამოწევა, ომები, სტიქიური უბედურებები და სხვა, რასაც მოჰყვება ანტიქრისტეს მოსვლა და გაბატონება. სამწუხაროდ, მაშინ ადამიანებს იმდენად დაკარგული ექნებათ კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი, რომ ბევრი მათგანი მოექცევა ეშმაკის გავლენის ქვეშ და ნებსით თუ უნებლიეთ ულალატებს მაცხოვარს, რაც მისი სულის სამუდამო წაწყმედის ტოლფასი იქნება.

მაგრამ მორწმუნენი მხოლოდ გარეგნული ნიშნებით მაინც არ მსჯელობენ ბოლო ჟამის მოახლოებაზე. შინაგანად განწმედილი პიროვნებანი სულით გრძნობენ ამას. სულიერი სიფხიზლისათვის კი აუცილებელია ეკლესიის წიაღში ყოფნა, რაც ადამიანს ანტიქრისტეს ეპოქის ხიბლისაგან დაიცავს.

სამწუხაროდ, როდესაც ვაკვირდებით თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს: ცოდვის გამრავლებას, ადამიანის გაუხეშებას, იმას, თუ როგორ მიზანდასახულად ვრცელდება უზნეობის ესა თუ ის სახე (მაგ. მრუშობა, ჰომოსექსუალიზმი), იკარგება კრძალვა სიწმიდისადმი, ერის ავტორიტეტებისადმი, როდესაც ტრადიციულ ნამდვილ ფასეულობებზე ყოველი მხრიდან დიდი შეტევა მიმდინარეობს და ხედავ დღევანდელი ადამიანის სულში ასახულ ყოველივე ამის ანარეკლს, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ჟამი მართლაც ახლოა.

ამავე დროს, დიდ ნუგეშს გვაძლევს წინასწარმეტყველება იმისა, რომ ბოლო დროს საქართველო უნდა გაბრწყინდეს. რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სულიერი გაბრწყინება, ანუ ის, რომ მაშინ, როდესაც მსოფლიოში ბევრი განუდგება ჭეშმარიტ სარწმუნოებას, საქართველოში მართლმადიდებლობა აღორძინდება და განმტკიცდება. თუმცა ამან ამპარტავნობაში არ უნდა ჩაგვაგდოს, რადგან ეს მოხდება არა ჩვენი დამსახურების გამო, არამედ ღვთისა და ღმრთისმშობლის მადლითა და წყალობით, ოღონდ ჩვენ ღირსნი უნდა გავხდეთ ამ წყალობისა. ამისთვის კი აუცილებელია, ქართველი ერის გაერთიანება მართლმადიდებელი ეკლესიის საფუძველზე. ჩვენმა ერმა უნდა მოინანიოს თავისი ცოდვები და შეინარჩუნოს სარწმუნოებრივი სიმტკიცე. მაშინ მაცხოვარი და დედა უფლისა არ დატოვებენ ჩვენს ქვეყანას და ყოვლადწმიდა მარიამის მეოხებითა და მფარველობით საქართველო სულიერად გადარჩება.

**— ხშირად იძარცვება ჩვენი უფლის სახლები.... ბევრია წინა წლებიდან გატანილი განძეულიც... იქნებ ის „ხვალინდელი რისხვა“ შევახსენოთ ცოდვის ჩამდენთ — რისი შიში უნდა ჰქონდეთ.**

— თუ ჩვენ გავიხსენებთ იმ ადამიანების ხვედრს, რომლებმაც ამა თუ იმ სახით ზიანი მოუტანეს ეკლესიას, — დაანგრიეს, გაძარცვეს, ან შეურაცხყვეს იგი, დავინახავთ, რომ არც ისინი და არც მათი ოჯახის წევრები ბედნიერნი არ ყოფილან. ვინც ეკლესიას ზიანს მოუტანს, ვერ გაიხარებს, — ეს აქსიომაა და იგი ყველამ უნდა იცოდეს.

ვერანაირი განძი, რომელსაც ეს ადამიანები ტაძრიდან წაიღებენ, ვერ გადაწონის იმ უბედურებას, რომელიც ჯერ კიდევ ამქვეყნიურ ცხოვრებაში მოეწევათ ხოლმე ამის ჩამდენთ. მათთვის ერთი გამოსავალი არსებობს: ეკლესიაში უნდა დააბრუნონ თავის თუ თავის წინაპართა ან ახლობელთაგან მოპარული უმნიშვნელო ნივთიც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ხატზე და სხვა სიწმიდეზე, მღვდელთან თქვან აღსარება, მთელი გულით მოინანიონ ცოდვა უფლის წინაშე და ეცადონ სანაცვლო სიკეთით გამოისყიდონ დანაშაული, რადგან წერია: „ყავთ ნაყოფი ღირსი სინანულისა“.

**— ვის, თუ არა თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, ეთქმის ათასწლეულთა გასაყართან სიტყვა... სიტყვა გამაერთიანებელი — როგორ გავეყაროთ ამ საუკუნეს და რით მივეგებოთ ახალს. იქნებ სწორედ ახლა დგას ის დრო, ოდეს ეკლესიამ უნდა ამოიყენოს დაბნეული ერი გვერდით... ბრძანეთ, თქვენო უწმიდესობავ, ბევრი გყავთ მომსმენი და ბევრთან მიიტანს ჩვენი გაზეთი თქვენს ასჯერ ნაფიქრალს. დაგვლოცეთ, თქვენო უწმიდესობავ — ესეც ხომ ერთგვარი ტვირთია ყველასათვის — სწორედ ჩვენ რომ შევეგებეთ ქრისტეშობის ორიათას პირველ წელს. ჩვენ მესამე ათასწლეულის ათვლა დავიწყეთ.**

— მე მინდა გავიხსენო მესამე საუკუნის წმიდა მამის, კვიპრიანე კართაგენელის სიტყვები: ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის ღმერთი მამა ვერ იქნება. ეს სიტყვები მრავალი საუკუნის წინ ითქვა, მაგრამ დღესაც ისეთივე აქტუალურია. არ შეიძლება მაცხოვარი გიყვარდეს და ეკლესიიდან განშორებული იყო. მშვენივრად ბრძანებს ნეტარი ავგუსტინე: ეკლესიის გარეთ შეიძლება გწამდეს ღმერთი, შეიძლება სახარებაც იცოდე, შეიძლება ქადაგებდე კიდევაც, შეიძლება სისხლიც კი დაღვარო ქრისტესთვის (იგულისხმებიან განდგომილები), მაგრამ ერთადერთი, რაც შეუძლებელია ეკლესიის გარეთ, ეს არის სულის ცხონება. ასე რომ, ამ სახით სულის გადარჩენის მოიმედენი მწარედ ცდებიან. ამიტომაც ჩვენს ერს კიდევ ერთხელ მინდა გავუმეორო, რომ აუცილებელია ეკლესიის გარშემო გაერთიანება, რადგან მხოლოდ იგია განმწმენდი, სულიერი ძალის მომნიჭებელი და გადამრჩენელი.

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ერის წარსული და მომავალი, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნველი ყოველი მოქალაქე.

საქართველოს ექნება ნათელი მომავალი, რადგან ჩვენ ვართ ღვთისანი.

იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.

P.S. ***გასრულდა ერთან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საუბარი... გასრულდა და ალბათ ყველა საკუთარ ფიქრთან დაგვტოვა.***

***ფიქრი მაშინაც უამრავი გამოგვყვა, ოდეს საპატრიარქოში გვიახლა უწმიდესმა და უნეტარესმა მთელი რედაქცია და გზა და სიტყვა დაგვილოცა — თქვენთან მოსასვლელი გზა და თქვენთვის სათქმელი სიტყვა. თავში ნახსენები სიტყვა „გაოგნება“ მაშინაც აფართფატდა დარბაზში, როცა პატრიარქმა ჩვენს ნათქვამს — ღმერთმა გაგაძლიეროთ, თქვენო უწმიდესობაო, — ერთი უბრალო, ერთი კაცის სათქმელივით ღიმილით მოგვადევნა — ილოცეთ, ჩემთვის!..***

***უფალო! აცხოვნე და შეიწყალე დიდი მეუფე ჩვენი, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მამაი ჩვენი ილია.***

***ლალი გუნთაიშვილი***

„კვირის პალიტრის“ რედაქცია ულოცავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს აღსაყდრების დღეს (25 დეკემბერს).

# „რა საჭიროა თავის მტვრევა ჩვენს ბედზე, თუ იგი მსოფლიო პროცესების ფონზე მიმდინარეობს“

მიიწურა წელი — 2000, რომელსაც აღფრთოვანებით შეხვდა კაცობრიობა და მისი ერთ-ერთი უძველესი ნაწილი — ქართველობა! დღეს კი კიდევ ერთ რიგით წელიწადს ვაცილებთ იმ დაუსაბამო და უსასრულო სამყაროში, რასაც ისტორია ჰქვია. ისტორიულმა ბედუკუღმართობამ მიგვაჩვია წლის ბუზღუნით გაცილებას. მე-19 საუკუნის მიწურულს გაზეთი „ივერია“ წერდა: „უნდა სიმართლე მოგახსენოთ და ჩვენსავით სიხარულით ველარავინ ვერ მიეგებება ახალ წელიწადს, თუკი ღმერთმა იპრიანა და იმისი გათენება გვაღირსა! ვერ მიეგებება იმიტომ, რომ ყოველივე სიავე ამ უკუღმართისა და უგემურის მიმდინარე წლის ბრალი გვგონია. დიდი და პატარა ეხლა იმასღა თუ იმეორებს, „ოღონდ ამ უკუღმართს, დავიდარაბიანსა და კვიმატს ვარსკვლავზე დაბადებულს წელიწადს გადავრჩე და მერე, რაც მომივა, აღარ ვჩივიო...“



დიახ, უჭირდა საქართველოს ასი წლის წინათ, ორასი წლის წინათ... უჭირს ახლაც და ვინ იცის, შეიძლება უჭირს ისე, როგორც არასდროს! ჩვენთვის ეს წელიწადიც და უკანასკნელი ათწლეულიც მართლაც უკუღმართ ვარსკვლავზე იშვა. უკვე კარგა ხანია, სანატრელი გაგვიხდა 1989-1991 წლების პერიოდი, როცა სრულიად საქართველო, ერთ მუშტად შეკრული, ერთი იდეით გაერთიანებული პირველ ნაბიჯებს დგამდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე...

**წელი 1989:** წმინდა სისხლის წელი. გამოფხიზლების წელი. ამაღლების, იმედის, ბრძოლის წელი. ისიც შეუერთდა მარადისობას. ჩვენი შთამომავლობა ისწავლის ამ წელს, როგორც საქართველოსთვის ახალი დროის დასაწყისს, ათვლის წერტილს, შეფასების კრიტერიუმს: 9 აპრილის სისხლიანი კვირა; კატასტროფები აჭარის მთებში; მუხანათური პროვოკაციები მარნეულსა და ბოლნისში... აზერბაიჯანელები ავტონომიას ითხოვენ(!); სისხლიანი ივლისი აფხაზეთში, ანუ „პრელუდია“ აფხაზეთის ომისა და მისი დაკარგვისა; სეპარატისტული გამოხდომები შიდა ქართლში და მოგვიანებით — ასევე ომი... მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ის პერიოდიც, 1990 წლის დასასრულიც და 1991 წლის დასაწყისი ფრიად იმედისმომცემი იყო: საქართველოში ურევოლუციოდ დაემხო 70-წლიანი კომუნისტური რეჟიმი, ძალაუფლება ხალხის რჩეულთა ხელში გადავიდა და თაობების ნაოცნებარი თავისუფლება ისე ახლოს, ისე გარკვევით გამოჩნდა, მაგრამ...

## უსაშინლესი „საახალწლო ზალპი“ ანუ საქართველოსთვის სავალალოდ დამთავრებული ისტორიული შანსი!

...საქართველოს პირველი დიდი გამარჯვება განვლილ ათწლეულში იყო 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი. ერთადერთი კითხვით — გვსურს თუ არა დამოუკიდებლობა? პასუხი ერთმნიშვნელოვანი გახლდათ — გვსურს! საბჭოთა იმპერია უკვე საფუძვლიანად ირყეოდა, მაგრამ ჯერ კიდევ იქნებოდა „მსახვრალ ხელს“. ქართველი ერის ნება უკვე გამოხატული იყო, რჩებოდა მისი იურიდიულად გაფორმება და 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა! იმავე დღეს მსოფლიო ხალხებისა და მთავრობებისადმი გაგზავნილ მიმართვაში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია მოუწოდებდა მათ: „...ყველა კეთილი ნების ადამიანს მხარი დაუჭირონ თავისუფლების, დემოკრატიისა და სამართლიანობის იდეალებისათვის მებრძოლი ქართველი ერის ნებას, არ დაუშვან მის წინააღმდეგ ძალის გამოყენება და ხელი შეუწყონ საქართველოს რესპუბლიკის ცნობას და დამკვიდრებას დემოკრატიულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ (ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ ცხრა წლის შემდეგ, 2000 წელსაც, საქართველოს ხელისუფლებას თითქმის ანალოგიური მიმართვებით კვლავ მოუწევდა ისევ და ისევ იმავე მოწოდებით — არ დაუშვან უცხო ძალის გამოყენება საქართველოს და მისი სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ...). მაგრამ იმ მიმართვას ყურად არავინ იღებს — ჯერ კიდევ მძლავრობს გორბაჩოვის და მისი პერესტროიკის „ფენომენი“, მალტის შეხვედრაზე ჯორჯ ბუშს და გორბაჩოვს უკვე გადაწყვეტილი აქვთ პოსტსოციალისტური სივრცე: აღმოსავლეთ ევროპა ბალტიის რესპუბლიკებიანად დასავლეთს რჩება, „დანარჩენი“ — რუსეთს... გამსახურდიას „დიდების წინააღმდეგ სვლაში“ ადანაშაულებენ(!) მხოლოდ იმავე წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვში მომხდარი პუტჩის შემდეგ გამოიღვიძებს საერთაშორისო თანამეგობრობა ყურს, მაგრამ, ვაი, რომ მხოლოდ საქართველოსთვის დამთავრდება სავალალოდ პუტჩის შედეგად მოულოდნელი ისტორიული შანსი. მაშინ, როცა ჯერ ბალტიისპირელების დამოუკიდებლობას ცნობს მსოფლიო, ბელოვეჟის შეთანხმების შემდეგ კი ლანგრით მიართმევენ დამოუკიდებლობას დანარჩენ რესპუბლიკებს, ქართველები ურთიერთჟლეტის ბაქანალიაში გადაეშვებიან...

**1991-1992 წლების ზამთარი:** სისხლიანი და მზაკვარი დღეები; ღალატის, ცილისწამების დღეები, ახალი 1992 წლის ღამის 12 საათი და სისხლში ჩამხრჩვალი ქართველების უსაშინლესი და უბინძურესი „საახალწლო ზალპი“ ყველა სახეობის იარაღიდან... იგივე გამეორდება აფხაზეთის დაცემის შემდეგ, ახალი, 1994 წლის ღამეს...

რატომ! რატომ!

## მე-19 საუკუნე ანუ „ჩვენ გვინახავს თურქი, სპარსი, ლეკი, მაგრამ ასეთი რამ — არასოდეს...“

რუსულ „დემოკრატიას“ პეტრე I-ის შემდეგ ჯერ ეკატერინე II-მ, მერე კი პავლე პირველმა „შთაბერეს ახალი სული“. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე პეტერბურგში საუბრობდნენ რუსოზე, მონტესკიეზე, ვოლტერზე, განათლებულ აბსოლუტიზმზე. სინამდვილეში კი მძვინვარებდა ყველაზე საშინელი მონობა. საფრანგეთის რევოლუციამ ისე შეაშინა ეკატერინე მეორე, რომ საერთოდ აკრძალა სიტყვები: „რესპუბლიკა“, „მოქალაქე“, „თავისუფლება“, „რევოლუცია“... ეკატერინეს არც მისი ნაბუშარი მემკვიდრე პავლე პირველი ჩამორჩებოდა და, ალბათ, გარდაუვალი ბედისწერა იყო ისლამის ოკეანეში მყოფი საქართველოსა და მისი უკანასკნელი დიდი მეფის ერეკლე მეორისთვის, რასაც ეს ორი იმპერატორი (ზოგადად კი, რუსეთის იმპერია) უმზადებდა: ჯერ 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის არშესრულებით, 1795 წლის კრწანისის ტრაგედიით, 1801 წელს კი ამ ტრაქტატის უხეში დარღვევით და ქართლ-კახეთის, შემდეგ კი მთელი საქართველოს ანექსიით... იქიდან დღემდე რუსეთი კიდევ არაერთხელ უგულებელყოფს, კერძოდ, 1920,1992, 1993,1994 წლების ხელშეკრულებებს...

**...1801 წლის 12 აპრილს** გენერალმა ლაზარევმა სიონის ტაძარში ქართველ თავადაზნაურობას ზარბაზნების მუქარით ჩაუკითხა „უზენაესი რესკრიპტი“... ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების და რუსეთთან შეერთების შესახებ. მაგრამ ამ „შეერთებას“ არ შეჰგუებია ქართველი. მაშინვე განვითარდა პოლიტიკური პროტესტის ორი ფორმა. **1.** პასიური: მაგალითად, ჩაიკეტა სახლში თავადი ორბელიანი და... სანამ რუსები არ წავლენ, გარეთ აღარ გამოვიხედავო(!). კარგა ხნის შემდეგ კიდევ გადმოუხედავს თავადს — მოურავო, რუსები არ წავიდნენო?! არა, ბატონო, ყაზარმებს აშენებენო. აბა, დამიძინიაო, — თქვა და შებრუნდა. უკვირდა კიდეც: — რა უნამუსო მეფე ჰყოლიათ რუსებს, ამდენი ხანი სტუმრობა ვის გაუგონიაო?!

**2.** ქართველთა აქტიურმა ნაწილმა კი, იარაღს მოჰკიდა ხელი და ალექსანდრე ბატონიშვილთან (ერეკლე მეორის ძესთან) გაიქცა: ქართველები ებრძოდნენ რუსებს 1802, 1804, 1810, 1812-1813, 1818-1819, 1840 წლებში. 1832 წელს კი თავადაზნაურობამაც გამოილო ხელი, მაგრამ შეთქმულება ისევ და ისევ ქართველი კაცის ღალატით ჩაიფუშა... ყველაზე სასტიკი 1812-1813 წლების კახეთის აჯანყება იყო. აჯანყებულმა კახელებმა უფრო მეტი რუსი გაჟუჟეს, ვიდრე ირანთან და თურქეთთან ომებში ერთად აღებული დაკარგა რუსეთმა დაღუპულთა სახით...

ჩვენ გვინახავს თურქი, სპარსი, ლეკი, მაგრამ ასეთი რამ — არასოდესო, — ამბობდნენ აღშფოთებული კახელები. საგულისხმო ის არის, რომ რუსეთმა გადაყლაპა კახეთში განცდილი მარცხი და იქ სადამსჯელო დივიზიები არ გაუგზავნია. მიხვდნენ პეტერბურგში, რომ შეიძლება მთელი საქართველო დაეკარგათ და „ლოიალურ“ პოლიტიკას მიმართეს, კერძოდ, თავადაზნაურობის ჩინ-მედლებითა და ქრთამით მოსყიდვას (საქართველოს ხელისუფლებაში დღეს მძვინვარე კორუფცია ხომ არ გენიშნა, მკითხველო?!)! ამ კატეგორიის თავადაზნაურობას მოგვიანებით ჯეროვანს მიუზღავს დიდი ილია...



კატასტროფა იყო ისიც, რომ სწორედ რუსეთზე ორიენტირებულმა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მიმდევარმა ქართველმა მენშევიკებმა ისევე იოლად დაკარგეს საქართველოს 1918-1921 წლების დამოუკიდებლობა, როგორ იოლადაც და ბედის ირონიითაც აღმოჩნდნენ ილიას ნანატრი და ნაქადაგარი — დამოუკიდებელი საქართველოს — ხელისუფლების სათავეში...

## კიდევ ერთი დიდი შეცდომა

„მოგმართავთ თქვენ ალყაში მოქცეული სოხუმიდან და არც კი ვიცი, მოაღწევს თუ არა ჩემი სიტყვები თქვენამდე. ბრძოლები ახლა რამდენიმე უბანში მიმდინარეობს იმ შენობიდან, რომელშიც ჩემს მეგობრებთან ერთად ვიმყოფები. რაც უნდა მოხდეს, მაინც არ დავტოვებ ქალაქს, რომელიც კვლავ ხდება მოტყუებისა და ვერაგობის მსხვერპლი... კვლავ მივმართავ ბორის ელცინს, გაეროს უშიშროების საბჭოს და ბატონ ბუტროს ღალის, პროგრესულ დემოკრატიულ რუსეთს, მსოფლიო გაერთიანებას მოწოდებით: ნუ დაუშვებთ საზარელ დანაშაულს, შეაჩერეთ პატარა ქვეყნის დასჯა, იხსენით ჩემი სამშობლო და ჩემი ხალხი იმპერიული რეაქციის კოცონზე დაწვისაგან...“ ამ სასოწარკვეთილი სიტყვებით მიმართავდა კრემლისაგან უკვე მერამდენად მოტყუებული ედუარდ შევარდნაძე 1993 წლის 18 სექტემბერს მსოფლიოს და ჯიუტად მოუწოდებდა „დემოკრატიულ“ რუსეთს და ელცინს დახმარებისაკენ, ანუ აცხადებდა, რომ რუსეთის იმპერიული ძალები გვებრძვიან და ისევ რუსეთისგან ელოდა ხსნას(!) არა, ხსნა არც „დემოკრატებისგან“ მოსულა, არც ელცინისაგან და არც რუსი ინტელიგენციისგან. არა ხსნას ელოდა სსრკ-ის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, როცა საკუთარი თვალით ხედავდა რუსეთის რეგულარული ჯარისა და ავიაციის ნამოქმედარს აფხაზეთში?! ვინ — ვინ და, მან ხომ შესანიშნავად იცოდა, ეს ჯარი თითსაც არ გაანძრევდა, ჩვენი „დიდი მეგობრის“ პავლიკ გრაჩოვის ბრძანება და ელცინის Добро რომ არ ყოფილიყო? ერთი დღით ადრე, 17 სექტემბერს (აფხაზებმა და რუსებმა 16 სექტემბერს დაარღვიეს შეთანხმება და უიარაღო სოხუმზე მიიტანეს იერიში) მაშინდელი პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე პრესაში აცხადებს საქართველოს დსთ-ში შესვლის აუცილებლობის შესახებ, რადგან: „სხვა გზა აღარ დაგვრჩენია... საქართველოს დღეები დათვლილი აქვს, თუ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც მიდის!“ მაგრამ მოვლენები მანამდეც უკვე ისე ვითარდებოდა საქართველოში და მის ირგვლივ, როგორც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის, 1920 წლის, 1992 წლის 3 სექტემბრის, 1993 წლის 14 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებებისა და შეთანხმების შემდეგ, ანუ როცა 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმებას, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, გაგრის ტრაგედია მოჰყვა, 1993 წლის 14 მაისის შეთანხმებას კი დესანტი ტამიშთან... და მაინც, 1993 წლის 27 ივლისს სოჭში ქართულმა მხარემ ხელი მოაწერა ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც ძნელია დღესაც გულგრილად აღიქვა კაცმა. მტრებმა უბრძოლველად მიაღწიეს იმას, რისი მოპოვებაც ძალით ვერ შეძლეს, კერძოდ, ქართული ჯარის და მძიმე ტექნიკის გაყვანას აფხაზეთიდან და ქართული მოსახლეობის განიარაღებას. ეს იყო საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უბადრუკი გადაწყვეტილება, რომელიც საბედისწერო გამოდგა საქართველოსათვის...

...მაგრამ ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ დსთ-ში შესვლით რუსეთი შეწყვეტდა აფხაზი სეპარატისტების მხარდაჭერას, ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, სამხედრო დახმარებას აღმოუჩენდა საქართველოს და ა.შ. ამ იმედს ამაგრებდა იმავე წლის თებერვალში თბილისში შევარდნაძე-ელცინს შორის ხელმოწერილი „ჩარჩო-ხელშეკრულება“ ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომელიც დღემდე ფარატინა ქაღალდად დარჩა. ახალმოვლენილმა პრეზიდენტმა პუტინმა კი ეს ქაღალდიც გადაგვახია თავზე, როცა სავიზო რეჟიმი არ გაავრცელა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე... სანაცვლოდ ახალი „ჩარჩო-ხელშეკრულების“ დადებას გვპირდებიან, თანაც განუწყვეტელი მუქარის, შეურაცხყოფისა და ზეწოლის ფონზე... საქართველოს ხელისუფლება კვლავაც კვერს უკრავს მოსკოვს, თუმცა...

(გაგრძელება იხ. გვ. 8)

გუდვილკომი
GWC
GoodWillComm
8-14

შპს „გუდვილკომი“ გილოცავთ
დამდეგ შობა-ახალ წელს
და 20 დეკემბრიდან 15 იანვრამდე გთავაზობთ
ფასდაკლებებს საერთაშორისო საუბრებზე
8-14-1 აშშ-კანადა 0.45
8-14-7 რუსეთი 0.40
8-14 ევროპა 0.79
ფასები მოცემულია ლარებში
და შეიცავს დღგ-ს
სატელეფონო ბარათებით სარგებლობისას ფასები განსხვავებულია
მისამართი: ქ. თბილისი,
ვაჟა-ფშაველას გამზ. №41
ტელ/ფაქსი: (995 32) 25-65-55

გამოვიდა 2001 წლის
„კვირის პალიტრის“
მოსახევი კალენდარი
როგორც ყოველთვის, საინტერესო და დასამახსოვრებელი


კედლის და მაგიდის კალენდრების შეძენა ბითუმად შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ ოფისში, აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტ: 33-78-08
P.S. სხვაში არ შეგეშალოთ!

ნებისმიერ ხალხში ნებისმიერი დღესასწაულის აღნიშვნა შამპანურითაა მიღებული. გამონაკლისს არც ახალი წელი და ქართველები წარმოადგენენ, მაგრამ საკითხავია, ვსვამთ კი ნამდვილ შამპანურს, თუ თავს ფალსიფიცირებული, გაურკვეველი სითხით ვიტყუებთ ან გვატყუებენ. როგორც ირკვევა, ახალ წელს საქართველოში მხოლოდ ერთეულები თუ ადღეგრძელებენ ნამდვილი შამპანურით, ხალხის გარკვეულ ნაწილს ცქრიალა ან შუშხუნა ღვინით მოუწევს მისი აღნიშვნა, ხოლო მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ფალსიფიცირებული შამპანურით დაკმაყოფილდება.

ნამდვილი შამპანური ნახშირორჟანგით ბუნებრივად გაჯერებული ღვინოა. ეს აირი სპეციალური ყურძნისაგან დამზადებული ღვინის მეორადი დუღილის პროცესში წარმოიქმნება, ჰერმეტულად დახურულ ბოთლებსა და რეზერვუარებში. შამპანური პირველად საფრანგეთში, პროვინცია შამპანში დაამზადეს XV საუკუნეში.

ცნობილია შამპანურის დამზადების ბოთლური და რეზერვუარული მეთოდები. ბოთლური მეთოდით დამზადებული შამპანური უფრო მაღალი ხარისხისაა. კერძოდ, დამუშავებულ ღვინომასალას უმატებენ ლიქიორს და წმინდა კულტურისგან მიღებულ საფუარებს. შემდეგ სითხეს ჩამოასხამენ სპეციალურ ბოთლებში, სადაც ხდება ღვინის მეორადი დუღილი. ამ დროს გამოიყოფა ნახშირორჟანგი და რომ არ ამოხეთქოს, ბოთლს უკეთებენ სპეციალური მავთულით გამაგრებულ საცობს. ბოთლები 2-3 წლის განმავლობაში შტაბელურად ეწყობა და ყოველდღე ხდება მათი ხელით შებრუნება, რათა დუღილი დაჩქარდეს. ამავე პერიოდში შამპანური იძენს „ბუკეტს“, სათანადო გემოს და გამჭვირვალებას. ბოლოს მას ხსნიან, აცილებენ საფუარის და ღვინის ნალექს, რის შემდეგაც ღვინოს სიტკბოსათვის უმატებენ სპეციალურ ლიქიორს, რომელიც შეიცავს: შაქარს, კონიაკის სპირტს, ლიმონმჟავას. ყველა ეს ოპერაცია ხელით კეთდება და საკმაოდ შრომატევადია. ბოთლს ხელახლა ხუფავენ და შამპანურიც მზადაა.

შამპანურის რეზერვუარული მეთოდით დასამზადებლად კი ორი თვეც საკმარისია. მის დასამზადებლად იყენებენ იგივე მასალას, ოღონდ შამპანურის ჩამოყალიბება და დავარგება ფორსირებულად ხდება, რაც მის ნაკლებხარისხიანობას განაპირობებს.

შამპანურში სპირტის შემცველობა 12%-მდეა, ხოლო შაქრის შემცველობის მიხედვით განასხვავებენ ბრუტს (შაქრის შემცველობა 0,4%), მშრალს (3%), ნახევრად მშრალს (5%), ნახევრად ტკბილს (8,0%) და ტკბილს (10%).

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ნებისმიერი ქვეყნისა და მონაცემის მქონე შამპანურს ნახავთ, მაგრამ რად გინდა, მათი უდიდესი ნაწილი ფალსიფიცირებულია და მათ სიყალბეზე ფასიც მეტყველებს, რადგან ნამდვილი ფრანგული შამპანურის ფასი 10-12 დოლარიდან იწყება, ხოლო ფალსიფიცირებული 2-3 ლარი ღირს. რაც შეეხება ადგილობრივს, კარგა ხანია, საქართველოში შამპანური არ იწარმოება. აქ მხოლოდ ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებს ამზადებენ და მათ შამპანურ ღვინოებად ასაღებენ, მაგრამ ნამდვილ ფრანგულ შამპანურამდე მათ ბევრი უკლიათ.

ს/ს „ბაგრატიონი 1882“. კომერციული დირექტორის კახა ჟორჟოლიანის განცხადებით, მათ მიერ წარმოებული ცქრიალა ღვინოები — „ბაგრატიონი“, „კლასიკური“ სხვა არაფერია, თუ არა შამპანური. ოღონდ მათ ეტიკეტზე შამპანურის დასახელებას იმიტომ არ აღნიშნავენ, რომ ფრანგები ამის უფლებას არც ერთ ქვეყანას არ აძლევენ.

რაც შეეხება შამპანურის აშკარა ფალსიფიცირებას, ამ საქმიანობით თითქმის ყველა ჩამომსხმელი „ცეხია“ დაკავებული. მნიშვნელობა არა აქვს, ღვინოს ასხამს ეს საწარმო, ლიმონათს თუ მინერალურ წყალს. მთავარია, ამ იატაკქვეშა საწარმოებს ნახშირორჟანგით დატენილი ბალონები და სითხეში მისი შერევის მოწყობილობა გააჩნდეს, თორემ რა ჩაისხმება ბოთლში, ამას ყურადღებას არავინ აქცევს. ერთი „სამტრესტის“ დეპარტამენტი აკონტროლებდა მეტ-ნაკლებად ალკოჰოლური სასმელების ხარისხს და მასაც, გაურკვეველი მიზეზების გამო, ეს საქმიანობა აუკრძალეს.

ახალი წლის წინა დღეებში რესპუბლიკის სავაჭრო ობიექტებზე უკვე დიდი რაოდენობითაა შეტანილი ფალსიფიცირებული ლარნახევრიანი შამპანურები. მათი შეძენისაგან სჯობს თავი შეიკავოთ, რადგან ამ სახის შამპანურს ენაკვიმატებმა დიდი ხანია „შხამპანური“ შეარქვეს, არცთუ უსაფუძვლოდ.

# თუ ცოცხალი ინდაურის ყიდვა გადაწყვიტეთ...

## ნახევრად სერიოზული რჩევები დიასახლისებს



ქართული საახალწლო სუფრის აუცილებელი ატრიბუტია ინდაურის საცივი და შემწვარი გოჭიც.

ბაზარში რომ ინვალიდი ან ავადმყოფი ფრინველი არ შემოგასაღონ, ერთი ხერხი აუცილებლად უნდა იცოდეთ. გასაყიდ ინდაურებთან უნდა მიხვიდეთ და დაუსტვინოთ. ის ინდაურები, რომლებიც პირველივე დასტვენაზე გამოგეხმაურებიან თავისებური ყორყოცით, გულდამშვიდებით შეგიძლიათ შეიძინოთ, ის აბსოლუტურად ჯანმრთელი, მსუქანი იქნება. მეორე დასტვენაზე ნაკლებად მსუქანი და რაიმე მძიმე ავადმყოფობა გადატანილი ინდაურები რეაგირებენ, ამიტომ ამ ფრინველებზე გამყიდველს თამამად შეგიძლიათ ფასის დაკლება მოსთხოვოთ. ინდაურები, რომლებიც არც მესამე დასტვენაზე ამოიღებენ ხმას — ნამდვილად „კონცლაგერში“ ნამყოფები არიან. ამიტომ ჩვენი რჩევაა, რომ ცოცხალი ინდაურების საყიდლად ოჯახის ის წევრი წავიდეს, რომელსაც „დინამოს“ სტადიონზე, განსაკუთრებით ბოლო წლებში „სტვენა-ფშტვენის“ სრული კურსი აქვთ გავლილი; თუ ასეთი ოჯახის წევრი არ გყავთ, მაშინ სასტვენის ყიდვა მოგიწევთ. ახლა რამდენიმე რჩევა იმ „დიასახლის-მამასახლისებს“, რომლებმაც საახალწლოდ დაკლული გოჭის და ინდაურის ყიდვა გადაწყვიტეს. ამ შემთხვევაში შრომა ნაკლები შეგხვდებათ, თანაც გაპუტულ-გამოშიგნულ ფრინველს და გოჭს უფრო კარგად დაათვალიერებთ, მაგრამ აქაც გმართებთ სიფრთხილის გამოჩენა, რადგან გადამყიდველებს რამდენიმე წუთში შეუძლიათ გამხდარი გოჭი, ინდაური და თუნდაც ქათამი ისე გაასუქონ, რომ მშობელმა „დედამ“ ვერ იცნოს. ეს ასე ხდება: დაკლულ, გაძვალტყავებულ გოჭს ან ფრინველს გასუფთავებისთანავე 1-2 წუთით ქაფქაფა ადუღებულ მარილიან წყალში დებენ, რის შემდეგაც გოჭი ან ქათამი ისე სივდება, რომ უზომოდ გასუქებული გეგონება. სიმსუქნის იმიტაციისათვის, აგრეთვე ქათამს ზაფრანით აყვითლებენ და ის ბუნებრივად გასუქებულის შთაბეჭდილებას ახდენს. თუმცა ქათმების გასასიებლად წყლის ინიექციებსაც იყენებენ, რომელსაც დაკლულ ფრინველს სამედიცინო შპრიცით უკეთებენ.

დაბოლოს, ქართულ ოჯახში გაშლილი სუფრა წარმოუდგენელია გოზინაყის გარეშე. ეს ტკბილეული საქართველოში კონკურენციის გარეშე რჩება, მაგრამ მის დასამზადებლად რეკომენდებულია ნატურალური თაფლი. ის კი ფალსიფიცირებულისგან რომ განვასხვავოთ, ორიოდე რჩევას მოგცემთ: პირველი — ნატურალური თაფლი არ იწვის, ხოლო შაქარგარეულს ცეცხლი ეკიდება. საკმარისია, ქაღალდის ნაკუწი ამოავლოთ თაფლში და ცეცხლი წაუკიდოთ, ფალსიფიცირებული თაფლი უმალ შავად ჩამოიღვენთება. არსებობს სხვა მეთოდებიც მათ გამოსაცნობად. მაგალითად, წაბლის და ცაცხვის თაფლს ამ ხეების დამახასიათებელი სურნელი აქვს. თანაც, წაბლის ყვავილის თაფლი მუქია, ცაცხვის კი ღია ფერისაა. ფალსიფიკატორი თაფლს ამ სურნელს ვერაფრით ვერ მიანიჭებს და მისი მტკიცება, რომ თაფლი ნატურალურია, სწორი არ იქნება.

ამიტომ, ძვირფასო მამაკაცებო, საახალწლოდ თქვენს ნავაჭრს მეუღლემ ქოქოლა რომ არ მიაყოლოს, ჩვენი რჩევები აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ.

**ზვიად ჩაკვეტაძე**

# ვინ იქნება თქვენი მეკვლე?!

*ნათქვამია, როგორი შობა-ახალი წელიც გაგითენდება, მიმდინარე წელიწადიც ისეთი გექნებაო. სწორედ ამიტომ ახალი წლის ღამეს საგანგებოდ ემზადებიან და ცდილობენ სიხარული, ბედნიერება, დოვლათი და ბარაქა დაიბედონ... მაგრამ ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად მხოლოდ ცდა და სურვილი როდია საკმარისი. ჩვენი ტრადიციისამებრ, კიდევ ერთი აუცილებელი და უცვლელი ატრიბუტია საჭირო — ფეხბედნიერი და გულუხვი მეკვლე.*



*„მეფეხურობა“ საქართველოში ოდითგანვე იყო გავრცელებული. კარგი ფეხის მქონე ადამიანს წინასწარ პატიჟებდნენ და შობის ღამეს მისი იღბლიანი ფეხის შემოდგმას გულის ფანცქალით ელოდნენ. მეკვლის ინსტიტუტს დღესაც მძლავრად აქვს მოკიდებული ფეხი და განურჩევლად დააბიჯებს სოფლისა თუ ქალაქის, ჩინოსნისა თუ უჩინოს, უბრალო მოქალაქისა თუ ჩვენი ყველასათვის ხშირად სახსენებელ პარლამენტართა ოჯახებში. როგორც „კვირის პალიტრის“ გამოკითხვით შევიტყვეთ, ჩვენი ელიტარები ამ ტრადიციას ერთგულად იცავენ. უფრო მეტიც, თავადაც გვევლინებიან მეკვლეებად. მათ შორისაა, უმრავლესობის ლიდერი* **ნიკო ლეკიშვილიც**.

— სხვათა შორის, ძალიან კარგი ფეხი მაქვს და ბევრი ოჯახის მეკვლე ვყოფილვარ. მიუხედავად ამისა, ჩემს სახლში ახალ წელს სულ ჩემი ძმა შემოდის პირველი. ისე, მხოლოდ კარგი ფეხი არ კმარა, კეთილი გულით უნდა შეხვიდე ოჯახში. ახალგაზრდობაში ძალიან ბევრჯერ მპატიჟებდნენ მეკვლედ. ყველა ოჯახში მხოლოდ თითო ჭიქას რომ დაგალევინებენ, საბოლოოდ ბევრი გამოდის და ძალიანაც თვრები კაცი, მაგრამ წელიწადში ერთხელ უნდა წახვიდე ასეთ რისკზე. ამიტომ მანქანით არ დავდიოდი ხოლმე. ერთხელაც, მორიგი „შემოვლის“ დროს, გმირთა მოედანზე აღმოვჩნდით, სადაც პოლიციას რეიდი ჰქონდა და მთვრალ მძღოლებს ამოწმებდა. მე და ჩემი მეგობრები ახალი წლის ტრადიციისამებრ, ფეხით ვიყავით, მაგრამ გადავწყვიტეთ, გავხალისებულიყავით და მივადექით საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებს. ფული შევთავაზეთ, ნასვამები ვართ და გაგვატარეთო. მათ ფულს დახედეს, ეცოტავათ და დამატება გვთხოვეს. გაბრაზებულებმა რაც მივეცით, ისიც წავართვით და უკან გამოვბრუნდით.

*პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე* **ვიტალი ხაზარაძე** *კი წითელი მამლის ხათრით დადიოდა „მეფეხედ“.*

— პატარაობისას მეკვლედ ხშირად მეპატიჟებოდნენ. ჩვენს სოფელში ასეთი ტრადიცია იყო: ყოველ მესამე წელიწადს „მეფეხეს“ წითელი მამლით აჯილდოებდნენ და მეც განსაკუთრებულად მიხაროდა იმ წელიწადს მეკვლეობა. წითელბიბილოიანი მამლის მოლოდინში სულ აღარ მემძიმებოდა ხურჯინი, რომელსაც დედა ძლვნად მატანდა მეზობლად მცხოვრებ ბიცოლასთან. რაც წამოვიზარდე, ასეთი პატივი აღარ მრგებია. მეკვლედ ყველა პატარა, სუფთა და უმანკო ბავშვს პატიჟებს.

*თუმცა მეკვლეზე, ალბათ ცოტაა დამოკიდებული. ეს უფრო ნათელი ტრადიციაა, ვიდრე წარმატებების საწინდარი. რატომ უნდა დააბრალოს ვინმემ საკუთარი წარუმატებლობა მეკვლეს. მაგრამ ხალხი ამით თავს იხალისებს, დადებით ემოციას იქმნის.*

*ჩვენი პარლამენტართა უმრავლესობა მეკვლის ამპლუაში ხშირად ყოფილა, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებსაც არც ბავშვობაში, არც ახალგაზრდობაში და არც ახლა, ეს პატივი არ რგებიათ, მათ შორის არიან ელენე თევდორაძე, ვახტანგ ბოჭორიშვილი და პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ჯონი ხეცურიანი (ამ უკანასკნელს კარგად არ ახსოვს ერთხელ იყო თუ არა მეკვლე. ბატონო ჯონი, განა შეიძლებოდა ასეთი ღირსშესანიშნავი მოვლენის დავიწყება?).*

*თუმცა, ალბათ, არ ღირს გულის გატეხა... ამ საუკუნეშიც შეიძლება ამის მოსწრება.*

*ხოლო რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა ოჯახის წევრის მეკვლედ მიპატიჟება, მოგეხსენებათ, კანონმდებლობა ამ საკითხს არ არეგულირებს, მაგრამ საკანონმდებლო ვაკუუმის შესავსებად ექსპერტის რეკომენდაცია გახდა საჭირო. ვის ვის და საქართველოში ამ საკითხის სპეციალისტს, ფოლკლორისტ* **ვახუშტი კოტეტიშვილს** *მივმართეთ. მან ოჯახის წევრ მეკვლეებს უფლებამოსილება შეუწყვიტა და გვირჩია, რომ ახალ წელს ამ საქმისათვის კეთილისმოსურნე და მოკეთე თუ არ გამოგვიჩნდა, ბროლიას მაინც მივმართოთ.*

რადგან ბროლია ვახსენეთ, „პროფესიონალ მეკვლეებთან“ დაკავშირებულ ერთ ნამდვილ ამბავსაც მოგიყვებით, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში მოხდა: იმ სოფელში ორი გამოცდილი მეკვლე ცხოვრობდა, ოღონდ „კუჩხი ბედინერისაგან“ განსხვავებით ორივე ადამიანი იყო. ავტორიტეტითა და „პროფესიონალიზმით“ ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენ და „კლიენტურაც“ შუაზე ჰყავდათ გაყოფილი. „კლიენტურას“ რომ ვამბობთ, იმასაც ვგულისხმობთ, რომ მეკვლის „ბედნიერი ფეხით“, კარგი წლით დაიმედებული თანასოფლელები ხელცარიელს არ უშვებდნენ „გამბედნიერებლებს“ — ასე გასინჯეთ, ორივე მათგანს „მტვირთავიც“ დაჰყვებოდა თან, რომელიც ღორის ბარკლებს, ღვინის ბოცებსა და სხვა სანოვაგის ზიდვას ვერ აუდიოდა.

ერთ მშვენიერ დღეს სოფელი მეკვლეების გარეშე დარჩა. ერთ-ერთი მათგანი თავისი კონკურენტის „ობიექტს“ მიადგა, მაგრამ შემთხვევით შემოფეთებული მეტოქე ვერაფრით დაარწმუნა, რომ უბრალოდ, „მისამართი შეეშალა“. საგანგებოდ ამ დღისთვის, მთელი წლით ნაფტალინში ნამყოფი ჩოხა-ახალუხის მხოლოდ თეატრალურ ატრიბუტად ჩამოკიდებულმა მამაპაპურმა ხანჯლებმაც თავიანთი ძირითადი ფუნქცია „გაიხსენეს“...

ახალი წლის პირველ დღეს სოფელი თითქმის დაცლილი იყო — ერთი ნახევარი რაიონული საავადმყოფოს მეორე სართულზე დერეფანში ქეიფობდა, მეორე ნახევარი კი — მესამე სართულზე. მრავალნაკერდადებული და სიკვდილს გადარჩენილი მეკვლეები პალატიდან გადადიოდნენ ალავერდებს...

P.S. ჩვენს ხელისუფლებს ჯვარი სწერიათ — ღმერთმა ნუ ქნას პარლამენტში დაკა-დაკას მიჩვეულებს, „სამეკვლეო ელექტორატის“ მოსაპოვებლად დაეხანჯლოთ ერთმანეთი.

**ნათია გოგსაძე**

# იყავით ფრთხილად ნუ ააფეთქებთ ერთმანეთს...

მოახლოვდა ახალი წელი და ატყდა ბათქაბუთქი თბილისში...

დღეს ძნელი სათქმელია, ადამიანმა როდის მოიფიქრა, ახალი წლის ღამეს სროლითა და გრუხუნით შეხვედროდა, მაგრამ ღამის 12 საათისთვის ქალაქი ფრონტისპირა ზოლს რომ ემსგავსება, ესეც ფაქტია.

ათასნაირ შუშხუნასა თუ პეტარდს როგორმე კიდევ გაუძლებს ყური, მაგრამ, როდესაც ტრასირებადი ტყვიები აივანს გაანათებენ, საქმე უკვე სახიფათოდაა.

ერთმანეთის მიმბაძველობამ და, რაც მთავარია, 6-7 წლის წინანდელმა განუკითხაობამ მაშინდელი თბილისის ქუჩები სოხუმის საომარ უბნებს დაამსგავსა.

დაწყებული პისტოლეტებით, ტყვიამფრქვევების ჩათვლით ნახევარი თბილისი საახალწლო ღამეს ცას ცხრილავდა, ზოგიერთი კი „ძალიან საყვარელი“ მეზობლების აივნებსაც არ ინდობდა.

თუმცა იმაზე არავინ ფიქრობდა, რომ ცისკენ გასროლილი რამდენიმეგრამიანი ტყვიები კვლავ მიწას უბრუნდებოდა იმ აჩქარებით, რასაც მიზიდულობის ძალა იძლევა.

ასე რომ, დიდუბეში გასროლილი „კალაშნიკოვის“ ტყვიის ჯერის შეიძლება მეზობელ ნაძალადევში დაეშვა ვინმე, ანდა მუხიანელების „ცეცხლოვანი რკინის“ საახალწლო ნობათს გლდანელებისთვის კარგი არაფერი მოეტანა.

ორი-სამი კილომეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდნილი ცხრაგრამიანი ტყვიის ნაჭერი თუ ადამიანს თავზე დაეცა, საკმაოდ ძლიერად დააზიანებს.

საბრძოლო იარაღის მოსახლეობიდან ამოღების ტენდენციამ შედეგით შეასუსტა ის საშიშროება, რაც ახალი წლის ღამეს ემუქრებოდა მოსახლეობას, მაგრამ, სამაგიეროდ, ქართული ბაზრობები აივსო სხვადასხვა ტიპის და სახეობის პეტარდებით, მინირაკეტებით, შუშხუნებით და სხვა ათასი ჯურის „ჯოჯოხეთის მანქანით“.

თურქეთიდან თუ ჩინეთიდან ჩამოტანილმა ამ ვითომდა პატარების გასართობად განკუთვნილმა საშიშმა საგნებმა საქართველოში ბევრი დაზარალა — რამდენიმე ადამიანი დაბრმავდა და დაიღუპა...

სამხედრო სპეციალისტების გაანგარიშებით, ზოგიერთი პეტარდი, რომელსაც ბავშვები ჯიხურებსა და მაღაზიებში ყიდულობენ, თავისუფლად შეიძლება შეედაროს საბრძოლო ყუმბარას. სწორედ ასეთი სახის პეტარდები, რომლებიც აფეთქებისას ძალიან დიდ ხმაურს იწვევენ, გამოიყენება სამხედრო მანევრების დროს, რათა ჯარისკაცი მიაჩვიონ აფეთქებისა და სროლის ხმას. თვით სპეციალური ანტიტერორისტული ჯგუფები, რომლებიც დაპყრობილი თვითმფრინავებიდან და ავტობუსებიდან მძევლების უმსხვერპლოდ გათავისუფლებას ცდილობენ, ტერორისტების ყურადღებას ასეთი პეტარდების აფეთქებით იპყრობენ, ხოლო თავად ელვის სისწრაფით ახორციელებენ თვითმფრინავის იერიშს.



ჩვენთან კი იმავე ეფექტს გამვლელებზე ახდენენ. სამწუხაროდ, რომ თავად ჩინეთში რამდენიმე წლის წინ აიკრძალა ასეთი ძლიერი ფეიერვერკების გაყიდვა და პეტარდების პარტიები ალბათ ჩვენკენ გამოგზავნეს. საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა, მართალია, აკრძალეს „ამ სახის სათამაშოების“ გაყიდვა, მაგრამ თბილისის ქუჩებში პეტარდების აფეთქების კანონადა არ კლებულობს.

არანაკლებ საშიშია ხელოვნური თუ ჩვეულებრივი ნაძვის ხეების მორთვადი ელექტრონული ნათურები. დენის ძალის ხშირმა ცვალებადობამ შეიძლება მათი აფეთქება და ხანძრის გაჩენა გამოიწვიოს, მით უმეტეს, რომ ნაძვის ხე ხშირად ბამბითაა მორთული, რომელიც ელვის უსწრაფესად იწვის. ამიტომაც არ შეიძლება განათებული სადღესასწაულო ნაძვის ხის უყურადღებოდ დატოვება.

წინ ახალი წელია. მოქალაქენო, იყავით ფრთხილად, ნუ ააფეთქებთ ერთმანეთს!

**ირაკლი ალადაშვილი**

# ჩემი ყურით გავიგონე, ამბობდნენ დავხვრიტოთო...

## ზურაბ მსხვილიძის გაუხმაურებელი თავგადასავალი

არასამთავრობო ორგანიზაციები სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ზურაბ მსხვილიძეს პრეტენზიებს უყენებენ. ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარის, ნანა კაკაბაძის თქმით, მსხვილიძის მოსვლის შემდეგაც ციხე მათთვის კვლავ ჩაკეტილ სისტემად რჩება. რის მიხედვით ნიშნავენ ახალ კადრებს და არიან თუ არა ახალდანიშნულები წინამორბედებზე უკეთესნი, გაუგებარია. თავის მხრივ, ციხის ახალი ბოსი აცხადებს, რადგან ამ სისტემაში მოვედი, საქმის გაკეთებამდე არსად წამსვლელი აღარ ვარო და მორიგი შეტევების გმირულად დახვედრას აპირებს. „კვირის პალიტრა“ სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს ესაუბრა.

ზურაბ მსხვილიძე: ძალზე მწყდება გული, რომ ჩემზე ათასგვარი მითქმა-მოთქმის ნიაღვარი წამოვიდა. თუ ვინმეს რამე აინტერესებს, ჩემთან მოვიდნენ და მე გავცემ პასუხს. თუნდაც, აქედან გასული პატიმრის ახლობლებს დაელოდონ და ჰკითხონ, როგორი კაცი ვარ. მივიდნენ პატიმრებთან, ჩემს მოადგილესთან ერთად, ოღონდ დიქტოფონით... იმიტომ, რომ... თქვენ გენაცვალეთ, ნანა კაკაბაძესაც შემოევლოს ჩემი თავი და ყველას, მაგრამ მე ვარ მოსული აქ იმიტომ, რომ საქმე ვაკეთო. არ მცალია მე შეხვედრებზე, შოუებსა და ათასგვარ რაღაცებზე სასიარულოდ.

**— როგორც არასამთავრობოები აცხადებენ, კანონი მათ აძლევთ უფლებას თქვენთან შეთანხმებით, მაგრამ დამოუკიდებლად შევიდნენ ციხეში...**

— სწორედ აქ იმალება თაგვის თავი. იმიტომ დაინიშნა ჩემს მოადგილედ ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში პაატა ზაქარეიშვილი, ეს პატიოსნების განსახიერება, რომ მასთან ერთად შევიდნენ. რა ხდება?! კერძო წერილები გამოდის ციხიდან. ასეთმა წერილებმა კი შეიძლება გამოძიება ჩაშალოს... მოგეხსენებათ, მილიონები აქვს ხალხს შეჭმული. გადის წერილები და იყიდება საქმეები. მათ კი არაფერს ვაბრალებ, მაგრამ რატომ არ უნდათ, რომ პაატა ზაქარეიშვილთან ერთად შევიდნენ?! მე, პირადად, ყველა ჟურნალისტს მოვიწვევ, ყველა პატიმარს შევახვედრებ და ნახავთ, როგორ მენდობიან, მაგალითსაც დაგისახელებთ. დღესდღეობით მიმდინარეობს ძიება ისეთ საქმეზე, რომელიც ისტორიას არ ახსოვს. რუსთავის მეორე კოლონიიდან, რამდენიმე დღის წინ, პატიმრებმა მომწერეს წერილი, 106 კაცი აწერს ხელს... მწერენ, გვიშველეთ, მოგვაცილეთ დაცვის მოადგილე ოთარ მიქავა და განყოფილების უფროსი თემურ შარამაშვილიო. როდესაც პატიმრებთან მეუღლე ან და მიდიოდა, თუკი მოეწონებოდათ, ესენი თურმე რესტორანში ეპატიჟებოდნენ და ა. შ. სანაცვლოდ, ჰპირდებოდნენ, სამ-ოთხ დღეს გაგიგრძელებ პაემანს მეუღლესთანო. ამოუვიდათ პატიმრებს ყელში. ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს მეუღლემ რაღაცა იკისრა, მაგრამ ეს ამბავი თავად პატიმრების ცოლებისგან გასკდა... როგორც კი ეს ამბავი გავიგე, კაბინეტში არც შევსულვარ, ეზოდანვე გავბრუნდი და წავედი შემთხვევის ადგილზე. ჯერ შევხვდი პატიმრებს, მერე შევედი ხელმძღვანელობასთან კაბინეტში, გავხსენი მათი სეიფი, ამოვიღე წერილები, ფული და ყველაფერი...

**— რა ფული ამოიღეთ?**

— 100 ლარი. ამ ფულს საიდან უყრიდნენ თავს? ვინც შედის კოლონიაში, ფულს ახდევინებდნენ... დანარჩენს გამოძიება დაადგენს.

**— რის მიხედვით არჩევთ ახალ კადრს?**

— მარტო კადრების დანიშვნით, საქმე ვერ გამოსწორდება. საქმეს იცით, რა გამოასწორებს? თვითონ უფროსი უნდა იყოს პატიოსანი. ქსნის კოლონიის უფროსს, 12 კაცის პირადი საქმე ჰქონდა მოტანილი რომ მოვედი. 9 თვე ეწყო ეს საქმეები აქ. სამსახურში არ ღებულობდნენ იმიტომ, რომ ვერ გადაუხადეს 1.000-1.000 დოლარი. ამიტომ დავითხოვე სამსახურიდან კადრების უფროსი... მე ვღებულობ ასე: ჩავხედავ პირად საქმეში, გავესაუბრები. კაცს თვალებში რომ ვუყურებ, იმას ვხვდები, რას ფიქრობს...

**— მართალია, რომ თქვენ 90-იანი წლების დასაწყისში ძებნილი იყავით...**

— არა, როგორ გეკადრებათ. გეტყვით, რაც მოხდა. 1992 წელს ბაღდათის რ-ნის პოლიციის უფროსი ვიყავი. მაშინ თავდაცვის მინისტრი



**წამოცვივდნენ, აგვართვეს იარაღი, შეგვყარეს „კგბ“-ს საკანში. მეგონა, დაგვხვრეტდნენ. ჩემი ყურით გავიგონე, მეორე ოთახში ამბობდნენ, დავხვრიტოთო. მაგრამ ვიღაცამ ამბავი გაიტანა და გვენცაძემ გაიგო.**

იყო თენგიზ კიტოვანი. დასავლეთ საქართველოში სამხედრო რწმუნებულად ჯონი ქარჩავა გამოაგზავნეს. შტაბი ჰქონდათ „კგბ“-ს შენობაში. ჰკითხეთ ბაღდათში ნებისმიერს. არც ერთი „მხედრიონელი“ და შეიარაღებული არ შევუშვი რაიონში. ჯონი ქარჩავამ დამიბარა და მითხრა: სამსახურიდან წახვალო. ვუთხარი: არ წავალ! მე მინისტრი მყავს და იმან გამიშვას-მეთქი. გადავკეტე ბაღდათის რ-ნი, თუ ვინმე „პრესტუპნიკი“ შემოვიდა, ყველა დავიჭირე, ზოგი დავჭერი. ერთხელ პოლიციასაც დაესხნენ თავს, არ გავატანე იარაღი და ნარკოტიკები. ქუთაისის რ-ნის საავადმყოფოდან ექიმი ძალით გამოიყვანეს და ნარკოტიკები მოსთხოვეს. მაშინ არეულობის წლები იყო და ნარკოტიკებს პოლიციაში ვინახავდით. ისე გათავხედდნენ, რომ პოლიციის შენობაც აღარაფრად ჩააგდეს. ღამის პირველი საათი იქნებოდა, სახლში დამირეკეს... მაშინვე წავედი... შეიარაღებული შეტაკება მოხდა... ის ხალხი ჯონი ქარჩავას გამოგზავნილი აღმოჩნდა.

არ მოეწონათ ზოგიერთებს, რომ არ ვაძარცვინე რაიონი. ეს ყველაფერი იცის მაშინდელმა მინისტრმა გვენცაძემ. გავიდა რამდენიმე ხანი და დაესხნენ თავს ერთ-ერთი მოქალაქის ოჯახს. გამოვვარდი 20 კაცით და დავაკავე 6 კაცი. მეორე დილას ჯონი ქარჩავამ ეს ხალხი ქუთაისში ჩამაყვანინა. ჩემთან ერთად იყვნენ პოლიციის უფროსის მოადგილე, „ოვირის“ უფროსი და სამი პოლიციის თანამშრომელი. შევედით „კგბ“-ს შენობაში. რა ვიცოდი, თურმე შეგვიტყუეს. ზის ეს ჯონი და აქეთ-იქით ჩემი ადრინდელი დაჭერილები უსხედან. წამოცვივდნენ, აგვართვეს იარაღი, შეგვყარეს „კგბ“-ს საკანში. მეგონა, დაგვხვრეტდნენ. ჩემი ყურით გავიგონე, მეორე ოთახში ამბობდნენ, დავხვრიტოთო. მაგრამ ვიღაცამ ამბავი გაიტანა და გვენცაძემ გაიგო. ატეხა ერთი ამბავი და 9 სთ-ის შემდეგ გაგვათავისუფლეს. ჯონი ქარჩავამ მაშინ მითხრა: წახვალ, დედას გიტირებ! არ წახვალ, მაინც დედას გიტირებო! გათავისუფლების მერე გვენცაძემ მითხრა: გააგრძელე მუშაობა, შენ ჩემ გარდა არავის არ ემორჩილებიო... ალბათ აქედან წამოვიდა ეს ჭორი.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ გავრცელდა ხმები თქვენ ირგვლივ, ვინ უნდა იყოს დაინტერესებული?**

— არ ეპიტნავებათ, უფულოდ რომ ვუშვებ პატიმარს ციხიდან. პირადად მინისტრისა და ჩემი ბრძანებით ვაცხადებ და გთხოვთ, გაზეთშიც დააფიქსიროთ, — ახალ წელთან დაკავშირებით, რაც აქამდე საყვედურები ჰქონდათ პატიმრებს, ყველას ვუხსნით და ვისაც არ ჰქონია საყვედური, მადლობას გამოვუცხადებთ. გარდა ამისა, 28 დეკემბრამდე გვინდა ყველას საბუთები გავამზადოთ, ვისაც ვადაზე ადრე ეხება გათავისუფლება.

***მარინა მამისაშვილი***

სენსაცია

# დმანისური აღმოჩენა რეიტინგით მხოლოდ ერთს ჩამოჩა...

***პოპულარულმა ამერიკულმა სამეცნიერო ჟურნალმა „საიენსმა“ ამ დღეებში გამოაქვეყნა გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები.***

***ნომინაციაში „2000 წლის მსოფლიო საუკეთესო სამეცნიერო მიღწევა“ რვა საუკეთესოს შორის დმანისურმა აღმოჩენამ მეორე ადგილი დაიკავა (პირველი ადგილი მიეკუთვნა ამერიკელ მეცნიერთა აღმოჩენას გენეტიკური კოდის გაშიფვრის შესახებ).***

***რედაქცია ამ დიდ საერთაშორისო აღიარებას ულოცავს ქართველ მეცნიერებს.***

ამ უჩვეულო ფოტოზე დმანისის სიონის სამნავიანი ბაზილიკის ფონზე არანაკლებ უჩვეულო „სანახაობის“ მოწმენი ვხდებით: ფრანგი დედობილისა და ქართველი მამობილის ღიმილიან გარემოცვაში თავს ბუნებრივად გრძნობენ უშორესი წარსულიდან დაბრუნებული მდედრი და მამრი, რომელთაც ერთი ხელის მოსმით გადატრიალება მოახდინეს მსოფლიო პრეისტორიულ კვლევებში. მამობილი ცნობილი ქართველი პალეოანთროპოლოგი დავით ლორთქიფანიძე გახლავთ, ხოლო დედობილი — ფრანგი მოქანდაკე ელიზაბეტ დენი, პრეისტორიულ რეკონსტრუქციათა უზადო ოსტატი...




...ოღონდ ეგაა, სახელები ვერ შეურჩევიათ ამ უჩვეულო არსებებისათვის, ამქვეყნად დაბრუნებას რომ შეუშფოთებიათ.

მაშავერასა და ფინეზაურის შესართავთან მდებარე დმანისის ნაქალაქარში, ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან რომ ითვლებოდა დასახლებულ პუნქტად, ქართველმა მკვლევარებმა შარშან, მაისში ადამიანის ორი თავის ქალა აღმოაჩინეს, რომლებიც მილიონ შვიდასი ათასი წლით დათარიღდა. „ორმა უბრალო თავის ქალამ, რომელთა ღირებულება ოქროს ზოდებზე მეტია, მსოფლიოს ყველა პრეისტორიკოსი საჯდომზე მოსვა“ — წერდა გაზეთი „ლიბერასიონი“. ასე გამოდის დღის სინათლეზე დმანისელი ჰომინიდი, აფრიკის შემდეგ ყველაზე ადრეული ადამიანი. ამ აღმოჩენით მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ, ბოლოს და ბოლოს, ირწმუნა ქართველ მეცნიერთა ათი წლის წინანდელი მოსაზრება (როცა მათ აქვე იპოვეს ამავე პერიოდის ჰომინიდის ქვედა ყბა) იმის შესახებ, რომ დმანისური აღმოჩენა ჰომო ერექტუსების აფრიკულ ჯგუფს უკავშირდება.

— შარშან მოპოვებული თავის ქალებიდან ერთი მამაკაცისა უნდა იყოს, მეორე ქალა კი შედარებით მომცროა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოხდენილიც. იგი ახალგაზრდა ქალს ეკუთვნის... — თითქოს ცოცხალ, ახლობელ ადამიანებზე საუბრობენ აკადემიკოსი ლეო გაბუნია და პროფესორი აბესალომ ვეკუა...

აი, რას წერს დმანისური აღმოჩენის შესახებ საფრანგეთის ადამიანის პალეონტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ანრი დე ლუმლეი:

„დმანისის ადგილსაპოვებელში აღმოჩენილი ნამარხი ორი ახალი თავის ქალა დაკავშირებულია მსხვილი ძუძუმწოვრების მდიდარ და მრავალფეროვან ფაუნასა და არქაულ იარაღებთან. ეს ორი ქალა, ძალზე ახლოს დგას აღმოსავლეთ აფრიკაში, კენიაში, ტურკანის ტბის რაიონში ნაპოვნ შესაბამისი პერიოდით დათარიღებულ აღმოჩენებთან. ეს კი ცხადყოფს, რომ რიფტის დაბლობიდან წამოსული ადამიანი, ახლო დერეფნის გავლით, ჯერ კიდევ 1,7 მლნ წლის წინ ევროპას მიადგა“.

ასე იქცა დმანისი პირველი ევროპელის სამშობლოდ. პირველევროპელთა შთამომავლები სწრაფად იპყრობდნენ ევროპის ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს ხორვატიიდან იბერიის ნახევარკუნძულამდე. მიჰქონდათ კულტურა, რომელიც სამყაროს ისტორიის ახალ განზომილებას წარმოადგენდა. ...გასრულდა ესპანელების, იტალიელებისა და ფრანგების დავა პირველევროპელობაზე. უფრო მეტიც, ტოტაველელი (სამხრეთ საფრანგეთი) მამაკაცი დმანისელზე 1,3 მილიონი წლით უმცროსია...

„დმანისური მონაპოვარი ნამდვილი ოქროს საბადოა. დავით ლორთქიფანიძემ მოჰკიდა ხელი ამ ოქროს ძარღვის დამუშავებას და საქართველოში საფრანგეთის საელჩოს დახმარებით წამოიწყო სადოქტორო კვლევა ევროპული არქეოლოგიის სფეროში“, — წერს ჟურნალისტი ანა ტავერნი გაზეთ „ფიგაროში“ (საფრანგეთი).

სწორედ დმანისის მონაპოვარი დაედო საფუძვლად ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოწყობილ ფრანგულ-ქართულ გამოფენას, რომლის მიზანიცაა ევროპის პირველ მცხოვრებთა ევოლუციის ძირითადი ეტაპების წარმოდგენა, გამოფენა მუდმივმოქმედია და დღითი დღე უფრო და უფრო მეტ დამთვალიერებელს იზიდავს.

— მოხარული ვარ, რომ პრეისტორია, თანაც ასეთი წარმატებით, — დაემატა საფრანგეთ-საქართველოს უკვე მეტად მდიდარ და პერსპექტიულ თანამშრომლობას — განაცხადა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში ქალბატონმა მირეი მიუსომ.

აღსანიშნავია, რომ ამ გამოფენას წინ უძღოდა ტოტაველში მოწყობილი ექსპოზიცია: „ევროპის პირველი მობინადრეები: საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო“.

და თუ ტოტაველი (რომელიც პატარა პროვინციული ქალაქი იყო) დღეს ევროპაში ყველაზე მნიშვნელოვანი პრეისტორიული კვლევის ცენტრია აქ აღმოჩენილი ჰომინიდის წყალობით, ვინ იცის, რა პერსპექტივა ისახება ხვალინდელი დმანისის გადასახედიდან. მით უმეტეს, რომ ნაქალაქარში გასათხრელი არც ისე ცოტაა...

ასევე, მეტად იმედისმომცემია ახალი პროექტი კახეთში, ივრისპირებში 3 მილიონი წლით დათარიღებული ფაუნის კვლევისა, სადაც აფრიკული ელემენტების სრული დომინაცია დასტურდება...

მოდით, მეცნიერული კვლევები მეცნიერებს მივანდოთ. ჩვენ კი ისევ ჩვენს დმანისელ ჰომინიდებს დავუბრუნდეთ და იქნებ თქვენთან ერთად შევურჩიოთ სახელები.

***ელენე სალარიძე***

# „კვირის პალიტრის“ პუბლიკაცია ეკრანზე

ცნობილია, რომ საბავშვო მხატვრული ნაწარმოების შექმნა ურთულესი საქმეა პატარებისთვის — უკეთ უნდა წერო, ვიდრე დიდებისათვის. ასევეა ხელოვნების სხვა სფეროშიც.

მოსწავლე-ახალგაზრდობის (ყოფილი პიონერთა) სასახლესთან არსებული „პიონერფილმი“ ბავშვთა მხატვრული და ინტელექტუალური აღზრდის ერთ-ერთი პოპულარული კერაა მთელ ქვეყანაში. ჩვენი მიზანი არ არის ამ სტუდიის მუშაობის მიმოხილვა. თუმცაღა აღვნიშნავთ ცნობილი რეჟისორის ელდარ შენგელაიას გამონათქვამს: — მიუხედავად დღევანდელი ეკონომიკური კრიზისისა, საქართველოში მუშაობას განაგრძობს ერთადერთი სტუდია და ეს არის „პიონერფილმი“...

სტუდიის მთავარი ბურჯი გახლავთ ბატონი გრიგოლ ჩიგოგიძე, რომელიც მრავალი წელია, უანგაროდ ემსახურება მომავალი თაობის ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდას.

ამჟამად „პიონერფილმელები“ ინტენსიურად მუშაობენ პირველ ვიდეოანიმაციურ ფილმზე, რომლის სიუჟეტი მათ აღმოაჩინეს... „კვირის პალიტრის“ ფურცლებზე.

— მე თქვენი გაზეთის თაყვანისმცემელი გახლავართ, — ამბობს გრიგოლ ჩიგოგიძე, — სიამოვნებით ვკითხულობ დედათბილისის გვერდს. 2000 წლის პირველ ნომერში ჩემი ყურადღება მიიპყრო პუბლიკაციამ — „...სად ბაგრატოვანთ ვარდები ამო სურნელს აფრქვევდა“, გამიტაცა აქ მოთხრობილმა ამბავმა, თუ როგორ გაყიდა „ნაზუქის ვალეტების“ ბანდის მეთაურმა, ვინმე შპრეიერმა მეფისნაცვლის სასახლე... ამ წერილის მიხედვით დავწერე სცენარი.

ამჟამად მიმდინარეობს ფილმის გადაღება. ფაქტობრივად, ყველაფერს თავად ბავშვები აკეთებენ. დიდი პასუხისმგებლობით და სიყვარულით ქმნის ნახატებს მთავარი მხატვარი მერვეკლასელი ბარბარე მაჭავარიანი. ფილმის ოპერატორები არიან მოსწავლეები: ბექა უჯმაჯურიძე, მიშიკო მახიტაშვილი და თემურ მჟავია. ვიმედოვნებთ, რომ ამ მართლაც უჩვეულო ვიდეოანიმაციური ფილმის პრემიერა შედგება გაზაფხულზე, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით.

მადლიერი ვარ „კვირის პალიტრის“ და პუბლიკაციის ავტორისა, რომლებმაც მოგვცეს ბიძგი, შეგვექმნა დღეისათვის მეტად საჭირო ფილმი. სიუჟეტს მკითხველს აღარ შევახსენებთ, მხოლოდ ვიტყვით, რომ მსგავსი საქციელი არც დღევანდელი საქართველოსთვისაა უცხო — იყიდება ყველაფერი, ყიდის ყველა...

# სად და როგორ შეინახავენ თქვენს მიერ გამოგზავნილ წერილებს 100 წელიწადს...

ნწმუდშ ცუკშდშ ჭუპდშ ფკთ ქუენმუდშზ პფქწ-ქფსშტუიუდშ ფპქცუკდშთფშ თფგლგტწვზ კწქუდშთფქუ თფღუიუდ ნწაფვზ ჩწდწ თიშშთფ პფტღშღუიფვყ

***არსენი ამარტოლი — XIII საუკუნის ქართველი მოაზროვნე***

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის დეპარტამენტის თავმჯდომარე **ბატონი ზურაბ მახარაძე**, „კვირის პალიტრის“ XX საუკუნის პროექტის არსის შესახებ ინფორმირებული დამხვდა, როცა მას ინტერვიუსათვის ვესტუმრე. დიდებული რამაა, მაგრამ უზარმაზარი პასუხისმგებლობააო, მითხრა.

***— ბატონო ზურაბ, პირადად თქვენ თუ აპირებთ წერილის გაგზავნას შთამომავლობისთვის?***

— რა თქმა უნდა, შვილიშვილი მყავს. ალბათ, იმას დავუწერ. თუმცა, ჯერ კიდევ მოვიფიქრებ, ვის და რა სახით გავუგზავნო.

***— როგორც პროფესიონალი არქივარიუსი, თქვენ უკეთ გეცოდინებათ, რა პირობებია საჭირო იმისათვის, რომ წერილები საუკუნის განმავლობაში უცვლელად შეინახოს?***

— წერილობითი ძეგლი ცოცხალი ადამიანივითაა და მას ისევე სჭირდება მოფრთხილება, როგორც ცოცხალ არსებას. შენახვისათვის აუცილებელი ყველა პარამეტრი დაცული თუ არ არის, მაშინ წერილის გაფუჭება გარდაუვალია. ქაღალდი დროთა განმავლობაში იშლება ან ობდება, რის შემდეგაც მისი წაკითხვა მხოლოდ ექსპერტის დახმარებითაა შესაძლებელი და ისიც, ზოგჯერ ვერ ხერხდება. მჯერა, რომ თქვენი გაზეთის ამ პროექტით ხალხი დაინტერესდება და უამრავ წერილს მიიღებთ, რომლებიც შეიძლება საუკუნის ბოლომდე იყოს შესანახი. ამისათვის გარდაუვალ პირობებს წარმოადგენს ამ დოკუმენტების ზამთარ-ზაფხულ 18 გრადუსზე შენახვა. არ უნდა ირღვეოდეს ტენიანობა და, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს ნესტი. სპეციალურად მომზადებულ სტელაჟებზე ანბანის ან წლების მიხედვით უნდა დალაგდეს ისე, რომ წერილები ერთმანეთს არ მიეკრას. თუ წერილებს ჰერმეტულად დახურულ სივრცეში ჩაკეტავთ, ათეული წლის შემდეგ, ისინი დაობდება, ან დაიშლება. ამიტომ სკივრს ან ნახვრეტები უნდა ჰქონდეს, ან კიდევ პერიოდულად ნიავდებოდეს. პირადად ჩვენ, ისტორიულ ძვირფას ნივთებს, დოკუმენტებს საგანგებოდ მომზადებულ მუყაოს ყუთებში ვინახავთ.

***— ბატონო ზურაბ, XXI საუკუნის პროექტის წერილების განთავსება-შენახვაზე სურვილი გამოთქვა საქართველოს რამდენიმე ბანკმა. რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. მაგრამ ვგონებ, გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა, რომ წერილები შენახულიყო სახელმწიფო არქივში, სადაც როგორც თქვენ აღნიშნავთ, ამ საქმის პროფესიონალები მუშაობენ. თქვენ რა აზრის ბრძანდებით?***

— როგორც საუბრის დასაწყისში აღვნიშნე, ეს პროექტი დიდებული რამაა. შთამომავლობის წინაშე კეთილშობილური მისიაა. ამიტომ პირადად მე, ალბათ, ჩემი თანამშრომლებიც, სიამოვნებით დავთანხმდებით ამ წერილების შენახვაზე არქივში. ვფიქრობ, ამის ადგილი სწორედ აქ არის და არა სხვაგან. იმდენად მომწონს თქვენი გაზეთის ეს იდეა, რომ ხედავთ კიდევაც, თანხმობას რა სიამოვნებით ვაცხადებ. მოვიწვევ სპეციალისტებს და თქვენი გაზეთის ხელმძღვანელობასთან ერთად გადავწყვეტთ, რა პირობებში უნდა ინახებოდეს, სად და როგორ. წერილებს ჩავიბარებთ თვლით და თქვენ გარეშე მისი გახსნის უფლება არავის ექნება (აქ ბუნებრივად იგულისხმება, რომ „კვირის პალიტრა“ და ჩვენი არქივიც დღეგრძელნი იქნებიან). შევთანხმდებით თითოეულ წვრილმანზე, ისე, რომ ყველა — გამომგზავნიც და მიმღებიც, კმაყოფილი დარჩეს. მხოლოდ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ წერილები თავშივე განწირული არ იყოს გაფუჭებისთვის. დანარჩენს ყურადღებას არ მოვაკლებთ ისევე, როგორც დავითისა და თამარის ხელნაწერებს.

***— გმადლობთ ასეთ კონტექსტში მოხსენიებისათვის... თუ შეიძლება, ორიოდ სიტყვით არქივის დღევანდელი მდგომარეობის შესახებაც გვითხარით.***

— ელექტროენერგია ზუსტად იმავე გრაფიკით გვაქვს, როგორც მოსახლეობას, დილით 8-10სთ-მდე, საღამოს 8-12სთ-მდე. ამ დროს კი თანამშრომლები სამსახურში არ არიან და ვერც ვთხოვ, რადგან ერთი წლის მინიმალური ხელფასი არ აუღიათ. რამდენიმე მათგანმა მომწერა, ტრანსპორტის ფული რომ მოგვცეთ, სამსახურში ვივლიდით, პურის ფულს ხომ არ გთხოვთო. მიუხედავად ამისა, თანამშრომლების დიდი ნაწილი მაინც ახერხებს არქივამდე მოსვლას, მათი წყალობით ვინარჩუნებთ დღევანდელობამდე მოსულ ისტორიულ, შეუფასებელ უბანს.



***— თუ ასეთი სავალალო მდგომარეობაა, როგორ შეინახავთ საუკუნის წერილებს?***

— ისეთივე სიყვარულითა და ენთუზიაზმით, როგორც ამას სხვა ისტორიულ, ძვირფას დოკუმენტებზე ვაკეთებთ. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი პროფესიონალი თანამშრომლების ზედამხედველობის ქვეშ წერილებს დაზიანების საშიშროება არ ემუქრება.

***— მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება იმ ძვირფასი დოკუმენტებისა და ხელნაწერების ჩამონათვალი, რაც თქვენს არქივში ინახება...***

— განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შეწირულების სიგელი — დაწერილი მელქისედეკ კათალიკოსის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლისადმი (1029-1033 წ.წ.), შეწირულების სიგელი გიორგი -ის შიომღვიმის მონასტრისადმი (1072 წ. ეტრატი), მამულის წყალობის სიგელი დავით აღმაშენებლისა არიშიანებისადმი (1089-1125 წ.წ.), ანდერძი დავით აღმაშენებლისა (1123 წ. ეტრატი), შეწირულების სიგელი თამარ მეფისა გელათის ღმრთისმშობლისადმი (1188 წ. ეტრატი), გაშვებულობის სიგელი ლაშა გიორგისა შიომღვიმისადმი (1225 წ. ეტრატი), დადგენილება საეკლესიო კრებისა ულუ დავითისადმი (1263 წ.), თეთრის შეწირულების წიგნი როსტომ მეფისა თბილისის სიონის ეკლესიისადმი (1650 წ. თავსამკაულით), შეწირულების წიგნი დოროთეოს კათალიკოსისა ნიტრიის ეკლესიისადმი (1503-1515 წ.წ. მინიატურით), შეწირულების წიგნი სოლომონ -ის მოწამეთის მონასტრისადმი (1795 წ. მინიატურით), „მორიგი ლაშქრობის განაჩენი“ (მორიგე ჯარში ხალხის გაყვანის წესები, შემუშავებული საქართველოს უმაღლესი საერო და სასულიერო პირთა მიერ, ერეკლე -ის მონაწილეობით, 1774 წ.), პირადი ხასიათის წერილი ერეკლე -ისა თეკლა ბატონიშვილისადმი (1781 წ. ავტოგრაფი) და სხვ.

ხელნაწერ წიგნთა კოლექციაში დაცულია X—XXსს. მასალა, ძირითადად ქართული, ხოლო მეორე ნაწილი რუსულ, სპარსულ, თურქულ, ოსურ და ებრაულ ენებზე. მათ შორის ყურადღებას იპყრობს: X საუკუნის სახარება (ეტრატი), X-Xსს. საგალობელი სანოტო ნიშნებით (ეტრატი), XVს. გულანი (დიდი ხელოვნებით შესრულებული მხატვრული მინიატურებით), 1534 წლის სახარება (ტყავის ყდაზე მოჭედილი ვერცხლის ჯვრით). ავტოგრაფებიდან აღსანიშნავია: ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია და გეოგრაფიული ატლასი (1745წ.), გიორგი ერისთავის „გაყრა“. ყდა მოოჭვილია ვერცხლით (1850წ.) და სხვ.

***— დაბოლოს, სანამ წერილს მისწერდეთ, ჩვენი გაზეთით რას ეტყვით XXI საუკუნის შთამომავლობას?***

— ახლავე უნდა დავიწყოთ ფიქრი XX საუკუნის კეთილდღეობაზე. ყველამ თავისი საქმე კარგად აკეთოს, დავივიწყოთ ერთურთის შური, გაძლიერდეს სიკეთე... არ მინდა XX საუკუნეში საქართველომ სახე დაკარგოს და სრულად ევროპას დაემსგავსოს, საქართველო გაძლიერებული ქართველებით გვენახოს...

***ესაუბრა თამაზ ხაბეიშვილი***

# პრესით რატომ პრესაზე?

რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა — ვინც მე დამიპირისპირდება, წააგებსო, თუმც არ დაუკონკრეტებია, ვის მოიაზრებდა დაპირისპირებულ ძალაში. ლოდინი და მკითხაობა დიდხანს არ




დაგვჭირდებია ამ რებუსის ამოსახსნელად. მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა კარტი გახსნა და ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ძალად, არც მეტი არც ნაკლები, მასმედია გამოაცხადა, რომელსაც თურმე ტოტალური საინფორმაციო შეტევა აქვს ხელისუფლებაზე.

შევარდნაძემ პრესის კანონის მიღების აუცილებლობა შეახსენა იუსტიციის მინისტრს. თავად მოყვანილი ფრაზა კი წლის ყველაზე არადიპლომატიურ ფრაზად შეიძლება ჩაითვალოს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტმა პროვოცირება გაუკეთა პრესას მის წინააღმდეგ კიდევ ერთი ლაშქრობისათვის. ზემოთ მოყვანილი ფრაზა ყველა შესაძლებელ უარყოფით კონტექსტში იქნა ნატრიალები სწორედ იმ მედიის მიერ, ვისაც პრეზიდენტი გაუნაწყენდა. ბალანსირების პოლიტიკით ცნობილმა ედუარდ შევარდნაძემ, თითქოს ის დაუწერელი კანონი დაარღვია, რომელიც საქართველოში ნაწილობრივ მისი შექმნილიც გახლავთ. ამის შემდეგ კი მან შავით თეთრზე დაწერილ კანონზე დაიწყო საუბარი. თავად კანონის მიღება-არმიღება იმდენად მნიშვნელოვანი არ გახლავთ (როგორც ცნობილია, პრესის კანონი თითქმის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში მოქმედებს), რამდენადაც ის, თუ რამდენად მოისურვებენ კანონპროექტის ავტორები მედიის კონტროლს. რახან ეს სიტყვა ვახსენეთ, იმასაც ვიტყვით, რომ გაჩნდა აზრი, თითქოს ედუარდ შევარდნაძემ თვითკონტროლი დაკარგა. თუმცა ისიც თქვეს, რომ შორსმჭვრეტელობით ცნობილმა ქვეყნის პირველმა პირმა თავზე კი, არა, გარემოცვაზე დაკარგა კონტროლი — შევარდნაძე საკუთარი მრჩევლების რჩევებს აღარ უნდა ენდოს, რადგანაც ეს უკანასკნელნი ველარ აწოდებენ ღირებულ აზრებსო.

პრესას მარტო შევარდნაძე არ უჩივის. ჟვანია და სააკაშვილი ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ახსენებენ შეკვეთილ სტატიებს. ეს კი არანაკლები ბრალდებაა თავისუფალი მედიისათვის. ეს აჟიოტაჟი ქვეყანაში მიმდინარე სახელისუფლებო ომის შემადგენელი ნაწილია. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ საინფორმაციო ომი უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი ომია, შეიძლება დავასკვნათ, რომ გაჩნდა ვიღაც, ვისაც პრესის გულის მონადირების რეალური საშუალება გააჩნია. როგორც ლევან გაჩეჩილაძე ამბობს — საქართველოში ზუსტად იგივე მედიაა, როგორიც ქვეყანა გვაქვს და პრესაშიც გვხვდებიან პატიოსანი და უპატიოსნო ჟურნალისტები. ამასთან, ფაქტია, რომ საქართველოში არსებული გაზეთების დიდი ნაწილი თავს ვერ ირჩენს (მცირე ტირაჟის გამო, რაც ზოგიერთი გაზეთისათვის შეიძლება მომაკვდინებელიც იყოს. უკანასკნელ დროს არაერთი ასეთი გაზეთი დაიხურა) და ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ ხარჯებს ვიღაც იხდის... ამით კი ყველაფერი ნათქვამია. მედია საქართველოში დემოკრატიის გზას ადგას, მაგრამ ტაძრამდე ჯერ არ მისულა. ეს გზა კი აუცილებლად რეალურ შედეგამდე მიგვიყვანს. რამდენიც არ უნდა ვისაუბროთ პრესის ავ-კარგზე, მისი პრესის ქვეშ მოქცევა აღარ მოხერხდება. თავისუფალი მედია ბოთლიდან გამოშვებულ ჯინს ჰგავს, რომლის უკან დაბრუნება შეუძლებელი ხდება. პროცესი შეუქცევადია და ის პიროვნებების, მათ შორის, ყველაზე მაღალჩინოსნების აზრს აღარ დაემორჩილება. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებობს პრესის მიერ სამართლიანად განაწყენებულ ადამიანთა დიდი არმია. ის არმია, რომლისთვისაც ქვეყნის მეთაურის

**რამდენიც არ უნდა ვისაუბროთ პრესის ავ-კარგზე მისი პრესის ქვეშ მოქცევა აღარ მოხერხდება, თავისუფალი მედია ბოთლიდან გამოშვებულ ჯინს ჰგავს, რომლის უკან დაბრუნება შეუძლებელი ხდება. პროცესი შეუქცევადია და ის პიროვნებების, მათ შორის, ყველაზე მაღალჩინოსნების აზრსაც აღარ დაემორჩილება.**

საყვედური პრესის მიმართ, შეიძლება პრესაზე შეტევის დასაწყისის ნებართვად იქცეს. მოსწონს თუ არა პრესა ვინმეს, იგი მაინც პრესის ქვეშ მოქცეული საზოგადოების ერთადერთი ადვოკატია. კამპანია დამოუკიდებელი მასმედიის წინააღმდეგ კი დემოკრატიული საქართველოს არსებობის იმედსაც მოსპობს. უცნაურია, რომ შევარდნაძე, რომელიც დემოკრატიულობით იწონებდა თავს შინ და გარეთ, სწორედ დემოკრატიის ამ მონაპოვარს უგულებელყოფს. მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საკუთარი გამონათქვამის კორექტირებას შევარდნაძე მოახერხებს. როგოროო? იკითხავს მავანი. ამ კითხვას თავად პრეზიდენტმა იმავე მთავრობის სხდომაზე უპასუხა. თურმე ხელისუფლება ბევრ სიკეთეს აკეთებს ხალხისთვის და ხალხამდე ეს ამბავი არ მიდის, „ხან შუქი არ არის და როცა შუქია, ტრიბუნა ჩვენს ხელში არ არის. დეზინფორმაცია მძლავრი ნაკადით მოედინება, ვიდრე ინფორმაცია“, — დაიჩივლა პრეზიდენტმა და აღმასრულებლებს პრესის წინაშე კეკლუცობა დაავალა — ახლა გამოჩნდება თქვენი ხელოვნება, როგორ მიიტანთ ხალხამდე თქვენი ნაკეთები სიკეთის ამბავსო.

იკეკლუცეთ, ბატონო ხელისუფალნო, მაგრამ უნდა ვისმეს ტელეეკრანიდან და გაზეთებიდან მოკეკლუცე თვითკმაყოფილი მაღალჩინოსნების მონოლოგები?

დამეთანხმებით, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავლად არიან მაღალი თუ საშუალო რანგის ჩინოსნები, რომლებიც დაბალი თვითშეგნებისა თუ პირადი განაწყენების გამო, ანგარიშსწორებას პრესასთან შევარდნაძის სახელით მოახდენენ. ქვეყნის პრეზიდენტს ალბათ ამაზეც მოუწევს დაფიქრება...

**P.S.** მასმედიის კრიტიკა პრეზიდენტს თანაგუნდელებმაც არ მოუწონეს. ისიც ითქვა, შევარდნაძეს არაკეთილმოსურნენი უბიძგებენ ასეთი განცხადებების კეთებისკენო. როგორც იუსტიციის მინისტრს უთქვამს — „პრესის კანონი 1991 წლიდან მოქმედებს და არც არავის გაუუქმებია. ეტყობა, პრეზიდენტი კარგად არ არის ინფორმირებული“.

***მაია გაბუნია***
***იზო რიკაძე***



# „რა საჭიროა თავის მტვრევა ჩვენს ბედზე, თუ იგი მსოფლიო პროცესების ფონზე მიმდინარეობს“

*(დასაწყისი იხ. გვ. 4)*

## შანსი ურთიერთობების ნორმალიზებისთვის – არის, მით უმეტეს, რომ შეიძლება საერთო საფრთხე დაგვემუქროს!

„პუტინი ის კაცია, რომელიც თამაშობს ერის ნაციონალურ გრძნობებზე და ცდილობს იყოს რევანშისტი...“ აი, პოლიტოლოგთა მოკლე შეფასება პუტინის ერთწლიანი მმართველობის შესახებ. მეტიც, ბევრ ექსპერტს პუტინი ავანტიურისტადაც მიაჩნია. თუ გავითვალიწინებთ რუსეთის საზოგადოების და ისტებლიშმენტის მნიშვნელოვან ნაწილში დღემდე გამჯდარ იმპერიულ მენტალიტეტს, ობიექტურად გამოჩნდება ის, რომ პუტინი სულაც არ არის შემთხვევით მისული კაცი კრემლში. პუტინი ომის წყალობით მოვიდა ხელისუფლებაში და ამ ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოებაც იმედოვნებს, რომ პუტინი რევანშს აიღებს, მათი აზრით, რუსეთის უპირველეს მტერზე — დასავლეთსა და ნატოზე! ეს რევანში კი „ბუნებრივია“ უნდა დაიწყოს იმ ქვეყნების მოთოკვით, სადაც დასავლეთმა მყარად მოიკიდა, ან იკიდებს ფეხს და იქიდან აძევებს რუსეთს. მათ რიცხვში, უწინარესად, საქართველო მოიაზრება და ეს იმ ფონზე, როცა ნატოში საქართველოს მიღების პერსპექტივა, ჯერჯერობით, ჰორიზონტზეც არ ჩანს... ამიტომ ისიც ვთქვათ: შექმნილ ვითარებაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ნორმალიზების რა შანსი არსებობს:

1) ფაქტია, რომ რუსეთი ცდილობს საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე დომინირებას; ალბათ არაფერი იქნება საგანგაშო იმაში, თუ ვთქვათ, იგივე ჩუბაისის უმძლავრესი კომპანია მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ენერგო და სხვა ობიექტების პრივატიზაციაში. მაგრამ, თუ ეს ფაქტორი რუსულმა მხარემ გამოიყენა საქართველოზე ზეწოლისთვის, არსებობს ნაციონალიზაციის მექანიზმი, რისი ამოქმედებაც შეეძლება ჩვენს ქვეყანას...

2) რუსეთი მოითხოვს ახალქალაქისა და ბათუმის ბაზების შენარჩუნებას 15 წლით, რაც პირდაპირი დარღვევაა სტამბოლის ეუთოს სამიტის გადაწყვეტილებისა, მაგრამ ოფიციალურად გაცხადდა, რომ ქართული მხარეც მზადაა წავიდეს ამ დათმობაზე, თუ რუსეთი ცალსახად დაგვეხმარება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და სოხუმის და ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმების ამბიციების მოთოკვაში...



საქართველო-რუსეთის ინტერესების თანხვედრა შეიძლება იმ საერთო საფრთხემ განაპირობოს, რაც ასე აშფოთებს ცივილიზებულ სამყაროს. ახლო აღმოსავლეთში ვითარების ესკალაციამ კვლავ გააქტიურა ისლამური სამყარო და არის საშიშროება, რომ სწორედ ეს უზარმაზარი რეგიონი იქცეს ადრე პროგნოზირებულ — ცივილიზაციათა დაპირისპირების პოლიგონად! თურქეთს, აშშ-ს მთავარ დასაყრდენს ამ რეგიონში, დიდი პრობლემები აქვს არაბულ სამყაროსთან (თურქეთი და ისრაელი სტრატეგიულ მოკავშირეებად ითვლებიან, რაც წონასწორობას აკარგვინებს ისრაელის დაუძინებელ მტრებს — ფუნდამენტალისტებს). შეიძლება ისეც მოხდეს, რომ თურქეთი რეგიონში მარტო აღმოჩნდეს მათ პირისპირ, თუ ისრაელ-პალესტინის დაპირისპირება დიდ ომში გადაიზარდა. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ თურქეთი და რუსეთი შეიძლება მოკავშირეებიც გახდნენ და ასეთ შემთხვევაში საქართველოს განსაკუთრებული როლი დაეკისროს, როგორც მათი დამაკავშირებელი ქვეყნისა. დასავლეთმა საუდის არაბეთს შეუქმნა სასათბურე პირობები და მისი ორი სანავთობე კონკურენტი ირანი და ერაყი მოაქცია იზოლაციაში. საუდის არაბეთსა და მის მეზობელ ნავთობით მდიდარ სხვა არაბულ ქვეყნებს, რომ იტყვიან, „მადა ჭამაში მოუვიდათ“, გაუჩნდათ სურვილი კასპიის ენერგორესურსების ხელში ჩაგდების, ან გაკონტროლებისა. ამიტომ აფინანსებდნენ ჩრდილოკავკასიელ ბოევიკებს და არა ვაჰაბიზმის გავრცელებისთვის. ვაჰაბიზმი ჩვენს რეგიონში მათი შემოღწევის ფორმა იყო, თორემ პოლიტიკური მიზანი სულ სხვა გახლდათ... დღეს კი, აქცენტმა ჩრდილოკავკასიიდან შუა აზიაში გადაინაცვლა და ფული და ძალისხმევა მიდის თალიბანის მხარდასაჭერად, რისი წყალობითაც თალიბებს შეუძლიათ ფანატიკოსთა ნახევარმილიონიანი არმიის გამოყვანა!

დიახ, მოდის ძლიერი ძალა, რომლის ამოცანა ჯერ შუა აზიის რეჟიმების მოსპობაა, შემდეგ კავკასიაზე გავლენის მოპოვება და შორეულ პერსპექტივაში სამიზნედ — ევროპა აქვს, სადაც შესანიშნავი დასაყრდენი ეგულება ალბანეთის, ბოსნიისა და ევროპის ქვეყნებს შესეული უამრავი მუსლიმანის სახით! არ ვამბობ, რომ ეს საფრთხე ხვალ-ზეგ გვემუქრება, მაგრამ თუ მის საწინააღმდეგოდ რეგიონალური ფრონტალური დაცვა არ შეიქმნა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, თურქეთისა და რუსეთის მონაწილეობით, ერთ მშვენიერ დღეს კარზე მოგვადგება. რუსეთსაც ძალიან აფიქრებს და აშინებს ისლამური ფუნდამენტალიზმი და ამ ფონზეც გაუგებარია რუსეთის აგრესიული დამოკიდებულება საქართველოსადმი. არადა არის შანსი, რომ, როგორც ერთმა პოლიტოლოგმა ბრძანა, რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობები დაიწყოს „სუფთა ფურცლიდან“, საერთო ინტერესების გათვალისწინებით. ახლა კი გავაგრძელოთ მიმოხილვა...

> „მოგმართავთ თქვენ ალყაში მოქცეული სოხუმიდან და არც კი ვიცი, მოაღწევს თუ არა ჩემი სიტყვები თქვენამდე. ბრძოლები ახლა რამდენიმე უბანში მიმდინარეობს იმ შენობიდან, რომელშიც ჩემს მეგობრებთან ერთად ვიმყოფები. რაც უნდა მოხდეს, მაინც არ დავტოვებ ქალაქს, რომელიც კვლავ ხდება მოტყუებისა და ვერაგობის მსხვერპლი...“

## როდესაც კავკასიის მზე ჩაესვენა, მაშინ გადაწყდა კავკასიის ბედი!

კავკასიის დაპყრობის შემდეგ, რუსეთმა ჯერ გასაქანი მისცა მუჰაჯირობის არაადამიანურ აქტს, შემდეგ კი თავის ყველაზე ერთგულ მოკავშირეს, საქართველოს, დაუპირისპირა ჩრდილო კავკასია. შეეშინდა, საქართველოს არ ეკისრა კავკასიელთა მობილიზაციის მისია (ზუსტად იმავე სცენარს აამოქმედებს რუსეთი ზვიად გამსახურდიას ზეობის ჟამს და ყველაფერს გააკეთებს საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთის, პერსპექტივაში კი მთელი კავკასიის პოტენციური ალიანსის დასასამარებლად).

ამასთან, იმპერიამ ბევრი რამ გააკეთა, რათა მომხდარიყო საქართველოში მცხოვრები ხალხების გათიშვა სარწმუნოებრივი და ეთნიკური ნიშნით: აფხაზი ხალხის ფიზიკური განადგურების ინიციატორი, სოჭი-ტუაფსეს ზღვისპირა ზონის მთლიანად გამარუსებელი, უდიდესი დანაშაულის — მუჰაჯირობის სულისჩამდგმელი, აფხაზეთის ტერიტორიის რუსებით, სომხებით, ესტონელებით, ბერძნებითა და ბულგარელებით ამთვისებელი რუსეთი თითს ქართველებისკენ იშვერდა — ეგენი არიან თქვენი უბედურების მიზეზიო.

ორასწლიანმა იმპერიულმა მარწუხებმა, საუბედუროდ, დასცა ქართველი ხალხის ზნეობაც, რომელზეც ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის, ჩეხოვისა და სხვა დიდი რუსი მოღვაწეების ხანგამოშვებითი სტუმრობები, მით უფრო, რომ მათი უმრავლესობაც იმპერიული კატეგორიებით აზროვნებდა; ქართველი კაცის ზნეობაზე უშუალოდ უარყოფით გავლენას ახდენდნენ რუსი ჩინოვნიკები. ისინი თესავდნენ გარყვნილებას, ლოთობას, მექრთამეობას, სიზარმაცეს და იმიტომ კი არა, რომ ასეთია რუსი კაცის ხასიათი, რუსი ერი ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია, არამედ იმიტომ, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა რუსული საზოგადოების „ქაფს და ნაგავს“ გზავნიდა საქართველოში სამსახურისათვის. კავკასიაში სამსახური სასჯელს უტოლდებოდა. მეფე კი სჯიდა არა მარტო დეკაბრისტებს, არამედ ყველა ვიგინდარას, ვინც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში ვერ გამოადგებოდა სამსახურში. რა „განათლების“ შემომტანნიც იყვნენ კავკასიაში რუსი ჩინოვნიკები და ოფიცრები, ეს დიდებულად დაგვიხატა ილია ჭავჭავაძემ „მგზავრის წერილებში“...

## მაგრამ ყველა ამ უბედურებაში მხოლოდ რუსეთი იყო და არის დამნაშავე?!

1990 წლის მარტში შეიქმნა ეროვნული ფორუმი, რომელშიც გაერთიანდა ქართული ეროვნული მოძრაობის თითქმის ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია და გაჩნდა შანსი, რომ მთელი ეროვნული ენერგია ამ ფორუმს მიემართა სწორი და, რაც მთავარია, ერთიან კალაპოტში. მაგრამ, საუბედუროდ, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერთა შორის არსებულმა პათოლოგიურმა ურთიერთსიძულვილმა დაშალა ფორუმი. მოხდა პირველი გასროლაც დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის და დაიღვარა სისხლიც. და აი, მაშინ, როცა მთელი ერი მზად იყო ეროვნული მოძრაობის ერთ დაძახილზეც კი ფეხზე დამდგარიყო, თავი იჩინა საბედისწერო განხეთქილებამ. პოლიტიკურ პარტიათა ნაწილმა გადაწყვიტა ჩაეტარებინა ე.წ. კონგრესის არჩევნები. უფრო დიდმა ნაწილმა კი მიაღწია იმას, რომ არსებულ კომუნისტურ უმაღლეს საბჭოს მიაღებინა ახალი საარჩევნო კანონი და დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვა კიდეც... მაგრამ სამოქალაქო კონფრონტაციის თესლი უკვე ჩაგდებული იყო და მხოლოდ დრო და შესაბამისი მომენტიღა სჭირდებოდა მის გაღვივებას... რა როლი ითამაშეს რუსეთის სპეცსამსახურებმა ქართული პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების ორად გაყოფაში, ცნობილია, მაგრამ თავიდათავი მომხდარი უბედურებისა ტრადიციული ქართული გაუტანლობა, კომუნისტური ნომენკლატურის რევანშიზმი, თავად პარლამენტში შესულ და ქუჩაში დარჩენილ ეროვნულ ძალებს შორის გაჩაღებული უპრეცედენტო ლანძღვა-გინება, საერთაშორისო ორგანიზაციებში ბეზღება, მოსკოვში სირბილი(!) და უამრავი სხვა სიბინძურე გახლდათ, რითაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მხოლოდ საქართველომ „ისახელა“ თავი. ამასთან, არსებული ხელისუფლების რუპორებმა გააჩაღეს უპრეცედენტო ლანძღვა-გინება ქართული ინტელიგენციისა, იმის მაგივრად, რომ გვერდში ამოეყენებინათ საერთო საქმის საკეთებლად. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, რა თქმა უნდა, დაუშვებელი და დანაშაული იყო ის, რაც 1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო და რაც, საბოლოო ჯამში, ქართველ ერს კატასტროფით დაუმთავრდა...

სახეწაშლილი ბატონი კაკო ბაქრაძე კი საზარელ სიმართლეს ეტყვის ქართველობას: „ქართულ ეროვნულ მოძრაობას ხელები სისხლში აქვს ამოსვრილი და საეჭვოა, მან ოდესმე ამ სისხლის ჩამობანა შეძლოს...“

## არც ერმაკის ლაშქრობას და არც კომუნისტურ გაკვეთილს ჩაუვლია უკვალოდ...

კომუნისტური იმპერიის ბელადებმა — ლენინმა, სტალინმა, შემდეგ კი ხრუშჩოვმა, ბრეჟნევმა და მათმა მემკვიდრეებმა ყველაფერი გააკეთეს ერების ერთმანეთში ასათქვეფად და „საბჭოთა ხალხის“ შესაქმნელად... კომუნისტთა მოქმედებასაც იმპერიული სულისკვეთება ედო საფუძვლად. უკვე ერმაკის ციმბირული ლაშქრობიდან დაიწყო ბოგინი იმპერიულმა მითმა, რომ რუსეთს მსოფლიო-საკაცობრიო მისია აკისრია, მან უნდა „გაათავისუფლოს“ ხალხები ჩამორჩენისაგან(!). შესანიშნავად გამოიყენეს ეს იდეა ბოლშევიკებმა თვით რუსი ხალხის საზიანოდ და გასალატაკებლად. ისე გადაშენდა რუსეთის იმპერია, ვერ ჩამოყალიბდა ნამდვილი დემოკრატია. ისე დაამხეს რომანოვები, კონსტიტუციის მსგავსი არაფერი დასჭირვებიათ. რუსეთმა არ იცოდა კონსტიტუცია, არ იცოდა პოლიტიკური დიალოგი. ის, რაც არ შექმნილა რუსეთის არსებობის 1000 წლის მანძილზე, ნელ-ნელა იქმნებოდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან ოქტომბრის გადატრიალებამდე, როცა გაჩნდა დემოკრატიის დამკვიდრების შანსი, მაგრამ ჯერ ლენინმა, შემდეგ სტალინმა ისე დაასამარეს პარლამენტარიზმი, რომ გორბაჩოვამდე მისკენ არავის გაუხედავს...



საქართველოს ისტორიული ბედუკუღმართობაც იმაში მდგომარეობდა (და მდგომარეობს დღესაც), რომ ცივილიზებული სამყაროს ფონზე განგებამ ამ მენტალიტეტის მქონე ქვეყანასთან არგუნა თანაცხოვრება, რამაც, ბუნებრივია, უკვალოდ არ ჩაიარა...

## „მოჯადოებული სამკუთხედი“

თუ გადავავლებთ თვალს თამარ მეფის შემდგომ ეპოქას, გვიან შუა საუკუნეებს, ვნახავთ, რომ საქართველო მუდამ ხსნის, გადარჩენის „მზა რეცეპტების“ ძიებაში იყო. საქართველოს პოლიტიკური ნეიტრალიტეტი არ შეეძლო, რადგან მოქცეული იყო საერთაშორისო ურთიერთობების შეზღუდულ წრეში — აგრესიულ სამკუთხედში: ჯერ ბიზანტია-ოქროს ურდოს, შემდეგ თურქეთი-სპარსეთი-რუსეთის სახით. ის, ნებსით თუ უნებლიეთ ჩართული იყო უცხო და მიუღებელ საომარ შეჯახებებში. ამ „მოჯადოებული სამკუთხედიდან“ თავის დაღწევა იყო ქართული სამეფო-სამთავროების მთავარი ამოცანა. ქართველები „აზიური“ გამჭრიახობითა და ეშმაკობით ახერხებდნენ ხოლმე თავის გადარჩენას, უმეტესწილად კი, საკუთარი მარჯვენის და ხმლის იმედად იყვნენ. მაგრამ, როგორც დიდი ქართველი მოაზროვნე ზურაბ ავალიშვილი აღნიშნავს: „საქართველოს თავისუფლება მოდიოდა დიდი იმპერიების მარცხის შემთხვევაში. საკმარისი იყო, აღმოცენებულიყო რომელიმე მძლავრი პოლიტიკური ერთეული, ჩვენი ქვეყანაც ექცეოდა მისი გავლენის ქვეშ. ჩვენგან დამოუკიდებელი პროცესები ფატალურად გარდაუვალს ხდიდა ქართული სახელმწიფოს ისტორიის მსვლელობას, ანუ ჩვენ კი არ ვმართავდით პროცესს, არამედ სხვა საფუძველზე აღმოცენებული პროცესების დინებას მივყვებოდით: რა საჭიროა თავის მტვრევა ჩვენს ბედზე, თუ იგი მსოფლიო პროცესების ფონზე მიმდინარეობს? დიახ, ასეთი კითხვაც დაისვა. 1490 წელს ქართლის სამეფო დარბაზმა მეფე კონსტანტინე მეორის დროს დაადგინა: შევწყვიტოთ ბრძოლა „აღდგენისა“ (ე.ი. გაერთიანების) და „გამოხსნისათვის“ (ანუ თავისუფლებისათვის) დავუცადოთ უკეთეს ჟამს!“ სწამდა ქართველობას, რომ დადგებოდა „უკეთესი ჟამი“. საჭირო იყო მხოლოდ აქტიური ლოდინი — ენის, კულტურის, სარწმუნოების შენარჩუნება. სწორედ ისტორიული ოპტიმიზმით შევინარჩუნეთ მარადიული იმედი ჩვენი უკვდავებისა. ეს აისახა კიდეც ერის მეხსიერებაში, ოღონდ ისტორიულმა ოპტიმიზმმა უბიძგა პოლიტიკურ პასიურობასაც. თავგამოდებული ბრძოლა მაშინ იწყებოდა, როდესაც აგრესორი და მპყრობელი ემუქრებოდა ქართველთა არსებობის მინიმუმს: ენას, ქრისტიანობას, კულტურას, თვითმმართველობას. ანუ, დიდი პოლიტიკური გარდატეხისაკენ სწრაფვა აღარ იგრძნობოდა: შედეგად იბადებოდნენ თავდადებულები, წამებულები, შეწირულები და აღარსად ჩანდნენ აღმაშენებლები, გამომხსნელები, რეფორმატორები...“ ვფიქრობ, უზუსტესი შეფასებაა და მიესადაგება დღევანდელობას.

## „თამაში“ დაიწყო...

„ეს უნდა იყოს თამაში, სადაც არ იქნებიან დამარცხებულები და გამარჯვებულები. ამ თამაშში უნდა გაიმარჯვოს ყველა მისმა მონაწილემ. მხოლოდ ასეთი შედეგი იქნება ხელსაყრელი საერთაშორისო სამყაროსთვის“ — განაცხადა 1994 წელს ბაქოში ზბიგნევ ბჟეზინსკიმ, როცა სახელდებოდა კასპიის ნავთობის მსოფლიო ბაზრისკენ ტრანსპორტირების სავარაუდო მარშრუტები... დიახ, „თამაში“ დაიწყო და მერე როგორი: ჩეჩნეთის პირველი ომით, ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ შემდგარი თუ არშემდგარი ტერაქტებით, გალის რაიონის ტრაგედიით, ჯიხაშკარის მოვლენებითა და ელიავას ამბოხებით, იგორ გიორგაძის დემარშებით და ამ ფონზე დასავლეთის მძლავრი მხარდაჭერის წყალობით მოხერხდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის აშენება, ძალას იკრებდა „ტრასეკას“ პროექტიც და ამ „დიდი თამაშის“ დაგვირგვინება გახლდათ სტამბოლის ეუთოს სამიტზე ხელმოწერილი ისტორიული დოკუმენტები. უწინარესად „საქართველოდან რუსეთის ბაზების გატანისა და ბაქო-ჯეიჰანის მშენებლობის შესახებ, რომელთა თანახმად, გამარჯვებული იმ ეტაპზე სწორედაც რომ საქართველო გამოვიდა... და აი, უკვე წელიწადზე მეტია, ამ თამაშის მეორე და გადამწყვეტი ეტაპის მოწმენი ვართ, რომელიც პირდაპირ უკავშირდება რუსეთში ხელისუფლების შეცვლას: მარაზმში ჩავარდნილი ელცინის მემკვიდრის ძიებაში, რუსმა სტრატეგებმა არჩევანი შეაჩერეს სპეცსამსახურებში გამოწრთობილ პუტინზე, რომელსაც მიანდვეს კიდეც „დერჟავის“ აღორძინება. ფაქტია, რომ პუტინს მხარში ამოუდგა გენერალიტეტი, სპეცსამსახურები, დუმა, ისტებლიშმენტი, ინტელიგენცია და ისიც ენერგიულად შეუდგა... ჩეჩნეთის მეორე სისხლიანო კამპანია და ყაზახეთ-ნოვოროსიისკის ნავთობსადენის მშენებლობის ფორმირება; აქტიური მხარდაჭერა დიქტატორული რეჟიმებისადმი, მზაკვრული დიპლომატია შუა აზიაში და, იმავდროულად, ზეწოლის, შანტაჟის გაძლიერება საქართველოს მიმართ. პირველად სწორედ პუტინისგან ისმის მუქარა სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ, რასაც მოგვიანებით ახორციელებს. აშკარად თუ ფარულად მოსკოვი კატეგორიულად ითხოვს ოფიციალური თბილისისგან, საქართველომ უარი თქვას ნატოსკენ სწრაფვასა და პროდასავლურ ორიენტაციაზე, რეალურს ხდის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პოლიტიკური ანექსიის პროცესს მათთან უვიზო მიმოსვლის შენარჩუნებითა და საზღვრების გახსნით, ანუ მოსკოვი აღარ კმაყოფილდება დსთ-ში საქართველოს წევრობით და პირდაპირ მიანიშნებს რუსეთ-ბელორუსის კავშირისკენ და ა.შ. საქართველო კი, მისი კორუმპირებული ხელისუფლების „წყალობით“, ღრმა ენერგეტიკული, სოციალურ-ეკონომიკური და კვლავაც გახლეჩილი საზოგადოებით, აბსოლუტურად მოუმზადებელი ხვდება მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის მოვლენილ მორიგ რეალურ საფრთხეს და როგორც წყალწაღებული ხავსს, ისე ეჭიდება იმედს — „ვიღაცა“ (რა თქმა უნდა, დასავლეთი) მოგვხედავსო! ამიტომ, თუ რუსეთი არ აიღებს ხელს თავის ექსპანსიონისტურ ზრახვებზე საქართველოს მიმართ, ქართველმა ერმა მთელი კატეგორიულობით უნდა მოსთხოვოს ხელისუფლებას რუსეთთან პრინციპული პოლიტიკის გატარება, დაიცვას სახელმწიფოს ღირსება...

> პუტინი სულაც არ არის შემთხვევით მისული კაცი კრემლში. პუტინი ომის წყალობით მოვიდა ხელისუფლებაში და ამ ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი და საზოგადოებაც იმედოვნებს, რომ პუტინი რევანშს აიღებს, მათი აზრით, რუსეთის უპირველეს მტერზე – დასავლეთსა და ნატოზე!

P.S. მიუხედავად მოსკოვისადმი საქართველოს ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული გაუთავებელი დათმობებისა, მაინც რჩებოდა იმედი, რომ დღეს თუ არა ხვალ, ხელისუფლება და უწინარესად პრეზიდენტი, ბოლოს და ბოლოს, დაიკავებდა მტკიცე პოზიციას რუსეთთან ურთიერთობებში, მაგრამ ნურას უკაცრავად. ყოფილი სსრკ-ის უზარმაზარი სიმდიდრიდან საქართველოსთვის კუთვნილი ქონების მიღების პერსპექტივა და ისიც, რომ ეს ბერკეტი ქართულ მხარეს მოსკოვზე ზეწოლისა და მასთან პოლიტიკური ვაჭრობის საგნადაც გამოეყენებინა, როგორც ჩანს, წყალს მიაქვს. შევარდნაძის განცხადება, „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირებას ალტერნატივა არა აქვსო, ადასტურებს ხელისუფლების უძლურებას, რადგან ყოფილი სსრკ-ის უზარმაზარი სიმდიდრის ნაწილი (5 მილიარდამდე დოლარის ქონება) ქართველი ხალხის კუთვნილებაა და არავის აქვს უფლება, საკუთარი „შეხედულებისამებრ“ განკარგოს ეს სიმდიდრე... რაც „განკარგეს“ და „აითვისეს“, სჯობს, ის მოინელონ (თუ მოინელებენ). ახლა ერთადერთ იმედად ისღა რჩება, რომ პარლამენტმა არ გაუკეთოს რატიფიცირება „ნულოვან ვარიანტს“ და ვფიქრობ, ამ პროცესში აქტიურად უნდა ჩაებას მასმედიაც და საზოგადოებაც.

კმარა, ბატონებო, გაიღვიძეთ, და ნუ დაივიწყებთ 1801 წელს, რამდენიმე დღეში ამ საბედისწერო თარიღს 200 წელი უსრულდება!

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# ახალ წელს რამდენი ხნით ექნება მოსახლეობას შუქი?..

დენის მოთხოვნით დარაზმულმა მოსახლეობამ ქუჩის აქციებზე რა აღარ უწოდა დავით მირცხულავას. მაშინ მინისტრმა „პროტესტანტებს" მშვიდად განუმარტა, რომ ელექტროენერგია ძვირი ფუფუნებაა და უნდა გადაიხადონ. მაგრამ ხალხს არაფრის გაგონება არ სურდა და მინისტრიც შეეგუა „ეპითეტებს". ისე კი, ენერგეტიკულ მეცნიერებასა და დიდ ეკონომიკურ პოლიტიკაზე მეოცნებე ბატონ დავითს გული სწყდება, რომ სრესების და ჰესების დათვალიერებისთვის კარგავს დროს. და კიდევ, ის ოცნებობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ადამიანებმა დაივიწყონ სათბობენერგეტიკის სამინისტროც და მინისტრის სახელიც, ანუ იყოს 24 საათიანი დენი..

შევალთ თუ არა გაჩირაღდნებულნი მესამე ათასწლეულში?! ამ და სხვა საკითხებზე უთუოდ ვისაუბრებთ. თუმცა, მოდით, მინისტრი რომელიმე კაშხალი ან ენერგობლოკი ნუ გვგონება, რომ მხოლოდ დენის მოწოდება მოვთხოვოთ, ცოტა მის ცხოვრებაშიც ჩავიხედოთ.

*— ბატონო დავით, ხომ არ ნანობთ არჩევანს, რომ ენერგეტიკოსი გახდით?*

— ნამდვილად არა. ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ ამ პროფესიას გავყვებოდი. მყავს შესანიშნავი მშობლები. დედა ექიმია, მამა — წყალეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მყავს ძმა, ძმიშვილები და ოჯახი — მეუღლე და ქალ-ვაჟი. უმაღლესის დამთავრების შემდეგ ენერგეტიკის ინსტიტუტში დავიწყე მუშაობა, დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. ენგურის თემატიკით ვიყავი გატაცებული. ენგურჰესზეც, რა თქმა უნდა, მიმუშავია. მასზე გრანდიოზული ყოფილ სსრკ-ის ენერგეტიკაში არაფერი შექმნილა.

*— ენგურში თუ გიცურავიათ?*

— არა, ძალიან ცივია და არ არის სასიამოვნო.

*— შინ როგორ ერევით სიცივეს?*

— ფიქრის გორაზე, სადაც მე ვცხოვრობ, ელექტროენერგია მძიმე გრაფიკითაა. საბედნიეროდ, ორი წელია, რაც ბუნებრივი აირი გვაქვს და იმით ვთბებით. მანამდე ნავთქურას ვიყენებდით. დავდგამდით შუა ოთახში და ვეფიცხებოდით. ვცდილობ, ელექტროენერგია გასათბობად არ გამოვიყენო. ყველა რომ დენით თბება, იმიტომ ვართ ამ დღეში.

*— თუ არც გაზი გვაქვს და არც ნავთი?*

— არ გედავებით, მაგრამ ხომ უნდა დავზოგოთ? ქართული ენერგეტიკა არ იყო გამიზნული გათბობისა და სხვა მომსახურებისთვის. ქალაქის მოსახლეობის ერთ მესამედს ცხელი წყლის ავზები აქვთ, ადრე კი ამ ფუნქციას გაზი ითავსებდა. ასეთი ტვირთის აწევა ენერგეტიკას არ შეუძლია. ამიტომ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ქალაქის გაზიფიცირება, გათბობის სისტემის აღდგენა, თბომეურნეობების მოწესრიგება.

**— მერწმუნეთ, ენერგეტიკოსები ფეხზე დადგებიან, რომ შუქი რამდენიმე დღე მაინც იყოს. შარშან ამ დროს ბევრად უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით. მაშინ ელექტროენერგია სამი დღე მიეწოდებოდა ქვეყანას. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ის სამი დღე, ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველოში გამორჩეული იყო წყალუხვობით. ძალ-ღონეს არ დავზოგავთ, რომ ხალხს დღესასწაული არ ჩავუშხამოთ. ყველა ენერგეტიკოსი ახალ წელს სამსახურში იქნება, როგორც ყოველთვის.**

*— ბატონო დავით, ჩვენს ფოტოკორესპონდენტს თქვენთვის ლამპით ხელში სურათის გადაღება სურდა. უარი რატომ უთხარით, ეს ხომ სინამდვილეა?*

— თუნდაც ეკოლოგიური კატასტროფა იყოს ქვეყანაში, ენერგეტიკის მინისტრმა ლამპით ხელში სურათი არ უნდა გადაიღოს. როცა 24 საათიანი დენის მიწოდება გვექნება, მერე დიდი სიამოვნებით გადავიღებ.

*— ხალხს აღარ სჯერა, რომ ოდესმე 24 საათიანი ენერგია ექნება, ზემოხსენებული აქციებიც მხოლოდ გრაფიკის დაცვის მოთხოვნით შემოიფარგლებოდა.*

— ეს დრო როგორ არ დადგება. შარშან, როცა მინისტრად დამამტკიცეს, ჩემს პროგრამაში ვთქვი, 2004 წელს საქართველოში დამთავრდება ენერგეტიკული პრობლემები-მეთქი. თბილისში კი ამას უფრო ადრე, ეი-ი-ეს თელასის დახმარებით მოვახერხებთ. რაც შეეხება მთლიანად საქართველოს, აქ უფრო რთულადაა საქმე. აღრიცხვიანობის მოუგვარებლობა ძალიან გვიშლის ხელს. აღარაფერს ვამბობ საწარმოებზე, რომლებიც არ იხდიან. ასეთები ჩვენ გავთიშეთ კიდეც. საბედნიეროდ, ამ მექანიზმმა კარგად იმუშავა. საერთოდ, რეგიონებში გადახდის მხრივ მეტად ცუდი მდგომარეობაა. დღესდღეობით ყველაზე კარგ გადამხდელად კახეთი ითვლება.

*— ბევრ რაიონს ელექტროენერგია ერთი საათითაც არ მიეწოდება. შარშან უკეთესი მდგომარეობა იყო. გაისად უარესი ხომ არ იქნება?*



გ. ყორღოლიანის ფოტომონტაჟი

— ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ელექტროენერგია მიეწოდება გადამხდელს, ანუ ის უნდა გაიყიდოს. ერთსაც ვიტყვი: წელს საქართველოში ეკოლოგიური კატასტროფა მოხდა. ზაფხულიდან დაწყებული მცირეწყლიანობაა. ამ ცოტა ხნის წინ სვანეთის წყალსაცავები დავათვალიერე. მთებში თოვლი არ არის, რიონში წყლის დონე საოცრად დაბალია. ეს, ფაქტობრივად, ეკოლოგიური კატასტროფაა. სადგურები, რომლებსაც 120 მეგავატი გამოუმუშავებიათ, ახლა 18-ს ძლივს აღწევენ. მეტსაც გეტყვით, იმერეთის ჰიდროსადგურებში ჭარმაგი და გამოცდილი ენერგეტიკოსები მუშაობენ და ასე მითხრეს, 40 წელია, იმერეთის სადგურებს ასეთი რამ არ ახსოვსო. ამან, ბუნებრივია, გავლენა იქონია საერთო ენერგეტიკულ სიტუაციაზე. გაზაფხულზე გვალვა იყო, ახლა ზამთარია და თოვლი არ არის. რით უნდა აივსოს წყალსაცავები?

*— სქოულთან ბოლო დროს ურთიერთობა თითქოს დაგეძაბათ. ინვესტორმა გამოთქვა ეჭვი, რომ მის მიერ შეძენილი პროდუქცია არაგადამხდელ ობიექტებს მიეწოდება და თბილისს სულაც არ უნაწილდებაო.*

— უბრალოდ, იყო რაღაც გაურკვევლობა. სქოული ერთ-ერთი სადისტრიბუციო კომპანიის ხელმძღვანელია და საქმიანი მოთხოვნები აქვს, ისევე, როგორც ჩვენ — მასთან. სქოულს აქვს პრეტენზიები სადისპეტჩეროსთან, ელექტროგადაცემასთან. ჩვენ კი, დღესდღეობით, ის პრეტენზია გვაქვს, რომ ეი-ი-ეს-მტკვარმა პირობა ვერ შეასრულა. მათ მიერ აგვისტოში შემოთავაზებული გეგმით მოხდა ელექტროენერგიის ტარიფის დათვლა. გრაფიკი არ სრულდება. სექტემბერში ერთი ბლოკი უნდა ამუშავებულიყო, ოქტომბერში — ორი და ა.შ. რეალურად არაფერი შესრულდა.

*— ამბობენ, მე-9 და მე-10 ენერგობლოკების გამორთვა ხელოვნურად ხდება, რადგან ინვესტორს ურჩევნია შეისყიდოს ჰესის 1,04 თეთრიანი პროდუქცია, რომელიც სრესის მიერ წარმოებულ ენერგიაზე იაფია.*

— ვერ დავიჯერებ, რომ ეი-ი-ეს-თელასი ამას აკეთებდეს. მე-9 ენერგობლოკი ორი წელი იყო გაჩერებული და ტექნიკური სირთულეები გააჩნია. ეს ობიექტური მიზეზია. მაგრამ არის სუბიექტურიც. ამაში ვგულისხმობ აქცენტს იმ პრიორიტეტებზე, რომელსაც კომპანია აკეთებს, რაზეც პრეტენზიას ვერ გამოვთქვამ. კომპანიის მენეჯმენტში არ ჩავერევი, მხოლოდ მონიტორინგს ვახორციელებ.

*— რატომ ვერ ხერხდება ზემოხსენებული ბლოკების მე-4 და მე-3-თი ჩანაცვლება?*

— ეს ბლოკები ჩასანაცვლებლად მზად არიან, მაგრამ მათი ამუშავება გაზის ღირებულებაზეა დამოკიდებული. თუ გაზი იაფად ვერ შევიძინეთ, მაშინ მათი ამუშავება წამგებიანია.

*— „იტერასთან" მოლაპარაკების იმედი არ არის?*

— „იტერა" მართებულად გვთხოვს ვალის დაბრუნებას. დეკემბრიდან აპრილამდე 35 მილიონი ლარის დავალიანება გვქონდა, 28 დაფარულია. მაგრამ „იტერასი" ძველი ვალებიც გვაქვს, დაახლოებით 320 მილიონამდე.

*— „იტერას" გარდა, დავალიანება სხვა კომპანიებთანაც გვაქვს. სულ რამდენი მილიონია?*

— ეს თანხა დაახლოებით 500 მლნ დოლარია, რაც შესაძლოა, ძალიან დიდ ციფრად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს დავალიანება აქვს დარგს, რომელიც ყოველწლიურად 800 მლნ ლარის პროდუქციას ქმნის. ე.ი. ჩვენ რომ თანხების ამოღების პრობლემა მოგვარებული გვქონდეს, იგი ასე თავზარდამცემად აღარ მოგვეჩვენებოდა. უფრო ეფექტიანი ბერკეტი არ არსებობს. პროდუქცია უნდა მიეყიდოს მას, ვინც იხდის.

*— ამგვარი მოთხოვნა შეიძლება სამართლიანი იყოს მსხვილი საწარმოების მიმართ. რამდენად კორექტულია გადასახადი მოსთხოვო (გათიშვა) უბრალო მოქალაქეს, როცა საერთო სოციალური ფონი არადამაკმაყოფილებელია?*

— ვიცი, მაგრამ რა ვქნათ? დარგი ქმნის პროდუქციას! გავაჩუქოთ? თუ დამისახელებთ საქართველოში მომუშავე ერთ რომელიმე საწარმოს, რომელიც პროდუქციას არიგებს, მაშინ მეორე ჩვენ ვიქნებით.

*— როგორია ხელისუფლების როლი ენერგეტიკაში?*

— მთელი პასუხისმგებლობით ვიტყვი, რომ ამ თვეების მანძილზე ლობირებისა და ზეწოლის მცდელობა არსაიდან არ მიგრძვნია.

*— ამბობენ, რომ არსებობს თბილისის პრივილეგირებული უბნები, ობიექტები და საწარმოები.*

— მე არ ვარ ის პიროვნება, სადისპეტჩეროში დავრეკო და მოვითხოვო, ამ უბანს იმ უბნის ხარჯზე მიეცით შუქი-მეთქი. მეც ვერავინ გამიბედავს ანალოგიურ თხოვნას, არც რომელიმე ქარხანა-ფაბრიკის ჩართვას დავუშვებ ვიღაცის ხათრით. გადაიხადონ და კი, ბატონო. ფიქრის გორაზე ვერავინ იტყვის, პრივილეგირებულიაო. ჩემი მოადგილე ცხოვრობს რუსთაველზე. რუსთაველი კი მართლა პრივილეგირებულია. ის დედაქალაქის ცენტრია, ქვეყნის სახე და მას ვერ ჩავაბნელებთ. ისე კი, ურჩ გადამხდელებს იქაც უთიშავენ დენს.

*— თქვენი ოჯახი რამდენს იხდის?*

— საშუალოდ 35 ლარს. ის კი არა, გერმანიიდან 19-20 ვოლტიანი ნათურები ჩამოვატანინე. რესტორნებს, სუპერმარკეტებს, კაზინოებს ვურჩევთ ელექტროენერგიის დასაზოგად ასეთი ნათურები შეიძინონ.

ვამუშავებთ საგანგებო პროექტებს თურქეთთან და სომხეთთან, ვფიქრობთ, უფრო გრძელვადიან პროცესებზე. სომხეთს და რუსეთს აქვთ სარეზერვო სიმძლავრეები. შეიძლება 24 საათიანი მოწოდებაც განხორციელდეს, მაგრამ ითხოვენ წინასწარ გადახდას ან საბანკო გარანტიებს. ამიტომ უფრო ეკონომიკური პრობლემებია გასათვალისწინებელი. სქოულმაც თქვა, 150 მილიონზე მეტი დავხარჯე და საშუალოდ 45% ამოვიღეო.

*— რა გაკეთდა, რომ ახალი საუკუნის დასაწყისი ოდნავ მაინც სჯობდეს ძველი საუკუნის დასასრულს?*

— ენერგოკრიზისი ორ და სამ თვეში არ გადაწყდება. პროგნოზს ძალიან მომჭირნედ გავაკეთებ — ენერგოსიტუაცია საქართველოში 2004 წლიდან გახდება მართვადი.

*— ახალ წელს რამდენი ხნით ექნება მოსახლეობას შუქი?*

— მერწმუნეთ, ენერგეტიკოსები ფეხზე დადგებიან, რომ რამდენიმე დღე მაინც იყოს. შარშან ამ დროს ბევრად უკეთეს მდგომარეობაში ვიყავით. მაშინ ელექტროენერგია სამი დღე მიეწოდებოდა ქვეყანას. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ის სამი დღე ბოლო 9 წლის განმავლობაში საქართველოში გამორჩეული იყო წყალუხვობით. ძალ-ღონეს არ დავზოგავთ, რომ ხალხს დღესასწაული არ ჩავუშხამოთ. ყველა ენერგეტიკოსი ახალ წელს სამსახურში იქნება, როგორც ყოველთვის.

*— თქვენც?*

— ყოველი შემთხვევისთვის, მე შენობიდან მაშინ გავალ, 12-ს რომ რამდენიმე წუთი დააკლდება. ახალ წელს მამაჩემის ოჯახში ვხვდებით. პირველი სადღეგრძელო საქართველოს მომავლისაა. მერე — დანარჩენები.

**— ბატონო დავით, ჩვენს ფოტოკორესპონდენტს თქვენთვის ლამპით ხელში სურათის გადაღება სურდა. უარი რატომ უთხარით, ეს ხომ სინამდვილეა?**

**— თუნდაც ეკოლოგიური კატასტროფა იყოს ქვეყანაში, ენერგეტიკის მინისტრმა ლამპით ხელში სურათი არ უნდა გადაიღოს. როცა 24 საათიანი დენის მიწოდება გვექნება, მერე დიდი სიამოვნებით გადავიღებ.**

*— ენერგეტიკის სადღეგრძელო მერამდენეა?*

*— როცა საქართველოს სადღეგრძელოს ვამბობ, ბუნებრივია, ბედნიერ საქართველოში კარგი ენერგეტიკაც იგულისხმება.*

*— ამბობენ, ენერგეტიკაში ბევრი კურიოზი ხდებაო. იქნებ, სიტუაცია ცოტა განვმუხტოთ.*

— ერთი კურიოზი ამ ორი კვირის წინ მოხდა. ერთ-ერთი რაიონის გამგებელმა ბარათი მომწერა, — რაიონი სოციალური აფეთქების პირასაა. არ არის ხელფასები და პენსიები. არ არის შუქი და წყალი. გვალვამ ყველაფერი ჩაგვიხმო, ხალხი პროდუქტების ნაკლებობას განიცდის. ყველაფერზე პასუხისმგებლობა ეკისრება სათბობენერგეტიკის მინისტრსო. ამაზე მეტი კურიოზი რა გინდათ? დამშრალ მდინარეებს რომ ვუყურებ, გული მისკდება. ამას დამატებული უხელფასობა და უპენსიობა... ყველაფერი ჩემი ბრალი ყოფილა.

*— ბატონო დავით, „კვირის პალიტრის" რეიტინგით ყველაზე „პოპულარული" მინისტრი ხართ. თუმცა პოპულარობაცაა და პოპულარობაც („ცრუპენტელა" მინისტრის ტიტული გერგოთ). რას უსურვებთ ჩვენს მკითხველს?*

— ვიცი, რომ ყველაზე ნეგატიური მინისტრი ვარ, მაგრამ რას იზამ. ენერგეტიკაა დღესდღეობით ყველაზე „პოპულარული" და, შესაბამისად, სამინისტროც ასეთია. უბრალოდ, უნდა მოვითმინოთ. მინდა მოსახლეობას დიდი ბოდიში მოვუხადო შექმნილი მდგომარეობის გამო. საერთოდ კი, მინდა გავიმეორო, დახარჯულ ელექტროენერგიას გადახდა უნდა. ყველა ოჯახს ახალი საუკუნის დასაწყისში ვუსურვებ კეთილდღეობას და ჯანმრთელობას.

**ქეთი ბერეკაშვილი**


# აჩუქეთ საკუთარ თავს კომპლიმენტების დაუვიწყარი მელოდია




საახალწლო ღამისთვის მზადება უკვე დაწყებულია, თქვენ იძენთ ბრწყინვალე ტუალეტებს, კულინარულ წიგნებში ეძებთ განსაკუთრებულ რეცეპტებს, ამზადებთ საჩუქრებს თქვენთვის ძვირფასი ადამიანებისათვის... ნუ დაგავიწყდებათ ყველაზე მთავარი! — საკუთარი გარეგნობა.

მიუხედავად იმისა, თუ სად შეხვდებით ახალ წელს — ოჯახში თუ მოდურ რესტორანში, თბილისში თუ ეგზოტიკურ კუნძულზე, იცოდეთ! ყველაზე მხურვალე კომპლიმენტი უნდა მიეძღვნას თქვენს მშვენიერ სახეს, მგრძნობიარე ტუჩებს, ხავერდოვან კანს, მომხიბლავ ფიგურას.

სწორედ ამიტომ, სამედიცინო ცენტრი „მედის" სპეციალისტებმა, თქვენთვის მოამზადეს სპეციალური პროგრამა: **„მეჯლისის დედოფალი"**, რომლის დახმარებითაც თქვენ შობა-ახალი წლის დღესასწაულებზე და მათ შემდგომაც, ნამდვილ დედოფლად იგრძნობთ თავს.

**ეს არის პროცედურების მთელი კომპლექსი:**

♦ **„გრინ-ნიღაბი"** — კანის გამაახალგაზრდავებელი, ნატურალური ზეთების და ეთერული კომპონენტების შემცველობით. მხოლოდ სამ დღეში ნიღბის ზემოქმედების შედეგად გაგიქრებათ პიგმენტური ლაქები, ფერიმჭამელები, ნაწიბურები და ნაოჭები. დაიჭიმება ზედა და ქვედა ქუთუთოების კანი.

♦ **„ბოტოქსი"** — ახალი ფრანგული მეთოდიკით მიმიკური ნაოჭების გასწორება სპეციალური ინექციების საშუალებით.

♦ **ტუჩების ფორმის შეცვლა და ცხვირ-ტუჩის ნაოჭების კორექცია** ბიოთავსებადი გელის ინექციებით. თქვენი მგრძნობიარე ტუჩები შეუმჩნეველი არ დარჩება არც ერთი მამაკაცისათვის.

♦ **კაპილარული და ვენური ქსელის მოშორება** ლაზერით და სპეციალური ინექციებით სახეზე და ტანზე. — თქვენ აღარ დაგჭირდებათ მათი დაფარვა პუდრით.

♦ **ულტრაბგერითი ლიპოსაქცია** — სხეულის ფორმის კორექცია და ზედმეტი ცხიმოვანი ნაკეცების მოშორება.

♦ **ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით** — არასასურველი თმის მოშორება სამუდამოდ და უმტკივნეულოდ. მოკლე კაბა და გამჭვირვალე კოლგოტი მხოლოდ აღფრთოვანებაში მოიყვანს თქვენს სტუმრებს.

ახალი წლის ღამე სასწაულების ღამეა, რომელთაგან ერთის მოხდენა თქვენ ნამდვილად შეგიძლიათ. ჯერ კიდევ გაქვთ დრო, ისარგებლოთ **„მეჯლისის დედოფლის"** სრული კომპლექსით, ან ცალკეული პროცედურით და თქვენმა ჯადოსნურმა სილამაზემ შესაძლებელია, კიდევ მრავალი სასწაული მოახდინოს.

**სამედიცინო ცენტრი „მედი" გთავაზობთ სპეციალურ, განსაკუთრებულ საახალწლო ფასდაკლებას და გისურვებთ ბედნიერ და ლამაზ შობა-ახალ წელს.**

**ტელ: 25-02-02; 22-42-73**

# წლის კრიმინალური მოვლენები, გათხრილი გვირაბები, ტერაქტები და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ 2000 წელი შეწყალებით დაიწყო და დაპატიმრებით დასრულდა. დიდ შეწყალებას კი საპრეზიდენტო არჩევნები უსწრებდა წინ. პრეზიდენტმა ინაუგურაციამდე წლობით დაპატიმრებულ „ზვიადისტებს“, „მხედრიონელებს“, ომის მონაწილეებს, ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლებს თავისუფლება უწყალობა. 279 კაცის და, მათ შორის, ცნობილი პიროვნებების გათავისუფლებამ პრეზიდენტს პოლიტიკური ქულები ვერ მოუტანა.



უნდა ვაღიაროთ, რომ აპრილის თვის ფართომასშტაბიანი შეწყალება იმ ვალდებულების შედეგი იყო, რომელიც საქართველომ ევროსაბჭოში გაწევრებისას იკისრა. ევროსაბჭოს წინაშე 1991-92 წლებში დაპატიმრებულთა საქმეების გადასინჯვას, ხელისუფლება ვერ გადაუხვევდა.

მადლობა პრეზიდენტმა ვერც შეწყალებულთაგან მიიღო. ციხე-კოლონიებიდან „ისტორიული გადაწყვეტილებით“ გათავისუფლებულ პატიმართაგან რადიკალური განცხადებებით ყურადღების ცენტრში კვლავ ჯაბა იოსელიანი მოექცა. „ორი მილიონი დოლარი უნდა დაყაჭო“, — ამ სიტყვებით გადაუხადა მადლობა შევარდნაძეს მისმა ყოფილმა ბურჯმა და შემდეგ მტერმა ჯაბა იოსელიანმა.

ქვეყნის პირველი პირის მხრიდან პარლამენტში შერიგების პროცესის გამოცხადებას ყველა პოლიტოლოგსა და ექსპერტზე, თუნდაც გათავისუფლებულებზე, პირდაპირი პასუხი რიგითმა შემთხვევამ გასცა. პარლამენტის შენობიდან გამოსულ პრეზიდენტის კორტეჟს მშიერ-მწყურვალმა მექუდემ გაუსაღებელი ქუდების ფუთა ესროლა. ეს შემთხვევა პრეზიდენტისთვის წლის მკაცრ მინიშნებად იქცა — დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში 2000 წელი პირველად დაფიქსირდა იმ წლად, როდესაც ქართველმა ერმა სოციალური მოთხოვნებით ქუჩაში აქციები დაიწყო. ამან კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ „ზვიადისტები“ და „მხედრიონელები“ საზოგადოების მხოლოდ ერთი ნაწილია და მათ გარდა საქართველოში მილიონობითაა ხალხი, რომელსაც ამ გაუკუღმართებული ცხოვრებისაგან გასათავისუფლებლად არც „ამნისტია“ და არც „შეწყალება“ დღემდე არ შეხებია.

მძიმე სოციალურმა ფონმა საზოგადოებაში თვითმკვლელობათა რაოდენობა მკვეთრად გაზარდა. ყველაზე საშინელი კი ის არის, რომ ამ ტრაგიკული შემთხვევების მსხვერპლნი, ძირითადად, მშიერი ადამიანები აღმოჩნდნენ. 2000 წელს თავის ჩამოხრჩობასა და მაღალი სართულებიდან გადმოხტომასთან ერთად, 22 წლის სტუდენტი ყმაწვილის საშინელი აღსასრულის მოწმენიც გავხდით, რომელიც უკიდურესი მატერიალური სიდუხჭირის გამო, მატარებელს შეუვარდა.

გახშირდა მანიაკური მკვლელობები. ამ მხრივ, თავი რომ დავანებოთ რუსუდან თბილელის მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობებს, გვამების დაჩეხას და შემდეგ მკვლელობათა სიუჟეტების საკუთარ დღიურებში აღწერას, ვაზისუბნის მიკრორაიონში მომხდარი ოჯახური ტრაგედიის გახსენება თითოეულ ჩვენგანს შეზარავდა. საკუთარ ბინაში იპოვეს მეზობლებმა ცივი იარაღით დასახიჩრებული 24 წლის ალეკო ჯავახიშვილი, მისი მეუღლე ქეთევან გოგინაშვილი და მათი 6 წლის ქალიშვილი ეკატერინე.

## სამართალდამცავები მხოლოდ პოლიტიკოსთა დაკვეთებს ასრულებენ?

ამ არანორმალური მკვლელობის გვერდით, უამრავი გაუხსნელი სისხლის სამართლის საქმეა, თუ გავიხსენებთ ბათუმის სანაოსნოსა და თენგიზ ასანიძის გახმაურებულ სკანდალს, ყველა დაგვეთანხმება, რომ დღეს ეს თემები მკვდარია. სამაგიეროდ, იმავე სანაოსნოს სკანდალმა და თენგიზ ასანიძის უდანაშაულო-დანაშაულიანი პატიმრობის თემამ საპარლამენტო არჩევნების წინ მოქალაქეთა კავშირს აღორძინების ბლოკის წინააღმდეგ გვარიანი ქულები მოუტანა. რამდენიმეთვიანი დუმილის შემდეგ ეს თემები მმართველ პარტიას უკვე პრეზიდენტის არჩევნების წინ გაახსენდება.

სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდში სანაოსნოს საქმის გამომძიებელი ზურაბ ცინცაძე განაცხადებს, რომ ცოტა ხანში ჟურნალისტები, და არა მხოლოდ ჟურნალისტები, ამ საქმის სკანდალური მასალების მოწმენი გახდებიან. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, „სანაოსნო და სანაოსნოს ეკიპაჟი“ დავიწყებას ეძლევა.

სამაგიეროდ, დღეს ინჯიასა და ენერგეტიკოსთა თემაა ჩვენი პოლიტიკოსებისა და სამართალდამცავებისთვის საინტერესო. წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ წლის ბოლოს უშუქობით გაწამებული მოსახლეობის თვალის ასახვევად დაჭერილ „ენერგოლიფსიტებს“ გაზაფხულის დადგომისთანავე გარეთ გამოუშვებენ. ენერგოსფეროში „ენერგოლლავების“ მიერ ჯიბეებში ჩალექილი 500 მილიონიც ცოტა ხანში დავიწყებას მიეცემა.

## ტერაქტების მოლოდინში

საქართველოში კვლავ აქტუალურია ყოველი არჩევნების წინ, ქვეყანაში მოსალოდნელი ტერაქტისა თუ ახალი გადატრიალების აჟიოტაჟის შექმნა. უნდა ითქვას, რომ ამას ვერც საპრეზიდენტო არჩევნები „გადაურჩა“. ამჯერად, უშიშროებაში გრიფით — „საიდუმლო“ ხვდება მასალები, რომელიც გვაუწყებს, რომ მოსალოდნელია საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლა. აქცენტი აკაკი ელიავაზე, შოთა კვირაიასა და იგორ გიორგაძეზე კეთდება. თუმცა, ძალოვანთა ამგვარი განცხადებები, გარკვეული პოლიტიკოსების მხრიდან, გაჭირვებული მოსახლეობის დაშანტაჟებად ფასდება. მართლაც, საპრეზიდენტო არჩევნები ისე ჩაივლის, რომ დესტაბილიზაციისა და ტერაქტების „გმირები“ თანდათან ქრებიან და ეს განცხადებაც რამდენიმე ხანში მივიწყებას ეძლევა. თუმცა დროებით.... რადგან „ჩვენში გადატრიალება თუ ვინმემ იფიქრა, ანდა ჩაიფიქრა, ან გაიფიქრა, უკვე გახსნილია“.

## ელიავას მკვლელობა კვირაიამ მოაწყო?



რამდენიმე თვის შემდეგ ელიავას მკვლელობა ათასგვარ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ ელიავას სიკვდილი სახელმწიფოს მხრიდან მკვლელობად ჩათვალა, სიბნელეში ჩატარებულმა ოპერაციამ დღემდე ბნელში დატოვა საიდუმლო დეტალები. იურიდიულად, ელიავას მძევლების აყვანა არ აპატიეს, მოგვიანებით კი, ელიავას სიკვდილთან შოთა კვირაიას გვარი გაიჟღერებს.

შეხვდა თუ არა მართლაც კვირაია ელიავას იმ საბედისწერო დღეს საგურამოში, პროკურატურა ამ დეტალებზე დღემდე არ საუბრობს, თუმცა გარკვეულ მინიშნებებს მაინც გააკეთებს. კვირაიას დაკითხვა პროკურატურის მხრიდან ლოგიკურად უკვე იმ ინფორმაციის უტყუარობას ადასტურებს, რომლის თანახმად, უშიშროებაში არსებობს მასალები, სადაც ელიავასა და კვირაიას საუბრები დეტალურადაა გაშიფრული.

***ელიავას მკვლელობა ათასგვარ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ ელიავას სიკვდილი სახელმწიფოს მხრიდან მკვლელობად ჩათვალა, სიბნელეში ჩატარებულმა ოპერაციამ დღემდე ბნელში დატოვა საიდუმლო დეტალები.***

სხვათა შორის, ელიავას საქმის გამომძიებელი ელდარ თოფჩიევი მომხდარიდან ერთი თვის შემდეგ იტყვის, რომ შოთა კვირაიას დაკითხვის საფუძველი საქმეში არსებული გარემოებები შეიქნა. ამ პერიოდს უკავშირდება ყოფილი თავდაცვის მინისტრის, თენგიზ კიტოვანის განცხადებაც — ელიავას მკვლელობა თავად კვირაიამ მოაწყოო. იყო თუ არა ეს მკვლელობა? გავრცელებულ ხმებს, რომ სპეცრაზმელებმა ახლო მანძილიდან ისროლეს, რომ ოპერაციის დროს ფეთქებადი ტყვიები გამოიყენეს, სახელმწიფო ექსპერტიზა არ დაადასტურებს. თუმცა, რა ტიპის იარაღი გამოიყენეს სპეცრაზმელებმა, დღემდე უცნობი რჩება. გარდა ამისა, „ელიავას საქმე“ იმ სისხლის სამართლის საქმეს მიეკუთვნება, სადაც გარდაცვლილთა ადვოკატები საქმეში არ ჩართეს. მითი, სამეგრელოში სექტემბრის თვეში მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ, ამით დასრულდა. თუმცა როგორც სამეგრელოს მკვიდრნი „კვირის პალიტრას“ განუცხადებენ, მეგრელებს ყველაზე მეტად არ აძლევთ ხელს მათ კუთხეში ახალი დესტაბილიზაცია და განუკითხაობა. ელიავას მკვლელობას კი ხელისუფლებაში არსებული კლანების უკანონო ბიზნესის შესახებ დიდი ინფორმაციების ფლობას დაუკავშირებენ.

## „მე ვარ ქურდი, ესე იგი ვარ ხელისუფლებაში“

სამაგიეროდ, განუკითხაობა ხელისუფლებაში უკვე სახეზეა. პრინციპი: „მე ვარ ქურდი, ე.ი. ვარ ხელისუფლებაში“, უკვე სამწუხარო რეალობა ხდება. ამის დასაპირისპირებლად ხელისუფლებას სჭირდება რაღაც ახალი, მორიგი სატყუარა საკუთარი ხალხის თვალსა და დასავლეთში იმიჯის შესანარჩუნებლად. ანტიკორუფციული სამსახურის ე.წ. „შვიდკაცას“ შექმნა, შეიძლება ითქვას, მიზნის მიგნება ხდება. ანტიკორუფციული სამსახური საფუძველშივე განწირული აღმოჩნდა, რომელმაც კანონპროექტების წერის გარდა, პრაქტიკულად, ვერაფერი გააკეთა და ვერც გააკეთებდა,



***ჩამოათრევენ მისი მითითებით ერთ დაჩაგრულ კაცს „შპონკიდან“, წიხლით დაამტვრევენ, აფურთხებენ, ამცირებენ და მერე ფულს შეაწერენ. შემდეგ პატიმარი იძულებული ხდება, სახლში კარის პოლიციელი, ე.წ. „ფეხი“ გაუშვას ფულის მოსატანად.***

რადგან ექსპერტების აზრით, ის მხოლოდ დასავლეთის მხრიდან ფინანსური დახმარების მისაღებად მორიგი კეკლუცობა გახლდათ.

2000 წლის წინ გადადგმულ ნაბიჯად „პოლიციის შესახებ“ კანონის ამოქმედება უნდა ყოფილიყო. ამ კანონმა შს მინისტრს, კახა თარგამაძეს „ღობის მიღმა სამყარო“ დააკარგვინა.

## ციხეს რად უნდა რკინის კარები...

ციხე-კოლონიების იუსტიციის სამინისტროსთვის დაქვემდებარებამ შედეგი ვერ გამოიღო. ციხეში გამეფებული ქურდული ინსტიტუტი და ვაჭრობა კვლავ ძალაში რჩება. ერთ-ერთმა პატიმარმა დეტალურად აგვიწერა ციხის „სამზარეულო“. კორუფცია ციხეში ისედაც გაუბედურებული პატიმრების ოჯახის წევრებს საბოლოოდ ტყავს აძრობს.

სამწუხაროდ, დღესდღეობით, ციხეში ქურდული სამყაროს პრიორიტეტი ისევ ძალაში რჩება. ძალაში რჩება „ნასედკების“ ინსტიტუტიც. ისინი ჩვეულებრივი პატიმრები არიან, რომლებიც გამომძიებლებისა და პოლიციის ინფორმატორობის ფუნქციას დამკვეთთა ინტერესების დაცვით ახორციელებენ. პატიმრებისგან „დედა ტერეზად“ მონათლული ელენე თევდორაძე არ უარყოფს, რომ ციხეებში დღესაც ძველი მენტალიტეტი ბატონობს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მსოფლიო პრაქტიკაში ციხეებში ცივილიზებული წესით არსებობს ე.წ. აგენტურული ქსელი, რომელიც ციხეში ბუნტის, გაქცევისა და სხვა დანაშაულობათა წინააღმდეგ არის გამიზნული.



პატიმართა ინფორმაციით, კამერებში ფულის ამოღების მეთოდი ძალაშია: კამერაში ოცამდე კაცია. არის „მაყურებელი“. „მაყურებელს“ სამი-ოთხი მიტმასნილი, ე.წ. „კაი ბიჭი“ ჰყავს გვერდში, რომლებიც ყველაფერში ეთანხმებიან მას. ჩამოათრევენ მისი მითითებით ერთ დაჩაგრულ კაცს „შპონკიდან“, წიხლით დაამტვრევენ, აფურთხებენ, ამცირებენ და მერე ფულს შეაწერენ. შემდეგ პატიმარი იძულებული ხდება, სახლში კარის პოლიციელი, ე.წ. „ფეხი“ გაუშვას ფულის მოსატანად. თანხა 100-დან 500 დოლარამდე აღწევს. „რესბალნიცაზე“ გადაყვანაც პატიმრებს ფული უჯდებათ. ყოველივე ამის ფონზე პატიმართა მხრიდან 2000 წელს ციხეში მომხდარ დანაშაულობათა რაოდენობამ ერთი-ორად იმატა. დაფიქსირდა სისასტიკით ჩადენილი მკვლელობებიც. ამის მაგალითად აგვისტოში მომხდარი მკვლელობის გახსენებაც იკმარებდა, როდესაც ერთ-ერთი პატიმარი მამაკაცი ტუსაღთა ხროვამ გააუპატიურა, შემდეგ კი ცემით ამოხადა სული.

პენიტენციალური სისტემის ადმინისტრაციის უსუსურობამ ორი თვის წინ პიკს მიაღწია. უკონტროლოდ დატოვებული პატიმრები „უსაქმურობის“ თავიდან ასაცილებლად გვირაბების თხრის „ტექნიკას“ ეუფლებიან. მალე ხელისუფლების მხრიდან ყველაზე საშიშ ტერორისტებად შერაცხული, ხოლო ზვიადისტებისა და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ პოლიტპატიმრებად წოდებული თმაშეღებილი გურამ აბსანძე და წვერგაპარსული ლოთი ქობალია 12-მდე „თანამეინახესთან“ ერთად იპარებიან ღიღინით: „ციხეს რად უნდა რკინის კარები“. ისინი კუდიგორის ტყეს, სასეირნოდ და კარტოფილის „მწვადის“ შესაწვავად, რაჭის ტყეს ამჯობინებენ. ლოთი ქობალიას, გურამ აბსანძისა და სხვათა სეირნობა იუსტიციის მინისტრს, ჯონი ხეცურიანსა და გივი ყვარელაშვილს სანუკვარ სკამს დააკარგვინებს, ხოლო „რესბალნიცის“ არაერთი თანამშრომელი მალე თავიანთი დაქვემდებარებული პატიმრების ბედს გაიზიარებენ.



გვირაბების გათხრის წყალობით, მოქალაქეთა კავშირის ფრაქციის თავმჯდომარეს, ბობოქარ მიხეილ სააკაშვილს მალე პარლამენტიდან მოიშორებენ და იუსტიციის მინისტრის პოსტს ჩააბარებენ. სააკაშვილი იუსტიციის სისტემაში რეფორმებს კადრების შეცვლით იწყებს, თუმცა პენიტენციალურ სისტემაში არსებულ მძიმე ვითარებას ვერ ცვლის.

## სასამართლო რეფორმამ კრახი განიცადა

კრიზისული მდგომარეობაა რეფორმაჩატარებულ სასამართლოებში. მოსამართლეთა მხრიდან ქრთამის მოთხოვნითა და აღებით გაწამებული მოქალაქეები ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს კვლავაც არ აკლია. სხვათა შორის, ამ ფაქტს არც ელენე თევდორაძე უარყოფს. უფრო მეტიც, მისი თქმით, მოსამართლეები დღესაც შეკრულები არიან გამომძიებლებთან, პროკურორებთან. თავის მხრივ, გრძელდება გასვრილ მოსამართლეებზე ზეწოლა პროკურატურის მხრიდან, რაც ხშირად არაობიექტური განაჩენის მიზეზი ხდება.

პრაქტიკულად, სასამართლო რეფორმა ჩაიშალა. მმართველი პარტიის ერთი ნაწილი ამის მიზეზად პროკურატურისა და პოლიციის რეფორმის გაუტარებლობას ასახელებს. არადა, ფაქტია, პროკურატურის რეფორმა ჯერ კიდევ ზაფხულში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ შეჩერდა. საბჭოური მენტალიტეტის ბრალმდებლები რეფორმის წინააღმდეგ წავიდნენ.

თავის მხრივ, პრეზიდენტი არაპირდაპირ პროკურატურის მხარეს დგება და კანონმდებლობისგან პოზიციების შეჯერებასა და კონსენსუსს ითხოვს. არადა, ექსპერტების გამოკვლევების მიხედვით, თუ სასწრაფოდ არ გატარდება პროკურატურისა და პოლიციის რეფორმა, სასამართლოში წმენდა თავიდან იქნება ჩასატარებელი.

2000 წლის ბოლოს ხელისუფლების კრიზისმა რეალური სახე მიიღო. თანდათან საშიში ხდება მოსახლეობისა და ხელისუფლების ორ პოლუსად გახლეჩა. სიტუაციის გასანეიტრალებლად მთავრობა გამოსავალს ვერ პოულობს და მშიერი მოსახლეობის მხარეს დამდგარი პრესაც მისთვის შეტევის ობიექტი ხდება...

***მარინა მამისაშვილი***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## – ტი კაკოი კრანოვშჩიკ, ტაკოი ფუტბალისტ ბუდეშ!

ჩემი მეგობარი ოთარ ჩეჩელაშვილი ახალგაზრდობაში გადასარევად თამაშობდა ფეხბურთს.

70-იან წლებში ჯარში გაიწვიეს და ომსკში, სამშენებლო ბატალიონში მოხვდა. რუსული თითქმის არ იცოდა.



მეგობარმა ურჩია, „სანტექნიკოსობა“ დაიბრალე, ამ ხელობას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება და იოლას გახვალო.

მაიორმა ყველას ჰკითხა, რა ხელობა იცითო. ოთარმა, „კრანოვჩიკი“ ვარო — მიახარა. მაიორს ისე გაეხარდა, რომ ოთარს არაფერს ავალებდა. ერთი თვის შემდეგ დაუძახა, წაიყვანა მშენებლობაზე, მიიყვანა 30 მეტრიან ამწესთან, თვითონ წინ ავიდა კიბეზე. მალე კაბინაში შევიდნენ და ჰკითხა:

— ეტი პრიბორი ზნაეშ?

ოთარმა უპასუხა:

— ტავარიშ მაიორ, ნი ეტა კრან, ა კოტორი ატკრივაიუტ ი ზაკრივაიუტ.

მაიორს გული წაუვიდა, ძლივს ჩამოიყვანეს მალლიდან.

ერთი თვის შემდეგ, ფეხბურთის გუნდს აკომპლექტებდნენ, ოთარმა ითხოვა, მეც მათამაშეთო.

მაიორმა უთხრა:

— ტი კაკოი კრანოვშჩიკ, ტაკოი ფუტბალისტ ბუდეშ!.. და აღარ აიყვანა.

***ვ. ირემაძე, დმანისი***

## აინშტაინს არ ჰქონია...



ცნობილი ნეიროქირურგი პატივცემული დავით ჩიქოვანი და ცნობილი ტრავმატოლოგი ბატონი ზურაბ ხაბეიშვილი აკეთებენ ოპერაციას — პაციენტს თავის ქალას ხდიან. მოხადეს და რას ხედავენ: უზარმაზარი ტვინი აქვს, დაახლოებით 5კგ. საწყალი კაცი კი დაიღუპა, მაგრამ ექიმები გაშტერებულები დატოვა, თურმე ამხელა ტვინი არც აინშტაინს ჰქონია, არც ნიუტონს და მოკლედ, არც ერთ მეცნიერს.

დაუძახეს ჭირისუფალს. პაციენტი ოსი იყო, გალაევი, ძმაც, რა თქმა უნდა, ოსი ჰყავდა. შეწუხდა, ძმის სიკვდილი რომ გაიგო, მაგრამ ექიმებმა მაინც გაუბედეს და უთხრეს:

— თქვენს ძმას უზარმაზარი, 5 კილომდე ტვინი აღმოაჩნდა, საიდან ამხელა წონის ტვინი?

— რა ვიცი, სენი წილიმე, ისე მოვიდა 60 წლამდე, ტვინი საერთოდ არ უხმარია.

***ვაჟა ჭყონია, ქუთაისი***

## იქით გაჩუქებ თუ გინდა...

ერთი მეგრელი თავის „თანამემამულეებთან“ ერთად თბილისში ჩავიდა სავაჭროდ. მანეთობის დროა. რაღაც წვრილმანებს ყიდიან.



ერთ მშვენიერ დღეს მასთან ერთი კაცი მივიდა და სთხოვა, დახლის მცირე ნაწილი დამითმე, გასაყიდად ტელევიზორის დამცველ ნათურებს მოვიტანო. ჩვენმა გმირმაც უცნობს მისი დახლით სარგებლობის ნება დართო.

ის კაცი დამცველებს 15-15 მანეთად ჰყიდდა (როგორც მერე გაირკვა, მას წინასწარ შეთანხმებული პირები ყიდულობდნენ). ჩვენმა მეგრელმა სთხოვა, — მეც ამაღებინე ნათურებიო. მან — უფროსს შევუთანხმებო, — საქმე გააჯანჯლა და ბოლოს 7-7 მანეთად შეაძენინა დამცველები.

ჩვენი „ვაჭარი“ აქეთ ეცა, იქით ეცა, ფული ისესხა და უცნობ კაცს ჩააბარა.

გავიდა დრო და დამცველებს არავინ ყიდულობს 15 მანეთად (გიჟი კი არაა ხალხი). დაუკლო ფასს — არაფერი. კიდევ დაუკლო — მაინც არაფერი. ბოლოს იფიქრა — ტელეატელიეში მაინც ჩავაბარებო. მიასწავლეს, მივიდა. იქაურმა თანამშრომელმა გაიცინა (მას თითო დამცველი 7 მანეთად შესთავაზა კაცმა), მერე უჯრა გამოაღო, რომელიც სავსე იყო ასეთი დამცველებით და უთხრა:

— ა, ბატონო, ყიდვა კი არა, თუ გინდა, ამათ ისე გაჩუქებ...

საწყალი „ვაჭარი“ მიხვდა, როგორ გააცურეს.

***ინგა ახალაია, ზუგდიდი***

## გეიქცევა მაგი თევზი, თუ რა ხდება?..



გიგლა მსხალაძე პურმარილზე მიიწვიეს. იგი ხორცის უსაშველოდ მოყვარული იყო და სულ გადაჭამა იქაურობა, არ დაიკლო არაფერი, ბდღვირი ადინა გოჭს, ინდაურს, საცივს, ხაშლამას.

თანამეინახემ თევზი გადააწოდა. გიგლამ არ გადაიღო. კიდევ გადააწოდეს — მაინც არ გადაიღო.

ბოლოს, თავი რომ მოაბეზრეს, იყვირა:

— მაგი თევზი ქვის ქვეშ კი არ არის, რომ გეიქცეს სადმე, მაცალეთ ჭამა.

***ლუკა ბერსენაძე, ოზურგეთი***

## ამინთეთ შუქი!!!



ახალშეუღლებულ ცოლ-ქმარს მეგობარი ეწვია. სტუმარს შესანიშნავად გაუმასპინძლდნენ, მალე მამაკაცები შეზარხოშდნენ. ცოლ-ქმარს მხოლოდ ერთი ოთახი და ერთი საწოლი ჰქონდა.

მასპინძლებმა სტუმარს პატივი სცეს და საწოლზე მოასვენეს. თვითონ კი იატაკზე დაწვნენ.

სტუმარმა ისეთი ხვრინვა ამოუშვა, კედლებმა ზანზარი დაიწყო.

ცოლ-ქმარმა ვერ მოისვენა იატაკზე და სტუმარი, რომელსაც ღრმად ეძინა, იატაკზე გადმოსვეს, თვითონ კი საწოლზე მოთავსდნენ. შუაღამით სტუმრის ყვირილი შემოესმათ:

— ხალხი არა ხართ? მიშველეთ, ამინთეთ შუქი. რამდენი ხანია ვწვალობ და საწოლიდან ვერ ჩამოვედი.

***ი. გურეშიძე, ქუთაისი***

## – ყველას ჩაგხდით და ჩამოგართმევთ...

კომუნისტების დროს ტრიკოტაჟის ერთ ფაბრიკაში მომუშავე ქალები ტრუსებს ორიგინალური მეთოდით იპარავდნენ — რამდენიმეს კაბის ქვეშ ამოიცვამდნენ და გავაგასქელებულები მიდიოდნენ სახლებში.



ფაბრიკის დირექციამ შეიტყო ამ მეთოდის შესახებ, მაგრამ ზომებს ვერ იღებდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

საკითხის გადაწყვეტა ერთმა მოხუცმა ნაჩეკისტარმა კომუნისტმა ითავა, დაიმუქრა, ყველას სახალხოდ ჩავხდი და ჩამოვართმევ ნაქურდალსო.

ქალებმა ეს რომ გაიგეს, სასწრაფოდ ტუალეტში შეცვივდნენ... გაიხადეს და... ქვედა საცვლების გორა დააყენეს.

ამით ნასიამოვნები მოხუცი კომუნისტი დირექციაში შევიდა, ხელში ჯოხი ეჭირა, რომელზეც ტრუსი იყო წამოცმული.

— ჩვენი პროდუქცია სრულადაა დაბრუნებული, ეს კი ვერ გავიგე, რომელი ფაბრიკისაა, — გაიცინა მან.

თურმე, სიჩქარეში, რომელიღაც ქალს თავისი ტრუსიც გაეხადა.

***ალექსანდრე ნეკრესელი, საგარეჯო***

## ბარკლების დამტვრევა



ერთმა ჩემმა ახლობელმა, გურამ მირიანაშვილმა ბიზნესი წამოიწყო — იგი გაყინულ ქათმის ბარკლებს მაღაზიებში აბარებდა. გამყიდველი ქალები სთხოვდნენ, ყინულის დამტვრევა გვიჭირს და ყუთები და ბარკლები დაგვიმტვრიეო. გურამიც დაუზარებლად აკეთებდა ამ საქმეს.

ერთხელ იმ მაღაზიაში შევიდა პროდუქტის საყიდლად, სადაც თავადაც აბარებდა პროდუქტს. ნავაჭრი დაიანგარიშეს, 5 თეთრი დააკლდა და გამყიდველი აწუწუნდა. გურამი გამწარდა და უსაყვედურა:

— მთელი ზამთარი ბარკლებს გიმტვრევდი და 5 თეთრი არ უნდა მაპატიო?

ამ საუბარს შეესწრო გამყიდველის ნასვამი ქმარი. დანარჩენი თქვენ წარმოიდგინეთ.

***„კუწია“, სამგორი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

ჯარისკაცი „პრაპორშჩიკს“ ეხვეწება:

— იქნებ ახალი ფეხსაცმელი მომცეთ, ძველი სულ გაიცვითა.

ის კი გულგრილად პასუხობს:

— რა უჭირს მაგ „ბათინკას“, ახალივით გამოიყურება.

ჯარისკაცი აყვირდა:

— როგორ თუ ახალი?! ახალი კი არა, ისეა გაცვეთილი, დავადგამ თუ არა ფეხს ათთეთრიანს, მაშინვე ვხვდები „არიოლზეა“ დამჯდარი თუ „რეშკაზე“.

***დ. ჩუთლაშვილი, ახალსოფელი***



ოსი ტაქსით მგზავრობდა. მძღოლმა ჰკითხა:

— გახედე ერთი, თუ მუშაობს „პავაროტნიკი“.

ოსმა გადაყო მანქანიდან თავი და უპასუხა:

— მუსაობს, არ მუსაობს, მუსაობს, არ მუსაობს...

***თამაზ მიქაძე, სამტრედია***





მასწავლებელი:

— ბეროია, ადექი და მითხარი რთული გავრცობილი წინადადება.

მოსწავლე:

— რეზოიეს დედასთან ყოველდღე დადის კოწია ბიძიე და ისინი ერთხანს რჩებიან ოთახში.

მასწავლებელი:

— დეეგდე ძირს. როინია, ბიჭო, მითხარი შენ მოკლე წინადადება.

როინი:

— მოკლედ, მასწავლებელო, რეზოიეს დედა ბოზია.

***ვაჟა ჭყონია, ქუთაისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

# მე–20 საუკუნეში საქართველო განახევრდა...

სამწუხაროდ, საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული საზღვრის შესახებ ბევრმა ქართველმა არა უწყის რა, რადგან ტერიტორიების უმრავლესობა დღეს სხვადასხვა სახელმწიფოთა კუთვნილებაა...

საქართველომ XX საუკუნეში არა მარტო აფხაზეთი და სამაჩაბლო დაკარგა, არამედ უზარმაზარი ტერიტორიები წაგლიჯეს, რის თაობაზეც გვესაუბრება ისტორიკოსი, „თეთრი გიორგის" სამართალმემკვიდრე, ქართველ ნაციონალისტთა მეთაური **გიორგი მამალაძე:**

— 1918-21 წლებში საქართველოს ტერიტორია 95.000 კმ$^2$ იყო. საზღვარი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე, მაიკოფთან უერთდებოდა კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს (ჩრდილოეთით), აღმოსავლეთით მიუყვებოდა კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს დაღესტნის მთების ჩათვლით, მდინარე ყურმუხჩაის სათავეებიდან უერთდებოდა მდინარე აგრიჩაის და მერე მდინარე ალაზანს, სადაც ახლა მინგეჩაურის წყალსაცავია. აქედან დასავლეთისკენ მიუყვებოდა მტკვრის აღმადინებას, გადაუხვევდა სამხრეთით — მთების ზოლის გასწვრივ, თითქმის ახლანდელ ქალაქ დილიჟანამდე. შემდეგ მოემართებოდა ჩრდილო-დასავლეთისაკენ, გამოუყვებოდა დღევანდელ თურქეთ-საქართველოს საზღვარს და გრძელდებოდა სამხრეთით, ჩრდილის ტბის გადაღმა, ქალაქ თორთუმის და ქალაქ ისპირიის გაყოლებით — შავ ზღვამდე. აქ ქალაქ ოფასთან (თურქეთი) სრულდებოდა.

დასავლეთის საზღვარი შავი ზღვა გახლდათ. რაც ჩამოვთვალეთ, ამ ტერიტორიით გვცნო ჩვენ ევროპის, აზიის, ამერიკის სახელმწიფოებმა, ვერსალის უმაღლესმა საბჭომ და რუსეთმაც.

რუსეთისა და თურქეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, დავკარგეთ ტერიტორიები:

ჩრდილო-დასავლეთით — მაიკოფიდან გაგრამდე, მდ. ფსოუმდე; ზღვის სანაპირო, სოჭის ჩათვლით კავკასიონის წყალგამყოფ ქედამდე, რაც 4.000 კმ$^2$-ია. იგი ბოლშევიკურმა რუსეთმა თვითონ მიიერთა. ამ ტერიტორიას ისტორიულად ჯიქეთი ერქვა. უძველეს ხანაში აქ ცხოვრობდა ქართული, ჰენიოხთა ტომი. ნათქვამს ადასტურებს ისიც, რომ გვარები — ჯიქია, ჯიქიძე სწორედ ამ მხრიდან მომდინარეობს.

ბოლშევიკებმა საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილს ჩამოაკლეს დვალეთის ტერიტორია და მიუერთეს ჩრდილოეთ ოსეთს. ივანე ჯავახიშვილის ცნობით, ეს მიწა 497 კვ ვერსს შეადგენდა, რაც დაახლოებით 400 კმ$^2$-ზე მეტია. ამ ტერიტორიას რუსები არდონის ხეობას უწოდებენ. აქ მდებარე უძველესი ქართული ციხე-კოშკები — კასარის, დავითის ხილაგა და — ოსების ხელში გადავიდა.

უფრო აღმოსავლეთით, კავკასიონის ქედს გადაღმა, საქართველოს ჩამოაჭრეს შედარებით მცირე, 300 კმ$^2$ ტერიტორია ხევ-ხევსურეთისა, რაც ასევე რუსეთის ფედერაციას, კერძოდ, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკას გადასცეს. ამ მიწაზეა ქართული კულტურის ერთ-ერთი ძვირფასი ძეგლი — ტყობარდის ბაზილიკა.

ჩრდილო-აღმოსავლეთით საქართველოს წაგლიჯეს ჰერეთის მიწები, რომელსაც საინგილოს სახელწოდებით ვიცნობთ. დაკარგული საინგილო 3.564 კმ$^2$-ია. ჰერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, იგივე კამბისენა, ახლანდელი კამბეჩოვანი, მინგეჩაურის წყალსაცავიდან მტკვრის მარცხენა სანაპირომდე აზერბაიჯანს გადაულოცეს. ამ დანაშაულებრივი ქმედების არგუმენტი თითიდან გამოწოვილი გახლდათ — თითქოსდა, ეს ტერიტორია არ შედიოდა თბილისის გუბერნიაში მაშინ, როცა საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. მნიშვნელოვანია, რომ ეს იყო თურქეთის მოთხოვნა, რადგან თურქეთი აზერბაიჯანის მოკავშირედ ითვლებოდა. საქართველომ კამბეჩოვანის ჩამოკლებით კიდევ დაახლოებით 2. 500 კმ$^2$ დაკარგა.

ბოლშევიკებმა ასევე უსინდისოდ წაგვგლიჯეს ლორე-ტაშირის მიწები, იგივე გუგარეთის სამხრეთი. ეს მხარე ქართლის მოწინავე სადროშო იყო. საქართველოს ამირსპასალარის რეზიდენცია გახლდათ ლორეს ციხე. მისი ტერიტორია 3.500 კმ$^2$-ია. სომხები ლორე-ტაშირს ვრაცების, ანუ ქართველთა ველს უწოდებდნენ. 1919 წელს, გაურკვეველი მიზეზით, ინგლისმა ლორე-ტაშირის ტერიტორია სადავოდ გამოაცხადა, რითაც ისარგებლეს ბოლშევიკებმა და მიწა დიდსულოვნად დაუთმეს სომხებს. აქ არის ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლები: ახტალის, ქობულის მონასტრები, აქორის გუმბათოვანი ტაძარი.




მე-20 საუკუნეში დაიკარგა სამცხე-საათაბაგოს უდიდესი ნაწილი: შავშეთი, ჩრდილი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ისპირი (ისტორიული სპერი), ამიერ და იმიერტაო, თორთუმი, აღმოსავლეთ ჭანეთი ქალაქ რიზეს ჩათვლით. საზღვარი გადიოდა ქ. ოფთან. აღნიშნული ძველი ქართული მიწები მიითვისა თურქეთმა.

განმარტებისათვის: 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, ეს ტერიტორია შედიოდა ამიერკავკასიის ფედერაციაში. 1918 წლის 26 მაისიდან კი საქართველოს შემადგენლობაში ირიცხებოდა. ერთი მხრივ, თურქეთი დაინტერესებული იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა და ამიტომ ჟორდანიას მთავრობას სთავაზობდა, მონაწილეობა მიეღო ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაში, სადაც მრავალ საკითხთან ერთად, იხილებოდა თურქეთ-რუსეთის საზავო ხელშეკრულების პირობებიც. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ნდობა გამოუცხადეს რუს სოციალ-დემოკრატებს და არ ჩავიდნენ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად, რის შემდეგაც რუსეთმა თურქეთს მეგობრულად დაუთმო საქართველოს მიწა-წყალი. ამ უკანასკნელმა (თურქეთმა) დაიკავა აღნიშნული ტერიტორია — ახალციხე და ახალქალაქიც ზედ მიაყოლა. თუმცა, სულ მალე ქართულმა ჯარებმა გაათავისუფლეს ეს მიწები.

მესხეთის ტერიტორიიდან ართვინი — 3.339 კმ$^2$-ია, არტაანი — 5.137 კმ$^2$, ოლთისი — 3.051 კმ$^2$, ფოცხოვი — 588 კმ$^2$, სულ 12.115 კმ$^2$, მაგრამ მასში არ შედის თორთუმის, ისპირისა და რიზეს მხარეები, რომლებიც დაახლოებით 4-5 ათასი კმ$^2$-ია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, როგორი დემოგრაფიული ვითარება გვექნებოდა, რომ არ დაგვეკარგა მესხური და ლაზური კერები, ისინი ხომ მრავალშვილიანობით გამოირჩევიან.

ეს მხარე მდიდარია კულტურულ-ისტორიული ძეგლებით, აქ ხომ დიდი გრიგოლ ხანძთელი მოღვაწეობდა!

ტაო-კლარჯეთიდან დაიწყო საქართველოს გაერთიანება და აღორძინება, დღესაც ახსოვთ ყველისციხეს, ჯაყის ციხეს, ოკდემს, თუხარისს, ფანასკერტს, ერუშეთს, არტანუჯს, ართვინს, ოლთისს, ოშკს, ხახულს, იშხანს, ბანას, ოპიზას, ტბეთს, კუმურდოს, ხანძთას, შატბერდის ლოდებს ქართული ხმა, ქართული გალობა... „სადაც აჩრდილნი მამა-პაპათა შემოგვძახიან — თქვენ გელოდებით!" (გიორგი ლეონიძე).

საქართველო კავკასიაში უდიდესი სახელმწიფო იქნებოდა, რომ არა მე-20 საუკუნის დამარცხებები...

ჩვენი წყალობით აზერბაიჯანი დაახლოებით 6 ათასი, ხოლო სომხეთი — 4 ათასი კმ$^2$-ით გაიზარდა.

1918-21 წლებში საქართველოს ტერიტორია 95.000 კმ$^2$-ზე მეტი იყო. კომუნისტებმა საქართველოს მიწები შეამცირეს 69.500 კმ$^2$-მდე. ამხელა ტერიტორია ჩაიბარა 90-იან წლებში მოსულმა ხელისუფლებამ, მაგრამ სამაჩაბლოს (3.900 კმ$^2$) და აფხაზეთის (8.600 კმ$^2$) დაკარგვამ საქართველოს ტერიტორია 57.000 კმ$^2$-მდე შეამცირა. თუ ამას დავუმატებთ იმ რეგიონებს, სადაც ქართული იურისდიქცია არ ვრცელდება, ვნახავთ, რომ მე-20 საუკუნეში დაიკარგა დაახლოებით 42. 000 კმ$^2$-ზე მეტი...

კომენტარი ზედმეტია.

დაბოლოს, ახალი საუკუნის კარიბჭესთან ჩვენს ხალხს ალექსანდრე მანველიშვილის სიტყვებით გავამხნევებთ: „ბუნებრივი საზღვრებიდან საქართველოს ხშირად ახევინებდნენ უკან, მაგრამ ხელსაყრელ შემთხვევებში ის მას კვლავ იბრუნებდა ხოლმე". ჩემი მხრიდან კი დავუმატებ, ხელსაყრელი შემთხვევა, ღვთის წყალობით, XX საუკუნეა.

თუ „კვირის პალიტრის" რედაქცია და მკითხველი დაინტერესდება, XX საუკუნის დამდეგს შევთავაზებთ ჩვენ მიერ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შედგენილ რუკას, რომელსაც ვუწოდეთ საქართველოს სამომავლო ისტორიული რუკა.

***ესაუბრა თამაზ ხაბეიშვილი***

რას წერენ ჩვენზე

## დაე, მავანმა ამტკიცოს...

(საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჰიმნის შესრულებისას ფეხზე არ წამოდგა)

***კომერსანტი №240***

მოსკოვში ჩატარდა დსთ-ის ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა სხდომა. ორგანიზაცია სუუამ-ს (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, მოლდავეთი) წარმოადგენდნენ მხოლოდ ამიერკავკასიის სახელმწიფოების მინისტრები. თანაც, საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელმა, გენერალ-ლეიტენანტმა დავით თევზაძემ ყველას აგრძნობინა, რომ ჩასული იყო არა სხდომაზე, არამედ, უბრალოდ, კოლეგებთან შესახვედრად. თავდაცვის მინისტრთა საბჭოს ჰიმნის ტრადიციული შესრულებისას (სხდომის დაწყების წინ), საქართველოს დელეგაციამ უარი თქვა ფეხზე ადგომაზე და სავარძლებში მსხდომებმა მოისმინეს სიმღერა, რომელიც საბჭოს ექსმდივანს, სამხედრო თანამშრომლობის მთავარი სამმართველოს უფროსს, ლეონიდ ივაშოვს ეკუთვნის. თუმცა, უცნაურიც კი იქნებოდა, რომ მოსკოვის მიერ სავიზო რეჟიმის შემოღების შემდეგ (რუსეთ-საქართველოს საზღვარზე), ოფიციალური თბილისის წარმომადგენლები წამომდგარიყვნენ და ისე მოესმინათ შემდეგი სიტყვები:

„Пусть иные с ухмылкой твердят про процессы логичные,
Эта логика жизни совсем не про нас.
Нам бы сжечь паспорта и разрушить столбы пограничные,
И в едином строю встретить звёздный свой час!"

„საქართველოს ერთი ჰიმნი აქვს, სხვა ჰიმნზე ჩვენ ფეხზე არ წამოვდგებით," — ამაყად განაცხადა ბატონმა თევზაძემ, რომელიც მანამდე, ერთი წლის მანძილზე, რატომღაც ფეხზე დგებოდა ჰიმნის შესრულების დროს. მაგრამ ეტყობა, მოსკოვს ეს სულაც არ აღელვებს.

სამხედროების წინაშე სიტყვით გამოვიდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი, რომელმაც მტკიცედ განაცხადა: „ჩვენი ურთიერთმოქმედება ლოგიკურად ვითარდება! არ ასრულდება მათი პროგნოზები, ვინც თანამეგობრობის დაშლას გვიწინასწარმეტყველებდა!" მინისტრს, ეტყობა, დაავიწყდა, რომ ბოლო ორი წლის მანძილზე, დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმებიდან გავიდა საქართველო, აზერბაიჯანი და უზბეკეთი. სამაგიეროდ, ყველას შეახსენა, რომ მომავალ წელს დსთ-ს ათი წელი უსრულდება და დამსწრეთ მოუწოდა ახლებურად მუშაობისაკენ.

## სავიზო რეჟიმი საერთო უშიშროების ნაწილია

***ნეზავისიმაია გაზეტა №241***

რუსეთ-საქართველოს საზღვარზე სავიზო რეჟიმის შემოღებამ მოწინააღმდეგეებს კოლექტიური ეპილეფსია დამართა. მართლაც, არაფერია უარესი იმ საბჭოთა ილუზიებსა და პრეტენზიებზე, რასაც ტრადიციისამებრ, უცხადებენ „უფროს ძმას", ახლაც, საბაზრო ეკონომიკის ეპოქაში, რომლის კანონია: ყველაფრისათვის უნდა გადაიხადო. ამ თვალსაზრისით, საქართველო რუსეთისთვის საინტერესო არ არის, რადგან ვერაფერს შესთავაზებს მას, ხოლო გეოსტრატეგიულ პარტნიორობაზე ლაპარაკიც არ ღირს. საქართველოს ტერიტორია რუსეთისთვის საშიშია არა მარტო იმიტომ, რომ იგი ჩეჩენი ბოევიკების საკურორტო ბაზაა, არამედ იმიტომაც, რომ უახლოეს მომავალში საქართველო გახდება ნატოს ერთ-ერთი პლაცდარმი რუსეთის საზღვრებთან. პარადოქსია, მაგრამ სავიზო რეჟიმის შემოღება ლამის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის საბაბად იქცეს, მოსკოვის ქართველ ინტელიგენციას კი არასოდეს არაფერი უთქვამს საქვეყნოდ საქართველოს ხელმძღვანელობის ქმედებებზე, რომელსაც უფსკრულისკენ მიჰყავს ქვეყანა, მაგრამ რუსეთის განკითხვას რუსეთისავე ტერიტორიაზე კი ბედავენ. რატომ არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ რუსეთთან სავიზო რეჟიმი ესტონეთის ინიციატივით შემოიღეს? ანდა განა ამერიკასა და ევროპასთან ამგვარივე ურთიერთობა ამ ქვეყნების ცივილიზაციებთან დაშორიშორებას ნიშნავს? საქართველოს აბობოქრება იმას მოწმობს, რომ რუსეთმა დსთ-ის პარტნიორები გადააჩვია თავისი დამოუკიდებლობისა და სიმტკიცის ჩვენებას. მოსკოვი ახლაც ირწმუნება და თითქოს თავს იმართლებს კიდეც, — ეს მოვლენა დროებითიაო... შეგახსენებთ, რომ სავიზო რეჟიმი ნებისმიერი სახელმწიფოს კანონიერი და დემოკრატიული უფლებაა. გახდება კი თუნდაც დროებითი სავიზო რეჟიმი რუსეთის ეროვნული უშიშროების ორგანული ნაწილი, თუ საქართველოს „დასჯის" ეპიზოდად შემორჩება, რომელიც არავითარ შედეგს არ გამოიღებს? მიხაილ კასიანოვმა განაცხადა, უვიზო მიმოსვლა, შესაძლოა, განახლდესო. იქნებ პოლიტიკაში დასაშვებიც კი არის ვაჭრობა, მაგრამ არა ასეთი ელვისებური ტემპით. ეს იმ ხელისუფლების, რომელიც ვიზის შემოღებიდან რამდენიმე დღეში მის შეცვლაზე ლაპარაკობს, კომპრომეტირებას ნიშნავს.



როგორც რუსეთის სასაზღვრო ფედერალური სამსახურის დირექტორის მოადგილემ ალექსანდრ ერიომინმა განაცხადა: „საზღვრების გამჭვირვალობას დიდი ზიანი მოაქვს რუსეთისათვის, მით უმეტეს, რომ რუსეთი ხდება არალეგალური მიგრაციის სატრანზიტო ქვეყანა." ერთი სიტყვით, სავიზო რეჟიმი „დასჯის" მეთოდი ან პოლიტიკური ნების დემონსტრირება (თუმცა, ზოგჯერ ესეც სასარგებლოა) კი არ უნდა იყოს რომელიმე ცალკეული ქვეყნის მიმართ, არამედ მთლიანი ეროვნული უშიშროების სისტემის შესაქმნელად გადადგმული ნაბიჯი. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთის ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, მაგრამ ჯერჯერობით, ძნელი სათქმელია, შეიქმნება თუ არა ეს სისტემა.

რუსეთმა პირველი ნაბიჯი გადადგა, ახლა სხვა რამეც არის მოსალოდნელი.

## რუსები აგრძნობინებენ ქართველებს, რომ მოთხოვნებს უნდა დაექვემდებარონ...

***ნიუ-იორკ თაიმსი***

სავიზო რეჟიმის შემოღება შეიქნა მიზეზი საქართველოს ისედაც სუსტი ეკონომიკის კიდევ უფრო დასუსტებისა. საქართველოს ეკონომიკა ენერგორესურსების სერიოზულ ნაკლებობას განიცდის და უმუშევრობის მაღალი დონითაც ხასიათდება. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით მეათედი ნაწილი, 500.000 ადამიანი რუსეთში მუშაობს. ისინი, წელიწადში, შინ 500 მლნ-დან 1 მლრდ დოლარამდე აგზავნიან. ყოველ მათგანს, რასაკვირველია, აშინებს ვიზების მიღების რთული პროცესი. საქართველოს ხელისუფლების აზრით, სავიზო რეჟიმი — ეს არის დაუფარავი მცდელობა, აიძულონ ქვეყანა, უარი თქვას პროდასავლურ პოლიტიკაზე და საქართველოს ტერიტორიაზე დატოვონ 4 რუსული სამხედრო ბაზა. „არა მგონია, რომ ღია ზეწოლამ შემოაბრუნოს ისტორია და აღადგინოს რუსეთის ძალაუფლება. ჩვენ არ ვაპირებთ უარი ვთქვათ სუვერენიტეტზე", — აცხადებს პრეზიდენტის მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საქმეებში გელა ჩარკვიანი.

საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საქართველოს პოლიტიკა არ ექვემდებარება მოსკოვის ინტერესებს. თბილისი მოითხოვს, რომ რუსეთმა შეასრულოს თავისი ვალდებულებანი. ამასთანავე, ამერიკის მხარდაჭერით საქართველო მონაწილეობს ნავთობსადენის მშენებლობაში, რომლის მარშრუტიც მოსკოვს არ მოსწონს. მას სურს, რომ კასპიის ნავთობი დასავლეთისკენ რუსეთის გავლით წავიდეს. ამასთან, საქართველო რუსეთის ზეწოლას განიცდის დასავლეთზე ორიენტირებული სუუამ-ის კავშირში მონაწილეობის გამოც. მოსკოვს ურჩევნია, საქართველო შეუერთდეს იმ ქვეყნების კავშირს, სადაც რუსეთი დომინირებს და რომელშიც ყაზახეთი და ტაჯიკეთი შედიან.

სავიზო რეჟიმის შემოღების საკითხის განხილვა რუსეთში ერთი წლის წინ დაიწყო, ვლადიმირ პუტინის გაპრეზიდენტების შემდეგ. მოლაპარაკებებში მონაწილე საქართველოს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მოლაპარაკების ქვეტექსტი ასეთი იყო: „დაექვემდებარეთ რუსეთის მოთხოვნებს და აიცდენთ სავიზო რეჟიმს". სავიზო რეჟიმის შემოღებამდე სამი დღით ადრე თბილისის 1,2 მლნ მცხოვრები ელექტროენერგიის გარეშე, სიბნელეში აღმოჩნდა, რადგან რუსეთმა შეწყვიტა გაზის მიწოდება. რუსების აზრით, ამის მიზეზი კი ის არის, რომ საქართველო საფასურს ნაწილობრივ იხდის. გაზის მიწოდება 4 დღის შემდეგ, საგანგებო მოლაპარაკების შედეგად აღადგინეს. ქართველი პოლიტიკოსების აზრით, რუსები ცდილობენ მოსახლეობაში უკმაყოფილება გამოიწვიონ. „რუსეთის ხელისუფლების გეგმა იმაში მდგომარეობს, რომ ასიათასობით ქართველმა დაკარგოს სამუშაო, რაც ქვეყნის ხელისუფლებას სერიოზულ დარტყმას მიაყენებს", — მიაჩნია სამთავრობო კვლევითი ცენტრის დირექტორს საგარეო პოლიტიკის სფეროში ალექსანდრე რონდელს.

სავიზო რეჟიმის შემოღების წინააღმდეგ საქართველოში, რუსეთის საელჩოს წინ საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა.

# ომების საუკუნე ესტაფეტას გადასცემს?!

XX საუკუნე ბოლო დღეებს ითვლის, თუმცა, იგი ისტორიაში სამუდამოდ დარჩება, როგორც ყველაზე დიდი აღმოჩენების და, სამწუხაროდ, ასევე ყველაზე სისხლისმღვრელი ომების საუკუნე...

ეტყობა, მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებას მუდმივად სჭირდება „ზედმეტი სისხლის გამოშვება“ და ამიტომაც შეიარაღებული კონფლიქტები დედამიწის ამა თუ იმ რეგიონში განუწყვეტლივ, მონაცვლეობით იფეთქებდა.

ამ საუკუნის ყველა ომისა და საბრძოლო მოქმედების მარტო მოხსენიებასაც კი, არათუ ერთი საგაზეთო სტატია, მთელი გაზეთიც არ ეყოფოდა, ამიტომაც XX საუკუნის ბოლო ათწლეულზე შევჩერდებით, რომელიც ასევე მდიდარი იყო ომებით (სამწუხაროდ) და უშუალოდ ამ სტრიქონების ყველა მკითხველზე მოახდინა გარკვეული, ირიბი თუ პირდაპირი გავლენა.

90-იანი წლების დასაწყისი გახდა რევოლუციური მოვლენების ერთგვარი სტარტი, რომელიც მსოფლიოს მეორე ზესახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია, ხოლო პირველი ზესახელმწიფო — აშშ ეულად დარჩა.

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე „ცივმა ომმა“ და მსოფლიოს ორი მთავარი ნაწილის სარაკეტო-ბირთვულმა დაპირისპირებამ დედამიწის მცხოვრებლები არაერთხელ დააყენა მასობრივი განადგურების საფრთხის წინაშე, რადგან ერთი ბირთვულქობინიანი რაკეტის, თუგინდ შემთხვევით გაშვებაც კი, ფართომასშტაბიან ბირთვულ ომს გამოიწვევდა, რომელშიც გამარჯვებული მხოლოდ... ტარაკნები თუ დარჩებოდნენ (ტარაკნები უძლებენ რადიაციულ დასხივებას).

საბედნიეროდ, 80-იანი წლების ბოლოს დაწყებულმა განიარაღების პროცესებმა გლობალური ბირთვული ომის შესაძლებლობა მკვეთრად შეამცირა, თუმცა მთელი ძალით გაჩაღდა რეგიონალური შეიარაღებული კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთსა და პოსტსაბჭოურ სივრცეში.

როგორც იტყვიან, კაცობრიობა „ზედმეტი სისხლის გამოშვებას“ იწყებდა და, რაც მთავარია, მსოფლიო ახალ გადანაწილებას მოითხოვდა, რადგან საბჭოთა იმპერია ნელ-ნელა იმსხვრეოდა...

## ომი სპარსეთის ყურეში

1991 წლის 17 იანვარი მარტო სპარსეთის ყურეში საბრძოლო მოქმედებების თარიღი არ არის, სწორედ ამ დღეს დაიწყო ეპოქა ახალი ტიპის ომებისა, რომლებიც მომავალ XX საუკუნეში უფრო დაიხვეწება და საერთოდ შეცვლის ჩვენს წარმოდგენას ომებზე.

სპარსეთის ყურე იქცა იმ პოლიგონად, სადაც დასავლეთმა გამოცადა თავისი ახალი ტიპისა და დანიშნულების საბრძოლო საშუალებები. ამიტომაც საუბარი იმაზე, რომ მრავალეროვნული ძალები ერაყელი დამპყრობლებისგან მხოლოდ ქუვეითის განთავისუფლებას ცდილობდნენ, მთლად მართებული არ იქნებოდა.



„ჭკვიანი“ საზენიტო რაკეტების შიშით ცაში თვითმფრინავს ვერ გადაუფრენია

„სტელსის“ ტექნოლოგიით დამზადებული უახლესი F-117A ტიპის გამანადგურებელ-ბომბდამშენები სპარსეთის ყურეში გამოჩნდნენ არა მარტო როგორც თვითმფრინავები, არამედ ბრძოლების წარმოების საერთოდ მანამდე არნახული ტაქტიკური მეთოდის განმახორციელებელნი.

„სტელსის“ ტექნოლოგიამ პენტაგონს საშუალება მისცა თავისი საჰაერო თავდასხმის საშუალება მოწინააღმდეგის რადიოლოკაციური აღმოჩენის სისტემებისთვის ბოლო წუთამდე ძნელად შესამჩნევი გაეხადა (და არა სრულიად აღმოუჩენელი, როგორც ეს ბევრს ჰგონია). ამით არა მარტო იზრდებოდა შეტევის ეფექტიანობა, არამედ იზოგებოდა საერთოდ საჰაერო ოპერაციაში მონაწილე თვითმფრინავების რაოდენობა და შესაბამისად, მათი პილოტების რიცხვი და ბომბებიც.

სწორედ ბომბებმა, ოღონდ არა უბრალო, არამედ მართვადმა, რომლებსაც მიზანთან „უჩუმრად მიპარული“ F-117A-ები დიდი სიზუსტით ყრიდნენ ღამის ბნელი ციდან, გაანადგურეს სადამ ჰუსეინის ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები და ამით ერაყელებს საშუალება მოუსპეს ორგანიზებული წინააღმდეგობა გაეწიათ მრავალეროვნული ძალებისთვის.

ჩვენს მკითხველს ნუ ეგონება, რომ მხოლოდ „სტელსი“ გახდა ახალი ფორმაციის საბრძოლო მოქმედებების ნიშანსვეტი.

„ტომაჰავკები“ — ეს ფრთოსანი რაკეტები, რომელთა გაშვებაც შეიძლება როგორც ბომბდამშენებიდან, ისე საზღვაო ხომალდებიდან და თვით წყალქვეშა ნავებიდანაც კი, იქცნენ იმ უზუსტეს მრისხანე იარაღად, რომელსაც ნახევარ საათში შეუძლია პირისაგან მიწისა აღგავოს თითქმის ნებისმიერი ქვეყნის სახელისუფლებო სტრუქტურების განთავსების ადგილები.

„ტომაჰავკები“ ასე ფართოდ და ეფექტიანად პირველად იქნა გამოყენებული და სამხედრო სპეციალისტები დარწმუნდნენ, რომ მომავალ საუკუნეშიც ფრთოსანი რაკეტები (რომლებიც დედამიწის რელიეფიდან 30-60 მ სიმაღლეზე მიფრინავენ და გამუდმებით იცვლიან ტრაექტორიას) სტრატეგიული და ტაქტიკური დანიშნულების თავდასხმის საუკეთესო საშუალება იქნება.

„მოჩვენება“ B-2 საუკუნის შედევრად იქცა



სპარსეთის ყურეში საბრძოლო მოქმედებების დროს კიდევ ერთი სახეობის იარაღი გამოჩნდა, რომელსაც არა მარტო წმინდა სამხედრო, არამედ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია. საუბარია ანტისარაკეტო სისტემა „პეტრიოტზე“. რომ არა „პეტრიოტები“, ჰუსეინის მიერ საუდის არაბეთისა და ისრაელის მიმართულებით გაშვებული ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტები „სკადები“ უდიდეს ზიანს მიაყენებდნენ ამ ქვეყნებს.

ფაქტობრივად, ჯერ კიდევ ათი წლის წინ, ასე სპონტანურად შეიქმნა „საბრძოლო მოქმედებების თეატრის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის“ ჩანასახი, სწორედ იმ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა, რომლის გამოც, 2000 წელს კრემლი და თეთრი სახლი ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდნენ. ასეთი სრულყოფილი სისტემის შექმნა და შემდგომში მისი კომპონენტების სტრატეგიულ დონეზე გაშლა აშშ-ს საშუალებას მისცემს, აღარ ეშინოდეს რუსების ბირთვული, ბალისტიკური რაკეტებისა და უფრო მკაცრ პოლიტიკას გაატარებს მოსკოვის მიმართ.

მაგრამ ეს ყველაფერი პლანეტარული მასშტაბის დონეზე მაშინ ხორციელდებოდა, როდესაც სხვა, უფრო მცირე მოცულობის, მაგრამ ჩვენთვის მეტად მტკივნეული სისხლისმღვრელი მოვლენები იწყებოდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

## შეიარაღებული კონფლიქტები პოსტსაბჭოურ სივრცეში

საბჭოთა იმპერიის დაშლას, რა თქმა უნდა, უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. კრემლმა დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირებების ინსპირირება ურჩ რესპუბლიკებში, ამ საქმეში ხელი მას ადგილობრივებმაც შეაშველეს — როგორც ჩინოვნიკებმა, ისე არაფორმალებმა. ამ უკანასკნელთ ხალხი ხშირად ბრმად მიჰყვებოდა, ხოლო თავად ისინი გამოუცდელობით, ხშირად უცოდინარობითა და ზოგჯერ წინასწარ, ბოროტი განზრახვით, ქვეყანას ახალ ომებში ითრევდნენ.

ასე მოხდა აზერბაიჯანსა და სომხეთში, ამავე სცენარით წარიმართა მოვლენები მოლდოვაშიც და ყოველივე ამას, სამწუხაროდ, ვერც საქართველო გადაურჩა (ერთადერთი, ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკა მოეგო გონს და არ აჰყვა პროვოკაციებს).

## ომი მთიან ყარაბაღში

საბჭოთა იმპერიის დაშლის პროცესის შეჩერება და აღშფოთებული ხალხის აზრის სხვა თემაზე გადატანა კრემლმა ეთნოკონფლიქტების გაღვივებით სცადა.

მთიანი ყარაბაღი სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის ის ნელი მოქმედების ნაღმი აღმოჩნდა (როგორებსაც საქართველოსთვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენდნენ), რომელიც საბჭოთა იმპერიამ ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ჩადო.

მთიან ყარაბაღში გაჩაღებული ომი იქცა იმ პირველ მერცხლად, რომელსაც მოგვიანებით მცირე ინტენსივობის შეიარაღებული კონფლიქტები ეწოდა. თუმცა მცირე ინტენსივობისა იგი დანარჩენი მსოფლიოსთვის გახლდათ, თორემ თავად აზერბაიჯანელებისა და სომხებისთვის თითქმის დამღუპველი შეიქნა.

ეს ომი, შეიძლება გარკვეულწილად, საარმიო დონეზეც კი მიმდინარეობდა, რადგან აზერბაიჯანელებმაც და სომხებმაც თითქმის მთლიანად დაიტოვეს მათ ტერიტორიებზე განთავსებული ყოფილი საბჭოთა მე-7 და მე-4 არმიების შეიარაღება და ფართოდ იყენებდნენ საბრძოლო მოქმედებებში.

მთიან ყარაბაღში ომი პერმანენტულად მიმდინარეობდა — საბრძოლო მოქმედებების ინტენსივობა ხან იზრდებოდა, ხანაც იკლებდა, თუმცა საბოლოოდ გარკვეული გამარჯვება მაინც სომხეთს დარჩა, რომელმაც მთლიანად ხელში აიღო ლაჩინის დერეფანი და დაეუფლა საბრძოლო ინიციატივას.

საბოლოო ჯამში, დღეისათვის ეს კონფლიქტი გაყინულია, თუმცა შექმნილია თვითგამოცხადებული „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა“; ამასთან, სომხურ მხარეს აზერბაიჯანის ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული.

## საბრძოლო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში

შეიარაღებული დაპირისპირება ცხინვალის მიდამოებში მაშინდელი ქართული ეროვნული მოძრაობის პირველ გამოცდად იქცა და იგი აქ პირწმინდად ჩაიჭრა.

კონფლიქტის ზონა არც დიდი იყო; ამასთან, ქართული ანკლავები (დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლები და სხვ.) საშუალებას იძლეოდა უფრო ეფექტიანად გამოეყენებინათ აშკარა უპირატესობა, რაც არ მოხდა.

1992 წლის ივლისში კონფლიქტის ზონაში ოთხმხრივი სამშვიდობო ძალები დადგნენ, რომელთაგან ადგილობრივი ქართველების ინტერესებს მხოლოდ ქართველი „ცისფერჩაფხუტიანები“ იცავდნენ და სხვადასხვა მიზეზის გამო, ხშირად ბოლომდე ვერა.



საუკუნის დასაწყისში დაბადებულმა ტანკმა ბოლოს უკვე „ფრენა“ ისწავლა

ეს კონფლიქტიც დაკონსერვებულია. ერთ-ერთი შედეგი კი ის არის, რომ თავად ცხინვალი წმინდა ოსური ქალაქი გახდა, ხოლო მის ქართველ მცხოვრებთ ალბათ კიდევ დიდხანს მოუწევთ „იძულებით გადაადგილებული პირების“ სტატუსით არსებობა.

## ბრძოლები დნესტრისპირეთში

„დაყავი და იბატონე“ — კრემლის ამ ტაქტიკას ვერც მოლდოველები გადაურჩნენ. დნესტრის მარცხენა სანაპიროზე ათწლეულების მანძილზე საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მნიშვნელოვანი ობიექტები იყო განთავსებული და, შესაბამისად, ტირასპოლში, დუბასარსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში (ბენდერები) პროიმპერიული განწყობილება სჭარბობდა.

სწორედ ეს ხალხი და მე-14 არმიის ოფიცრები გამოიყენა მოსკოვმა კიშინიოვისთვის დიდი პრობლემების შესაქმნელად. საბრძოლო მოქმედებები ამ კონფლიქტში სულ სამიოდე თვე მიმდინარეობდა და ბევრად უფრო მცირე მასშტაბებით (დაახლოებით ცხინვალის ომის დონეზე), ვიდრე ეს მთიან ყარაბაღსა და აფხაზეთში.

დღეისათვის დნესტრისპირეთშიც („კვირის პალიტრამ“ ორიოდე კვირის წინ მოინახულა ეს რეგიონი) „მუდმივი ყინვაა“ — თვითაღიარებული „დნესტრისპირეთის მოლდავეთის რესპუბლიკა“ აშკარა ინიციატივას იჩენს და თავისთან სათათბიროდ იწვევს მთიანი ყარაბაღის, ცხინვალისა და აფხაზეთის სეპარატისტების წარმომადგენლებს...

## აფხაზეთის ომი

ომი აფხაზეთში იქცა ბოლო ათწლეულის ერთადერთი შეიარაღებული კონფლიქტის ზონად, სადაც ბრძოლები მიმდინარეობდა სამსავე ფიზიკურ არეალში — ხმელეთზე, ჰაერში და წყალზე (არ არის გამორიცხული, წყალქვეშ — აფხაზეთის საზღვაო აკვატორიაში, რუსული ან თურქული წყალქვეშა ნავებიც გამოჩენილიყვნენ, თუმცა ამის უტყუარი დამადასტურებელი ფაქტები არ მოიპოვება).

სწორედ ხმელეთზე, ჰაერში და წყალზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა განაპირობა მათი საკმაოდ მაღალი ინტენსივობა. ამ ომში გამოყენებულ იქნა სახმელეთო ჯარების ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის თანამედროვე საშუალებები — საზენიტო — „იგლები“ და „სტრელები“ (სავარაუდოდ — „ოსაც“ და „ტუნგუსკაც“), რომლებსაც აფხაზების მხარეზე მებრძოლი რუსეთის არმიის სპეციალისტები ქართული სამხედრო და სამოქალაქო თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს ესროდნენ.

აფხაზეთის ომშივე განხორციელდა მასშტაბური საზღვაო დესანტის გადასხმა და ავტომაგისტრალების ბლოკირების ოპერაციაც (გამოყენებულ იქნა მოცულობითი აფეთქებები, დიდი დამანგრეველი ძალის მქონე საავიაციო ბომბები).

წესით, აფხაზეთის ომი შეიძლება ერთგვარ ეტალონად იქცეს XX საუკუნის მომავალი სამხედრო სპეციალისტებისთვის იმის თვალნათლივ საჩვენებლად, თუ როგორ არ უნდა აწარმოო საბრძოლო ოპერაციები (როგორც ამას ქართული მხარე აკეთებდა). სხვათა შორის, რუსეთის გენერალურ შტაბსა და რიაზანის უმაღლეს საჰაერო-სადესანტო სასწავლებელში ოფიცრებსა და კურსანტებს უკითხავენ სპეცკურსს, სადაც აფხაზეთის ომის (ისევე, როგორც ყარაბაღისა და ჩეჩნეთის პირველი ომების) ბევრი ნიუანსია გაანალიზებული, ჩვენთან კი...

## ჩეჩნეთის ორი ომი

შეიძლება ითქვას, რომ ჩეჩნეთის პირველი ომი, გარკვეულწილად, აფხაზეთის ომის ბუნებრივ გაგრძელებად იქცა. სწორედ აფხაზეთში დახვეწეს ბრძოლის პარტიზანული მეთოდები (მათ შორის, ბრძოლა ქალაქის პირობებში) შამილ ბასაევმა და თუ სხვა იქ მყოფმა ჩეჩნებმა. აფხაზეთიდანვე ჩავიდა დიდი რაოდენობის იარაღი ჩეჩნეთში.

ფაქტობრივად, რუსი სამხედროების მიერვე ჩრდილო კავკასიის საიდუმლო ბაზებში ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად მომზადებული ჩეჩნები ერთ წელიწადში თავად რუსებს დაუპირისპირდნენ, ოღონდ, ამჯერად ჩეჩნეთში.

ჩეჩნეთის ორივე ომში რუსეთმა ძალზე ინტენსიურად გამოიყენა საბრძოლო ავიაცია, ხოლო ჩეჩნეთმა — პარტიზანული ჩასაფრებები ავტოკოლონების წინააღმდეგ.

როგორც კი მეორე ომის დასაწყისში ჩეჩნებმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალეს და გროზნოს შენარჩუნება სცადეს, მათმა დანაკარგებმა მკვეთრად იმატა. საბოლოოდ, ჩეჩენი საველე მეთაურები ისევ პარტიზანული ომის მეთოდებს დაუბრუნდნენ, ამ ომში კი პარტიზანების დამარცხება ძალზე ძნელია.

## ომები ბალკანეთზე

კომუნისტური თუ დიქტატორული რეჟიმის მქონე იუგოსლავია, საბჭოთა კავშირის დაშლისა და ვარშავის პაქტის ავტომატურად ლიკვიდირების შემდეგ, დასავლეთისთვის ყელში გაჩხირული ძვალი იყო.

არა მგონია, ვცდებოდე, მაგრამ დასავლეთმა ბელგრადის წინააღმდეგ ის სცენა გაითამაშა, რომელსაც მოსკოვი თავის დროზე (და ახლაც) თავისი ურჩი რესპუბლიკების მიმართ ახორციელებდა.

თუკი სლოვენია შედარებით მშვიდობიანად გამოეყო ბელგრადის რეჟიმს, ხორვატიისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის თვითგამორკვევა ინტენსიურ ბრძოლებში გადაიზარდა.

მასში ორივე მხრიდან მონაწილეობდნენ რეგულარული ჯარის ნაწილები. ისინი ფართოდ იყენებდნენ იუგოსლავიის არმიიდან დარჩენილ მძიმე საბრძოლო ტექნიკას, მათ შორის მეორე მსოფლიო ომის დროინდელ T-34 ტანკებსაც კი.

მიუხედავად ამისა, მილოშევიჩის რეჟიმმა თითქმის ათი წელი გაძლო და დასავლეთიც „იძულებული“ გახდა, ბელგრადისთვის უკვე კოსოვოს პრობლემა „შეეგდო“.

რუსული წყალქვეშა ნავები ამერიკელებს მომავალ საუკუნეშიც დაემუქრებიან



ხოლო, როდესაც მილოშევიჩმა კოსოვოში „კონსტიტუციური წესის“ აღდგენა მოინდომა, საქმეში სპარსეთის ყურის ომიდან ჩვენთვის ასე კარგად ნაცნობი „ტომაჰავკები“ და F-117A-ები ჩაერთვნენ. მათ ასევე დაემატნენ „უხილავი“ უახლესი B-2 სტრატეგიული ბომბდამშენები, ხოლო ყველაფერი დააგვირგვინა GPS სისტემამ. სწორედ ამ სისტემით მართული „ჭკვიანი“ ბომბები მუსრს ავლებდნენ ბელგრადის შენობებს. ფაქტობრივად, GPS-მ საერთოდ შეცვალა წარმოდგენა თანამედროვე ომების წარმოებაზე, რომლის ფონზეც, „კალაშნიკოვით“ შეიარაღებული ჯარისკაცი უკვე ანაქრონიზმად იქცა.

## ეპილოგი

რამდენიმე დღეში ახალი საუკუნე და ახალი ათასწლეული დადგება; თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ომები წარსულს ჩაბარდება. პირიქით, თავდასხმის საშუალებები უფრო დაიხვეწება და საბრძოლო მოქმედებათა შედეგებიც უფრო კატასტროფული გახდება, რადგან დედამიწის რესურსები უკიდეგანო არ არის, ადამიანებს კი რატომღაც გამრავლება სჩვევიათ...

***ირაკლი ალადაშვილი***



საქართველოს სიწმიდენი

# კვართი უფლისა

იესო მაცხოვარი უფლის სიტყვას ქადაგებდა აღთქმულ მიწაზე. ღვთის არასათნომყოფელი მწიგნობრები და ფარისევლები კი გოლგოთის გზას უმზადებდნენ უფალს. მღვდელმა ანამ იერუსალიმიდან მისწერა ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ებრაელებს, ჩამოსულიყვნენ და მონაწილეობა მიეღოთ ჯვარცმაში. ქართველმა ებრაელებმაც მიიღეს ეს წერილი. ამ დროს მცხეთაში ებრაელი მღვდელი ელიოზი ცხოვრობდა, რომელმაც გადაწყვიტა იერუსალიმში გამგზავრება. ელიოზს დედა შეევედრა, არ მიეღო ამ ბოროტ საქმეში მონაწილეობა და ხელი არ გაესვარა იმ პიროვნების სისხლში, ვისზედაც მათი წინაპრები, როგორც მესიაზე წინასწარმეტყველებდნენ.

ელიოზი და მისი ერთი თვისტომი, ლონგინოზ კარსნელი, იერუსალიმს გაემგზავრნენ და მაცხოვრის ჯვარცმას დაესწრნენ. იესოს ჯვარზე გაკვრისას ლურსმნებზე ჩაქუჩის დარტყმის ხმა მცხეთაში ესმოდა ელიოზის დედას. ის ჰგოდებდა და ვაებდა ისრაელიანთა უგუნურებას: „მშვიდობით, მეფობაო ისრაელისაო, უბადრუკნო და წარწყმედილნო, უგუნურებით მოკალით უფალი და მაცხოვარი ყოველთა და გახდით ბოროტი მკვლელნი შემოქმედისა“... ენით აუწერელმა მწუხარებამ ღვთისმოსავ ქალს სიცოცხლე მოუსწრაფა.

ელიოზი და ლონგინოზი კი ღირსი შეიქნენ იმ ღვთიური მადლისა, რის თაობაზეც ათი საუკუნის წინ ამცნობდა მეფე დავითი, ფსალმუნთმგალობელი: „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“ (ფსალმ. 21, 19). ეს წინასწარმეტყველება სრულად ახდა მაცხოვრის ჯვარცმის ჟამს — ჯვარისმტვირთველი მაცხოვრის სამოსელი ჯარისკაცებმა განიყვეს, ხოლო კვართზე წილი იყარეს, რის შედეგადაც, კვართი უფლისა ქართველ ებრაელებს ერგოთ.

ელიოზმა და ლონგინოზმა კვართი თან წამოიღეს საქართველოში. შინ დაბრუნებულებს მათ წინ შემოეგებათ ელიოზის და სიდონია, რომელმაც ძმას დედის გარდაცვალება აუწყა. ხოლო, როცა მის ხელში უფლის კვართი იხილა, მყის გულში ჩაიკრა და იქვე აღესრულა. კვართი სიდონიასთან ერთად დაიკრძალა მცხეთაში.

მაცხოვრის კვართზე წილისყრა და შემდეგ მისი საქართველოში დავანება იყო უფლის დიადი განგებულება: წმინდა მოციქული იოანე მახარებელი გვიდასტურებს, რომ ჯვარცმის წინ იესო ქრისტეს სახელოებიანი პერანგი ემოსა და თანაც არა შეკერილი, არამედ დედაღვთისმშობლის მიერ ერთიანად მოქსოვილი. საქართველოს სწორედ ღვთისმშობლის წილხვდომილობის მეოხებით ერგო მის მიერ საკუთარი ძისათვის მოქსოვილი პერანგი, ნიშნად ქართველი ერის ქრისტეზე დაწინდვისა.

მას შემდეგ ქრისტეს კვართი თავისი მადლით იფარავს ჩვენს სამშობლოს. საუკუნეების მანძილზე



სარკინოზთაგან მრავალჯერ იყო მცდელობა მისი ხელყოფისა, რაც ძვირად დასჯდომია ყველა ამკლებსა და მაოხარს. საყოველთაოდ ცნობილია შემთხვევა, როდესაც თურქეთის ერთ სულთნის ცოლს სურდა სიდონიას კუბოს გახსნა. იგი ცეცხლის ალმა დასწვა, ხოლო მისგან გაგზავნილი კუბოს მთხრელი თათრები უხილავმა ძალამ განგმირა. ეს მაგალითი გაფრთხილებაა ყველა ავისმოსურნისა, რათა მომავალშიც ვერავინ გაბედოს უწმინდური ხელებით საქართველოს უმთავრეს სიწმინდესთან მიახლება, რადგან ყოვლად წმიდა ღვთისმშობელია მაცხოვართან ერთად ჩვენი საფარველი!

# უსჯულოების საიდუმლოს ნაყოფი

## (ვინ და რატომ შეცვალა იულიანური კალენდარი გრიგორიანულით?)

1582 წლის ოქტომბერში რომის პაპმა გრიგოლ X-მ გამოსცა საგანგებო ბულლა, რომლითაც მოახდინა საუკუნოვანი იულიანური კალენდრის რეფორმა. ამის შემდეგ დამკვიდრდა ე.წ. გრიგორიანული კალენდარი, ანუ ახალი სტილი, გაბატონებული დღეს მთელს მსოფლიოში.

ფარისეველმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ შემოქმედის მიერ შექმნილ ყოვლად მწყობრსა და სრულყოფილ სამყაროში უწესრიგობაა, მცირე ცთომილებაა, რომელიც გამოსწორებას, მოწესრიგებას საჭიროებს! კერძოდ, ზედმიწევნითი სიზუსტით გამოიანგარიშეს, რომ აქამდე დამკვიდრებული იულიანური კალენდარი ჩამორჩებოდა მზის მოძრაობას, წელიწადის სეზონებს — დროებს, რადგანაც მისი ხანგრძლივობა შეადგენს 365,25 დღე-ღამეს, ხოლო ტროპიკული წელიწადის ხანგრძლივობა 365,2422 დღე-ღამეა, ანუ იულიანური კალენდარი სულ ოდნავ გრძელია ტროპიკულ წელიწადზე (დღე-ღამის ერთ მესამედზე ნაკლებით). ხოლო რაკი ეს სხვაობა წლიდან წლამდე გროვდებოდა, ყოველ 128 წელიწადში მან ერთი დღე-ღამე შეადგინა. იულიანური კალენდარი მოქმედებდა 325 წლიდან, როცა ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დადგინდა — იულიანური კალენდრით, გაზაფხულის მზებუდობის მიხედვით გამოეანგარიშებინათ, როდის უნდა აღნიშნულიყო აღდგომა და საერთოდაც, ქრისტეს ეკლესიას იულიანური კალენდრით განეგრძო ცხოვრება. იმ დროიდან უკვე თორმეტ საუკუნეზე მეტს გაევლო და სხვაობასაც იულიანურ წელიწადსა და ტროპიკულ წელიწადს შორის 10 დღე შეედგინა: ამრიგად, მიიჩნიეს, რომ აუცილებელი იყო ამ ათდღიანი ცთომილების გამოსწორება, აღმოფხვრა!

და, აი, გრიგოლ X-მ კალენდრის რეფორმა მოახდინა: 1582 წლის 4 ოქტომბრის შემდეგ, მისი „ბრძნულ-მეცნიერული“ ბრძანებით, ჩვეულებისამებრ 5 ოქტომბერი კი არა, 15 ოქტომბერი დადგა! ათი დღე ამოიღეს ჟამთასვლის სათვალავიდან. თუმცა კვირის დღეთა სათვალავი შენარჩუნებულ იქნა: ოთხი ოქტომბერი პარასკევი იყო და მომდევნო დღე — 15 ოქტომბერიც — შაბათად დატოვეს. კალენდრის რეფორმა იმავე წელს მიიღო ევროპის კათოლიკურ სახელმწიფოთა უმრავლესობამ — იტალიამ, ესპანეთმა, პორტუგალიამ, საფრანგეთმა, ნიდერლანდებმა და სხვებმა. მაშინ სხვაობა ამ ორ კალენდარს შორის 10 დღეს შეადგენდა. ხოლო როცა 1918 წლის 31 იანვარს ასეთივე რეფორმა შემოიღეს ბოლშევიკურ რუსეთში (და მენშევიკების წყალობით — საქართველოშიც), განვლილი თითქმის სამსაუკუნენახევრის მანძილზე სხვაობას კიდევ სამი დღე-ღამე შეემატა და შეადგინა 13 დღე; ასე რომ, ბოლშევიკური დეკრეტით, 1918 წლის 31 იანვრის შემდეგ ჩვეული 1 კი არა, ერთბაშად 14 თებერვალი გათენდა.

ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, რა თქმა უნდა, ასეთი ცვლილება მიუღებელი იყო მრავალი საუკუნის განმავლობაში დამკვიდრებული საეკლესიო-სადღესასწაულო თანამიმდევრობის მკაცრად განსაზღვრული წესის გამო. ამიტომ მართლმადიდებელი ეკლესია განაგრძობს ძველი, იულიანური კალენდრით ცხოვრებას. ამის გამო მართლმადიდებლურ ქვეყნებში ერთგვარი გაორებული ცხოვრებაა — საერთო კალენდარი მრავალს აცდუნებს, მარხვას არღვევინებს, თავგზას უბნევს უცნობელთ; საეკლესიო კალენდარი კი, ცდილობს შეუნარჩუნოს მორწმუნეებს მამა-პაპათამიერი კეთილმოწესეობა. დაბოლოს, ახალი სტილის შემოღებამ კალენდარში გარდა ღმერთისა და მისი ეკლესიის საწინააღმდეგო სხვა ფაქტორებისა, გამოიწვია ის, რომ მისი მიმღებნი არასწორად, არამართლმადიდებლურად, მსოფლიო საეკლესიო კრებებისა და ღმერთის ნების საწინააღმდეგოდ, აღნიშნავენ ყველაზე დიდ დღესასწაულს — ქრისტეს ბრწყინვალე მკვდრეთით აღდგომას.

ნიშანდობლივია, რომ ეს ღმერთის, ეკლესიისა და ადამიანის ცხოვრების საწინააღმდეგო საქმე ბოროტმა სულმა აღასრულა თავისი ერთ-ერთი „ღირსეული“ მსახურის, ამქვეყნად „ღმერთის მონაცვლე“ პაპის გრიგოლ X-ის მეშვეობით, რომელიც გამორჩეული იყო თავისი ცბიერებით, ვერაგობითა და გარყვნილებით. ეს ის პაპია, რომელმაც ბართლომეს საშინელ ღამეს ათობით ათასი ადამიანის დახოცვით სამადლობელი პარაკლისი მიუძღვნა თავის „ღმერთს“ — სატანას!..

***კონსტანტინე ბოკერია***



# რას გვეტყვი, მამაო?

**— გთხოვთ, გვიპასუხოთ, საეკლესიო კალენდრით როდიდან იწყება 21-ე საუკუნე — 2000 წლის 1 იანვრიდან, თუ 2001 წლის 1 იანვრიდან?**

— 2000 წელი არის მე-2 ათასწლეულის დამამთავრებელი წელი და არა მესამე ათასწლეულის პირველი წელი. 2001 წელს დადგება 21-ე საუკუნე და დაიწყება მე-3 ათასწლეული.

**— 25 დეკემბერს ჩემს ბავშვს 1 წელი უსრულდება. თან ეს დღე ემთხვევა შობას კათოლიკური ეკლესიის კალენდრით. როგორ უნდა მოვიქცეთ მართლმადიდებლური სარწმუნოების მოთხოვნის თანახმად?**

— ეკლესია არავითარ წინააღმდეგობას არ გიქმნით თქვენი პატარის 1 წლის აღსანიშნავად. რაც შეეხება ახალი სტილით 25 დეკემბერს — მართლმადიდებლური კალენდრით ეს არის წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის ხსენების დღე. ამდენად, თქვენი საოჯახო დღესასწაული თანხვდება წმინდანთან დაკავშირებულ საეკლესიო ღირსშესანიშნავ თარიღს. ოღონდ საზეიმო სუფრაზე არ უნდა იყოს სახსნილო კერძები. ეკლესიის განწესებათა დარღვევა არ შეიძლება!

**— როდესაც უფალმა *ძველ აღთქმაში* აკრძალა ღორის ხორცის ჭამა, რამდენად გვეხება ეს აკრძალვა ჩვენ, ახალი აღთქმის ადამიანებს, ვინც საშობაოდ ღორის ხორცს გეახლებით?**

— ძველი აღთქმის კვებითი ხასიათის აკრძალვები გაუქმებულია. მათ ნაცვლად დაწესებულია ქრისტიანული მარხვები. კვებით აკრძალვებს ჰქონდა აღმზრდელობითი მნიშვნელობა: ღორის ჭამაზე უარის თქმა ნიშნავდა ზნეობის არიდებას ჭუჭყისა და უწმინდურებისაგან, კურდღლის ჭამაზე უარი — მოშიშარობისა და სიმფრთხალისაგან თავის დაღწევას... ისინი წარმოადგენდნენ ერთგვარ თვალსაჩინოებას, სადაც პირუტყვი ამა თუ იმ მანკიერებათა ალეგორიას წარმოსახავდა.

**— მაქვს ჩემთვის ნაყიდი ოქროს ჯვარი და ძეწკვი. შემიძლია თუ არა ჩემი ნაქონი ნივთით მოვნათლო ბავშვი და ეს ნათლობა შესრულდეს 2 იანვარს, ბედობის დღეს?**

— ეკლესია არ იცნობს ამ დღის განსაკუთრებულობის მოტივებს — 2 იანვარი არ განსხვავდება წლის სხვა დღეებისაგან რაიმე თავისებურებით, რომ არ შეიძლებოდეს მონათვლა. ნათლობის დროს შეგიძლიათ თქვენი ჯვრის ჩუქებაც. აკრძალვა ამის თაობაზე არ არსებობს. ნათლობის დროს ადამიანი იღებს ჯვარს, როგორც ჯვრის ტარების უფლებას, რაც ვრცელდება ნებისმიერ ჯვარზე, რომელსაც გულზე იკიდებთ მთელი ცხოვრების მეგზურად.

# მართლმადიდებლობის ჭეშმარიტების უტყუარი დასტური

***მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება თვით უფალმა მისცა თავის მოციქულებს და ეს სარწმუნოება წმიდად, ურყევად და შეურყვნელად არის დაცული მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, რასაც ცხადყოფენ უფლის ის ნიშები და სასწაულები, რომლებიც მოწმობენ მის ჭეშმარიტებასა და იულიანურ კალენდარზე დაფუძნებული ე.წ. ძველი სტილის მართებულობას. ქვემოთ შევეხებით სამ ასეთ სასწაულს.***

◆ ...აღდგომის წინდღეს, დიდ შაბათს **ძველი სტილით — ანუ მართლმადიდებლური კალენდრით** — მართლმადიდებელი პატრიარქი შედის უფლის საფლავზე აღმართულ სამლოცველოში. ამ დროს პატრიარქს ხელში აუნთებელი სანთლები უკავია. მას არც ასანთი აქვს და არც სანთებელა — ამისათვის საგანგებოდ ამოწმებენ ხოლმე სამლოცველოში შესვლის წინ. შემდეგ იწყება მხურვალე ლოცვა-ვედრება. და აი, ზეციდან მადლმოსილი ცეცხლი გადმოდის, პატრიარქის ხელში სასწაულებრივად ინთება სანთლები და იგი, უსაზღვრო სიხარულით აღსავსე, ანთებული სანთლებით გამოდის მორწმუნეებთან. ცეცხლი მაშინვე ყველას გადაეცემა. ამასთან სულაც არ არის საჭირო სანთლების ერთმანეთზე შეხება, ანდა ძალზე მიახლოება. ალი არ წვავს...

◆ ...უფლის ფერისცვალების დღეს, კვლავაც **ძველი მართლმადიდებლური სტილით,** — სრულიად მოწმენდილ ცაზეც კი უსათუოდ გამოჩნდება ხოლმე ღრუბელი და თაბორის მთას ადგას მთელი დღესასწაულის განმავლობაში. როგორც ცნობილია, ფერიცვალებულ უფალს, რომელიც ღვთაებრივი ნათლით გაბრწყინდა აქ, ღრუბელი დაადგა თავს, რადგან ამ საღმრთო ნათელმა თვალნი დაუბრმავა მოციქულებს — პეტრეს, იაკობსა და იოანეს.

◆ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლს, რომელიც იოსებ მუნიოსმა ჩაიტანა კანადაში, მირონი სდიოდა ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს ხელთაგან.

მირონის დენა წყდებოდა მხოლოდ ვნების კვირაში (ისევ და ისევ **ძველი სტილით — იულიანური კალენდრის მიხედვით)** და აღდგომის შემდეგ კვლავ განახლდებოდა!



გულითადი განდობანი

# ჩემი „ლაზარე“

საეკლესიო წიგნში წავიკითხე, რომ ყველას უნდა ჰყავდეს ერთი ადამიანი მაინც, ვისაც გამუდმებით დაეხმარება. მე ჯერ ჩემი ფული არა მაქვს, რადგან სკოლაში ვსწავლობ, მაგრამ როდესაც დილით დედა ხურდას მაძლევს, ხუთ თეთრს აუცილებლად გადავდებ ხოლმე, იმიტომ, რომ მე მყავს ასეთი ადამიანი. არ ვიცი, სახელად რა ჰქვია, მაგრამ მე მას ჩემი „ლაზარე“ შევარქვი — ქრისტეს იგავში რომ ლაზარეა მდიდრის კარებთან, იმის მიბაძვით. ჩემი „ლაზარე“ კი მეტროს ჩასასვლელში, კიბეებზე ზის და მოწყალებას ითხოვს. როცა ფულს ვაძლევ, სულ მიხარია, რაკი ვიცი, სხვებთან ერთად მეც ვეხმარები პურის ყიდვაში, რომ შიმშილმა არ შეაწუხოს!

***ლაშა ბერიძე, თბილისი***

# საბედისწერო ჩოგანი

დაახლოებით ორმოცი წლის წინანდელ ამბავს ვიგონებ: მაშინ მე უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდით და, ჩემი ასაკისათვის სრულიად ბუნებრივად, მომწონდა თანაკურსელი ქალიშვილი, რომელსაც ისე დავუახლოვდი, რომ ოფიციალურად ვაპირებდით ჩვენი ურთიერთობის გაფორმებას. ორივენი დასავლეთ საქართველოდან ვიყავით ჩამოსულნი დედაქალაქში — მე სტუდქალაქში ვცხოვრობდი, ის — თბილისის ერთ მყუდრო უბანში ქირაობდა ბინას. თანდათანობით ვუხშირე ვიზიტებს მასთან და უკვე ლამის მისი დიასახლისიც შინაურულად მმასპინძლობდა. ერთხელაც, ჩემი სტუმრობის დროს, ჩემმა გულისსწორმა გადაწყვიტა სახელდახელო სუფრა გაეწყო ჩემთვის. მეც სამზარეულოში ვიდექი, როცა ღომის კეთების დროს მოულოდნელად ამოსაზელი ჩოგანი დაუვარდა იატაკზე. მან ამ ჩოგანს მშვიდად მოჰკიდა ხელი და ისე, რომ არც გაურეცხავს და არც გაუწმენდია, უკანვე ჩაუძახა ქვაბში. ეს წუთი იყო და ის დღე — იმ სამზარეულოში დამთავრდა ჩემი სიყვარული. ჩვენი ურთიერთობის მოულოდნელ შეწყვეტას საერთო ნაცნობები ჩემს უცნაურსა და უგუნებელ ხასიათს მიაწერდნენ და დღემდე არავინ იცის, რომ მიზეზი იყო სულ პატარა, ხისგან გამოთლილი, გაურეცხავი ღომის ჩოგანი!

***ნ.რ. სამტრედია***

# ჩამჭრელი კითხვა

მე და ჩემი პატარა გოგონა ერთად ვუცქერდით ტელეეკრანზე საზღვარგარეთულ ფილმს. ერთ ეპიზოდში, მთავარი გმირების სასიყვარულო აპოთეოზში, ინტიმურმა სცენამ მიიღო გადაჭარბებულად გაშიშვლებული სახე. უხერხულობისაგან შევიშმუშნე და ვცადე ეკრანისათვის თვალის არიდება, მაგრამ უეცრად ჩემი გოგონა მომიტრიალდა და მეკითხება:

— დედიკო, შენ და მამიკოც იქცევით ხოლმე ასე?

კითხვამ ერთდროულად დამაბნია და შემაცბუნა, მაგრამ გადავწყვიტე, არ მეთვალთმაქცა და გულახდილად ამეხსნა ქალიშვილისათვის, რომ ერთმანეთთან გრძნობით შეერთებული ორი ადამიანი სწორედ ინტიმურ ურთიერთობაში ჰპოვებს სიყვარულის დაგვირგვინებას, რომ ქალი და მამაკაცი სარეცელს იყოფენ, რათა მომავალ თაობას მისცენ დასაბამი... და კიდევ ვაპირებდი რაღაც უფრო ამაღლებულისა და არგუმენტირებულის დასახელებას, რომ ჩემმა გოგონამ გამაწყვეტინა:

— მერე, დედიკო, თუკი შენ და მამას ერთმანეთის ასეთი ალერსი შეგიძლიათ, ჩვენ — თქვენს შვილებს — მარტო ჩხუბსა და ლანძღვას რატომ გვაყურებინებთ?

***ნ.ს. ქუთაისი***

# სიყვარული გვაახლოებს ღმერთთან

ვინ შექმნა ჩვენი სამყარო? როგორ შეიძლება ეს უზარმაზარი სამყარო თავისით შექმნილიყო? იგი უფალმა შექმნა, რომელიც თავად არის უზარმაზარი სამყარო, ჩვენ კი მისი შვილები ვართ; ჩვენი სული ღმერთის ნაწილია, სული, რომელიც ხორცის ტყვეა ამ სამყაროში. სამყაროს არსის უკეთ გასაგებად, დავუშვათ, რომ დედამიწა პატარა სფეროა, რომელიც დიდი სფეროს შიგნითაა მოთავსებული. დიდი სფეროს კედელი თხელია, მაგრამ იგი ატყუებს ჩვენს თვალს და სხეულს, ამიტომ ძალგვიძს მასში უსასრულოდ ჩაძირვა. სინამდვილეში კი ზღვარი ძალზე ახლოსაა; მხოლოდ სწორი გზაა საჭირო, ამ კედლის გარღვევა რომ მოხდეს. ეს სამყარო ადამიანისთვისაა შექმნილი და მის გამოსაცდელს წარმოადგენს. ჩვენ, ჩვენს ფიქრებსა და ქმედებაში ვიცდებით. გარემო ადამიანის თვალის ასახვევია. უამრავი რამ არსებობს ადამიანის ცნობიერების გასართობად, ჭეშმარიტი სააზროვნო და საფიქრალი საგნიდან მოსაწყვეტად. ვინც ამ ილუზიებში იხილავს უფლის სახეს, ის ამაღლდება და დაიმკვიდრებს სულის მშვიდობას. უფალი ადამიანს არასდროს ტოვებს. ადამიანი რომ კვდება, სამწუხაროა, მაგრამ იგი ხომ ღმერთთან მიდის, ვიგლოვოთ იმაზე, რომ იგი უფალთან არის?

ადამიანმა უნდა ისმინოს ღმერთის სიტყვა. იგი ყოველთვის გვესაუბრება, ოღონდ ჩვენ არ გვესმის მისი, საუბრობს ქმედებით და არა ბგერებით. ყველაფერში უნდა ვეძიოთ მისი სიტყვა. მივენდოთ უფალს, გადავუხსნათ მას ჩვენი გული და შემოვუშვათ იგი ჩვენში. ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა წარმოვაჩინოთ ჩვენს რწმენაში სათნოება, სათნოებაში — შემეცნება, შემეცნებაში — თავშეკავება, თავშეკავებაში — მოთმინება, მოთმინებაში — ღვთისმოსაობა, ღვთისმოსაობაში — ძმათამოყვარეობა, ძმათამოყვარეობაში კი — სიყვარული.

***ირაკლი ჭილაძე, თბილისი***

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 32**



***გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა***

# „კახეთი რძეგამშრალ ქვეყანას ძუძუებზე არ დაეკიდება!“

*გვიანი შემოდგომის ერთ ცრიატ დღეს, როდესაც პატარა კახის თოხ-ხმალ დაჟანგებულ შთამომავალთა ერთი ნაწილი სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მოთხოვნით ერთადერთ ნაცად ხერხს, გზის გადაკეტვას აპირებდა, სწორედ მაშინ გამოჩნდა ვენახიდან მომავალი ჩვენი რესპონდენტი. ურმის კოფოზე მუხლებზე იდაყვებდაყრდნობილი იჯდა. ცხენის აღვირი ორივე ხელით ისე, სასხვათაშორისოდ ეკავა და ფიქრებში გართულს თანასოფლელებისკენ არც კი გაუხედავს, ისე შევიდა ღიად დატოვებულ ალაყაფის კარში.*

*მეც ფეხდაფეხ მივყევი.*

*ვანო ბილიაშვილი ურმიდან დინჯად ჩამოვიდა. ცხენი გამოუშვა. თავლაში დააბა. თივა დაუყარა და წამოდიო, — ხელით მანიშნა.*

*საჩეხიდან უზარმაზარ მარანში შევედით. მარანი-მეთქი, ვამბობ, თორემ კოლმეურნეობის ბეღელს უფრო ჰგავდა. ამდენი ხვავი და ბარაქა ერთ ოჯახში მართლაც იშვიათად მინახავს: სიმინდი და ხორბალი, კარტოფილი და ხახვი, ნივრის გალები, ყურძნის ჯაგნები, გოგრა, კომბოსტო, ჭარხალი, ვაშლი, კომში, კარალიოკი... წნილი — წიწაკის, პომიდვრის, ნივრისა და კომბოსტოსი, შებოლილი ღორის ხორცი და არყითა და ღვინით სავსე ჭურჭლები.*

**— „სულ“ ეს დაგიდგა, ვანო ძია?**

— მარტო ეს, რათა?! ეს ქვევრებიც, ყველა სავსეა. ამათ ეგრე ნუ უყურებ. აი, ეს ქვევრი 350 ვედრიანია. პაპაჩემის ჩაგდებულია. ამ არემარეში ამხელა ქვევრები არავის აქვს.

**— ამოდენა ღვინოს რა უნდა უყო?**

— ვყიდი, შვილო. ამით ვირჩენთ თავსა.

**— მერე, იყიდება?**

— იყიდებაო?! კარგ ღვინოს ვინ არ იყიდის. საიდან აღარ მოდიან. ვინც ერთხელ გაიგო ჩემი ღვინის გემო, თავს აღარ მანებებს. ყველამ იცის, რო ჩემგან მარტო მირონს წაიღებს. ფასითაც ყელში არავის ვუჭერ. თუ კაი კაცია, რამდენიც თვითონ უნდა, იმდენს ვართმევ.

**— როგორ იგებ, კარგი კაცია, თუ ცუდი?**

— მაგას რა გაგება უნდა. ოთხ ჭიქას რო დალევს კაცი, უკვე ეტყობა, რა ძირზეა დამყნობილი.

**— აბა, ისიც გეცოდინება, ჩვენს პოლიტიკოსებს დაელევა თუ არა შენი ღვინო?**

— აბა, პოლიტიკოსები?! მაგათი უმეტესობა პანტაზე შეხუნძლულ ბეღურებს მაგონებს. ხელი რო აუქნიო, აქეთ-იქით გაფრინდებიან და... მორჩა. ისე, მართვეებიც ბევრი ურევია, მაგრამ დაფრთიანება აკლიათ ჯერა.

*ჩემმა მასპინძელმა განცალკევებით ჩაგდებულ პატარა ქვევრის სარქველთან ჩაიმუხლა. ფრთხილად მოხადა. მერე სანთელი აანთო, პირჯვარი გადაიწერა და ქვევრის ყელზე მიამაგრა.*

— ერთი ეგ ხელადა მომაწოდე, ზედაშეს ღვინო უნდა დაგალევინოო, — *მითხრა და მერე ციმციმ ჩაუშვა დოქი კამკამა სითხეში. როცა წამოდგა, იქვე მდგარ ტაბლაზე დიასახლისს უკვე გაეწყო „თავიანთი სიღარიბისა“ — წნილი, ლობიო, ჭყინტი ყველი, კაკალი და თხილი, ნაზუქები და შოთის პურები...*

*ვანომ იქვე, თაროზე დაპირქვავებული ორი პატარა თიხის ჯამი გადმოიღო. ჯერ ერთი გაავსო და მომაწოდა. მერე თავისთვის დაისხა. შავი ნაბდის ქუდი მოიხადა, ჭერს შეხედა — ღმერთო, გვიშველეო, და ძალიან დინჯად, ნება-ნება დალია. ულვაშები ხელისგულით მოიწმინდა და სამფეხა სკამზე მიმანიშნა. თვითონ ჩემს მოპირდაპირედ დაჯდა და სველი ხელადა შუაში ჩადგა.*

**— ვანო ძია, შვილები შენთან არ ცხოვრობენ?**

— ჩემთან რა უნდათ, სამივეს თავთავიანთი ოჯახები აქვთ. ცხოვრება რო აიწეწა, უმცროსი ბიჭი — ყველაზე ძაან ნასწავლი რომელიცაა, — უმუშევარი დარჩა და აქ ჩამოვიდა, მამულში მეხმარებოდა. ოთხი წლის წინ ვუთხარი, ხო ხედამ, დედაშენმა რო მოგიწადინა, ის ცოდნა არაფერში გადგება. აღარც რძე აქ, რო ძუძუ მოგაწოვოს, ეს ჩვენი ძროხებიც დაშრნენ, წადი, მე რო გასწავლე, ის საქმე მოძებნე, აუცილებლად შეჭამ ლუკმას და ოჯახსაც დაარჩენ, აქაურობას მეც მივხედამ-მეთქი. ერთი-ორი კაპიკი მქონდა შავი დღისთვის, გამოვიტანე და მივეცი. საქმეში მაიხმარე-მეთქი. დამიჯერა. წავიდა ისევ თბილისში და დღეს გამართულად ცხოვრობს.

**— შენც გეხმარება იქიდან, ალბათ?**

— მე რა იმისი დახმარება მინდა? ექვს იმისთანას იქით შევინახამ, მაგრამ მაგრე არ გავიმეტებ(!), შვილია, მტერი ხო არ არი...

ეხლა, ძმაკაცებს რო ვეძახი-ხოლმე პურისჭამაზე, ყველას თავისი ხარჯით ვაიძულებ მოვიდეს. თუ გინდა მემრე უკან წაიღონ, ოღონდ, უნდა მაიტანონ რამე. განა მშურს ვინმესთვის რამე და ეგრე იმიტომ ვიქცევი? ღმერთია მოწმე — არა, მაგრამ სხვის პურმარილზე კაი კაცი ვერ მაილხენს, ვერ იმღერებს, ქეიფი არ შედგება.

თავისუფლება თუ გინდა ესაა, თუ არა და...

**— შენ თუ ხარ თავისუფალი?**

— ვარ, მა, არა ვარ! რაც სახელმწიფომ თავი დამანება, თავისუფლად ამოვისუნთქე. მაგათსას თითქმის აღარაფერს ვხმარობ. აი, დენიც კი ჩემი, საკუთარი მაქ. დღეში ერთი ლიტრა ბენზინი მჭირდება. დავტვირთავ აკუმულატორებსა და მთელი ღამე მყოფნის. პატარა ტელევიზორსაც ვამუშავებ, ქვეყნის ამბები რო გავიგო.

ეხლა გაზიც მინდა გავაკეთო ნაკელით. ოტია იოსელიანსა ჰქონია, მინდა ჩავიდე, ვნახო, როგორ აქვს მოწყობილი. მასწავლის, უარს არ მეტყვის...

სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს, რო ხალხი სხვის ხელებში ყურებას გადააჩვიოს. ათი წელია გვწვრთნის ხელისუფლება და მაინც ვერ გავიგეთ, რო ამის შემდეგ ჩვენზე აღარავინ იფიქრებს, ჩვენ თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ.

დამოუკიდებლობაო, გაიძახიან და ყელზე კიდე თოკს იბამენ საქონელივითა.

მე პენსიითღა ვყავდი გამობმული სახელმწიფოს და ეს თოკიც გავწყვიტე. გავწყვიტე და თავისუფლების გემოც ეხლა გავიგე...

**— როგორ გაწყვიტე ეგ თოკი, თუ საიდუმლო არ არის?**

— მივედი, სადაც საჭირო იყო და განვაცხადე — მოგვიხსენით მე და ჩემ ცოლს პენსია-მეთქი.

ისე გაუკვირდათ, თითქოს სახლში მოგვიტანეს და უკან გავაბრუნე. მაინც არ გვაძლევდნენ და ნერვები რაღაზე მეშალა?! ამან (მეუღლეზე მიმანიშნა) ჯერ არ იცის. ფოსტალიონს ყოველ ორ თვეში ერთხელ ფულს ვაძლევ და ვითომ პენსიაა, ჩემი ფული მოაქვს. თან დავემუქრე — ამაზე კრინტი არსად დასძრა, თორემ ტყავს გაგაძრობ-მეთქი.

ისიც კაი ოხერია — ტყავი, თორე, შენც ეხლა, სიასამურის ბეწვი არ გამიფუჭოო, — ეგრე მითხრა.

დედაკაცს კიდე, გაკვირვებისგან, ლამის თმა გაიცვივდეს — ადრე, ერთ ლარს რო იტოვებდა, ეხლა აღარ მართმევსო. ხო, ეტყობა გამოსწორდა ეს ჩვენი კორუმპირებული ფოსტალიონი-მეთქი.

**— შენ თუ იცი, ღვინოს რო ყიდი, წესით უნდა იბეგრებოდე?**

— დამბეგრონ და დამბეგრონ, მაგათი დედაც ვატირე. ისევ მაგათა ჰქონდეთ შესახვეწი, შეგვინახეო, ვიდრე მე ვუწვდიდე ხელს, რამე მომეცით-თქო.

ისე, ეკუთვნით, რო იცოდე. ხიდს და ბორანს მე ხო ვერ ავაშენებ? სახელმწიფომ უნდა ააშენოს და ფული ჩვენ უნდა შევუქუჩოთ...

აი, პოლიციასაც რო ჩვენ ვუქუჩებდეთ ფულსა...

იმ დღეს უბნის რწმუნებული მეუბნება, სამი წელიწადია ჯამაგირი რა არი, არ ვიციო. მე ვუთხარი, გაანებე თავი სახელმწიფოს. შენი საქმე გულიანად აკეთე და სოფელი გადაგიხდის ჯამაგირს-მეთქი. როგორაო? როგორ და თითო ოჯახმა ათ-ათი შაური რო მოგცეს, ოთხჯერ მეტს აიღებ, ვიდრე იქ უნდა იღებდე-მეთქი — ხალხში ფული არ არიო. ბიუჯეტში-მეთქი?

შე მამაცხონებულო, ფული თუ არა მაქ, ხახვი, კარტოფილი და ნიორი, ზეთი ხო მაქ. ყველას აქ საკმარისზე მეტი. თუ ერთი არა აქ, მეორე აქ. ნახევარ-ნახევარ კილოს ან ნახევარ ჩარექა არაყს ვინ არ მისცემს?! მერე დადგეს, გაყიდოს და ფული არ იქნება?!

**— რო არც იყიდება, ვანო ძია?**

— გაყიდვა არ იციან და იმიტომ. შენა გაყიდვა იოლი არ გეგონოს, ჭკუა უნდა...

ე-წინაზე მეზობელი გამამყვა ბაზარში. კაკალი მაქ ცოტა და იქნება გავყიდოო. მე ორი ვედრო ლობიო მქონდა, უცბად გავყიდე, მივდექ-მოვდექ, რაღაცეები ვიყიდე. მოვედი, ის ისევ იქა დგა. რასა შვრები-მეთქი? ვერა ვყიდიო. რას აფასებ კილოსა-მეთქი და — სამ ლარსაო. აქეთ-იქით ყველა ლარნახევრადა ყიდდა, იმან კიდე — სამი ლარიო.

მე ვუთხარ, დაიცადე ცოტაცა, მამაჩემი გაბრო ჩამაივლის იმ საიქიოდან, ფული უშოვნია, აუცილებლად იყიდის და მემრე წამოდი-მეთქი.

გავიხედე და საღამოთი მოლასლასდა შინა თავის კაკლებიანადა.

იცი, რატო ვერ გაყიდა? ის კაკალი თვითონ არ დაურგავს, თავის მამის ნახარებია. ერთი ვედრო წყალი არ დაუსხამს და დაბერტყვითაც მეზობლის ბიჭს დააბერტყვინა.



დაუობდა ამ ხალხს ტვინი უსაქმურობით. დგანან და მარტო წუწუნებენ, ხელის გატოკება კიდე არ უნდათ. ჯავრობენ — იმას ის უყიდნია, იმას ის აუშენებიაო — არა, იმას რო არ ეყიდნა და აეშენებინა, რა, შენ იყიდდი და ააშენებდი? მა რაღასა სკდები ბოღმით, შე კეთილძაღლო? ხელიც იმისკენ და პირიც იმისკენ.

მაიტა ერთიც ჩამაასხი...

**— და მაინც, რის ბრალია, ხალხს ეგრე რომ გაუჭირდა?**

— „უტვინო თავი ფეხებს აწვალებსო“ — ხო გაგიგია, ეგე, მაგის ბრალია.

გულზე რო მჯიღს იცემდნენ, ჩვენზე ნასწავლი ხალხი დუნიაზე არ არიო, აბა, რა იქნა შენი ცოდნა და განათლება? იმ წყობამ, როგორც კალთიდან მოგვიწყვიტა, ლეღვივით გავითხლიშეთ. მწიგნობრებზე ვერ გეტყვი, ჩემნაირ ხალხზე გეუბნები. ე-წინაზე ქუჩაში გავედი. დგანან, ღავღავებენ, გენიოსობენ. რო მოუსმინო, იტყვი, გუშინ ყველას პრეზიდენტის სკამი თუ არა, მინისტრის პოსტი მაინც ეკავებოდაო. მე ვუთხარი, სახლში ზედაშე რომელსა გაქვთ-მეთქი. ერთი-ორს თუ აღმოაჩნდა და იმათაც არ იცოდნენ, რისთვის არის ეს მადლიანი მოგონილი. მაშინ, ის მაინც მითხარით, ყურძნის დაწურვის წინ ქვევრში გოგირდს რისთვის აბოლებთ-მეთქი.

დაიჯერებ, რო, არავინ იცოდა...

მემრე კიდე უკვირთ — ე, შენა ღვინოსა ყიდი, ჩვენ კიდე — ვერაო!

გინახამს, ბრმა რო სანადიროდ დადიოდეს? არც მე!

ამათ იმ კატასავით მოსდით, ქლიბს რო ენას უსვამდა და ეგონა სისხლი ქლიბს დასდისო.

**— ხშირად გაიგონებ, კახელებსა სძინავთო...**

— მემრე ხვრინვით ხო არავის ვაწუხებთ შვილო. მა, რაღა უნდათ, რატო თავს არ დაგვანებებენ. კახეთი რძეგამშრალ ქვეყანას ძუძუებზე არ დაეკიდება.

**— შენზე რო იყოს დამოკიდებული, რას იზამდი, ვანო ძია?**

— რასაც ვიზამდი, იმას მალე გავაკეთებ კიდეც.

მინდა 50 კაციანი მაგიდა გავმართო ჩემს ეზოში. აგე, იმ კაკლის ქვეშ. თვეში ერთხელ,



არ გამიჭირდება მაგდენივე კაცი დავპატიჟო საქართველოს ყველა კუთხიდან. ხანდახან შევარდნაძესაც მოვიწვევ. ზურიკოს ჩემს მოადგილედ „ვამუშავებ“. გიაც აქ მეყოლება, ჩვენი, არსენიშვილი და ისეთ რამეებს ვეტყვი ზოგიერთ ბეღურა-პოლიტიკოსსა, კაცურად შერცხვება და განითლდება.

**— არა მგონია, იმათ, შენ რომ მხედველობაში გყავს, კიდევ რაიმესი თუ შერცხვებათ. შეჭმულ კრედიტებზე დაანამუსებ თუ გაძარცულ ბიუჯეტზე?**

— ეგ ჩემი საქმე არ არი. მე ბიუჯეტში არაფერი შემიტანია. იმ კრედიტებს კიდე ერთ კაცს აძლევენ და თვითონ, ვისაც უნდა, იმას მისცემს და მართალიც იქნება.

ერთი მაჩვენეთ წერილი, სადა სწერს, კლინტონია თუ კოლი, ეს ფული უქნარაანთ თედოი ან დოლაანთ შალიკოს მიეცითო.

რასა თხოულობ, შვილო, რაც არ გეკუთვნის?

მე იმათ სუ სხვა რამეს ვეტყვი. თავი გაანებონ „ლებედ, რაკ და შუკასავით“ აზროვნებას. ყველამ ერთ მხარეს გასწიოს უღელი. თითოეულმა თავის საქმე გააკეთოს და ყველა კარგად იქნება.

**— თუ ასე იოლადაა საქმე, უცხოელ ჭკუის მასწავლებლებს რაღად იწვევენ?**

— ორი რამ არ ეშლებოდა ოდითგან ქართველ კაცს — სტუმრის პატივისცემა და საკუთარი ოჯახის მართვა. იმიტომ, რო ყველაზე დიდი სიბრძნე სწორედ ამათ უნდა...

მე, „ცალხელოვიჩია“ თუ ვიღაცა *(მიხვდით, ალბათ, ვანო ძია პოლონეთიდან საგანგებოდ მოწვეულ ეკონომიკურ მრჩეველს ბალცეროვიჩს გულისხმობს. **ფ.ფ.**)*, როგორ უნდა მასწავლოს, დედაკაც რომელი მხრიდან უნდა მივუწვე, რო პიკეტი არ მამიწყოს?

ზოგ უბედურს კიდე ჰგონია, რაკი უცხოელმა დაგვდო პატივი და ჩამოვიდა, ადამიანები ვყოფილვართო.

მოვიდეს ერთი ჩემთან ის ყოვლისმცოდნე უცხოელი და დამიდგეს გვერდით თოხნაში, თუ გინდა ვაზის სხვლაში, თუ გინდა ღვინის სმაში...

**— ...**

— ჰაა? ხო, თუ გინდა ეგ იყოს! დაიცა დედაკაცმა არ გაიგოს, სიცილით მოკვდება...

ხოდა, თუ აქ მეორედ ჩამოსვლის სურვილი არ დავაკარგვინო, კაცი არ ვიყო.

ჰაი, დედასა, რა დროსა ვბერდები!

*(ცნობისათვის: ჩემი მასპინძელი „სულ რაღაც“ 78 წლის გახლავთ. ფ.ფ.).*

**— ვანო ძია, რაც წეღან პოლიტიკოსებზე მითხარი, ჩვენს პრეზიდენტსაც ეხება?**

— პრეზიდენტი? ჰოო, დიდი ჯვარცმული კაცია. მაგის ბედს არავის ვუსურვებდი.

ცოდო რად არი, იცი? ლაპარაკობს კაცი რაღაცას და ვერავის ვერ გაუგია მაგისი. გაქანებით დიდი სახელმწიფოს ლიდერია და პატარა და უბედო ერს კიდე მართავს. ეს ყველაზე ძნელია.

ხო გახსოვს, რა ფრთებგაშლილი იყო, იმპერიას რომ ხელმძღვანელობდა. კარგადაც გამოსდიოდა. ჩამოვიდა აქა და ფრთები მოეკვეცა, დიდი სახელმწიფოების ჯუჯა პოლიტიკოსებმა ზევიდან დაუწყეს ყურება, თავისიანებს კიდე ანაბანას სასწავლებლად დაუჯდა.

რა მიკვირს, იცი? რაც ჩამოვიდა, თითოთითო ქართველი გადმოჰყავს მტრის ბანაკიდან თავისკენ. ზოგი სამ-ოთხჯერ გადმოათრია და იმან ისევ მამაჩემისკენა ქნა პირი. არ გინდა ამის ატანა?

შენ არ გეხსომება, ეგ რო რესპუბლიკის მეთაური გახდა, პირველად მოხუც გამსახურდიასთან მივიდა და მოეფერა...

მოსაკლავად რო გაიმეტეს, ტელევიზორში „მაიკიანი“ რო გამოვიდა, ქვეყანას პირზე ეგ ეკერა, მაგრამ იმას კი არავინ მიაქცია ყურადღება, რა თქვა მაშინ — დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა კვლავაც გრძელდებაო!

გესმის შენა, კაცო?! თავზე ექიმები ეხვია და, დამოუკიდებლობისთვისაო, მააშ!

ამათ კიდე, დაუღიათ პირი და „იმაი რატო არ გვაძლევ, ამაი რატო არ გვირიგებო“. ვინ უნდა მოგცეს? შე მამაცხონებულო, თუ მათხოვრობა გინდოდა, დროშაი რაღას დააქანქარებდი ფარშევანგის ბოლოსავითა? თუ სახელმწიფო მეწველი ძროხა გგონია, ნახირში მაინც წადი ერთხელ და ის მაინც გაიგე, მწყემსვა როგორი საქმეა.

იცი, რაზე მწყდება გული, ბევრი კაცი ვაჟკაცი რო მეგონა, კუჭის მონა გახდა. ამას წინათ, პირველად შენ გეუბნები, ერთი-ორ კაცს წერილი გავუგზავნე ზევით, მთავრობაში. თქვენგან მასეთ ლაპარაკს ჩვეული არა ვარ და ჩამოდით ჩემთან, უნდა შეგარცხვინოთ-მეთქი.

ეტყობა, მიხვდნენ რაღაცას. არც ჩამოვიდნენ და აღარც ცუდად დაუძრავთ კრინტი ბოლო დროს.

**— ვანო ძია, არ გეწყინოს და შენი მოსმენის შემდეგ ბევრი იფიქრებს, ნეტავ მართლა მასე ვარდისფრად იყოს საქმე, როგორც შენ ხატავო...**

— არ ვაჭარბებ, ამ წუთში ძალიან ძნელი ჟამი უდგას ქვეყანას. ჩვენი დამოუკიდებლობა ბეწვზე ჰკიდია. ერთი-ორი წელიღა გვინდა გაძლება. მტერმა კუთხეში მიგვაყენა და გვიბრახუნებს დღეობის დოლივითა. თუ გავუძელით ცოტაცა და გვეყო ვაჟკაცობა, გადავრჩებით. თუ არა და, სუ ყველას დედა გვაქ ნატირები — მოგჭამა ჭირი თავისუფლებამ. მერე რა პასუხს ვაძლევთ ან ჩვენ შთამომავლობას და, ან კიდევ იმ უწვერულვაშო ბიჭების უმანკოდ დაღვრილ სისხლსა, ქვეყანა რომ მოირწყო?!

წუწუნი გვიშველის, მითხარ ერთი!

სუ ხელისუფლებას ნუ ემდურებით. შეიძლება არ ვარგა, მაგრამ არც ეგეთი უქნარა და მუდეგი მრევლი ჰყოლია დავით აღმაშენებელს, ამას რო ჰყავს, თორემ ერთი კაცი საქართველოს ვერ გაამთლიანებდა და ვერ ააყვავებდა.

დამიჯერეთ, ჩვენ სწორი გზით მივდივართ. ამ გზას თავისუფლება ჰქვია. სხვებმა, რუსებს რო მისტირიან, უფრო იოლი გზაც იციან. იმას კუჭის გზა ჰქვია და აგე, ეზოს კუთხეში რო ბუტკა დგას, იქა მთავრდება...

ვიცი, გაუკვირდებათ, ბილიაანთ ვანო ეგრე რათა ლაპარაკობს და ეგრე როგორ ცხოვრობსო. როგორა და იმიტო, რო ამ არემარეში ჩემზე უკეთეს ღვინოს ვერავინ აყენებს, ჩემ ძროხაზე მეტს ვერც ერთის საქონელი ვერ იწველება, ჩემზე კაი ღორებს ვერა ზრდის ვერავინ და, რაც მთავარია, ამ არემარეში არავის აქ ჩემზე ლამაზი ვენახი და არავის ჰყავს ჩემზე ლამაზი ცოლი.

ოღონდ, ქონა და ყოლა შოვნით არი, შოვნა კიდე — შრომითა. ციდან არაფერი ჩამოუყრიათ, მააშ!

***ფირუზ ფურცელაძე***

# ბავშვებო, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

**3 წლის მერაბი** მამამ ცირკში წაიყვანა. შინ რომ დაბრუნდნენ, აღტაცებულ ბავშვს ბებომ ჰკითხა:

— მერაბ, ცირკში ყველაზე მეტად რა მოგეწონა?

— იცი, ბებო, ყველაზე მეტად ლილიპუტები მომეწონა, მე რომ გავიზრდები, აუცილებლად ლილიპუტი გამოვალ, — მიუგო პატარამ!..

* * *

**5 წლის სალომე კრიალაშვილს** ბებომ ნაყინი არ უყიდა — ყელი გტკივაო.

ამ დროს პაპა მოვიდა. ქუჩაში კი ბოთლების შემსყიდველის ხმა ისმოდა:

— ბოთლებს ვიბარებ, ბოთლებს!

თვალცრემლიანმა სალომემ პაპას ხვეწნა დაუწყო:

— პაპიკო, გეხვეწები, ბებო ბოთლებში ჩავაბაროთ, რა?!

* * *

**3 წლის ლუკა აბაშიძეს** დეიდა ეკითხება:

— ლუკა, ქუდი რატომ არ გახურავს?

ლუკა პასუხობს:

— მამიკომ ამხურა!

* * *

**5 წლის ნინიკო სილაქაძე** ერთი წელია, რაც საბერძნეთში ცხოვრობს და, რა თქმა უნდა, უშუქობას გადაეჩვია.

ერთხელ უეცრად გამოირთო შუქი, ნინიკომ ხელის ცეცებით მოძებნა სიბნელეში დედა და ბუზღუნით უთხრა, — ნეტა საიდან გაიგეს საქართველოში, რომ ჩვენ აქა ვართ?

* * *

გაზეთში სურათია: ელცინი, შევარდნაძე და ჯაბა იოსელიანი. **2 წლის ლუკა** ჯაბას ადებს ხელს და კითხულობს, — ეს ვინაა?

— ჯაბა! — უპასუხა მამამ.

ლუკა ახლა შევარდნაძეს ადებს ხელს და კითხულობს, — ეს ჯუბაა, ხომ?

* * *

ოჯახში საუბრობენ, მარგალიტას წნევამ დაარტყაო. **6 წლის გიორგი დანელიძემ** მამას უთხრა, — მერე მარგალიტასაც დაერტყა მისთვისო.

## იპოვეთ 15 განსხვავება



## III საახალწლო კროსვორდი

1. ქვეწარმავალი, რომლის წელიც მოდის;
2. ქართული „ნაძვის ხე“;
3. რა ეწოდება ახალ წელს გურიაში?
4. ძაღლი-მეკვლე „კუჩხი ბედინერიდან“;
5. რომელ საყოფაცხოვრებო ნივთს ყიდულობენ დიასახლისები საახალწლოდ?
6. საახალწლო ქართული ნუგბარი;
7. საახალწლო ზეიმი;
8. თაგვისა და ციყვისთვის ყველაზე გემრიელი საახალწლო საჩუქარი;
9. საახალწლოდ დასაკლავი სასაცივე ფრინველი;
10. კახური გრძელი „სნიკერსი“;
11. ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც წინ უსწრებს ახალ წელს;
12. ბავშვებისთვის საყვარელი ზამთრის ნალექი;
13. ნაძვის ხის „ფოთოლი“;
14. ახალი წლის ფეხბედნიერი სტუმარი;
15. სანტა-კლაუსის სამშობლო;
16. სათამაშო, რომელსაც აკეთებენ ნაძვის ხის წვერზე.




## გოგონა და თოვლის პაპა

**ნახატების მიხედვით მოიფიქრეთ პატარა ამბავი და გამოგვიგზავნეთ. ყველაზე ორიგინალური მოთხრობა გამოქვეყნდება შემდეგ ნომერში.**



თხუნელამ გადაწყვიტა, თავის მეზობელ თაგუნიასთან ერთად უყუროს საახალწლო სატელევიზიო გადაცემებს, რისთვისაც ლაბირინთის გავლა უწევს. ამაში კი თქვენ უნდა დაეხმაროთ.



## მოთხრობა-გამოცანა

თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელთა საახალწლო კარნავალზე ხუთმა თანაკლასელმა — ალეკომ, დათომ, ვასიკომ, გიორგიმ და ბადრიმ იმსჯელეს საკუთარ მომავალზე, თუ ვინ რომელ პროფესიას აირჩევდა.

ალეკო ფიქრობდა, რომ იურისტი შეიძლებოდა გამოსულიყო ნებისმიერი მათგანი, გარდა დათოსი. ვასიკომ განაცხადა, რომ მას ჩაფიქრებული აქვს გახდეს მფრინავი, რაზეც დიმიტრი შეეკამათა და უთხრა, — მფრინავის პროფესია გიორგის უფრო შეეფერებაო. ბადრი ვარაუდობდა, რომ ალეკო მასწავლებელი გამოვიდოდა, საკუთარ თავზე კი განაცხადა, რომ არაფრის გულისათვის ექიმის პროფესიას არ აირჩევდა. გიორგი არწმუნებდა მეგობრებს, რომ ბადრი შესანიშნავი ფეხბურთელი დადგებოდა.

სკოლის დამთავრებიდან ათი წლის თავზე ყოფილი თანაკლასელები კვლავ შეიკრიბნენ, გაირკვა, რომ მეგობართაგან, ისინი, ვინც გახდნენ მფრინავი და მასწავლებელი, შეცდნენ ვარაუდში, ხოლო ფეხბურთელმა და იურისტმა სწორად იწინასწარმეტყველეს.

გამოიცანით, ხუთი მეგობრიდან რომელმა რა პროფესია აირჩია.

*(პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით)*

წინა ნომერში შემოთავაზებული მოთხრობა-გამოცანის სწორ პასუხს და მათ ავტორთა გვარებს ახალთან ერთად, იხილავთ შემდეგ ნომერში.

## გამაფერადე ფერადი ფანქრებით

I



ზღარბუნიამ თავისი ეკლებით თერძ ბესოს და ბურატინოს საახალწლო საჩუქრებთან ერთად მათთვის აუცილებელი ნივთებიც მოუტანა.

ბავშვებო, დაეხმარეთ მათ ამ ნივთების პოვნაში.

## II რებუსი




## IV საახალწლო გამოცანები

**ა** ამ ზამთარში რომ მოუსხამს
ნაირფერი ხილი:
ვაშლი, მსხალი, ფორთოხალი,
კაკალი და თხილი;
ტოტებიც რომ მოუქარგავს
ვარსკვლავებს და ფიფქებს...
რა ხე არის, პატარებო,
გამოიცნოთ იქნებ!

**ბ** არის რამე ბამბისფერი,
ფრთაფარფატა, ვით პეპელა,
ზაფხულობით არსად მოჩანს,
ზამთარში კი ცვივა ყველგან,
და თუ ხელში დაიჭირე,
გაგიქრება იგი ხელად.




პასუხები იხილეთ 35-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

**რა გვინდა?, ვინ ვართ?, საით მივდივართ?**

ეს გახლავთ ის სამად სამი, ერთი შეხედვით უმარტივესი შეკითხვა, რომლებზეც პასუხის გაცემას მთელი საუკუნე მოვანდომეთ ქართველებმა და დაზუსტებით ჯერაც არაფერი ვიცით. სხვათა შორის, შინ თუ გარეთ (ევროპა-ამერიკაში) ატეხილი ალიაქოთის შედეგად „ქართული კორუფციული გველეშაპის“ დასამარცხებლად მოწვეულმა პოლონელმა რაინდმა, პან ბალცეროვიჩმაც ანალოგიური რეცეპტი გამოგვიწერა: ჯერ ის გაარკვიეთ, როგორ სახელმწიფოში გინდათ ცხოვრება და ეკონომიკის დაქცევა-აშენებაზე მერე ვილაპარაკოთო...

ბუნებრივია და ლოგიკური, როდესაც ძველ საცხოვრებელ სახლს ანგრევ, უკვე მოფიქრებული უნდა გქონდეს, როგორი იქნება ახალი სახლი — მის ადგილას რომ აშენებ. მაგრამ ახალ სახლზე, როგორც ჩანს, არც ყოფილა ლაპარაკი. საუბარი იყო მხოლოდ ძველი სახლის ნანგრევების მიტაცებაზე, საკუთარ ჯიბეზე...

ნუ გავცდებით მეოცე საუკუნეს და, „ახალი სახლის აშენებაზე“ ლაპარაკი არც 1918 წელს ყოფილა, როცა ქართველებს ციდან ჩამოგვივარდა თავისუფლება. მაშინდელი პოლიტიკოსები იმაზეც კი დიდხანს ფიქრობდნენ, რა ფერის დროშა აღემართათ მთავრობის სახლზე... მაშინაც იმართებოდა დიდებული ბანკეტები, მაშინაც ჩამოდიოდნენ ფრანგული, ბრიტანული თუ ამერიკული დელეგაციები; მაშინაც იწერებოდა საამოდ მოსასმენი სამთავრობო ანგარიშები, რეალობაში არარსებულ ქართულ არმიაზე, აყვავებულ ქართულ ეკონომიკაზე (დააკვირდით სიტყვა „ყვავის“ სიმბოლურობას) და ასე შემდეგ და შემდეგ... როდესაც რუსეთმა ჩვენთვის მოიცალა, „სოციალ-დემოკრატიული ბაირამობა“ რითაც დასრულდა, ყველამ კარგად ვიცით — პარიზში კუდამოძუებული მთავრობით; ბათუმში ეროვნულ განძს შერჩენილი ექვთიმე თაყაიშვილით; ხელ-ფეხ დალეწილი, უწვერ-ულვაშო პატრიოტ იუნკერთა გვამებით ტაბახმელაზე და თავგანწირულ გენერალ მაზნიაშვილით, სიცოცხლის ფასად რომ გამოგლიჯა თურქებს ბათუმი...

ვერ გეტყვით, გვყავს თუ არა დღეს ახალი ექვთიმე თაყაიშვილი, გმირი იუნკრები ან გენერალი მაზნიაშვილი, მაგრამ მობაირამე მთავრობა რომ გვყავს, ყველასათვის ცნობილია შინაც და, სამწუხაროდ, უკვე გარეთაც. მაგრამ ჩვენი უბედურება მხოლოდ ჩვენი მთავრობა არ არის — ის ჩვენს მენტალიტეტში ძევს. „შეჭამე, სანამ დღეს არსებობ“ ალბათ ჩვენში ყველაზე გავრცელებული დევიზია.

ალბათ ამაზე ბევრ თქვენგანსაც უფიქრია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ფიქრებს ზოგჯერ ნიჰილიზმამდეც მივყავართ ხოლმე — უვარგისი ერი ვართ...“ „ჩვენ ვერაფერს მივაღწევთ...“ „არაფერი გამოგვივა...“ ვითომ მართლა ასეთი უვარგისები ვართ ქართველები? თუ ესეც განგებ ხდება — სული რომ ჩაგვიკლან და მომავლის იმედი წაგვიხდინონ...

ამ საკითხზე სასაუბროდ განგებ მოვერიდეთ პოლიტოლოგთან ან ისტორიკოსთან შეხვედრას. რესპონდენტად პოეტი **მიხეილ ქვლივიძე** ავირჩიეთ. ხომ გახსოვთ, „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი — ზეციერსა...“ ხალხისა და ერის სატკივარი ალბათ მაინც პოეტს უფრო სტკივა...

ბატონმა მიხეილმა ხელები გაასავსავა, — რა დროს საახალწლო ტაშ-ფანდურა და მილოცვებია, ქვეყანა თავზე გვენგრევაო. საუბრის თემა რომ დავუკონკრეტეთ, თავის სამუშაო ოთახში მიგვიწვია და პირდაპირ დაიწყო:

— ჩვენ განებივრებული ერი ვართ... ნიჭით



## ჯერ მოვდიოდით, უჯრაში დამალული ლექსებით და დახვრეტილი პოეტებით...

განებივრებული ერი. გენეტიკურად ჯანმრთელი და ისტორიასაც გმირულად გავუძელით. მაგრამ, ურთიერთგატანა სუფრაზელა შემოგვრჩა, მაგარი ნათესაობა, სადღეგრძელოები... აბა, დაუკვირდით, რამდენი სიყალბეა ამაში, რამდენი უაზრო თეატრალობა, შიგ ჩადებული მერკანტილური ზრახვებით. მე ვიცი, ნახსენები ბლოკადის დროს მუსიკოსი სიცივისაგან გაიყინა და მოკვდა, მაგრამ როიალი არ დაუწვავს, რომ გამთბარიყო. აი, ეს არის ჭირის გაძლება. ჩვენ კი „ჭირსა შიგან გამაგრების“ უნარი დავკარგეთ. ჯერ მეფის რუსეთმა, შემდეგ კი კომუნისტებმა გარყვნეს და გაათახსირეს ჩვენი ერი, გაგვამუქთახორეს. ყველაფრის იმედი ერთი პიროვნება — სტალინი და სხვა გენსეკები იყვნენ. ახლაც ყველაფრის იმედი შევარდნაძეა. მას მივჩერებივართ. შრომას გადავეჩვიეთ — თავის სარჩენად ვირულ შრომას. რატომღაც, გვგონია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობის ერი ვართ, რომ ნავთობის „ტრუბა“ გადაგვარჩენს და გეოპოლიტიკური მდგომარეობა. არაა, ბატონო, ასე. „ტრუბაზე“ დამყარებული სახელმწიფო სახელმწიფო ვერ იქნება. ის საშუალო ფენას უნდა ემყარებოდეს — თქვენ, მე, სტუდენტს, ინჟინერს, ექიმს. რომელ მათგანს შეუძლია დღეს თავისი გარჯით სრულყოფილი ცხოვრება მოიწყოს?

— **ბატონო მიხეილ, ალბათ ყოველივე ამის მიზეზი საერთო პასუხისმგებლობის არარსებობაა...**

— რომელ პასუხისმგებლობაზე მელაპარაკებით! კომუნისტებსაც კი, ტყუილი, მაგრამ მაინც იდეოლოგია ჰქონდათ. მათ მიერ შეთხზული ზღაპრებით მუშას და გლეხს სჯეროდა, რომ მეთაურსაც ისევე უჭირდა, როგორც მას და ყველანი ერთად უკიდურესი გაჭირვების ფასად „დიად“ კომუნიზმს აშენებდნენ. ახლა კი, თუნდაც იმავე ყბადაღებულ წყნეთსა და საირმის ქუჩაზე ნახეთ, რა „გაჭირვებითაც“ ვაშენებთ ქვეყანას...

დამოუკიდებლობა „მოვიპოვეთ“, მაგრამ სახელმწიფო არ აგვიშენებია, უფრო სწორად, არც კი გვიცდია ამის გაკეთება. 74 წლისა ვარ, კაცო, ვიყინები, ფული არ მაქვს, რომ ოპერაცია გავიკეთო და მილებჩადგმული ვწვალობ... ჰოდა, ძალიან გამწარებულმა კაცმა ამას წინათ ვთქვი, რომ იყოს საშუალება, ვინმე ჟურნალისტს შევხვდებოდი და მთელი ქვეყნის გასაგონად ვიყვირებდი — უარს ვამბობ ასეთი საქართველოს მოქალაქეობაზე-მეთქი!.. ვერ წარმოიდგენთ, რა სასოწარკვეთილებამდე უნდა მივსულიყავი, ეს რომ მეფიქრა — მთელი ოცდაათი წელი ემიგრაციაში ყოფნისას ამაზე ვოცნებობდი — საქართველოს მოქალაქედ მინდოდა მეცხოვრა... მაგრამ არა იმ საქართველოში, სადაც არანაირი ეროვნული იდეოლოგია არ იქნება და ერის ურთიერთმოწოდება ძარცვა-გლეჯა იქნება. მე პოლიტიკოსი არ გახლავართ, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული — დემოკრატიას, რომელზეც ამდენს გაიძახიან და ბევრი კი არაფერი ესმით, წინ მკაცრი დიქტატურა უნდა უსწრებდეს — რათა ქვეყანაში კანონის უზენაესობა დამკვიდრდეს. ამერიკაში, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება პრეზიდენტი იმიტომ, რომ ქვეყანა კანონზეა დამოკიდებული და არა პიროვნებაზე. ჩვენთან კი პირიქით არის.

— **როგორ ფიქრობთ, კომუნისტების ეპოქიდან მოყოლებული, შეიცვალა რამე გარდა იმისა, რომ „დამოუკიდებლები“ გავხდით.**

— რა გითხრათ, მენტალიტეტი იგივე, აბსოლუტურად კომუნისტური დარჩა. სახეებსაც იმავეს ვხედავ... იგივე ცრუ დაპირებები — რომ 2005-2010 წელს და ა.შ. საქართველო ჭეშმარიტად დემოკრატიული და უზრუნველყოფილი ქვეყანა იქნება. უბრალოდ, კომუნიზმის ნაცვლად, დემოკრატიას გვპირდებიან და ძველებურად დაპურებას — საჭმელს... რატომღაც, სხვა არაფერი უნდა გვაინტერესებდეს, ამ უკანასკნელის გარდა. რა გარანტია აქვთ, რომ ასე თუ გაგრძელდა, 2010 წელს, როგორც ერი, საერთოდ ვიარსებებთ. ხანდახან მგონია, რომ ერის სულიერი გენოციდი მიდის. რომ ეს ყველაფერი შეგნებულად კეთდება, რათა ქართველობას მომავლის იმედი დაუკარგონ, დამოუკიდებლად არსებობის სურვილი. ასე ხომ დიდხანს ვერ გავძლებთ. ყველაფერი იქით მიდის, რომ ცოტა ხანში თვითონვე მივფორთხდებით რუსეთთან — მხოლოდ და მხოლოდ საჭმლის მოთხოვნით...

— **9 აპრილის შემდეგ სხვანაირი განწყობა იყო. ორ მოჩხუბარს შემდეგი სიტყვებით აშველებდნენ ხოლმე — რას შვრებით, ქართველები ხართ, ერთმანეთს როგორ ურტყამთო. დღეს მსგავს რამეზე სიცილით მოკვდებიან...**

— იცით, რა? დამოუკიდებლობის და თავისუფლების ღირსი უნდა იყო. არ ვყოფილვართ ღირსი, მართლა არ ვყოფილვართ, რადგან ვერც ერთს მოვუარეთ და ვერც მეორეს. სოციალური გადატრიალება და ცვლილებები საზოგადოების ნაწილმა პირადი მიზნებისთვის გამოიყენა. კვლავ „მაცხოვრე-გაცხოვრებ“ პრინციპით ვარსებობთ.

ტრადიციების წინააღმდეგი არა ვარ. მაგრამ არ შეიძლება ნათესაური ურთიერთობები ერის ბედ-იღბალზე მაღლა დააყენო. ეს ერთი ბეწო ქვეყანა მსგავსი ცხოვრების წესით დღემდე ვერ მოაღწევდა. ჩვენს ისტორიაში რამდენი ფაქტია ისეთი — ქართველ მეფეებს ერის ინტერესების გამო ძმა, ბიძაშვილი თუ მეგობარი რომ დაუსჯია — თვალებსაც კი თხრიდნენ...

— **გამოდის, დღეს გამეფებულ ნიჰილიზმს საფუძველი ჰქონია. მაშ, ვერ იმძლავრა ქართულმა გენმა?**

— ერთი წუთითაც არ იფიქროთ მსგავსი რამ. არავის ეგონოს, რომ თუნდაც მე, პირადად ქართველებზე ვლაპარაკობ აუგს. ღმერთო ჩემო, ჩემში ხომ ქართულის მეტი არაფერი დარჩა — ასაკი და ქართველობა, ენა და ჩემი ლექსი. მაგრამ ძალიან ბევრი ცუდი თვისება გამოვამჟღავნეთ. გარშემო იმდენი უმსგავსობა ხდება, რომ წუწუნი და კრიტიკა კი არა, ყვირილი მოგინდება ადამიანს, მაგრამ ჩვენ საძაგელი ერი კი არ ვართ, როგორც ამას ზოგიერთი ამბობს ხოლმე, უბრალოდ, ცოდონი ვართ, ასეთი თვისებების, ისტორიისა და ტრადიციების მქონენი ჩვენი უნიათო და გათახსირებული მმართველების ხელში — ერს მიხედვა და პატრონობა სჭირდება...

რა დღეში ჩაგვყარეს, კაცო... ასე თუ ისე, განათლებული კაცი ვარ, ფილოსოფიურზეც მისწავლია. ხვალ რომ არჩევნები გამოაცხადონ, მე არ ვიცი, ვის დავუჭირო მხარი — ხმა ვის მივცე. იმიტომ, რომ ველარ ვიგებ, მათ შორის რა ხდება. დაუფარავად ვაცხადებ — დღეს მეც იქ ვდგავარ, ქუჩაში, სადაც ქალები და ბავშვები შეკრებილან და ყვირიან — შუქი! წყალი! სითბო! — ერს რომ აქამდე მიიყვანენ, რაზე უნდა ილაპარაკო... კვლავ ვიმეორებ — სახელმწიფო ერთი კონკრეტული იდეოლოგიის გარეშე ვერ იარსებებს. ქურდობა კი არ შეიძლება ქვეყნის იდეოლოგია იყოს. მე ვთვლი, რომ ჩვენ ეროვნული სახელმწიფო უნდა ვყოფილიყავით. ამით დაიწყო ჩვენი ბრძოლა. ასე მოვდიოდით — უჯრაში დამალული ლექსებით, დახვრეტილი პოეტებით... იცით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ ქართველმა ხალხმა ნამდვილი გოლგოთა გამოიარა. ვფიქრობ, ილიას ნებისმიერი იუბილე საყოველთაო გლოვის დღედ უნდა გამოცხადდეს და არა ზეიმად თუ ტაშ-ფანდურის საბაბად. მაგრამ ესეც კომუნისტური ხერხი გახლავთ. ამათ ხომ ცოცხალი გმირების ეშინიათ. მკვდარს აფეტიშებენ, მისი სახელი რომ თავის ღირსებად მიიწერონ, მკვდარი კი, მოგეხსენებათ, არ ლაპარაკობს...

ბატონი მიხეილი აქ გაჩერდა. ცოტა ხანს ფიქრობდა, მერე ამომხედა, სევდიანად და ისეთი გრძნობით გამიღიმა, რომ მანამდე განუცდელი სითბოთი ამავსო:

— ალბათ, ჩემმა ლაპარაკმა პესიმიზმი თუ მოგრია. მით უმეტეს, ახლა, ქართველებს პესიმიზმის და ყურების ჩამოყრის უფლება არა გვაქვს. პირად მაგალითზე გეტყვით: 74 წლის ავადმყოფი კაცი ყოველ დილას ექვსზე ან შვიდის ნახევარზე ვდგები, სანთელს ვანთებ და ბნელ, გაყინულ ოთახებში დავბორიალობ. ჩაის ვადუღებ და ჩემს ბიჭს ველოდები. რვაზე რომ ადგება, ჩაი დავალევინო და სასწავლებელში გავუშვა. მე ვარ, პესიმისტი?

***დაჩი გრძელიშვილი***

## (წერილი გაზეთ „კვირის პალიტრა“-ს პროექტისათვის, ახლა ან 2025 წელს დასაბეჭდად)

აი, მიილია ორიათასი წელი და სადაცაა მესამე ათასწლეულში შევაბიჯებთ ქართველები, ურთიერთწაკიდებულნი, მტერგახარებულნი, ხმაგაკმენდილნი, ფუძეჩაბნელებულნი, შეშინებულნი და ათრთოლებულნი შევდივართ მესამე ათასწლეულში.

— რა იმედით?

— ღმერთის იმედით, დაილოცოს მისი სამართალი, ღმერთი ხომ ყოველთვის მოგვხედავდა ხოლმე გაჭირვებაში მყოფ ქართველებს და როცა არსაიდან იმედი აღარ იყო, მაშინ მოგვივლენდა დიდ მამულიშვილებს გადასარჩენად.

ჯერჯერობით კი სატანა მძლავრობს და ტაშფანდურა აქვთ გამართული ღვთისმშობლის წილკურთხეულ საქართველოში ეშმაკის ტარტაროზებს.

იხოცებიან ქართველები.

ასე ვხვდებით მესამე ათასწლეულის დადგომას და უფრო უარესად.

მომავალ თაობებს რომ ვერ გაუმჟღავნებ, საკუთარ ქვეყანაში ასე და ასე დამონებული ვიყავიო, — ისე.

კაცი ყოველთვის ვერ ამბობს იმას, რასაც განიცდის და ალბათ დღევანდელი ქართველებიც ბევრ რამეს დაუმალავენ მომავალ თაობებს. დაუმალავენ თუნდაც სირცხვილის გამო — რას იტყვიან ჩვენი შვილები, როცა მომავლიდან გამოგვხედავენ?

განა შეიძლება ადამიანებმა ასეთ დღეში ჩააგდონ თავისი სამშობლო!!!

ეს ჩვენ ვართ, ჩვენი მომავლების „დიდი“ წინაპრები, ყველაფერს რომ ვუჭამთ, ყველაფერს რომ ვუყიდით: მიწას, წყალს, ტყეებს, ადათ-წესებს, რწმენას, ეროვნებას, წარსულს, მომავალს...

მეშინია.

ქუჩაშიც მეშინია, სახლშიც, დღეც, ღამეც.

რაღაცა მაკრთობს, რაღაცა მაელდებს.

სულ თან დამდევს შიში, სულ თან დამყვება.

ეს არ არის სიკვდილის შიში. ეს უფრო ჩემი და ჩემნაირი ქართველების უმწეობის, უსუსურობის, უმაქნისობის შიშია.

სიკვდილისა კი ნამდვილად არ მეშინია.

თითქოს იმისი ცელის შრიალსაც კი ვგრძნობ ჩემს ახლომახლო და ეს ხმა ოდნავადაც არ მაკრთობს, იმედიც კი მაქვს: მოვრჩები ამ სატანჯველს და წავალ იქ, სადაც ჩემი წინაპრები არიან, იმათთან კი რისიღა უნდა მეშინოდეს?!

თან იმედი მაქვს, რომ ოცდახუთი წლის მერე, ორიათასოცდახუთი წლის გაზაფხულზე მოვა ჩემი შვილიშვილი ჩემს საფლავზე, იების კონას მომიტანს, საფლავის ქვაზე ჩამომიჯდება და თვალებგაცისკროვნებული მეტყვის:

— აი, პაპა, მოგიტანე შენი საყვარელი იები!

მას ექნება სიხარულით მოღიმარე სახე, რადგან იმ დროისათვის სიხარულით და სიყვარულით სავსე იქნება საქართველო, რადგან ორიათასოცდახუთ წლამდე რამდენიმე წლით ადრე იგი გაბრწყინებას დაიწყებს.

ჩემი შვილიშვილიც (ალბათ შვილიშვილები) საქართველოს ბედნიერებით იქნება ბედნიერი. არ ექნება უსუსურობის განცდა, მხოლოდ იმიტომ რომ ქართველია და ვერ წარმოიდგენს, როგორ მტკიოდა გული.

როცა მესამე ათასწლეულის პირველ ახალწელს უსიხარულოდ, ანდა მოჩვენებითი სიხარულით ვხვდებოდით ქართველები.

როცა ერთმანეთს ვკლავდით.

ერთურთს ვძარცვავდით.

ლუკმაპურის საშოვნელად მგლებივით დავძრწოდით აქეთ-იქით.

მას არ ეცოდინება, როგორ მტკიოდა გული, როცა ერთხელ მამამისმა, სამი-ოთხი წლის რომ იყო, როგორ მთხოვა:

— მამიკო, მამიკო, შენთან ერთად წამოვალ რა მეც ქუჩაში!

მე შევყოყმანდი. ის ფიქრს მიმიხვდა და დამაიმედა:

— ნუ გეშინია, ჯიხურებთან არ გეწუწუნები „ჟუვაჩკა“ მიყიდე-მეთქი, ოღონდ წამიყვანე, შენთან ერთად მინდა სიარული.

რა თქმა უნდა, ჩემს შვილიშვილს ის არ ეცოდინება, და ვერ გაიგებს, რატომ არ უნდა მეყიდა მამამისისთვის „ჟუვაჩკა“, ანდა რატომ იდგნენ ქუჩაში ჯიხურები.

მას არ ეცოდინება, როგორ ვიდექი საათობით, დღედაღამ პურის რიგში და რამდენჯერ ჩემ წინ გათავდა, არ შემხვდა ის ტალახივით პური, სახლში მისულს კი შვილის მომლოდინე თვალები შემომეფეთა და მერე, როცა დასაძინებლად დავწექით, ყურში წამჩურჩულა:

— მე სულაც არ მშია, მამიკო!

ჩემს შვილიშვილს არ ეცოდინება, რომ როცა მამამისი პატარა იყო და ფეხბურთის სკოლაში დადიოდა, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში, თურმე ჩემგან მიცემულ გზის ფულს ინახავდა, თვითონ ფეხით დადიოდა, რომ ბურთის საყიდელი ფული შეეგროვებინა; მე კი ხანდახან გაჭირვებას ვერ ვუძლებდი და დავთვრებოდი ხოლმე, უკანასკნელი მათხოვარივით დავეგდებოდი ქუჩაში, ანდა თავგატეხილი მივდიოდი სახლში, თითქოს ამით ჩემს უსუსურობაზე ჯავრს ვიყრიდი, სინამდვილეში კი მარტო ახლობლებსა და ოჯახს ვუკლავდი გულს და ერთხელ ის ნაგროვები ფული, ფეხით რომ დადიოდა და გზის ფულს ბურთისთვის ინახავდა, სასმელში დავუხარჯე, იმან კი არც შეიმჩნია და მერე, ღმერთო, ნეტავი არ დამენახა, როგორ წვალობდა დაგლეჯილი ბურთის დაკერებას.

იმედი მაქვს ჩემს შვილიშვილს საქართველოს უახლოეს ისტორიას სიმართლით ასწავლიან და ის და მისი ტოლები ალბათ ბევრ რამეს გვაპატიებენ.



გვაპატიებენ, როგორ დავუკარგეთ საქართველოს ულამაზესი კუთხეები და მერე ბრძნულად გავიძახოდით:

— ჩვენ არა! ჩვენ არა! ჩვენმა მომავალმა თაობამ უნდა დაიბრუნოს, რაც დავკარგეთო.

ალბათ იმასაც გვაპატიებენ, თუ როგორ შევუწყეთ ხელი ჩვენი მტრის ცოლის სურვილს და ხმამაღლა გაცხადებულს:

— საქართველო კარგია, მაგრამ უქართველებოდ-ო...

გვაპატიებენ, ჩვენი შვილიშვილები, ბევრ რამეს გვაპატიებენ.

ყვავილებსაც მოგვიტანენ და საფლავის ქვაზე დაგვიწყობენ; აი, მე ხომ ახლავე ვხედავ, როგორ მოაქვს ოცდახუთი წლის მერე ჩემს შვილიშვილს იების კონა. ღმერთო, მაპატიე, რატომღაც სურვილი მაქვს, რომ ოცდახუთი წლის მერე, ჩემს საფლავზე მოსულ შვილიშვილს უხაროდეს, რომ მე პაპამისი ვარ, მე, რომელიც ასეთ საქართველოს ვუტოვებ მას?!!

ის კი იებით მოდის ჩემს საფლავზე და მეუბნება:

— აი, პაპა, მოგიტანე შენი საყვარელი იები!

იქნებ, ჰგონია რომ მაგარი ვიყავი? ეს არის სიმაგრე?

ვხედავ და ვერაფერს ვამბობ.

მესმის, რაც ხდება და ყრუ ვარ, თითქოს არაფერი არ მესმოდეს.

მეშინია.

შიში განაგებს ჩემს არსებობას, საქართველოს კი დაახლოებით ასე გამგებლობენ:

— ეს ქალაქი ვისია?
— ჩემ და ჩემი ძმისია!
— კიდევ, კიდევ ვისია?
— ჩემი შვილებისია!
— კიდევ, კიდევ ვისია?
— ჩემი ძმიშვილისია!
— კიდევ, კიდევ ვისია?
— ჩემი მძახლებისია!
— კიდევ, კიდევ ვისია?
— ჩემი კლანებისია!
— საქართველო ვისია?
— ალაგ-ალაგ სხვისია,
დანარჩენი, ბიძია,
ჩემ და ჩემი ძმისია,
მეტი არავისია,
ჩვენ გვეკუთვნის ნისიად!

ეს მართალი კი არ გეგონოთ, ეს „ქალაქობანას“ თამაშია, ასე თამაშობენ ზოგიერთი „მოქალაქეები“ საქართველოში ორიათას წელს და თამაშ-თამაშით ეგებებიან მესამე ათასწლეულს.

ვხედავ და მესმის, ცელის შრიალით, როგორ მიახლოვდება სიკვდილი.

მეშინია.

სიკვდილისა კი არა, იმისი მეშინია, ვაითუ ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, ჩემს შვილიშვილს ისე გავუპარტახო საქართველო, იის ძირ-თესლიც კი გავუწყვიტო და ორიათასოცდახუთ წელს, სხვა ქვეყანაში საყიდელი გავუხადო იების თაიგული.

მეშინია და თან იმედს ვიტოვებ, რადგან აქედან ვხედავ როგორი გაღიმებული და ბედნიერი მოდის ჩემს საფლავთან ჩემი შვილიშვილი. საფლავზე ახალდამშრალ მზორეში მოკრეფილ იების კონას დადებს და მეუბნება:

— აი, პაპა, მოგიტანე შენი საყვარელი იები!

ღმერთო, ნუ მომიშლი ამ იმედს!

***გოდერძი ჩოხელი***

მთელი მსოფლიო საუკუნისა და ათასწლეულის გასაცილებლად ემზადება. ბევრ ქვეყანაში ამ საუკუნისა და ათასწლეულის ადამიანებს — მწერლებს, მხატვრებსა თუ მეცნიერებს ასახელებენ და კიდევ ერთხელ დამსახურებული შარავანდედით მოსავენ გენიოსებს.

„საუკუნის ქართველის" გამოსავლენად საქართველოში გამოკითხვა არავის ჩაუტარებია და არა მარტო იმიტომ, რომ ამას გარკვეული დრო, ორგანიზება და თანხა სჭირდებოდა, რაც, როგორც ბევრი სხვა რამ, დეფიციტად ქცეულა ჩვენში, არამედ იმიტომაც, რომ ქართველებს ამ საუკუნესა და ათასწლეულში ილია ჭავჭავაძე გვყავდა... (ნურც იმას გამოეკიდებით, XX საუკუნისა უფრო იყოო.)

თუ მსოფლიოს რომელიმე ერს ისტორია გააჩნია, არც ჩვენა ვართ მათში გამონწყვეტილი, თუ ვინმეს დიდი ადამიანები ჰყოლია, არც ქართველები ვართ ამ მხრივ უბირნი. მაგრამ გადაწყვეტით შეიძლება ითქვას, რომ თუ საქართველოს ისტორიის მხოლოდ სამ ეტაპად დაყოფა გახდებოდა აუცილებელი, ეს ეტაპები იქნებოდა: დასაბამიდან დავით აღმაშენებლამდე, დავით აღმაშენებლიდან ილია ჭავჭავაძემდე და ილია ჭავჭავაძიდან მანამდე, სანამ საქართველო იარსებებს.

ღმერთმა ქნას, რომ ვცდებოდეთ და „ქართვლის დედამ" კვლავაც შვას დიდი ქართველი, რომელიც ილიასაგან გადაიბარებს ერის მამის, ღვთისგან ბოძებულ მისიას.

# ქართველებს ამ საუკუნესა და ათასწლეულში ილია ჭავჭავაძე გვყავდა...

## სათავეებთან

ბავშვობაშიც უცნაური და ყველასაგან გამორჩეული ყოფილა — გულჩათხრობილი და არა ბოლმიანი, უფრო — ფიქრიანი. როგორც მისი გამდელი სალომე ლოლაძე იხსენებდა, „ანგელოზივით ბავშვი იყო. ცელქობა და თამაშობა აგრერიგად არ უყვარდა... პატარაობიდანვე ლექსებს გამოსთქვამდა ხოლმე კოშკზე, მარანზე... ხმას არ აუმაღლებდა თავის დღეში მოსამსახურეს — მუშების დასაძახებლად გაგზავნილი მარტო დაბრუნდებოდა ხოლმე: ისეთ ტკბილადა სძინავთ ჩრდილში, რომ ვერ გავაღვიძე, შემეცოდნენო". მისი სიყრმის მეგობარი კონსტანტინე (კოხტა) აფხაზიც ამასვე ამბობს: „პატარაობიდანვე მიუკარებელი და ჩუმი იყო, მაგრამ მეტისმეტი მოსწრებული ხუმრობა იცოდა და თუკი ვინმეს სასაცილოდ აიგდებდა, მართლადაც მიწასთან გაასწორებდა..."

დალხენილი ბავშვობა არ ჰქონია — მამიდის ზრუნვას მინდობილი იზრდებოდნენ ობლები. არც ქონება გადასდიოდათ თავს — როგორც საბუთებიდან ირკვევა, სხვა თავადებისგან განსხვავებით, მათი სარჩოს მომწოდებელი ხუთიოდე კომლი ყმა ყოფილა. მამიდის სიყვარული ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა ილიას და უკვე ორმოც წელს გადაცილებულმა, მწარედ განიცადა მისი გარდაცვალება — მეუღლეს სწერდა: „საწყალი მამიდა... გიჟსავით დავდივარ ოთახიდამ ოთახში... საწყალი მამიდა!"

შემდეგ იყო თბილისი, გიმნაზია და ქართული საზოგადოება, და ეს ყველაფერი — მომავალი სახელოვანი მოღვაწეობის საფუძვლად. სწავლობდა იმას და ისე, რა და როგორც საჭიროდ მიაჩნდა, გიმნაზიის ნიშნების ფურცლებში არც „ორები" და „სამები" იყო მისთვის უცხო. საატესტატო გამოცდები სხვებთან ერთად არ ჩაუბარებია — რისი ცოდნაც ზენაარმა დააკისრა, ის ატესტატში არ იწერებოდა.

წინ პეტერბურგი იყო.

## „თერგდალეული"

უფროს დას სწერდა: „ვაპირობ წასვლას რუსეთში, მარამ ისე მეძნელება დატოვება ამ ჩვენს ყვარლისა... მივდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ტკბილი ნათესაური სიტყვა სავსე სიყვარულითა, ელირება ჩემთვის ნეტარებად..."

მაგრამ წასვლა საჭირო იყო. თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მიზეზით შეიქმნა შედევრი — „ყვარლის მთებს":

„სამშობლო მთებო!
თქვენი შვილი თავსა განებებ,
მაგრამ თქვენ ხსოვნას
დავიწყებას ვერ მივანებებ."



ვერც ლელთ ღუნიას გადაეყრებოდა ოთხი წლის შემდეგ სამშობლოში გამობრუნებული და არც „მგზავრის წერილები" იმარგალიტებდა ქართულ პროზაში. გარდა ამისა, ის ოთხი წელიწადი... „იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია სიბნელესა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული... ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა!"

რიგიანად მოიხმარა და მერე როგორ — პირველად მან „დალია თერგის წყალი", თუმცა მანამდეც ბევრი წასულა ჩრდილოეთში და უკანაც დაბრუნებულა, მაგრამ მხოლოდ ის მიხვდა: „ეგ დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა!"

„პეტერბურგიდამ" დიპლომი არ ჩამოუტანია. არც სჭირდებოდა, რადგან მის მაგიერად სხვა რამის დათმობა მოუწევდა — ერთ ქართველ სტუდენტს ნიკო ნიკოლაძისთვის „სოვრემენიკის" კითხვისას წაუსწრია (აკრძალული იყო) და გაავებით უთქვამს: „შენც ისე წახდები, როგორც ილია ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილლერის, ბაირონისა და ვალტერ სკოტის კითხვის მეტს არაფერს არას შვრებოდა და დაესხა თავსლაფი — უდიპლომოდ წაბრძანდა. აბა, ეხლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?!"

მისი ადგილი კი, უკვე რამდენიმე საუკუნის მანძილზე „ვაკანტური" იყო — საქართველოს ერის მამა არ ჰყავდა.

## სიყვარული

გულჩათხრობილი იყოო — ამბობდნენ. მაგრამ სიყვარული ანთებდა და აფორიაქებდა თურმე. „სიყვარულები" კი, ადრეული ასაკიდანვე შეყრია. როგორც კოხტა აფხაზი ამბობს, ილიას პირველი სატრფო ვინმე ტერასატუროვის ქალიშვილი ყოფილა — ცამეტითოთხმეტი წლისანი ვიყავით, როდესაც მე და ილია მივუახლოვდებოდით მისი „ღვთაების" სარკმელს და ისიც ღიმილს გვჩუქნიდა ხოლმეო.



ალექსანდრა ჩაიკოვსკაია

შემდეგ გიმნაზიის დირექტორ დემენტიევის ქალიშვილს მოუხიბლავს მომავალი პოეტი.

„სერიოზულ" პეტერბურგში კი, გატაცებანიც „სერიოზული" ყოფილა — დიდი რუსი კომპოზიტორის, პეტრე ჩაიკოვსკის ღვიძლი და — ალექსანდრა ჩაიკოვსკაია გამხდარა ილიას პოეზიის მუზა.

იგივე კოხტა აფხაზი, რომელიც არც სტუდენტობისას მოშორებია გვერდიდან სიყრმის მეგობარს, დაწვრილებით აღწერს მათი რომანის ამბავს და ასეთ ეპიზოდს იხსენებს: „როდესაც მათთან პირველად სადარბაზოდ მივდიოდით, დიდ გაჭირვებაში ვიყავით, ერთი მუნდირი გვქონდა... დავიქირეთ კარეტა. როდესაც სახლთან მივედით, ჯერ მე შევედი სახლში, ილიამ კარეტაში მომიცადა. როდესაც დავბრუნდი, გადავეცი მუნდირი — ახლა ის შევიდა სადარბაზოდ. ასე დავაღწიეთ თავი უხერხულ მდგომარეობას."

ეს სასიყვარულო ურთიერთობა 1860 წელს შეწყდა. ჩაიკოვსკაია ცნობილი დეკაბრისტის — ვასილ დავიდოვის ვაჟს გაჰყვა ცოლად.

ახალგაზრდული „სიყვარულის სახადი" უკვე მოხდილი ჰქონდა საქართველოში დაბრუნებულ ილია ჭავჭავაძეს და გული დიდი, ნამდვილი სიყვარულისთვის იყო ღია — „სულის მცნობი სულისთვის და გონების მცნობი გონებისთვის."

ილიასა და ოლღა გურამიშვილის სასიყვარულო ისტორია ლიტერატურაში არაერთგზის აღწერილი „სცენარით" წარიმართა: მდიდარი, თავმომწონე მემამულის შვილი და კეთილშობილი გვარის, მაგრამ ღარიბი „ნასტუდენტარი სასიძო". წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა საიდუმლო სასიყვარულო მიმოწერა: „...იმიტომ ვერ ამოვალ, მარტოკა არსად მიშვებს. მშვიდობით, გენაცვალოს ჩემი თავი. ბევრს გაკოცებ. შენი ოლიკო". „მე აღმომაჩნდება ჩვენი ცხოვრებისათვის სახსრები, ვიცხოვრებთ ისე, როგორც მრავალნი ცხოვრობენ..." — პასუხობდა ილია. მაგრამ მათ იმ მრავალთაგან განსხვავებულად იცხოვრეს.

მოგვიანებით თადეოზ გურამიშვილიც მიხვდა თავისი სიძის განსაკუთრებულობას და უბრად ყოფნის შემდეგ, ჯვრისწერიდან კარგა ხნის მერე თავის შვილს სწერდა: „ჩემს სიძეს, კნიაზს ილიას სიყვარულით მოკითხვას მოვახსენებ."

ჯვრისწერა კი, თბილისის სამების ეკლესიაში მოხდა საიდუმლოდ, 1863 წლის 10 აპრილს.

მეუღლე, მეგობარი და თანამოაზრე იყო — ზედმიწევნით შემსრულებელი „კარგი დედაკაცის" ილიასეული მცნებისა: „დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კარგი დედაკაცობაა, ქალს ბევრი რამ მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე." ოლღა ჭავჭავაძე თავად გახდა საზოგადო მოღვაწე, მაგრამ ამ მოღვაწეობისთვის არასოდეს უნაცვალებია ილიასათვის აუცილებელი სითბო და ოჯახური მყუდროება: „ილია მისთვის სათაყვანო კერპი იყო, რომლის წინ მუხლს იდრეკდა" (იაკობ მანსვეტაშვილი). ერთხელ, როდესაც ილიამ მოსამსახურე ქალს ჭიქა წყალი მოატანინა, მეუღლეს მისთვის უთქვამს: „დამიგდე ყური, ნუ დაივიწყებ, რა ბედნიერებაა ჩემთვის, რომ მოგიტანო ჭიქა წყალი. შენ კი ამ სიამოვნებას მიკარგავ."

ილიაც, სიყვარულსა და თითქმის არაბუნებრივ — დედობრივ მზრუნველობაზე სიყვარულითვე პასუხობდა და ამბობდა, — ჩემი ოლღა ციდან ჩამოსული ადამიანი არისო.

თუმცა, ეს სიყვარული მაინც არ უშლიდა ხელს, „სხვა ქალების" სილამაზითა და სიკეკლუცით მოხიბლულიყო — უახლოეს მეგობართან და თანამოაზრესთან, ნიკო ხიზანაშვილთან სოფელ ურბნისში სტუმრობისას, მავანი თავადის ქალი გაუცნია და როგორც იქ დამსწრეები იგონებდნენ, „შეყვარებული გიმნაზისტივით" შეჰხაროდა თურმე, სანამ ქალს რაღაც როყიო და უშნო სიტყვა არ წამოუროშავს. მთელი საღამო გულმოკლული იჯდა და ჩვენც ჩაგვშხამდა დროსტარებაო — იხსენებდნენ მეგობრები.

ერთი დიდად ცნობილი ქართველი მწერალი ქალი თითქმის დაუფარავად, მაგრამ შორიდან შესტრფოდა თურმე. მაგრამ ამ ტრფობას არც ერთის ღირსებისათვის ზიანი არ მიუყენებია.

## „ჩვეულებრივი ადამიანი"

დიდად „ზარმაცი" ყოფილა — გიმნაზიაში არასდროს გაკვეთილებს არ ამზადებდა თურმე და როდესაც გამოცდები მოახლოვდებოდა, მხოლოდ მაშინ შეუდგებოდა ბეჯითად სწავლას. ორ-სამ საათში იმდენს შეისწავლიდა და დასძლევდა, სხვა რომ ორ დღეს ანდომებდაო — ამბობდნენ გიმნაზიის ამხანაგები — გასაკვირველი ის იყო, რომ ამგვარი შესწავლა, როგორც მოსალოდნელია, არ იყო ზერელე. პირიქით, რასაც კი შეისწავლიდა, უსათუოდ ზედმიწევნითო.

ეს „სიზარმაცე" ცხოვრების ბოლომდე გაჰყოლია — რამდენიმე დღე შეეძლო უსაქმოდ გაეტარებინა, ანდა ორი დღე-ღამე ტანსაცმლის გაუხდელად სძინებოდა ტახტზე. მაგრამ თუ სამუშაოდ დაჯდებოდა, ასევე ღამეებს ასწორებდა წერაში, უძილოდ და უჭმელად.

აზარტულიც ყოფილა თურმე და ბანქოს თამაშიც ჰყვარებია — ოთხმოციანი წლების დასაწყისში ყოველ ღამეს სამორინეებში ატარებდა. ერთხელ ალიონზე ეტლით დაბრუნებულა შინ კუკიის სათამაშო სახლიდან, მთელი ღამის ნათამაშები. არც თვითონ ჰქონია წვრილი ფული და მეეტლესაც ვერსად დაუხურდავებია ოქროს თუმნიანი. მთლიანად დაუტოვებია ის თუმანი მეეტლისათვის. „მადლობთ, კნიაზ-ჯან! გეტყობა მოგიგია, ღმერთმა სულ ეგეთ ფეხზე გატაროს!" — უთქვამს სიხარულისგან და გაოცებისგან თვალებდაჭყეტილ „ტრანსპორტის მუშაკს". ის თუმანი კი ბოლო ყოფილა — იმ დღეს რამდენიმე ათასი წაუგია ილიას.

თუმცა ფულთან აგდებული და ზერელე დამოკიდებულება არასოდეს ჰქონია. „ივერიის" მუდმივი თანამშრომელი არტემ ახნაზარაშვილი (ლიტერატურული ფსევდონიმი — „ჩიორა") მისულა ახალი წლის წინა დღეებში გაზეთის რედაქტორთან და ხელფასის რამდენიმე დღით ადრე მიცემა უთხოვია. ილიას უარი უთქვამს. იმავე საღამოს ილიას სახლში გამართულ ტრადიციულ „პარასკეობაზე", სანამ სუფრა გაიშლებოდა, „ბაკარას" სათამაშოდ მისხდომია ბანქოს მაგიდას სტუმარ-მასპინძელი. „ჩიორაც" ჩართულა თამაშში უკანასკნელი ოცდახუთი მანეთით და ილიასათვის ექვსასი მანეთი მოუგია. როდესაც წაგებულს უსტუმრებდა, გახარებულ ახნაზარაშვილს უკითხავს: „ბატონო ილია, რატომ მითხარით უარი დღეს ჩემი ხუთი თუმნის რამდენიმე დღით ადრე მოცემაზე. ოცდახუთი მანეთიღა მქონდა, მაინც არ მყოფნიდა არაფერში და იმიტომ ვითამაშე. ის ფული რომ მოგეცათ, ახლა ექვსას მანეთს არ წააგებდით." ილიას უპასუხია, ის ხუთი თუმანი არ გერგებოდა და იმიტომ არ მოგეცი, ეს კი — გერგებაო.

კარგ ჭამა-სმაზეც არ ამბობდა თურმე უარს. მისი და მისი მეგობრის — ნიკო ხიზანაშვილის მადა ერთმანეთის გაკენწვლისა და მახვილი ხუმრობის მუდმივი მიზეზი ყოფილა. ნიკო „მეკატლეტეს" ეძახდა, ხოლო ილიას გერმანიიდან სუვენირი ჩამოუტანია მისთვის: სამელნე — გოჭი და საფერფლე — ღორის თავი. თან ექსპრომტიც მიუყოლებია, რომელიც ასე მთავრდებოდა:

„რით ვერ გაძეხ ღორის ჭამით,
შე მსუნაგო ყურუმსაღო."

რელიგიასთანაც თავისებური დამოკიდებულება ჰქონია „ენა, მამული, სარწმუნოება"-ს მებაირახტრეს — თვითონვე ამბობს, რამდენიმე წელი ისე გაივლის, ეკლესიაში არ შევიხედავო, მაგრამ ყოველთვის გვერდში ედგა და დიდად აფასებდა საქართველოსთვის მოღვაწე მღვდელთმთავრებსა და სხვა სასულიერო პირებს. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნაც მას ანდეს. მის ამ „ულმერთობას" ხელი არ შეუშლია და, სამართლიანადაც, რომ ქართველ წმინდანთა რიგში „ილია მართალიც" ჩამდგარიყო მეოცე საუკუნეში და უკუნითი უკუნისამდე.

## „გატეხილი" კოკა

1905 წელს, „საფუძვლიანად" აირია ქვეყანა — სოციალისტები და ფედერალისტები, ანარქისტები და მონარქისტები... ილია მხოლოდ „საქართველოისტი" იყო და თავდაუზოგავად ებრძოდა ყველა სხვა „ისტებს". საოცრად ჰგვანან მაშინდელი ევროპულ განათლებამიღებული ახალმოღვაწენი დღევანდელ ქართველ პოლიტიკოსებს. გულწრფელად სჯეროდათ ევროპული სახელმწიფოებრივი წესწყობილების უპირატესობისა და რატომღაც ილიას სახავდნენ ამის მთავარ მოწინააღმდეგედ.

ნოე ჟორდანია და „ძმანი მისნი" ევროპულ ენებზეც „ჟღურტულებდნენ", იქაურობაც მოვლილი ჰქონდათ და საგაზეთო პაექრობაშიც არ არღვევდნენ ცივილიზებულ ეთიკურობას პირველ ხანებში, მაგრამ როდესაც მათი კოსმოპოლიტიზმი მრავალჯერ შეემსხვრა ილიას პატრიოტიზმს, ევროპაც დაივიწყეს, ცივილიზაციაც და ელემენტარული სინდის-ნამუსიც. საქმე იქამდე მივიდა, რომ თავიანთი გაზეთების ძირითადი მკითხველი — ღატაკი და ადვილად მიმნდობი მუშები და გლეხები იმაშიც კი დაარწმუნეს, რომ ილია თავისი წყაროდან გლეხებს წყალს არ აძლევს და ვინც კი მაინც გაბედავს ურჩობას, კოკებს თავზე ამტვრევსო.

სხვათაშორის, ამ „ვერსიამ" იმიტომაც მოიკიდა ფეხი, რომ სოციალ-დემოკრატებმა დემაგოგიურად გამოიყენეს ილიას ქვისლის — სტაროსელსკის მოურავის საქციელი. საგურამოელი გლეხი ფრიდონაშვილი იგონებს: „ლეჩხუმელი გორგასლიძე იყო ტარასენცკიანთა („ტარასენცკებს" სტაროსელსკებს ეძახდნენ გლეხები), იმან გაუტეხა კოკა გლეხსა. მერე ილიას დააბრალეს."

არადა, გლეხებისადმი ილიას დამოკიდებულება საყოველთაოდ იყო ცნობილი. ჯერ კიდევ ბატონყმობის გაუქმებამდე გაათავისუფლა თავისი ყვარლელი ყმები. ხოლო საგურამოელი გლეხები აღმერთებდნენ და ისიც „შვილებს" ეძახდა. ამას უამრავი თვითმხილველი ჰყავდა, თუნდაც ყოველი წლის 20 ივლისს „ილიაობაზე", როდესაც დროის უმეტეს ნაწილს გლეხების სუფრაზე ატარებდა თურმე „იუბილარი" და მათთან ერთად ილხენდა და მღეროდა, უფრო სწორად — სიმღერას ცდილობდა, რადგან ქართული სიმღერის დამფასებელსა და პირველი ქართული პროფესიონალური გუნდის მოამაგესა და ხელის შემწყობს სიმღერა არ ეხერხებოდა. ერთხელ „ილიაობაზე" გლეხებს აჰყოლია სიმღერაში, „ილიავ, გაჩუმდი"— უთქვამთ გლეხებს. „ვერ გავჩუმდები, მემღერება." „მაშინ ჩვენ გავჩუმდებით" — რაღა უნდა ექნა, გაჩუმებულა.

მაგრამ მისი ზრუნვა გლეხებისადმი მხოლოდ წელიწადში ერთხელ ქეიფითა და „შვილო"-ს ძახილით არ ამოწურულა. არ ყოფილა შემთხვევა, მასთან თხოვნით მისული, ვინმე უარნათქვამი გამობრუნებულიყო — გლეხი ლაბაური იგონებდა ილიას სიკვდილის შემდეგ — ღარიბი ვიყავი და ბატონს ქორწილისთვის ღვინო ვთხოვე, მაშინვე ერთი ვედრო არაყი და ოცი ვედრო ღვინო მოაცემინაო. სხვა კი, ასე იხსენებს ილიას ამაგს: როგორა ხარო, ბატონმა მკითხა. რა ვიცი, ბატონო, დღე და ღამ ვშრომობ და მაინც გაჭირვე-



საგურამოელი გლეხები „ილიაობაზე"

ბული ვარ-მეთქი, ვუპასუხე. ერთი თუმანი მომცა და თან ქაღალდზე რაღაცა დამიწერა, ეს ჩემ მოურავს მიუტანეო. გახარებული გავიქეცი. მოურავმა მითხრა, წადი, ბიჭი მოიყვანე, სამი ტომარაც წამოაყოლე და ბეღელში მოდიო. მივედით ტომრებით, რომ იმ თუმნისა გვემუშავა. მოურავმა სამივე აგვავსებინა და წაიღეთო — გვითხრა. თურმე, იმ მადლიან ჩვენ ბატონსა იმ ქაღალდზე დაუწერია, ფულის გარდა ხორბალიც მოეცა ჩვენთვის მოურავს.

მაგრამ „არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი" და „სამადლო სკოლაც" გაუხსნია ილის საგურამოს მამულში გლეხების ბავშვებისთვის. იქაურ პატარებს სულ იმ „არაოფიციალურ სკოლაში" უსწავლიათ წერა-კითხვა. არც წიგნებს აკლებდა „მოწაფეებს". „მარტო ჩემთვის ბარე თერთმეტი წიგნი ექნება ნაჩუქარი" — იხსენებს ვინმე შოთნიაშვილი, მაგრამ „კოკის გატეხვისა" და გლეხების გაროზგვის ამბებს მაინც აქტიურად ნერგავდნენ უბირთა ტვინებში სიწითლეშეპარული მომავალი პოლიტიკოსები და ... ერთხელ თბილისიდან საგურამოს მიმავალმა ილიამ ეტლი წიწამურთან შეაჩერებინა...

## „ილია ვარ!!!"

„წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია,
მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი!"

ილიას სიკვდილიდან დიდი ხნის შემდეგ პოეტის მიერ ამ სიტყვებით გამოხატული შეძრწუნება ასევე აღიქვა მთელმა საქართველომ 1907 წლის აგვისტოს ბოლოს და თანაც რამდენიმე დღეშივე სიცოცხლეში დაწყებული საქმე თავისი სიკვდილითაც გააგრძელა ილია ჭავჭავაძემ — მისი დაკრძალვა არა მხოლოდ საერთო სახალხო გლოვად, არამედ ერის გამთლიანებისა და სინანულის გამოხატულებად იქცა.

მაგრამ „თაფლის კასრში კუპრად ჩანთხეული" ქართველი ნაბიჭვრები ურცხვად აცხადებდნენ: „რას ვიზამთ, დიდი ძვრების ხანაში ვცხოვრობთ. ტყე რომ იჭრება, ნაფოტიც ცვივა".

აკაკიმ მაშინ თქვა: „ფურთხის ღირსი ხარ საქართველოვ!" მან იმ საქართველოს მიმართა, რომელმაც საკუთარ თავს ესროლა ტყვია წიწამურში.

მაგრამ „ფურთხის ღირსმა საქართველომ" არ უწყოდა, რომ ამ ტყვიით სამარადჟამოდ უკვდავჰყო ერის სამსახურად ღვთის მიერ მოვლენილი ზეკაცი...

...საუკუნე წამია ისტორიისათვის და არც ათასწლეულია წუთზე მეტი. საუკუნე გადის ილიას ზეცად ამაღლებიდან და ივერიას ჯერაც ვერ მოშორებია დაავადებული სხეულიდან ილიას მკვლელთა სატანური მემკვიდრეობის ნარჩენები.

მაგრამ საუკუნე ხომ წამია, წამი კი — წარმავალია.

ხოლო საქართველოს ისტორიის ახალი ერა — „ილიადან უსასრულობამდე", კვლავაც გრძელდება!

ზვიად გურული

# ფრაგმენტებიანი კროსვორდი



## თარაზულად:

**3**



ქვეყანა (იმდროინდელი სახელი), სადაც საფუძველი ჩაეყარა ნაძვის ხის მორთვას საშობაოდ

**5**



სკულპტურული გამოსახულების ტიპი

**9**



სიუჟეტის განსაკუთრებულად დახლართული და დაძაბული განვითარება რომანში ან დრამაში

**10**



ყველასათვის სანატრელი მწვანე კუპიურა

**11**



ფულის მოსაგებ-წასაგები დაწესებულება

**15**



რაიმე ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებული ზეიმი

**17**



ევროპელი ჯუჯა კაცი

**18**



მაღალი ხარისხის მინა

**19**



რაზმი, რომელიც ახალი წლის დადგომისას გაძლიერებულ მზადყოფნაშია

**20**



ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი ორგანულ ნივთიერებათა კლასი

**24**



რომი, ცხელი წყალი, შაქარი (სასმელი)

**25**



საახალწლო ხე

**26**



მეცნიერი, რომელიც ამუშავებს ცოდნის ამა თუ იმ დარგის თეორიის საკითხებს

**29**

ქართველი თოვლის ბაბუის მოსასხამი

**32**



პოტენციური ბრილიანტი

**33**



იესოს დაბადების ადგილი (ქალაქი)

**34**



შემსწავლელი მეცნიერი

**35**



ნაკვეთი სპეციალური სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსაყვანად

**16**



კაცობრიობის განვითარების ხანა

**21**



განსაკუთრებული, სხვებისაგან ჩაცმითა და ყოფაქცევით განსხვავებული ადამიანი

**28**



სუფრის „პრეზიდენტი"

**30**



ნორჩი მცენარე

## შვეულად:

**1**



ქალაქ — პოლისი

**2**



სიმღერის, მუსიკის კილო

**3**

მდიდრულად მოკაზმული უძრავი ან გადასატანი ჩარდახი

**4**



ღმერთთან დასაახლოებელი ადგილი

**6**



მოჩვენებითი ოცნებები

**7**

უცხოური საქონელი

**8**



მოძრაობა კლასიკურ საბალეტო ცეკვაში

**12**



ერთ-ერთი აუცილებელი სადღეგრძელო

**13**

სისუფთავე, წესიერება, ყოველი ნივთისათვის თავისი კუთვნილი ადგილის მიჩენა

**14**



აკრძალვა ტვირთის შემოტანაზე

**22**



გამაგრებული ადგილი ციხესიმაგრეში

**23**



ოპერის შესავალი ნაწილი

**27**



ბოლი

**31**



მაღალი წოდების პირთა მხლებლები

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა" №51 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 7. მეტრონომი; 8. მილენიუმი; 10. ორლეანი; 11. სმალტა; 12. ორლოვა; 16. იუმორესკა; 18. პრიზი; 19. დასტა; 20. სტოპერი; 21. გალათეა; 25. კარპი; 26. კერვა; 27. არქეოლოგი; 30. სხვენი; 33. კენარი; 34. ტანტალი; 35. ავიამზიდი; 36. ინტერპოლი.

**შვეულად:** 1. დეკემბერი; 2. „ლოლიტა"; 3. ომარი; 4. ჰიმნი; 5. [illegible]; 6. [illegible]; 9. რეტორიკა; 13. [illegible]; 14. აკვა[illegible]; 15. [illegible]; 17. გალერეა; 22. [illegible]; 23. ეპოლეტი; 24. ავსტრიელი; 28. ენდემი; 29. თეატრი; 31. მაუდი; 32. კლუბი.

• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

შ.პ.ს. „ფავორიტი"
გთავაზობთ უმაღლესი ხარისხის პოლიგრაფიულ მომსახურებას დაბალ ფასებში
წიგნების, ბროშურების, ჟურნალების, ბუკლეტების
რედაქტირებას, დაკაბადონებას, ბეჭდვას და აწყობას ნებისმიერ ეტაპზე
მუყაოს ყუთების დამზადებას, ნებისმიერი კონფიგურაციის
მყარ ზედაპირზე ტრაფარეტული და ტამპონურ ბეჭდვას;
ასევე საკანცელარიო საქონლის ფართო ასორტიმენტს
ქ. თბილისი, რკინიგზის ჩიხი 20
ტელ.: 70 84 14; 899 58 96 91, 899 51 60 89

00.05 „ახალი ხიდის საყვარლები" — საფრანგეთი

ალექსი უსახლკაროთა თავშესაფრიდან მუდმივ საცხოვრებელს უბრუნდება ძველ პარიზში. ეს გახლავთ „პონტ-ნეფი", ანუ ახალი ხიდი, რომელიც მაწანწალებისთვის „სასტუმროდ" ქცეულა. ავარიის შემდეგ გამოჯანმრთელებულ ალექსს, ახალგაზრდა მხატვარი ქალი — მიშელი დახვდება. მათ ერთმანეთი შეუყვარდებათ... რეჟისორი ლეო კარაქსი. მთავარ როლებში: ჟულიეტ ბინოში, დენი ლავანი, კლაუს მიხაელ გრუბერი.



00.15 „ტელეარხი" — აშშ

ფილმი დღევანდელობას უფრო კარგად ერგება, ვიდრე იმ პერიოდს, როცა შეიქმნა. ფილმი გახლავთ დაცინვა, მასხრად აგდება საზოგადოების დამოკიდებულებისა სატელევიზიო ახალი ამბების მიმართ. ფილმმა 1976 წელს „ოსკარის" ოთხი პრემია მიიღო. მათ შორის მამაკაცისა და ქალის საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლისათვის. რეჟ. სიდნი ლიუმეტი. მთავარ როლებში: ფეი დანაუეი, უილიამ ჰოლდენი, პიტერ ფინჩი, რობერტ დიუვალი.



00.15 „გლადიატორი" — აშშ

მაქსიმუსს ბადალი არ ჰყავს. კეთილშობილ მხედართმთავარს მებრძოლები უყოყმანოდ მიჰყვებიან თუნდაც ჯოჯოხეთში, მაგრამ მაქსიმუსი სამეფო კარის ინტრიგების მსხვერპლი ხდება. მას სიკვდილს მიუსჯიან. სასწაულით გადარჩენილი მხედართმთავარი გლადიატორი ხდება... რეჟ. რიდლი სკოტი. მთ. როლებში: რასელ კროუ, ჰოაკინ ფენიქსი, ოლივერ რიდი, რიჩარდ ჰარისი.



21.00 „„ჯგუფ „Z"-ის ჟარისკაცები" — აშშ

1945 წლის 10 იანვარი. იაპონელების მიერ ოკუპირებული ჩინეთის კუნძულ შანბაზე ამერიკელების თვითმფრინავი ჩამოვარდება. მის საძებნელად გზავნიან ცნობილ „ჯგუფ „Z"-ს. მათთვის არ არსებობს შეუსრულებელი მისია. რა საიდუმლოს მალავს თვითმფრინავის ნამსხვრევები — ამას მხოლოდ ის შეიტყობს, ვინც ცოცხალი გადარჩება. რეჟისორი იანგ აო სინგი და ტომ ბურსტლი. მთავარ როლებში: მელ გიბსონი, სემ ნილი.



18.55 „თქვენს სახელზე წერილია" — აშშ

კეტლინი პატარა, მყუდრო წიგნის მაღაზიის მფლობელია, ჯო კი, დიდი ფირმის მეპატრონე, რომელიც კეტლინის მაღაზიასთან ახლოს აშენებს. კეტლინი სიძულვილით აღივსება მის მიმართ, ვინაიდან მასში მეტოქეს ხედავს. ეს ხდება დღისით, ხოლო ღამით მათ რომანი აქვთ და აზრადაც არ მოსდით, რომ დაუსრულებლად უყვართ ერთმანეთი... რეჟ. ნორა ეფრონი. მთავარ როლებში: ტომ ჰენკსი, მეგ რაიანი.



• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

**ორშაბათი**

[1 არხი] 08.00 ალიონი 09.30 სერიალი „ძილის წინ" 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.50 სერიალი „ჯაშუშები"...

„პარასკეული კარიბჭე"

[ОРТ] 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.35 Новости. 10.20, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.25 Что? Где? Когда? 13.15 Телеканал "Добрый день". 13.55Х/Ф"ТАЙНАДВУХОКЕАНОВ". 15.30"Вместе". 16.20 Звездный час. 16.50 "... До 16 и старше". 17.30 Мультфильм. 19.30 Спецрепортаж. 19.50 Жди меня. 20.40 Сериал"ГРАНИЦА. ТАЕЖНЫЙ РОМАН". 21.45 Спокойной ночи, малыши. 22.00Время. 23.00 "СЕКРЕТНЫЕМАТЕРИАЛЫ". 00.45 Взгляд. 01.50 Сериал "МАЙК ХАММЕР".

[РТР] 07.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 08.15 Семейные новости. 07.50, 09.50 Городские новости. 08.30 Бюро вопросов, бюро ответов. 08.50, 10.15 "Черным по белому". 09.30 Москва-Минск. 10.20, 02.35 Дежурная часть. 10.35 Телепузики. 11.00 Сериал "МАНУЭЛА". 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Что хочет женщина. 14.00 Старая квартира. 15.30 Сериал "В ЗЕРКАЛЕ ВЕНЕРЫ". 16.25Сериал"БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.25 Сериал "ДРУЗЬЯ-2". 18.30 Сериал "ЧАРОДЕЙ. СТРАНА ВЕЛИКОГО ДРАКОНА". 20.00 Сериал "ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 21.30 Подробности. 21.50 Аншлаг. 23.00, 00.40 "Любовь Казарновская. Бенефис". 00.30 После "Вестей".

[НТВ] 07.00 Сегодня утром. 09.45 "АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ-2". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.25 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13.30 Вчера в итогах. 14.45 Куклы. 15.35 Итого. 16.00 Старый телевизор. 17.30 "ЭЛЕН И РЕБЯТА". 18.35 Впрок. 18.45 Футбольный клуб. 19.40 Криминал. 20.25 Герой дня. 20.50 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.55 Намедни-96. 23.45 Тушите свет. 23.55 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 01.00 "Сегодня в полночь". 01.30 Антропология.

**სამშაბათი**

[1 არხი] 08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი „ძილის წინ" 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.50 სერიალი „ჯაშუშები"...

„პარასკეული კარიბჭე"

[ОРТ] 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.20 Новости. 10.20, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.25, 20.40 Сериал"ГРАНИЦА. ТАЕЖНЫЙ РОМАН". 12.30 Спецрепортаж. 13.15 Телеканал "Добрый день". 14.10Х/Ф"ТАЙНА ДВУХ ОКЕАНОВ". 15.30 "Вместе". 16.20 Царь горы. 16.50 "... До 16 и старше". 17.30 Мультфильм. 19.25 Сериал"ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО". 19.55 Как это было. 21.45 Спокойной ночи, малыши. 22.00 Время. 23.00 Х/Ф "ЖЕНИТЬБА БАЛЬЗАМИНОВА". 00.45Цивилизация. 01.35 Сериал "МАЙК ХАММЕР".

[РТР] 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 08.15 Семейные новости. 07.50, 09.50 Городские новости. 08.25 Бюро вопросов, бюро ответов. 08.50, 10.15 "Черным по белому". 09.30, 21.30 Подробности. 10.20, 02.40 Дежурная часть. 10.35 Телепузики. 11.00 Сериал "МАНУЭЛА". 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Что хочет женщина. 14.00 Старая квартира. 15.30Сериал"В ЗЕРКАЛЕ ВЕНЕРЫ". 16.25 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.25 Сериал "ДРУЗЬЯ-2". 18.30 Сериал "ЧАРОДЕЙ. СТРАНА ВЕЛИКОГО ДРАКОНА". 20.00 Сериал"ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 21.50 Х/Ф "ВЕЧЕРНИЙ ЛАБИРИНТ". Мосфильм, 1980 Г. 23.35Семен Альтов. "Обовсем". 00.30После "Вестей". 00.40Х/Ф "ГОРЕЦ-2". США, 1990 Г.

[НТВ] 07.00 Сегодня утром. 09.45, 20.50 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.20, 23.55 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 12.10 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13.25 Х/Ф "КАИН XVII". Ленфильм, 1963 г. 15.30 Криминал. 16.00 Старый телевизор. 17.30"ЭЛЕН И РЕБЯТА". 18.35 Впрок. 18.45 Сериал "СТРАСТЬ". 19.40 Криминал. 20.25 Герой дня. 21.55 Намедни-97. 23.45 Тушите свет. 01.00 "Сегодня в полночь". 01.30 Антропология.

**ოთხშაბათი**

[1 არხი] 08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი „ძილის წინ" 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.45 სერიალი „ჯაშუშები"...

„პარასკეული კარიბჭე"

[ОРТ] 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.10 Новости. 10.20, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.20, 20.40 Сериал"ГРАНИЦА. ТАЕЖНЫЙ РОМАН". 12.25, 19.25 Сериал"ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО". 13.15 Ураза-Байрам. 14.05 Х/Ф "НОВОГОДНИЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ МАШИ И ВИТИ". 15.30 "Вместе". 16.20 Зов джунглей. 16.50 "... До 16 и старше". 17.30 Мультфильм. 19.55 Человек и закон. 21.45 Спокойной ночи, малыши. 22.00 Время. 23.00 Концерт поосвященный дню спасателя. 01.25 Сериал "МАЙК ХАММЕР".

[РТР] 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 08.15 Семейные новости. 07.50, 09.50 Городские новости. 08.25 Бюро вопросов, бюро ответов. 08.50, 10.15 "Черным по белому". 09.30, 21.30 Подробности. 10.20, 02.30 Дежурная часть. 10.35 Телепузики. 11.00 Сериал "МАНУЭЛА". 12.30 Сериал "САНТА-БАРБАРА". 13.30 Что хочет женщина. 14.00 Старая квартира. 15.30 Мультфильм. 16.50 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.25 Сериал "ДРУЗЬЯ-2". 18.30 Сериал "ЧАРОДЕЙ. СТРАНА ВЕЛИКОГО ДРАКОНА". 20.00 Сериал"ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 21.50 Х/Ф "В ПОИСКАХ ПРИКЛЮЧЕНИЙ". США, 1996 г. 00.30 После "Вестей". 00.40 Х/Ф "СПАСАТЕЛИ". 01.30 Мужчина и женщина.

[НТВ] 07.00 Сегодня утром. 09.45 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.20, 23.55 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 12.10 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13.25Х/Ф "СНЕГУРОЧКУ ВЫЗЫВАЛИ?". 14.45 Мультфильм. 15.35 Среда. 16.00 Старый телевизор. 17.30 "ЭЛЕН И РЕБЯТА". 18.35 Впрок. 18.45 Сериал "СТРАСТЬ". 19.40 Криминал. 20.25 Герой дня. 20.50 Сериал "СПАСАТЕЛИ. КРИТИЧЕСКАЯ МАССА". 21.55 Намедни-98. 23.45 Тушите свет. 01.00 "Сегодня в полночь". 01.30 Антропология. 02.20 Фигурное катание. Чемп. России.

**ხუთშაბათი**

[1 არხი] 08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი „ძილის წინ" 09.50 ტელემაღაზია 09.55, 20.50 სერიალი „ჯაშუშები"...

[ОРТ] 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 01.25 Новости. 10.20, 17.55 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.25, 20.40 Сериал"ГРАНИЦА ТАЕЖНЫЙ РОМАН". 12.30, 19.25Сериал"ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО". 13.15Телеканал "Добрый день". 14.05 Х/Ф"ОБЫКНОВЕННОЕ ЧУДО". 15.30 "Вместе". 16.20 Программа 100%. 16.50 "... До 16 и старше". 17.30 Мультфильм. 19.55 Процесс. 21.45 Спокойной ночи, малыши. 22.00 Время. 23.00Х/Ф "БЕРЕГИСЬ АВТОМОБИЛЯ". 00.50 Песня года. 01.40 Сериал "МАЙК ХАММЕР".

**პარასკევი**

[1 არხი] 08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი „ძილის წინ" 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.50 სერიალი „ჯაშუშები"...

„პარასკეული კარიბჭე"

[ОРТ] 07.00 Телеканал "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 02.25 Новости. 10.20, 18.00, 19.25 Сериал "ВАВИЛОНСКАЯ БАШНЯ". 11.25 Сериал "ГРАНИЦА ТАЕЖНЫЙ РОМАН". 12.30 Сериал"ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО". 13.15Телеканал "Добрый день". 14.05 Х/Ф "ОБЫКНОВЕННОЕ ЧУДО". 15.30 "Вместе". 16.20 Х/Ф "ВОЛШЕБНОЕ РОЖДЕСТВО". 20.40 Поле чудес. 21.45 Спокойной ночи, малыши. 22.00 Время. 22.45 Х/Ф "К-9. СОБАЧЬЯ РАБОТА". 00.40 Х/Ф "ВСТРЕТИМСЯ НА ТАИТИ".

[РТР] 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ВЕСТИ 07.15 Доброе утро, Россия. 07.20, 08.15 Семейные новости. 07.50, 09.50 Городские новости. 08.25 Бюро вопросов, бюро ответов. 08.50, 10.15 "Черным по белому". 09.30 Тысяча и один день. 10.20, 02.30 Дежурная часть. 10.35 Телепузики. 11.00 Сериал "МАНУЭЛА". 12.30Сериал"САНТА-БАРБАРА". 13.30 Что хочет женщина. 14.00 Старая квартира. 15.30 Мультфильм. 16.40 Сериал "БОГАТЫЕ И ЗНАМЕНИТЫЕ". 17.25 Сериал "ДРУЗЬЯ-2". 18.30 Сериал "ЧАРОДЕЙ. СТРАНА ВЕЛИКОГО ДРАКОНА". 20.00 Сериал "ИСТОРИЯ ЛЮБВИ". 21.30 Подробности. 21.50 Х/Ф "БЛЕФ". Италия, 1976 г. 00.10 Концерт. Н. Басков. 02.00 Док. фильм.

[НТВ] 07.00 Сегодня утром. 09.45 "СПАСАТЕЛИ. КРИТИЧЕСКАЯ МАССА". 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 11.20 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ". 12.10 Сериал "ЛЮБОВЬ И ТАЙНЫ САНСЕТ БИЧ". 13.25 Х/Ф "ПИРАТЫ XX ВЕКА". 15.30 "Один день". 16.00 "Старый телевизор". 17.30 Улица сезам. 18.00 "ЭЛЕН И РЕБЯТА". 18.35 Впрок. 18.45 Сериал "СТРАСТЬ". 19.40 Криминал. 20.30 "Глас народа". 21.50 Намедни-2000. 23.45 Женский взгляд. 01.35 Х/Ф "ПОДГЛЯДЫВАЮЩИЙ".

**შაბათი**

[1 არხი] 10.00 დილის ჰაერში 11.30 საბავშვო კონცერტი „რონდო" 12.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე...

„7 ძმის 7 სატრფო"

[ОРТ] 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.15 Программа "100%". 09.40 "АЛЬФ". 10.15 В мире животных. 11.15 Смак. 11.35 Смехопанорама. 12.10 Х/Ф "КАПИТАН ХУК". 14.45 Утренняя почта. 15.15 Здоровье. 16.15 Дисней-клуб. 16.40 Х/Ф "БЛИЗКИЕ КОНТАКТЫ ТРЕТЬЕЙ СТЕПЕНИ". 19.15 Сериал "УСКОРЕННАЯ ПОМОЩЬ-2". 20.05 Х/Ф "ОПЕРАЦИЯ "Ы" И ДРУГИЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ ШУРИКА". 22.00 Время. 22.40 Что? Где? Когда? 00.15 Х/Ф "ЛИКВИДАТОР". 02.10 Х/Ф "АВТОБУСНАЯ ОСТАНОВКА".

[РТР] 08.30 Х/Ф "ЗАГОВОР ДОКТОРА ФУ МАНЧУ". 10.05 Мультфильм. 10.30 Телепузики. 11.00 Доброе утро, страна. 11.50 Сто к одному. 12.35 Сам себе режиссер. 13.05 Золотой ключ. 13.25 "РОЖДЕСТВЕНСКИЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ КОМИССАРА РЕКСА". 15.00, 21.00 Вести. 15.20 Х/Ф "ДЕВУШКА МОЕЙ МЕЧТЫ". 17.00 Международная панорама. 18.00 "Пресс-клуб". 19.00 Моя семья. 20.00 Тв бинго шоу. 21.30 "Сибирский цирюльник" Никиты Михалкова. 22.10 Х/Ф "КРАСОТКА-2 - СБЕЖАВШАЯ НЕВЕСТА". США, 1999 Г. 00.35 Х/Ф "ШОУ ГЕРЛЗ". США, 1995 Г. 02.50 Музыкальная программа.

[НТВ] 09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня. 09.15 Х/Ф "НОВОГОДНИЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ МАШИ И ВИТИ". 10.35 Мультфильм. 11.20 Чистосердечное признание. 11.50 Х/Ф "МСТИТЕЛИ ИЗ 2-ГО" В". 12.25 "Полундра". 13.25 Х/Ф "КАРЬЕРА ДИМЫ ГОРИНА". 15.15 В нашу гавань заходили корабли. 16.40 Свидетель века. 17.25 Интересное кино. 18.20 Дог-шоу. 18.50 "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО". 20.45 "Герой дня без галстука". 21.40 "О, счастливчик!" 23.35 Итого. 00.00 Алла Пугачева "Избранное".

**კვირა**

[1 არხი] 10.00 „მეტრონომი" 11.05 სპა 11.25 ქართული მულტფილმები 11.50 საბავშვო კონცერტი 12.25 ზუმი...

[ОРТ] 08.45 Слово пастыря. 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.10 Армейский магазин. 09.40, 16.15 Дисней-клуб. 10.05 Утренняя звезда. 11.15 "Непутевые заметки". 11.35 Пока все дома. 12.15 Мультсериал. 12.40 Х/Ф "ВЕЛИКОЛЕПНАЯ СЕМЕРКА". 15.05 Эх, Семеновна. 16.40 Новогодний аттракцион. 17.30 Х/Ф "КАРНАВАЛЬНАЯ НОЧЬ". 19.20 Х/Ф "ПЕС БАРБОС И НЕОБЫЧНЫЙ КРОСС" "САМОГОНЩИКИ" 19.50 КВН-2000. 22.00 Время. 22.50 Х/Ф "ДЖЕНТЛЬМЕНЫ УДАЧИ". 00.30, 01.05 Старые песни о главном. Постскриптум. 00.55 Новогоднее обращение Президента Российской Федерации В.В.Путина.

[РТР] 08.30 Мультфильм. 08.35 Х/Ф "НЕСЧАСТНЫЙ СЛУЧАЙ". 10.05 Почта РТР. 10.35, 04.05 Доброе утро, страна. 11.15 Аншлаг. 12.15, 21.30 Городок. 12.45 Русское лото. 13.25 Х/Ф "НЯНЬКИ". США, 1991 Г. 15.00, 21.00 Вести. 15.20 Диалоги о животных. 16.25 Планета Земля. 17.30 Два рояля. 18.30 Х/Ф "ТИХИЕ ОМУТЫ". Россия, 2000. 22.10 Бенефис Романа Карцева. 23.20 Новогодний "Аншлаг". 00.20, 01.00 Голубой огонек. 00.55 Новогоднее обращение Президента РФ В.В.Путина. 02.30 "Два рояля" в Новогоднюю ночь.

[НТВ] 09.00, 11.00, 13.00, 17.00 Сегодня. 09.15 Х/Ф "НА БОЙКОМ МЕСТЕ". 11.20 Х/Ф "ОСТОРОЖНО, БАБУШКА". 13.30 "Путешествия натуралиста". 14.00 Фигурное катание. 15.10 Х/Ф "СВАДЬБА В МАЛИНОВКЕ". 17.30 Х/Ф "ЯГУАР". 19.25 Х/Ф "СТАРЫЕ КЛЯЧИ". Россия, 2000 г. 22.00 Итого. 23.15 "Куклы". 23.30, 01.15 "НОВЫЙ ГОД НА УЛИЦАХ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 00.45 Новогоднее поздравление. 01.00 Тушите свет. 02.20 Х/Ф "ЖЕНСКОЕ СЧАСТЬЕ". 04.35 НТВ-новогоднее Телевидение.

• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი



ესთეტიკური პლასტიკის ქირურგიული ცენტრი

აშშ-ში სტაჟირებული ექიმთა ჯგუფი აკადემიკოს ბესიკ იაშვილის ხელმძღვანელობით, მაღალი კლასის უცხოური აპარატურით და თანამედროვე საოპერაციო მასალებით გთავაზობთ შემდეგი სახის ოპერაციებს:

სახის დაჭიმვა; ქუთუთოების პლასტიკა; მკერდის გადიდება-დაპატარავება, კორექცია, აღდგენა; მუცლის დაჭიმვა; ზედმეტი ცხიმის მოშორება (ლიპოსაქცია);

ცხვირის პლასტიკა უახლესი მეთოდით

სახის პროპორციების გათვალისწინებით, სრულიად უმტკივნეულოდ. ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი 7-9 დღეში

სიახლე: ვიზაჟის უახლესი აპარატურით, არაოპერაციული მეთოდით, ტუჩის და თვალის ირგვლივ არეში არსებული დეფექტების მოშორება.

საახალწლო ფასდაკლება!

მის: თბილისი, კაპანაძის ქ. №3 (დამკვირვების ცენტრი)
ტ: 96-85-93 (ოფისი); 96-70-85 (ფაქსი); 22-76-54 (ბინა); 877-41-97-11



თბილისის მაცხოვრებელთათვის
ჟურნალ-გაზეთების გამოწერა სახლიდან გაუსვლელად
საფოსტო ყუთი დამონტაჟებით, უფასოდ!
ტელ: 33-26-73

## თეატრალური აფიშა

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
27 დეკემბერი
ციცანა ტატიშვილის ბენეფისი
დასაწყისი 18 სთ
30 დეკემბერი
საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის საახალწლო კონცერტი
ლიანა ისაკაძე, ირმა ისაკაძე
გიორგი იაშვილი
დირიჟორი — გ. ჟორდანია
დასაწყისი 21 სთ

კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი
27, 28, 29
საბავშვო ბალეტი „მაკატუნა"
ხელმძღვანელი მაკა მახარაძე
დასაწყისი 15 და 18 სთ

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი
25 დეკემბერი
მანლო სანტანელი
დიდა-დედალი
სოფიკო ჭიაურელისა და მურმან ჯინორიას მონაწილეობით
26 დეკემბერი
გიორგი გეგეჭკორის სპექტაკლი
მენატრება
ნ. დუმბაძის მოთხრობების მიხედვით
28 დეკემბერი
პროსპერ მერიმე — მარი ჯანაშია
კარმენ
დასაწყისი 18 სთ

ალ. გრიბოედოვის სახელობის თბილისის

სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი
25, 26, 27, 28, 29, 30 დეკემბერი
საახალწლო კლოუნადა
დასაწყისი 12 და 14სთ

თეატრალური სარდაფი
26, 27, 28, 29 დეკემბერი
პრემიერა
თ. უბილავა
ბეჩედი გადარჩენილი
დასაწყისი 20 სთ

სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
31 დეკემბერი
აკა მორჩილაძე
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები
დასაწყისი 18სთ

• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

## ბინები

სასწრაფოდ! დიდუბეში 1 ოთახიანი 7(8) ბინა, რკინის კარით, „ატმორით", ტელეფონით, მიშენების პერსპექტივით. ფასი $5.800. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ბინა №68. ტელ: 35-34-36; 34-56-65

დიდუბეში 2 ოთახიანი ბინა 30 კვმ მიშენებით (I სართულზე), სარდაფებით, გისოსებით, ორმაგი კარებით, აივნებით, ა/მანქანის სადგომი ადგილით, ბუნებრივი აირით, ცხელი წყლით. ფასი $14.000. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ტელ: 34-52-34

3-ოთახიანი არასტანდარტული ბინა გამსახურდიას გამზ. 35. კაპ. ა/ფ-ით. II სართ-ზე. ს/ფ 100კვმ. ჭერი 3,40მ. ფასი $25000. ტ: 37-09-75

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი $700. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

## მილოცვა

ფსიქიატრიული ინსტიტუტის მესამე განყოფილების გამგეს ბატონ ვადიმ ნებიერიძეს ვულოცავთ ვაჟიშვილის, **ნუკრი ნებიერიძის** გაბედნიერებას. ვუსურვებთ ულევ ბედნიერებასა და გამრავლებას.

*თანამშრომლები*



*„კვირის პალიტრის" რედაქცია ულოცავს*

**თემურ ფელიქსის ძე გიორგაძეს**

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდებას ჭიდაობა სამბოში. უსურვებს წარმატებებს და ბედნიერებას!

25 დეკემბერს, შობის ბრწყინვალე დღესასწაულს, ვულოცავთ **დავით მოძღვრიშვილს** ვუსურვებთ სიხარულს, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს, ყველა სურვილის ასრულებას, რაც კი ჩაფიქრებული აქვს. წარმატებებს და წინსვლას ცხოვრებაში.

*კურსელები და მეგობრები.*

## გთავაზობთ სამუშაოს

კარგად ანაზღაურებად, რეალურ საოფისე სამსახურში სათანამშრომლოდ ვიწვევთ კომუნიკაბელურ, პუნქტუალურ ადამიანებს, გონებრივ სამუშაოზე, ოფის-მენეჯერის სტატუსით (არ არის ვაჭრობა). სატელეფონო გასაუბრება ყოველდღე 12-დან 17 სთ-მდე, პრეზენტაცია 12 და 15 საათზე (კვირის გარდა) ტ: 37-30-50 (ოფისი) თამუნა ოშაყმაშვილი

ევროპული კორპორაცია გთავაზობთ დასაქმებას, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მზარდი შემოსავლით. ვიწვევთ ალღოს მქონე, ჯგუფირებულ პიროვნებებს. ტ: 893 33-20-92 მერაბი; 31-63-15 (9სთ-11სთ-მდე ან 21სთ-23სთ-მდე)

ვიწვევთ სამუშაოდ პრესტიჟულ მაღაზიაში კონსულტანტის თანამდებობაზე 20-30 წლამდე ასაკის გოგონებს. გასაუბრება შედგება 25,26,27 დეკემბერს 13სთ-დან 16 სთ-მდე. მის: ვაჟა-ფშაველას 16. VIII სართ. ოთახი 820. ჩარჩო

> გვესაჭიროება კომპიუტერისა და ინგლისურის მცოდნე, გამოცდილი სპეციალისტი, მსურველებმა მოგვმართეთ 25,26,27 დეკემბერს 13სთ-დან 16სთ-მდე მის: ვაჟა-ფშაველას 16. VIII სართ. ოთახი 820

დავასაქმებ სასწრაფოდ! ოფისში შრომისმოყვარე, განათლებულ ადამიანებს 18-60 წლამდე გონებრივ სამუშაოზე (არ არის ვაჭრობა) მაღალი ანაზღაურებით, მრავალი შეღავათით, საინტერესო პირობებით. ტ: 37-30-50; 77-75-97; იკითხეთ ლევან ტერტერაშვილი

ახალი პროექტი მსოფლიოში! საერთაშორისო კომპანია იწვევს სათანამშრომლოდ სერიოზულ, ენერგიულ ადამიანებს. კომპანია გთავაზობთ დასაქმებასა და უფასო სწავლებას. ტელ: 37-25-59. ვალერი (საღამოს)

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

აგიკრეფთ და დაგიკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, გაზეთს და ა.შ. ტელ: 61-51-17; 95-46-79

ფირმა PULSAR-ში ახლავე შეგიძლიათ შეიძინოთ კომპიუტერები, ორგტექნიკა, სათადარიგო ნაწილები; სწრაფი, ეფექტური და ხარისხიანი მომსახურება; ორგტექნიკის შეკეთება, კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა. გაძლევთ შანსს – მაღალ ფასში გაყიდოთ კომპიუტერი. კონსულტაციები უფასოა. დაუყოვნებლივ მოგვმართეთ: ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 შპს „პულსარი"

ვაწარმოებთ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება). კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას, სრული გარანტიით. აგრეთვე ვამზადებთ ახალ სამეულებს ტელ: 69-45-18. გიორგი

ფსიქოლოგიური ტესტებით და პითაგორას ციფრობრივი კვადრატით მომავლის ლოგიკური პროგნოზირება სულიერი პრობლემების გათვალისწინებით. სასურველია ბინაზე გამოძახება. ფასი 5 ლარი. ტელ: 77-06-34

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით, განიკურნებით უმოკლეს ვადაში ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე, უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შემოგთავაზებთ გამწმენდ და მკვებავ საშუალებებს. იოსებიძის 66. II სად. ბინა 46. ტ: 37-74-22 მანანა

„KNAUF" – შევასრულებ ნებისმიერ სამუშაოს თაბაშირ-მუყაოზე. დაკიდებული ჭერის, ტიხრების მონტაჟი, ნებისმიერი დიზაინი. „Amstrongis"-ის ტიპის ჭერის გაკეთება. ტ: 96-71-53

Выполню любую работу по гипсокардону „KNAUF", Подвесные потолки, перегородки и т.д. любой дизайн, любой каприз. Также потолкиАрмстронг". Тел. 96-71-53.

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ უფასოდ. მის. ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა №46 (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

სამკურნალო მცენარეული საშუალებებით, მალამოებით მკურნალობა; ანთებით დაავადებებს, გასტრიტი, შეკრულობა, ფაღარათი, დისბაქტერიოზი, უმადობა ბავშვებში, სიმაღლეში გაზრდა, ნევროზი, უძილობა, გულის უკმარისობა, ქრონიკული დაღლილობა, მეხსიერების გაუმჯობესება. ექიმის კონსულტაციით. ტ: 30-74-87. ლია

პროსტატიტს, ქლამიდიოზს, ტრიქომონიაზს, უშვილობას და სქესობრივი პოტენციის დაქვეითებას, უახლესი მეთოდების და აპარატურის გამოყენებით, მკურნალობს პროფესორი რეზო სალაყია. მის: მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან), VI სადარბაზო (ეზოდან), ბინა 1. მიღება შაბათს 12-16 სთ. ტ: 35-20-06

> ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: მარილებს, ოსტეოქონდროზს, სახსრებს, სამწვერა ნერვს, პოლიართრიტს, რადიკულიტს, თავის ტკივილებს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, ნაღვლის ბუშტს, პროსტატიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: გორის ქ. 3. I სად. I სართ. მეტრო „წერეთელთან". მიღება გარდა შაბათისა 13სთ-დან 16 სთ-მდე. ტ: 34-05-69; 34-62-51

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## იყიდება

სასწრაფოდ! ტავერნა-ბარი „გეა", მუშა მდგომარეობაში. ს/ფ – 105 კვმ. მის: კუტუზოვის ქ. №4. ტელ: 99-71-58

1. ძველებური, ყავისფერი ვიტრინა, თავისივე პატარა რვაკუთხედი ვიტრინა-ბარით. ფასი 900$; 2. „რაკუშკების" ფარდა. ფასი 100 ლარი; 3) ძველებური ჭაღი, ბისერის მძივებით. ფასი 200 ლარი. ტელ: 23-07-65

პრესტიჟული საჩუქრები საყვარელი ადამიანებისათვის, შეკვეთები მიიღება თბილისში, ჭავჭავაძის 74. ინფორმაციის მისაღებად საკონტაქტო ტელეფონია 77-23-31

სიახლე ჩვენს საქმიანობაში! საჩუქრების კატალოგების დახმარებით, შეიძინეთ საახალწლო საჩუქრები, „დერმაჯეტიქსის" უნიკალური კოლექციიდან. შეხვდით შობა-ახალწელს ლამაზები და მხიარულები. ტ: 78-33-15; 877 47-21-74 კახა

Louise-all – ლუიზოლი – კოსმეტიკის დღესასწაული! 1. უნივერსალური სახის კრემი, გამწმენდი რძე, მატონიზირებელი ლოსიონები სახისა და სხეულისათვის: ნაოჭები, გამონაყარი, ლაქები; მოდუნებული ხორკლიანი კანი; ფუძე მაკიაჟისათვის; ჭარბთმიანობისაგან დამცავი; 2. შამპუნი, თავის კანის მკვებავი კრემები (სხვადასხვა ტიპის კანისათვის): ქერტლი, ქავილი, კანის დაჭიმულობა, გაღიზიანება, თმის ცვენა – გაგიხშირდებათ თმა, გამელოტებას თავიდან აიცილებთ! 3. ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო კრემი, ლოსიონი – განიკურნებით ჭარბთმიანობისაგან, გართულებების გარეშე, სრული გარანტიით; 4. თვალის კრემი – ნაოჭები, მაკიაჟის მოცილება, დაძაბულობა (კომპიუტერის შედეგად), ალერგია – მკვებავი, დამცავი თვისებებით; 5. ყურის კრემი: ქავილი, აქერცლილი კანი, ყურის გოგირდის პრობლემა; 6. პირის ღრუს სავლები: ღრძილების გაღიზიანება, ჩირქი, სისხლდენა, სუნი; 7. ხელის კრემი: დამარბილებელი, ბოსტნეულისგან გაშავებული კანის პრობლემა; სარეცხი საშუალებებისგან, მანიკიურისგან გამოწვეული ინფექცია; სახსრების ტკივილი; 8. ოფლსაწინააღმდეგო კრემი-დეზოდორანტი, ფეხის კრემი: გარქოვანებული კანი, ოფლიანობა, სუნი, ქავილი, ნახეთქები, ჩაზრუნებული ფრჩხილები, პედიკიურისგან გამოწვეული ინფექცია. კონსულტაცია უფასოა. მის: იოსებიძის 53, კაბინეტი „ლუიზოლი". ტელ: 37-38-13

სიგარეტის მწარმოებელი მანქანა-დანადგარები. მის: თამარ მეფის გამზ. №18. ტელ: 95-93-60; 96-38-24. თბილისის თამბაქოს ფაბრიკა ს.ს. „ქართლი"

## შევიძენ

გრძელ თმას, ცენტრალური ვაგზლის შენობა II სართ. მაღ. „ესთეტი". 12სთ-17სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა.

## ხსოვნა

### შოთა ჩეკურიშვილის გახსენება



უკვე მეორედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, უშენოდ შოთა. თვალშიც გვაკლიხარ და გულშიც. ძალიან მძიმეა ცხოვრებიდან წასულ კაცთან ცალმხრივი ლაპარაკი, რაც დრო გადის, უფრო გვენატრები ყველას, ყველას. ისევ ყურებში გვაქვს ჩარჩენილი შენი ხმა, შენი საუბარი. თვალწინ გვიდგას შენი ღიმილი. შენი გადიდებული სურათი ჩვენში მხოლოდ სევდას და ნაღველს იწვევს, თვალები ცრემლებით გვევსება. სამაგიეროდ სიხარულით გვავსებს შენი მოსახელე შვილიშვილი, შოთიკო – თავისი სიცოცხლით სავსე ცელქობით. რაც მე უშენოდ დავრჩი, მაია და ლია საოცრად მზრუნველობას იჩენენ ჩემდამი. სიძეებიც იცი რა კარგები მყავანან? ამათზე ამომდის მზე-მთვარე. დღეს შენი დაბადების დღეა – 25 დეკემბერი. შენს სახელზე დადგმული სუფრა სანთლებითაა განათებული. ღმერთმა გაგინათლოს სასუფეველი. შენს მოსაგონარზე ვსაუბრობთ და სუფრაზე ღვინოს ვაწვეთებთ.

*ციური, მაია, ლია ჩეკურიშვილები; სიძეები: ალიკა და როინი, შვილიშვილები: შოთიკო და ლოლა*

### კარლო ჯიბლაძის ხსოვნას



გილოცავთ დაბადების დღეს 25 დეკემბერს, 70 წელი შეგისრულდებოდა. ხუთი წელია უშენოდ ვხვდებით ამ დღეს.

ძალიან გვიმძიმს უშენობა, გვენატრები და ძალიან გვაკლიხარ. გვენატრება შენი ღიმილი და ალერსი.

ღმერთმა აცხონოს შენი სული და ნათელში გამყოფოს!

*შენი საყვარელი ოჯახი*

### ზვიად მამალაძის ხსოვნას



თითქმის ყველაფერი დამთავრდა... მოულოდნელად, ტრაგიკულად წავიდა ჩვენგან ზვიად გურამის ძე მამალაძე. ჩვენო მარად მოურჩენელო ტკივილო და გაუნელებელო სევდავ! 25 დეკემბერი შენი დაბადების დღეა. სამწუხაროდ უშენოდ გვიწევს შეხვედრა ამ თარიღთან პირველად! მოულოდნელად გადასახლდი ზეციურ სამყაროში. ჩვენო ძვირფასო! 14 ოქტომბერს მოვიდა საზარელი, თავზარდამცემი სიკვდილი და წაგვართვა შენი თავი ისე, რომ გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარით. შენ აღარა ხარ! უშენობით ცარიელი დღეები კი საოცარი სისწრაფით მიქრიან. ცხოვრების გზა კაცური კაცის სახელით განვლე, მაგრამ ოჯახის შექმნა ვერ მოასწარი. გვაკლიხარ, გვენატრები ყველას, ვისაც კი შენთან მეგობრული, მეზობლური თუ ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა. ზვიად! შენისთანები როდი კვდებიან, შენ მხოლოდ გარდაიცვალე. მყუდრო სამყაროსათვის ხომ სული და სიყვარული მარადიულია. ჩვენი დიდი სანათესავოს შეკრების ადგილი ახლა შენი მყუდრო სავანეა. გილოცავთ დაბადების დღეს სანთლებით ხელში, შენს ცივ სამარეს კი სიყვარულის ცრემლები და ყვავილთა სინაზე არ აკლია. გეფერებით, გვიყვარხარ და გვენატრები. ღმერთს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული

*ეკა და ლაშა ახობაძეები, ნანული კვაჭანტირაძე*

### ჯულიეტა ბერიძე-კიტიას ხსოვნას



24-ში უკვე ერთი წელი გახდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ჩემო ჯული, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო მონატრებავ, ჩემო იმედო, შენ არ იცი, როგორ მიჭირს უგერობა, შენ ხომ ყოველთვის ჩემი იმედი იყავი, ჩემი მესაიდუმლე, ახლა კი დავრჩი ფრთებმოტეხილი. ამბობენ დრო მკურნალიაო, მაგრამ ასე არ ყოფილა, რაც დრო გადის უფრო და უფრო მენატრები, თვალზე ცრემლი არ მშორდება, მარტო იმას ვფიქრობ, დრო ჩქარა გავიდეს, რადგან მაინც ერთად ვიქნებით მე და შენ, მერე ვეღარავინ და ვერაფერი დაგვაშორებს ერთმანეთს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, მონატრებავ და მოუშუშებელო ტკივილო, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა – ჩემო ჯული!

*შენი ლიზიკო*

### თეიმურაზ ბერაიას ხსოვნა



უკვე ოთხი წელია ჩვენს თვალებს მოაკლდა შენი მოცინარე სახე, ოთხი გრძელი წელიწადი გაილია აღარ გაგვიგონია შენი გულიანი სიცილი. შენი წასვლით იმდენი სიცარიელე და ტკივილი დაგვიტოვე, რომ სასოწარკვეთილებამ დაისადგურა ჩვენს გულებში. გვეგონა, აღარ არსებობდა სამართალი, რადგან ღმერთმა ასე გაგვწირა, მაგრამ უფალს რჩეულნი ალბათ უფრო ადრე მიჰყავს ამქვეყნიური ჯოჯოხეთიდან, რათა ნაკლებად დატანჯოს მათი სულები მიწიერი ცოდვებითა და საფიქრალით. სიყვარულის განსახიერება იყავი ყველასათვის; გვიკვირდა, როგორ იტევდი ამდენ სითბოსა და ზრუნვას მჯიღისტოლა გულში. ალბათ ამიტომაც ვეღარ გაუძლო შენმა დაღლილმა გულმა ამდენ სატკივარს და შენი თავი წაგვართვა... ყველას მოაკლდი. ოჯახმა დაკარგა მოსიყვარულე ერთგული მეუღლე, მზრუნველი მამა, ნაცნობმეგობრებმა და ნათესავებმა თავდადებული გულშემატკივარი – ადამიანი, რომელსაც მუდამ ახარებდა სხვისი სიკეთე და გაჭირვებაში მყოფს მარტო არ დატოვებდა. მართალია ჩვენ შორის აღარა ხარ, მაგრამ შენი სიცოცხლე ახლად განსხეულდა პატარა თემურიკაში, რომელიც ღირსეულად ატარებს ბაბუის სახელს. უზომოდ გვენატრები, რაც დრო გადის უფრო მძაფრად ვგრძნობთ უშენობას, უფრო მეტად გვტკივა შენი უდროო წასვლით მიღებული მოუშუშებელი იარა. სანუგეშოდ ისღა დაგვრჩენია, რომ უფლისკენ მიმავალ გზაზე კელაპტრად წაგიძღვება ის უზომო სიკეთე და სითბო, რასაც ასე უანგაროდ გასცემდი.

*შენი ოჯახი*

### თემურ დოლონაძის ხსოვნას



ჩვენო საყვარელო შვილო, შენი წასვლით დიდმა მწუხარებამ დაისადგურა ჩვენს გულებში. საშინელებაა, ადამიანმა არ უცქიროს შენს ლამაზ და კეთილშობილ თვალებს. აგერ, მორიგმა ზამთარმა დაისადგურა და შენი მორიგი დაბადების დღეც ახლოვდება, მაგრამ წარმოუდგენელი ტანჯვა-წამება და მონატრება გვკლავს. ძალზედ ძნელი ყოფილა უშენოდ ცხოვრება, შვილო.

გილოცავთ დაბადების დღეს, ნათელში ყოფილიყოს შენი სპეტაკი სული.

*შენი მშობლები*

### მარიკა ტატანაშვილის ხსოვნას!



ჩვენო საყვარელო მარიკა! 28 დეკემბერს ერთი წელი ხდება, რაც ჩვენგან წახვედი, სიცოცხლით სავსე და მუდამ მოღიმარი. ძალიან გვაკლიხარ, ვლოცულობთ შენი სულისთვის.

მარად ნათელში გამყოფოს ღმერთმა!

*დები და დისშვილები*


უფასო განცხადებების გაზეთი

36 გვერდზე

სიტყვა და საქმე

33-10-03 33-10-05



ყოველ ნომერში: 5000-მდე განცხადება,

დღის ახალი ამბები და დასვენების გვერდი

# წლის ბიზნესმენი



ჟურნალმა Forbes Clobal-მა წლის ბიზნესმენად დაასახელა იაპონიის ინტერნეტული საინვესტიციო კომპანიის Softbank-ის თავკაცი მასაიოსი სონი.

კომპანიის დამაარსებელმა და დირექტორმა, 42 წლის მასაიოსი სონიმ კარიერა ნულიდან დაიწყო და თავისი ფირმა აქცია კომპანიად, რომელიც 18 მლრდ დოლარადაა შეფასებული.

იაპონიაში გადასახლებულმა კორეელ იმიგრანტთა შვილმა თავის თავზე განიცადა, რას ნიშნავს, იყო საზოგადოებიდან განდგომილი. მან შეძლო დაენგრია იაპონური ბიზნესის მოძველებული სისტემა, 1981 წელს მიიღო აუცილებელი კრედიტები Softbank-ის დასაარსებლად. ახლა კი ინვესტორები რიგში დგანან, რომ ფული მის კომპანიაში ჩადონ. ბოლო 6 თვის მანძილზე Softbank-ის შემოსავალმა 329 მლნ დოლარს მიაღწია.

თავად ბატონი სონის მონაცემებით, ამჟამად იგი ინტერნეტის მთელი ბაზრის 7-8%-ს ფლობს.

სპეციალისტების აზრით, ბატონი სონი დაუნანებლად დებს ფულს ახალ და სარისკო პროექტებში. მართალია, მასაიოსი სონი ისე ცნობილი არ არის, როგორც Microsopt-ის დამაარსებელი ბილ გეიტსი ან Yahoo-ს თავკაცი ჯერი იანგი, მაგრამ სონის მონაწილეობით ინტერნეტში გაცილებით მეტია შექმნილი, ვიდრე მისი ცნობილი კოლეგების გეიტსის ან იანგის მიერ.

# გაისად ავტომანქანის მინდობილობაც „გაძვირდება"

ფინანსთა მინისტრი პარლამენტში უკვე ორი კვირაა, შევიდა ინიციატივით „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ". მას ახალი წლის დადგომამდე პარლამენტის რიგგარეშე სესია განიხილავს.

ბუნებრივია, ქვეყნის მეჭურჭლეთუხუცესი ხაზინის შევსებასა და ბიუჯეტის შესრულებაზე ზრუნავს.



მოქმედი კანონმდებლობით, ავტოტრანსპორტის გასხვისებისას გადასახადი განსაზღვრულია ძრავის მოცულობისა და გამოშვების წლის მიხედვით. ამგვარი გათვლით ავტომანქანების მყიდველებს საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა უწევთ, მაგრამ კანონში არსებული ხვრელის, ე.წ. „მინდობილობის" საფუძველზე, იოლად არიდებდნენ ამას თავს. ახალი ცვლილებების წყალობით კი ავტომანქანების მსურველთ ეს გზა ესპობათ, რადგან ცვლილებათა პროექტში შავით თეთრზე წერია: „განკარგვის უფლებით მინდობის (დავალების) ხელშეკრულების საფუძველზე ავტოსატრანსპორტო საშუალების მიღების შემთხვევაში გადასახადი გადახდას ექვემდებარება სანოტარო მოქმედების შესრულებამდე. ეს უკანასკნელი ვალდებულია, არ განახორციელოს სანოტარო მოქმედება, ვიდრე წარმოდგენილი არ იქნება გადასახადის დამადასტურებელი საბუთი".

„ახალი ფრაქციის" წევრი დავით საგანელიძე გაოცებით აღნიშნავს, — ხალხს ცხოვრების გაიაფებას ჰპირდებიან, ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლას აპირებენ და ვერ ხვდებიან, რომ გადასახადები ჩრდილში მაშინ აღარ წავა, თუკი შეამცირებენო.

ბიუჯეტი რომ უნდა შესრულდეს, ამაზე არავინ დაობს და ბიუჯეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მკვებავი რომ გადასახადებია, ესეც კარგადაა ცნობილი, მაგრამ საკითხავი ის არის, ავტომანქანის შეძენისას გადახდილი თანხა ბიუჯეტში წავა თუ კორუმპირებული ჩინოვნიკების უძირო ჯიბეში.

***ნათია გოგსაძე***

# შეცდომა ნახევარი მილიარდი დოლარი დაჯდა




ბიზნესში ხშირად ხდება, რომ ერთი შეხედვით ძალზე პერსპექტიული ბიზნეს-გეგმა მრავალმილიონიან ზარალს მოიტანს ხოლმე, სრულიად უმნიშვნელო წვრილმანის გაუთვალისწინებლობის გამო.

გთავაზობთ ნაწყვეტს ლონდონში 1999 წელს გამოცემული წიგნიდან „პროკოლი" ბიზნესში".

ამერიკას ეროვნული მასშტაბის ღირსშესანიშნაობები ცოტა აქვს — ერთ-ერთი ლეგენდარული კოკა-კოლაა, მაგრამ რაღაც მომენტში მარკეტინგულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ნაციონალურ სიმბოლოს კუთხეში იმწყვდევს პეპსი. კოკა-კოლას თავისი 100 წლის საიუბილეო დღეებში, Soft Drinks-ის ბაზარზე მხოლოდ 20%-იანი უპირატესობა ჰქონდა.

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ რობერტო გოიზუეტამ მყისვე მიიღო სასმლის გემოს შეცვლის გადაწყვეტილება. ამას 400 მლნ დოლარი დასჭირდა. კოკა-კოლა უფრო ტკბილი გახდა. გამოკითხვამ ცხადყო, რომ ახალი სასმელი 61%-ით მეტ ამერიკელს მოსწონს, ვიდრე ძველი და მით უფრო, პეპსი. ახალმა სასმელმა მიიღო სახელწოდება — NEW COLA („ახალი კოლა"). მისი გამოშვება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ეფექტი მოულოდნელი იყო, კოკა-კოლას უგზავნიდნენ მრისხანე წერილებს — როგორ თუ სახელწოდება შეუცვალეთო, ეს ტრადიციის ღალატიაო. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა ანდერძიც კი შეცვალა, რომლის თანახმად, მისი ფერფლი კრემაციის შემდეგ კოკა-კოლას ქილაში უნდა ჩაეყარათ. სამი თვის განმავლობაში ტკბილი კოკა-კოლას თაყვანისმცემლები 61%-დან 11%-მდე ჩამოვიდნენ. საიუბილეო 1986 წელი — გლოვის წელიწადად ექცა კოკა-კოლას, პეპსიმ აჯობა. Mc Donald's-ის კომპანიამ კოკა-კოლა არ აიღო თავისი რესტორნების ქსელისათვის. კოკა-კოლას ხელმძღვანელებს არ მორიდებიათ, სახალხოდ ეღიარებინათ შეცდომა, რომელიც 0,5 მლრდ დოლარი დაჯდა. ერთი თვის თავზე ტრადიციული კოკა ისევ ლიდერი გახდა და პეპსი მეორე ადგილზე გადაბარგდა.

## მოგზაურობა სარეცხი მანქანით

კომპანია HOOVER-ს თითქმის ყველა იცნობს. 1993 წლის იანვარში მისმა ხელმძღვანელობამ, რომელიც იმ დროისთვის ამერიკული MAYTAG CORPORATION-ის შვილობილი ორგანიზაცია გახდა, მოიფიქრა ბრიტანეთის ბაზრის დაპყრობის ახალი გზა. ყველას, ვინც წლის მანძილზე ყიდულობდა სარეცხ მანქანას ან სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკას, 250 გირვანქა სტერლინგის ან მეტ ფასიან მტვერსასრუტს, ეძლეოდა თვითმფრინავის ორი უფასო ბილეთი. მათ, ვინც 500 გირვანქა სტერლინგზე მეტს ყიდულობდნენ, შეეძლოთ (2 ადამიანს) უფასოდ ამერიკაში გაფრენილიყვნენ.

კომპანიის მესვეურები ვარაუდობდნენ, რომ ბევრ საქონელს გაასაღებდნენ. ამავე დროს მათ ავიატურებიდან საკომისიოს მიღების იმედი ჰქონდათ, რადგან მყიდველები, მართალია, უფასოდ მიფრინავდნენ, მაგრამ სასტუმროს ფულს ხომ თავად იხდიდნენ.

აქცია დაიწყო, მაღაზიებში მყიდველებმა იხუვლეს. მალევე გაირკვა, რომ დისნეილენდის ნახვის სურვილი ან რომის მონახულება ავტომატური სარეცხი მანქანის ფასად გაცილებით მეტს ჰქონდა, ვიდრე ელოდნენ. კომპანია HOOVER-ი დაახლოებით 50 ათას ადამიანს ვარაუდობდა, რიგში კი 200 ათასი ჩადგა. არც HOOVER-ი, არც ტურფირმები ამისთვის მზად არ იყვნენ, საგზურების გაფორმებას ვერ ასწრებდნენ, ამიტომ კომპანიის მისამართით ყოველდღე 2 ათასამდე საჩივარი შედიოდა. ამასთან, ყაირათიან ბრიტანელებს არ სურდათ ძვირად ღირებულ სასტუმროებში ცხოვრება და ძვირფასი მანქანებით სეირნობა, რომლებსაც მათ ტურისტული ფირმები სთავაზობდნენ. ისინი იაფფასიან სასტუმროებში სახლდებოდნენ, HOOVER-მა საკომისიო თანხის მიღების იმედი დაკარგა.

MAYTAG-ი იძულებული იყო გაენაღდებინა თავისი შვილობილი კომპანიის ვალდებულება და 20 მლნ გირვანქა სტერლინგი გამოეყო ავიაბილეთებისთვის, მერე კიდევ 28 მლნ და ა.შ. მოკლედ, წლის მანძილზე HOOVER-ის „სისულელე" ინგლისში 106 მლნ გირვანქა სტერლინგი დაჯდა.

## ხარახურა ბრილიანტებით

ჯერალდ რატნერმა, რომელიც 70-იანი წლების დამლევს ოჯახურ ბიზნესს ედგა სათავეში (მასში შედიოდა ინგლისის 130 საიუველირო მაღაზია), ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. ერთ-ერთმა პირველმა შემოიღო საქონლის გაყიდვის პრინციპი — ბევრი დაახვავე, იაფად გაყიდე. მის მაღაზიებში რიგები იდგა, თავისი პირველი მილიონი 3 წელიწადში იშოვა. მისი ბიზნესი დღითი დღე იზრდებოდა. მან შეიძინა H. SAMUEL-ის მაღაზიები ZALE-ს და SALISBUZY-ი, მერე ამერიკაში გადაინაცვლა და იქაც აუარება მაღაზია იყიდა. 1991 წ. ჯერალდ რატნერის იმპერია 25 ათას თანამშრომელსა და 2.400 მაღაზიას ითვლიდა და ყოველწლიური მოგება 120 მლნ გირვანქა სტერლინგი იყო.

1991 წლის აპრილში ლონდონის დირექტორთა ინსტიტუტის საქმიან საუზმეზე ალბერტ-ჰოლში, რატნერმა იხუმრა — გრაფინსა და 6 სირჩას მოვერცხლილი ლანგრით 9,99 გირვანქა სტერლინგად ვყიდდით. ალბათ, იკითხავთ, რატომ ასე იაფად? იმიტომ, რომ ეს ნამდვილი ხარახურაა.

იქ მყოფმა ბიზნესმენებმა და პოლიტიკოსებმა შეაფასეს რატნერის იუმორი და თავშეკავებულად გაიცინეს. მეორე დღეს ყველა გაზეთმა დაბეჭდა სტატია დაახლოებით ასეთი სათაურით „ROTNERS" (ამგვარი დაწერილობით რატნერის გვარი ჟღერს, როგორც „დამპალი"), გამოქვეყნდა აგრეთვე რატნერის 1,6 მლნ გირვანქა სტერლინგად შეფასებული სახლის ფოტო, რომელზეც ეწერა — ეს ხარახურაა. ჯერალდ რატნერის 2 მაღაზიაში მყიდველები ძალიან შეთხელდნენ, რატნერი კი ამბობდა, ვიხუმრეო, მაგრამ მყიდველებს არ სიამოვნებდათ, რომ მათ მიერ ნაყიდ სამშვენისს ან საქორწინო ბეჭედს ვილაცამ ხარახურა უწოდა, მით უმეტეს კაცმა, რომელიც თავად ყიდდა.

# კითხვა-პასუხი



***განმიმარტეთ ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ კანონის მე-16 მუხლის გ პუნქტი, კერძოდ: „და ოჯახის სხვა შრომისუუნარო ოჯახის წევრებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ დაღუპული პირის კმაყოფაზე და საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იღებდნენ მარჩენლის პენსიას".***

***გიორგი დვალი***

აქ იგულისხმება ოჯახის ისეთი წევრი, რომელიც გარდაცვლილის კმაყოფაზე იმყოფებოდა. ასეთი შეიძლება იყოს: მშობლები, მეუღლე, გარდაცვლილის და-ძმა, თუ მათ შრომისუნარიანი მშობლები არ ჰყავთ და თვითონაც შრომისუუნარონი არიან.

***როგორ განისაზღვრება ქალის და მამაკაცის საპენსიო ასაკი ან თუ არის მოსალოდნელი ცვლილებები?***

***თ. კაპანაძე, თბილისი***

ჩვეულებრივ პირობებში შრომითი პენსიის დასანიშნად მამაკაცებს მოეთხოვებათ 65 წლის, ხოლო ქალებს 60 წლის ასაკი. შრომის სტაჟი უნდა ჰქონდეთ მამაკაცებს 25 წელი, ხოლო ქალებს კი — 20. იმ შემთხვევაში, თუ არა აქვთ შრომის სტაჟი, პენსია ენიშნებათ 5 წლით უფრო გვიან, ვიდრე დადგენილია.

***ვარ მეორე ჯგუფის ინვალიდი — 84 წლის. მეუღლე, დიდი სამამულო ომის პირველი ჯგუფის ინვალიდი, გარდამეცვალა 4 ივლისს. მეკუთვნის თუ არა მისი პენსია 45 ლარი მისი გარდაცვალების შემდეგ?***

***ვალენტინა შონია-ჯანჯღავა***

თუ გარდაცვლილი ოფიცერი იყო, შესაძლებელია დაგენიშნოთ გარდაცვლილი მეუღლის პენსია.

***სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სოცუზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ასმათ ძებისაშვილი***

***ვინ ღებულობს დღეს საოჯახო დახმარებას, რა კატეგორიის ხალხი?***

***ნ. კალატოზიშვილი, თბილისი***

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საოჯახო დახმარების მიღების უფლება აქვთ იმ შრომისუუნარო მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერებს, რომელთაც არ ჰყავთ კანონით ვალდებული მარჩენალი, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად. აქვე გაცნობებთ, რომ თუ ოჯახში ერთი შრომისუუნარო პენსიონერია, საოჯახო დახმარების ოდენობა შეადგენს 20 ლარს, ხოლო თუ ორი ან მეტია — 32 ლარს.

***ვარ ომის მონაწილეებთან (სამამულო ომის 1941-45 წ.) გათანაბრებული პირი, 83 წლის ქალბატონი. ვითვლებით თუ არა ამ ასაკის ომის მონაწილეები მეორე ჯგუფის ინვალიდებად?***

***ნინო ბერძენიშვილი***

ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირები, ასაკის მიუხედავად, კანონის თანახმად, მეორე ჯგუფის ინვალიდებად არ ითვლებიან. მაგრამ თუ ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი გადაცილებულია 70 წლის ასაკს, მას ელექტროენერგიის გადასახადის გადახდის დროს აქვს უფრო მეტი შეღავათი, ვიდრე იმ პირებს, რომელთაც ამ ასაკისთვის არ მიუღწევიად. სახელდობრ: უფლება აქვთ უფასოდ მოიხმარონ თვეში 45 კვტ საათის ღირებულების ელექტროენერგია.

***შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირინა ღლონტი***


**ფირმა «გარანტი»**

**აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით.**

**გარანტია — 10 წელი**



**მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის" შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78**

**☎ 63-05-26; 99-86-09; 38-37-89; 877-43-85-69**



**წარმოებს მიღება კოსმეტიკის შემსწავლელ კურსებზე დაჩქარებული მეთოდით.**

**თქვენ დაეუფლებით სახის კანის გაწმენდას, მასაჟს, ეპილაციას, სხვადასხვა კრემებს, ნიღბებს, რძეებს, ლოსიონებს და სხვა კოსმეტიკურ საშუალებებს. გაიცემა სერტიფიკატი.**

**მის: ნაძალადევი, ც. დადიანის 26, მ. „ვაგზლის მოედანი".**

**☎: 66-09-19; 66-53-56; 99-49-59**


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 23 დეკემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 1,9800 |
| გერმანული მარკა | | 0,9263 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 2.9171 |
| ევრო | | 1,8117 |
| რუსული რუბლი | | 0,0708 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,0294 |




# ორმოცდამესამე...

ახალარჩეული პრეზიდენტი ჯორჯ ბუში შეხვდა დემოკრატიული ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პოლიტიკოსებს და ბიზნესმენებს. დამკვირვებლების ვარაუდით, დაძაბული საარჩევნო მარათონის შემდეგ ბუშს უსათუოდ მოუწევს თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის ხელის გაწოდება და მათთვის პოსტების ნაწილის მიცემა. თავად ბუშმა საარჩევნო კამპანიის დროს განაცხადა, რომ ემხრობა მესამე, — დემოკრატთა ლიბერალიზმსა და რესპუბლიკელთა კონსერვატიზმს შორის გამავალ გზას.


კოლინ პაუელი

ახალ ადმინისტრაციაში რუსეთთან დაკავშირებულ საქმეებს, ძირითადად, სამი ადამიანი წარმართავს — თავად პრეზიდენტი, მისი ახალი სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი და მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში კონდოლიზა რაისი. რას შეიძლება ელოდოს მათგან მოსკოვი? ვფიქრობთ, რომ უწინარეს ყოვლისა, პრეზიდენტ ბუშს ძალიან გაუჭირდება რუსეთის მიმართ დამოკიდებულებაში გარკვევა. ბუშიუმცროსი საზღვარგარეთ სულ სამჯერ არის ნამყოფი. მას საერთაშორისო კონტაქტები თითქმის არ აქვს, რაც შეეხება სამყაროს აღქმას — იგი მისი უახლოესი მრჩევლების აღქმას ემთხვევა და ეს მოსკოვისათვის დიდად სასიხარულო არ არის. ბუში რუსეთს კორუმპირებულ ქვეყნად მიიჩნევს, რუს პოლიტიკოსებს — უპრინციპო მგლეჯელებად და სასტიკი წინააღმდეგია, რომ რუსეთს


კონდოლიზა რაისი და ჯორჯ ბუში

ამერიკის მთავრობამ რაიმე დახმარება გაუწიოს.

ბუში მთლად კარგად ვერ ერკვევა მსოფლიო პოლიტიკაში, იგი პირველ რიგში საგარეო პოლიტიკის დარგში თავის მთავარ მრჩეველს კონდოლიზა რაისს მოუსმენს. ეს 46 წლის პოლიტიკოსი თავის დროზე ბუში-უფროსს (მისი პრეზიდენტობის დროს) ურჩევდა, მხარი დაეჭირა გორბაჩოვისთვის, დემოკრატიული ძალებისათვის (რაისი და ბუში-უფროსის მაშინდელი მრჩევლები დემოკრატიულ ძალად მიიჩნევდნენ ყველა არაკომუნისტს), ხელი შეეშალა მოსკოვისათვის საერთაშორისო საქმეების გაუმჯობესებაში.

სტაჟიან პოლიტიკოსებს უნდა ახსოვდეთ უფროსი ბუშის ვიზიტი უკრაინაში, სადაც იგი საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას მიემხრო, მაშინ, როდესაც იმპერიის დღეები დათვლილი იყო.

დღესაც რაისს საკმაოდ მკაცრი პოზიცია უჭირავს რუსეთის მიმართ და მისი გავლენით, ჯორჯ ბუშიც ასევეა განწყობილი.

რაც შეეხება კოლინ პაუელს, რომელიც ასევე მამისგან „მემკვიდრეობით" ხვდა ბუშს, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურაა და რუსეთის მიმართ ისიც კრიტიკულადაა განწყობილი. პაუელი რუსეთს არც პარტნიორს უწოდებს, არც სტრატეგიულ თანამოაზრეს და მიაჩნია, რომ ამერიკამ მასთან უნდა ითანამშრომლოს მხოლოდ საერთაშორისო ტერორიზმთან, ნარკოტიკებთან და საშიშ რეჟიმებთან ბრძოლაში.

თუ ეს სამეული ცხოვრებაში განახორციელებს იმას, რასაც ისინი აცხადებენ წინასაარჩევნო ბრძოლის პერიოდში, მოსკოვისა და ვაშინგტონის ურთიერთობა საკმაოდ დაიძაბება.

# გაერო მაფიის წინააღმდეგ

გაერომ სიცილიის ქალაქი პალერმო აირჩია უნიკალური სამიტის ჩასატარებლად, რომელმაც საფუძველი უნდა ჩაუყაროს ჯვაროსნულ ლაშქრობას კრიმინალური მონსტრის წინააღმდეგ. პალერმოში შეიკრიბა 140 ქვეყნის დელეგაცია, მათ შორის იყო 14 სახელმწიფოს მეთაური და შინაგან საქმეთა და იუსტიციის 110 მინისტრი. სამიტმა დაამტკიცა ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის გაეროს კონვენცია. ამგვარ დოკუმენტში პირველად შეიტანეს ცნება „მაფიოზურ ასოციაციასთან დაკავშირებული სამართალდარღვევა". კონვენციის ერთ-ერთი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ერთ ქვეყანაში ჩადენილი დანაშაული ეფექტიანად იქნეს გახსნილი მეორეში. კონვენცია ითვალისწინებს აგრეთვე დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ქონების კონფისკაციას. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მარტივდება ურთიერთ იურიდიული დახმარებისა და დამნაშავის გადაცემის პროცესი.

ახალ დოკუმენტს ერთვის სამი პროტოკოლი, რომლებშიც ლაპარაკია კონტრაბანდასთან, პროსტიტუციასთან და იმიგრანტთა არალეგალურ გადაყვანასთან ბრძოლაზე.

სიცილიის მაფიასთან ხელისუფლების აქტიური ბრძოლის მიუხედავად, „კოზა ნოსტრას" კუნძულზე ძლიერი პოზიცია აქვს. მასში 3.200-მდე მაფიოზია, რომლებიც 89 „ოჯახშია" გაერთიანებული. მათ სათავეში უდგას მოუხელთებელი სალვატორე ლო პიკოლო. პატარა დასახლება კორლეონეში, სადაც 1993 წელს დააპატიმრეს „კოზა ნოსტრას" ლეგენდარული შეფი ტიტო რიინა, იტალიის პრეზიდენტმა კარლო ჩამპიმ საერთაშორისო სადოკუმენტაციო ცენტრი გახსნა, რომელიც „კოზა ნოსტრასა" და მაფიასთან ბრძოლის ისტორიას ეძღვნება. ამ უნიკალური მუზეუმის ექსპონატთა შორისაა კრიმინალური საქმეები, „ნათლიებისა" და მათ მსხვერპლთა ფოტოები და სხვ. პალერმოს მერი არცთუ უსაფუძვლოდ აცხადებს, რომ მისმა ქალაქმა შეძლო სიცილიური რვაფეხა კუდით დაეჭირა. პალერმო ანტიმაფიოზური ქალაქის წოდებაზე აცხადებს პრეტენზიას.

# რა ელის კუჩმას?



პრეზიდენტ კუჩმასთან დაკავშირებული სკანდალი არ ცხრება. ყველაფერი დაიწყო იმ ვიდეოჩანაწერების გამოქვეყნებით, რომლებიც თითქოს კუჩმას კაბინეტში ჩაიწერა სახელმწიფო დაცვის ოფიცერმა ნ. მელნიჩენკომ. მისი თქმით, კასეტებით ნათელი ხდება, რომ კუჩმა მონაწილეობდა ოპოზიციონერ ჟურნალისტ გიორგი ღონღაძეზე თავდასხმის ორგანიზებაში.

ამ დღეებში რადაში პარლამენტარებს წარუდგინეს კიდევ ერთი კასეტა. კუჩმას ადანაშაულებენ საპრეზიდენტო არჩევნებისა და უკრაინის რეფერენდუმის შედეგების გაყალბებაში. მელნიჩენკო კუჩმას პროგრესული სოცპარტიის ლიდერის, ნატალია ვიტრენკოზე თავდასხმის ორგანიზებაშიც ადანაშაულებს. მელნიჩენკო, რომელიც სავარაუდოა, რომ ახლა ავსტრიაში იმყოფება, მზად არის სამშობლოში დაბრუნდეს ჩვენების მისაცემად. უკრაინის პარლამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან მებრძოლმა კომიტეტმა კასეტები ევროპის საბჭოს გადასცა ექსპერტიზის ჩასატარებლად. რადას უკვე ხელთ აქვს ჰოლანდიაში ჩატარებული ექსპერტიზის შედეგები, რომლის თანახმად, კასეტები კომპიუტერის საშუალებით არ არის ფალსიფიცირებული, მასზე რეალურ ადამიანთა ხმებია, მაგრამ უკრაინის კანონმდებლობა, ჯერჯერობით, მხოლოდ სამამულო ექსპერტიზის შედეგებს აღიარებს.

# თალიბებს ჟანგბადს გადაუკეტავენ

გაეროს უშიშროების საბჭო მზად არის დამატებითი სანქციების შემოსაღებად ავღანეთის მოძრაობა „თალიბანის" წინააღმდეგ. ნიუ-იორკში განიხილავენ რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციების მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტს. ეს დოკუმენტი მსოფლიო საზოგადოებრიობას ავალებს, თავი შეიკავოს ქაბულისათვის ყოველგვარი სახის შეიარაღების მიყიდვისგან.

თუ კენჭისყრა გაიმართა, რეზოლუციას აუცილებლად მოიწონებენ. ცნობილია, რომ უშიშროების საბჭოს 15 წევრიდან მხოლოდ ჩინეთი და მალაიზია არ აპირებს მხარდაჭერას. პროექტის თანახმად, თალიბთა ხელმძღვანელობა ვალდებულია, 30 დღის მანძილზე დახუროს საწვრთნელი ბანაკები ავღანეთის ტერიტორიაზე, შეწყვიტოს ნარკოტიკების გავრცელება, ამერიკას გადასცეს საერთაშორისო ტერორისტი უსამა ბენ ლადენი.

თუ „თალიბანი" ამ პირობებს არ შეასრულებს, სანქციები ძალაში შევა მათი დამტკიცებიდან ერთი თვის შემდეგ. ულტიმატუმი პრაქტიკულად ქაბულს მოსაფიქრებელ დროს არ უტოვებს, უარის შემთხვევაში თალიბები, რბილად რომ ვთქვათ, ცუდ დღეში ჩაცვივდებიან. გაეროს ვერდიქტი ითვალისწინებს: იარაღისა და სამხედრო აღჭურვილობის შეძენაზე სრულ ემბარგოს; ავღანეთში იმ უცხოელ სამხედრო ინსტრუქტორთა საქმიანობისა და ავიარეისების აკრძალვას, რომელსაც თალიბები აკონტროლებენ. გამონაკლისი იქნება ჰუმანიტარული ან რელიგიური რეისები, რომლებსაც მოიწონებს გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალური კომისია და ა.შ.

ანტითალიბური აქციების წყალობით ავღანეთიდან უკვე გამოვიდა გაეროს ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა პერსონალი.

გაეროს გადაწყვეტილების საპასუხოდ, „თალიბანი" იმუქრება, რომ შეწყვეტს მშვიდობიან დიალოგს ოპოზიციასთან, ანუ აშმად შაჰ მასუდის ალიანსთან. ახალი სანქციები იმითაა საშიში, რომ მათ შეუძლიათ კიდევ უფრო გაამხეცონ თალიბები.

# კანადას შუაკაცობა სთხოვეს

კანადაში პუტინის ჩასვლის მთავარი მიზანი იყო დაეხვევებინა კანადის მთავრობის მხარდაჭერა — ერთობლივად წინ აღდგომოდნენ ამერიკის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ეროვნული სისტემის გაშლის გეგმას.

საქმე ის არის, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელია ჩრდილოეთ ამერიკის აეროკოსმოსური თავდაცვის გარეშე. აეროკოსმოსური სისტემის შეცვლა კი შეუძლებელია ოტავასთან შეუთანხმებლად. პუტინმა სახელმწიფო ვიზიტის პროტოკოლი დაარღვია და მთელი ყურადღება მოსკოვის, ვაშინგტონისა და ოტავისათვის ამ მეტად მტკივნეულ საკითხზე გადაიტანა. მაგრამ კანადის



პრემიერის თავშეკავებულმა განცხადებამ აშკარა გახადა, რომ პუტინმა ბევრს ვერაფერს მიაღწია. პრემიერ-მინისტრმა ჟან კრეტიენმა გადაკვრით მიანიშნა, — საერთაშორისო სტაბილურობას ამერიკის მხრიდან, ჯერჯერობით, არაფერი ემუქრებაო. ცხადია, ამერიკის შეერთებულ შტატებთან მეზობლობა და პარტნიორობა ოტავას პროტესტის გამოხატვის საშუალებას არ აძლევს, რადგან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის პრობლემასთან დაკავშირებით მიღებულია ერთობლივი განცხადება, რომელშიც 1972 წლის შეთანხმება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან დაკავშირებით დეკლარირებულია, როგორც მსოფლიო სტაბილურობის საფუძველი. პუტინის თქმით, რუსეთი და კანადა იქიდან გამოდიან, რომ თუ მსოფლიო ბირთვული კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი თავს სრულიად უსაფრთხოდ იგრძნობს, ეს მას განუსაზღვრელ საშუალებებს მისცემს და ძალთა ბალანსს დაარღვევს. სხვათა შორის, პუტინმა კანადას შუაკაცობა სთხოვა რაკეტსაწინააღმდეგო პრობლემის მოგვარებაში.

# იორგ ჰაიდერმა პაპს ნაძვის ხე დაუდგა

ვატიკანის ტრადიციით — კათოლიკური შობის მთავარ ნაძვის ხეს, რომელსაც წმინდა პეტრეს მოედანზე დგამენ, ალპებში ჭრიან, ყოველ წელიწადს — სხვადასხვა ადგილზე. წლეულს ნაძვის ხე ჩამოიტანეს ავსტრიის კარინტიის მიწებიდან, რომელიც თავისუფლების პარტიის მეთაურის იორგ ჰაიდერის ვოტჩინად ითვლება. ჰაიდერს კარგა ხანია, სურს როგორმე მოხვდეს იოანე პავლე -ის მიღებაზე. ამჯერად შემთხვევით ისარგებლა და საჩუქარი თავად მიართვა პაპს.

ავსტრიელ ულტრამემარჯვენეთა ლიდერი უკვე რომში იყო, იტალიელი ჟურნალისტები კი მკითხაობდნენ — მიიწვევს თუ არა ჰაიდერს პაპი და თუ დადგამენ ავსტრიულ ნაძვის ხეს წმინდა პეტრეს მოედანზეო. მაგრამ ჰაიდერი პაპმაც მიიღო და ნაძვის ხეც დადგეს.

აუდიენციის დღეს ვატიკანის ახლომახლო რაიონები მომიტინგეებით აივსო. რომის პოლიცია იძულებული გახდა, მიეღო ზომები, რათა დაეშორიშორებინა ადამიანები, რომლებიც ერთმანეთის საწინააღმდეგო ლოზუნგებს ისროდნენ. პოლიციას ის სასტუმროც უნდა დაეცვა, სადაც იორგ ჰაიდერი და მისი მხლებელი 250 კაცი იყო გაჩერებული.

ვატიკანის წარმომადგენლებმა იგრძნეს, რომ ატმოსფერო ავსტრიელი სტუმრის გარშემო მეტისმეტად დაიძაბა და კარდინალმა ანჯელო სოდანომ შეკრებილებს მიმართა — მოედანზე თავის ნაძვის ხის დადგმის უფლება კარინტიამ სამი წლის წინ მიიღო, როცა ჰაიდერი მისი გუბერნატორი არ იყო და არც მისი პარტია შედიოდა მთავრობაში. „გარდა ამისა, ვატიკანის კარები ყოველთვის ღიაა ყველასთვის". თუმცა რომის პაპთან ჰაიდერის შეხვედრისას, კარები პრესისთვის დახურული იყო.

# ნეთანიაჰუმ თვითონ თქვა უარი



ბენიამინ ნეთანიაჰუ თავად გაება თავისსავე დაგებულ ხაფანგში. წინა დღით მან ქნესეთის დეპუტატებს მოუწოდა, — თვითდათხოვნა გამოაცხადეთ და პრემიერის არჩევნების დღეს პარლამენტის ვადამდელი არჩევნები ჩაატარეთ, თორემ არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ვამბობო. პარლამენტის წევრები არ შეუშინებია ექსპრემიერის მუქარას და არ მიიღეს სასწრაფო საპარლამენტო არჩევნების კანონპროექტი. თუმცა ნეთანიაჰუს ერთი „სიურპრიზი" მაინც მიუძღვნეს — მიიღეს სპეციალური კანონი, რომლის თანახმად, პრემიერ-მინისტრის პოსტზე არჩევნებში მონაწილეობის უფლება ებრაელთა სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს ეძლევა და არა მარტო პარლამენტის წევრებს.

ნეთანიაჰუმ არ მიიღო პარლამენტის „სიურპრიზი" და მუქარა შეასრულა, არჩევნებში აღარ მიიღებს მონაწილეობას, რადგან, მისი თქმით, ახლანდელ „ქნესეთს არ ჰყოფნის ხალხის ნების აღიარების გაბედულება".

ბიბის გადაწყვეტილება, შესაძლოა საბოლოო არც იყოს. პარლამენტს კიდევ აქვს დრო, რომ თვითდათხოვნა გამოაცხადოს, თუმცა დამკვირვებელთა აზრით, ეს ვარიანტი საეჭვოა.

თუ ნეთანიაჰუ მონაწილეობას არ მიიღებს არჩევნებში, მაშინ 58 წლის ბარაქს არ გაუჭირდება პრემიერის კაბინეტში დაბრუნება. თუმცა მის მეტოქე შარონსაც აქვს პრემიერობის იმედი. არჩევნებში სხვა პოლიტიკოსებიც ჩაებმებიან, მაგრამ მათ გამარჯვების ნაკლები შანსი აქვთ. ისრაელელი არაბებიც აპირებენ პრემიერ-მინისტრის პოსტზე თავიანთი კანდიდატის წამოყენებას, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, ორ გენერალს — შარონს და ბარაქს აჯობოს ვინმემ.

# მაკაოს თავისუფლებას საფრთხე ემუქრება

შესრულდა ერთი წელი მას შემდეგ, რაც ჩინეთს გადასცეს პორტუგალიის ყოფილი კოლონია მაკაო. ჩინეთის მთავრობა მას დაჰპირდა, რომ 50 წლის განმავლობაში შეუნარჩუნებდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას. 1999 წლის 20 დეკემბერს მაკაო, რომელსაც ჩინური სახელი აომინი ეწოდა (ნავსადგურის კარიბჭე) ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში „განსაკუთრებული ადმინისტრაციული რაიონის" სტატუსით შევიდა, სადაც მოქმედებს სისტემა — „ერთი ქვეყანა — ორი სისტემა". მაკაოს ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი მულტიმილიონერი ედმუნდ ჰო.

ადმინისტრაციის ახალმა თავკაცმა მხარი დაუჭირა აომინის ტერიტორიაზე ჩინეთის არმიის გარნიზონის განლაგებას. პორტუგალიელებს ეს იდეა არ მოეწონათ, სამაგიეროდ, ედმუნდ ჰომ ჯარის შეყვანაზე თანხმობის სანაცვლოდ პეკინიდან მხარდაჭერა მიიღო იმ წამოწყებების გასახორციელებლად, რომლებიც აომინელთა აღტაცებას არ იწვევს.

ყველაზე მეტად ანკლავას „აბორიგენებს" არ მოსწონთ ედმუნდ ჰოს მიერ განხორციელებული პოლიტიკა მუშახელის იმპორტთან დაკავშირებით. ძირითადად ესენი არიან ჩინელი მშენებლები და ფილიპინელები, რომლებიც რესტორნებში და მაღაზიებში მუშაობენ. ამ პოლიტიკის შედეგია ის, რომ აომინში უმუშევრობამ 7%-ს მიაღწია, მაგრამ ედმუნდ ჰო არ აპირებს იაფი მუშახელის იმპორტზე უარის თქმას. ახლა მან სათამაშო ბიზნესს დაადგა თვალი, რომელიც მის მოგვარე სტენლი ჰოს ეკუთვნის. კაზინოებზე მონოპოლია მან ჯერ კიდევ 1962 წელს პორტუგალიელებისაგან მიიღო, 1997 წელს კი მასთან კონტრაქტი 2001 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდა.

მაკაოს ადმინისტრაციის თავკაცს მიაჩნია, რომ სახელმწიფო კონტროლი სათამაშო ბიზნესზე და მისი დემონოპოლიზაცია ხელს შეუწყობს დამნაშავეობასთან ბრძოლას, ბიზნესიდან მიღებული სახსრები კი მრეწველობის განვითარებას მოხმარდება.

ედმუნდ ჰოს სურს გახდეს მაკაოს ერთპიროვნული მმართველი და პეკინიც ამაში მხარს უჭერს. სამთავრობო წყაროები იუწყებიან, რომ ხელშეკრულება სტენლი ჰოსთან არ გაგრძელდება. ედმუნდ ჰომ კი ჩინეთს და თავის ქვეშევრდომებს გადაკვრით მიანიშნა, რომ პოზიციების გასამაგრებლად მზადაა უარი თქვას ფორმულაზე — „ერთი ქვეყანა, — ორი სისტემა".

ასე რომ, მაკაოს თავისუფლება საფრთხის წინაშეა, რომელიც კომუნისტური პეკინიდან კი არა, სანიმუშო ბანკირისა და მეწარმის ედმუნდ ჰოსგან მოდის.

# მოკლედ

85 წლის ასაკში გარდაიცვალა **ამერიკული** კორპორაციის HEARST-ის მფლობელი რენდოლფ ეპერსონ ჰერსტი. მის კორპორაციაში შედის 2 სატელევიზიო სადგური, 16 ჟურნალი, 12 ყოველდღიური გაზეთი, ტელევიზიის რამდენიმე არხი. ჰერსტის პირადი ქონება 1,8 მლრდ დოლარს შეადგენს, კორპორაცია კი 4,4 მლრდ დოლარადაა შეფასებული.

**პორტუგალიაში**, ქალაქებს ერმიდსა და რედეს შორის რელსებიდან გადავარდა სამგზავრო ჩქარი მატარებელი. ლოკომოტივი და ერთი ვაგონი მდინარეში გადაეშვა, დაიღუპა მემანქანე. მატარებელი, საბედნიეროდ, თითქმის ცარიელი იყო, დაჭრილია 5 მგზავრი.

**მექსიკის** დედაქალაქიდან 60 კილომეტრის დაშორებით ამოფრქვევა დაიწყო ვულკანმა. ადგილობრივმა მოსახლეობამ არ გაითვალისწინა სეისმოლოგთა გაფრთხილება და უარი თქვა ევაკუაციაზე. როცა ლავა ამოიფრქვა, ხალხმა მაშინ დაიწყო იქაურობის დატოვება. ლტოლვილთა რიცხვი 50 ათასს აჭარბებს.



# მეუღლემ ნინოს ბალეტი აჩუქა

## რამდენიმე შტრიხი პორტრეტისათვის

ნინო ქართველთათვის დამახასიათებელი აღტაცებითა და სასიამოვნო ჟესტიკულაციით საუბრობს, ბევრს იცინის და ამ დროს ანც ბიჭს ემსგავსება, რაზეც ბავშვობაში კიდეც ოცნებობდა და ბურთსაც დასდევდა. მავანნი კი ამბობდნენ, თავშეკავებული, ცივი და უკარება, ქმარიც მკაცრი და გულზვიადი ჰყავსო. არც ერთი არ გამოდგა მართალი. გრიგოლ ვაშაძე ენამოსწრებულიც არის და მხიარულიც.

— ჩემს ცოლს ერთი უარყოფითი თვისება აქვს — ძალიან უყვარს ბალეტი. თუმცა, ყველა მოცეკვავე ერთნაირია, ბალეტი თავს ავიწყებთ. მათთან მხოლოდ მათებურად უნდა იცხოვრო. თუ არადა, სჯობს გაშორდე, — ღიმილით თქვა გიამ.

— ბალეტს მძიმე შრომა, საქმისადმი სიყვარული სჭირდება, მაგრამ ისეთი სიყვარული, როცა მის გარდა აღარაფერი გახსოვს, „შავი სამუშაოც კი" გსიამოვნებს. ბებიაჩემს მეგობარი ჰყავდა, ოპერის მომღერალი. ერთხელ პატარაობისას, მათ საუბარს შევესწარი. ბებია ეუბნებოდა, — თუ ასე გქანცავს და გაწამებს, თავი დაანებე, სხვა გზას ეწიეო. მეგობარმა მიუგო — შენ ვერასოდეს გაიგებ, რა გრძნობაა, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ტაშს რომ დაგიკრავენ. სწორედ ამ წამისთვის ღირს სიცოცხლეო. როცა ბალერინა გავხდი, მაშინღა მივხვდი ამ სიტყვების არსს. ყოველგვარ საქმეში მთავარია სიმტკიცე, მიზანი. ბალეტი გულმოდგინებას, მოთმინებას და გულის სისხლს ითხოვს. ზოგჯერ პედაგოგი გიჯავრდება, შენ კი უნდა გააცნობიერო, რომ ეს სასიკეთოდ მოგიბრუნდება. სამი წლისას კინომსახიობობა მინდოდა, ჯინა ლოლობრიჯიდა-ბარდო უნდა გამოვიდე-მეთქი, ვამბობდი. არც კი ვიცოდი, რატომ შევაერთე ეს ორი სახელი, ალბათ ნაკლებზე თანახმა არ ვიყავი. მერე ექიმობა მინდოდა ბებიაჩემივით, ხან მამაჩემივით გეოლოგობა მსურდა. მამა მეხუმრებოდა, შენ იქნები პირველი ბალერინა გეოლოგებს შორის და პირველი გეოლოგი ბალერინებშიო.

— **გამორჩევით რომელი ბალეტი გიყვართ?**

— მიყვარს ყველა, რასაც სცენაზე ვცეკვავ.

— **ამბობენ, თანამედროვე ბალეტი უფრო ადვილია, ვიდრე კლასიკურიო.**

— რა თქმა უნდა, კლასიკურის ცეკვა უფრო რთულია. კლასიკა რომ იცეკვო, ხანგრძლივი სწავლაა საჭირო და ისიც არ იცი, გამოგივა რაიმე თუ არა. თანამედროვე საბალეტო პარტიებს პლასტიკური ადამიანი ორიოდე წელიწადში შეისწავლის, მაგრამ ის კლასიკას ვერ იცეკვებს. კლასიკურ მოცეკვავეს კი ყველაფერი ხელეწიფება. ეს არ ნიშნავს, რომ ერთი მეორეს სჯობს. თავს კლასიკოს ბალერინად მივიჩნევ, მაგრამ შემოქმედებითი ზრდისათვის თანამედროვე ქორეოგრაფიაში მონაწილეობა აუცილებლობად მიმაჩნია. ჩემი აზრით, ქორეოგრაფი მოქანდაკეა, ჩვენ — მასალა, როგორც პლასტელინი.

— **ვიცი, რომ გიყვართ და შეგიძლიათ საჭმლის კეთება, როგორ უნდა გააკეთოთ გემრიელად ის, რასაც თვითონ არ ჭამთ?**

— ვჭამ ყველაფერს, შეგიძლიათ დაწეროთ, რომ გემრიელად ჭამა ნინო ანანიაშვილის ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობაა.

— **ოჯახში თუ ლაპარაკობთ ქართულად?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ზოგჯერ ავტომატურად გადავდივართ რუსულზე და პირიქით.

— **ბალეტის გარდა, რომელი მუსიკა, რომელი ცეკვები გიყვართ?**

— კლასიკა. გიას ძალიან უყვარს ოპერა — მუსიკის თანხლებით მუშაობს ხოლმე. ბავშვობიდან მიტაცებდა სამეჯლისო ცეკვები — მამა მასწავლიდა. თანამედროვე მუსიკას არ ვიცნობ, არ ვუსმენ, არც მიზიდავს.

— **ცნობილია, რომ გიამ, როგორც ნამდვილმა დიპლომატმა, თქვენთან დაახლოება თქვენი ბებიის მეშვეობით შეძლო. ბებიას რომ ეთქვა, არ გაჰყვეო, რას იზამდით?**

— ალბათ არაფერი გამოუვიდოდა. გიას მიმართ რომ განსაკუთრებული გრძნობა არ მქონოდა — მეგობრებად დავრჩებოდით. რომ არა ბებია, ალბათ გიას ვერასოდეს გავიცნობდი. მე ხომ ხშირად არ ვარ მოსკოვში, მათ უჩემოდ ჰქონდათ ურთიერთობა. გია ხშირად სტუმრობდა ბებიასთან, ართობდა, ეთამაშებოდა კარტს და ნარდს, ერთად სეირნობდნენ. ბებია ყოველთვის პოულობდა საერთო ენას ჩემს მეგობრებთან, ჩემი მშობლების მეგობრებთან. ასეთი ურთიერთობა დამახასიათებელია ქართველებისთვის. ჩვენთან ხშირად გაიგონებთ — გზად მივდიოდი, ფანჯარაში შუქი დავინახე და შემოგიარეო. აქაურებისთვის ეს გაუგებარია. ჩვენ თბილისში ბელეტაჟზე ვცხოვრობდით. ერთ-ერთმა პირველებმა შევიძინეთ ტელევიზორი. ფეხბურთის დროს (ქართველები რომ ფეხბურთის თავგამოდებული ქომაგები არიან!) ფანჯარა ღია იყო ხოლმე — სრულიად უცნობები ჩერდებოდნენ ფანჯარასთან, კითხულობდნენ ანგარიშს და რჩებოდნენ თამაშის საყურებლად. მოსკოვში, ისე, როგორც დასავლეთში, სტუმრობა წინასწარ უნდა დაგეგმო.

— **გიასთან კამათი ხშირად გიხდებათ ხოლმე?**

— იშვიათად, მაგრამ მე ბუნებით მშვიდი ვარ, შემიძლია დათმობა. ბალეტზე არასოდეს ვდაობთ. გია ამ სფეროშიც პროფესიონალია. შეუძლია არა მარტო შეაფასოს სპექტაკლი, არამედ წარუმატებლობის მიზეზი დაასახელოს.

იგი ყველა ჩემს სპექტაკლს ესწრება, თუნდაც მთელი თვე ერთსა და იმავეს ვცეკვავდე.

— **როგორი სამოსი გიყვართ?**

— მოსახერხებელი, ლამაზი, სადა.

— **მისდევთ მოდას?**

— მთავარია, მეუღლეს მოსწონდეს, თუ მას არ მოეწონება, ვერ ჩავიცვამ.

— **რომელი სუნამო მოსწონს თქვენს მეუღლეს?**

— არ გაგეცინოთ, მაგრამ სუნამოებსაც გია მირჩევდა, მჩუქნიდა, როცა ერთმანეთს ვხვდებოდით. ეს ისე შეერწყა ჩემს გემოვნებას, მას შემდეგ სხვა აღარ მომწონებია.

— **რა ჰქვია ამ სუნამოს?**

— საიდუმლოა.

ქორწინების ათ წლისთავზე გიამ მეუღლეს აჩუქა... ბალეტი! სამი წლით შეისყიდა უფლება „მოცარტინას" შესრულებაზე. ამგვარ მდიდრულ ძღვენს ნინო არ ელოდა. 15 წლისთავზე შესაძლოა კვლავ ბალეტი უძღვნას, თუნდაც იმიტომ, რომ პროფესიით იურისტი და დიპლომატი გია ვაშაძე თავგამოდებული ბალეტომანი და ნინოს საუკეთესო პროდიუსერია. ისინი ძალიან უხდებიან ერთმანეთს...

***თბილისში, ფილარმონიის შენობის წინ, ნინო რამიშვილისა და ნანი ბრეგვაძის ვარსკვლავებს მალე ნინო ანანიაშვილის ვარსკვლავი დაუმშვენებს გვერდს.***



# ჯინა დევისი — ვარსკვლავი ვიტრინიდან

ჯინა დევისი 44 წლისაა და მშვენივრად გამოიყურება: ქალი, რომელსაც ზომაზე მეტად გაბუშტული ტუჩები, აპრეხილი ცხვირი და, როგორც ამბობენ, ყურებიდან დაწყებული ფეხები აქვს, — მეტად ექსცენტრიკული პიროვნებაა. ფრიად უცნაურ სამოსში გამოწყობილი ჯინა უკვე რამდენიმე წელია, ოსკარის ცერემონიალს აოგნებს, ამიტომაც არის, რომ ჰოლივუდის ყველაზე უგემოვნო ქალთა სიას უდგას სათავეში...

— ეს ხომ სპექტაკლია და უცნაურადაც უნდა გეცვას, — ამბობს მსახიობი და აინუნში არ აგდებს მავანთა მოსისინე ენებს.

მისი სრული სახელი — ვირჯინია ელიზაბეტ დევისი, უფრო ინგლისურად ჟღერს, ვინემ ამერიკულად. „მართალია, ჩემი ფესვები ინგლისიდან მოდის, მაგრამ მე ნამდვილი ამერიკელი ვარ, ჩემი გვარის მეთორმეტე თაობის წარმომადგენელი გახლავართ", — ამაყად აცხადებს იგი.

ჯინამ ბავშვობიდან იცოდა, რომ მსახიობი გახდებოდა. ეს გადაწყვეტილება იმდენად მტკიცე იყო, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლებმა წინააღმდეგობის გაწევა უაზრობად მიიჩნიეს.

1979 წელს ჯინამ დაამთავრა ბოსტონის უნივერსიტეტის თეატრალური ფაკულტეტი.

— მქონდა დიდ კინოში მოხვედრის ჩემეული გეგმა. გადავწყვიტე, მოდელი გავმხდარიყავი, — იგონებს მსახიობი, — გავემგზავრე ნიუ-იორკში და დავიწყე მუშაობა პრესტიჟულ მაღაზიაში — ვიტრინის მოდელ-მანეკენად. მოდურ ტანსაცმელში გამოწყობილსა და პარიკით დამშვენებულს ისეთი მაკიაჟი მქონდა, რომ პლასტმასის თოჯინისგან ვერ გამარჩევდით. შევამჩნიე, რომ ნამდვილ მანეკენებს ხელზე რაღაც საჭდე ჰქონდათ გამობმული, მეც ასეთივე წამოვიცვი. ასე ვიდექი ვიტრინაში გაუნძრევლად რამდენიმე წუთი, შემდეგ ოდნავ გავინძრეოდი, ისევ გავშეშდებოდი და ასე მთელი დღე...

ვიტრინის გარშემო ყოველთვის ბევრი ხალხი იკრიბებოდა. ისინი დაობდნენ, მართლა გავინძერი თუ მოეჩვენათ — მე ხომ მესმოდა, რასაც ლაპარაკობდნენ. ფეხზე მავთული მქონდა გამობმული, ვითომდა ელექტროქსელში ვიყავი შეერთებული, ამიტომ შეკრებილთაგან ბევრი ამტკიცებდა, რომ ნამდვილად ელექტროხელსაწყო ვიყავი. არ დაიჯერებთ და, ეს „სპექტაკლი" ზოგჯერ ხუთ-ექვს საათს გრძელდებოდა. სწორედ იქ ვისწავლე პუბლიკის მართვა — მათი ყურადღების რეგულირება...

შემდეგი ნაბიჯი სამოდელო ბიზნესში საცვლების კოლექციის ჩვენება იყო. ყველანაირად ცდილობდა ფოტოგრაფების მოხიბვლას. ერთხელ ვიღაცის მოქრთამვაც კი სცადა; იცნობდა ყველა ცნობილ მოდელიერს და ყველა შემთხვევაში მზად იყო პოდიუმზე გამოსასვლელად. იმ წლებში წელიწადში 35.000 დოლარს შოულობდა.

მალე მისი ბედი მკვეთრად შეიცვალა. სიდნი პოლაკი, ფილმისთვის „ტუტსი", ეძებდა მოდელს, რომელიც მთელი ფილმის მანძილზე საცვლების ამარა დატანტალებდა. სწორედ აქ ჩამოკრა ჯინას ბედის ზარმა. 1982 წელს როლზე დაამტკიცეს, საცხოვრებლად მხიარულ და ხმაურიან ლოს-ანჯელესში გადაბარგდა. ჯერ კუთხე ჰქონდა ნაქირავები, მერე კი, 1985 წელს, საკუთარი სახლიც შეიძინა, სადაც დღემდე ცხოვრობს.



1988 წელს, მეორე პლანის როლისათვის, ფილმში „შემთხვევითი ტურისტი", ჯინა დევისმა ოსკარი მიიღო, შემდეგ ეკრანებზე გამოვიდა სკანდალური თრილერი „ტელმა და ლუიზა", სადაც ჯინა ტელმას როლს თამაშობდა. მისი პარტნიორი იყო ბრედ პიტი. ამბობდნენ, რომ გადაღების პერიოდში მათ რომანი ჰქონდათ, რასაც ორივე უარყოფდა, ეს ფილმიც რამდენიმე ნომინაციაში წარდგენილი იყო ოსკარზე.

ამ დიდი წარმატების შემდეგ დევისს ჰოლივუდის ვარსკვლავობა გარანტირებული ჰქონდა. შემდეგ გამოჩნდა რენი ჰარლინი, ფინელი რეჟისორი, შემდგომში ჯინას ქმარი, რომელმაც გადაიღო ფილმში „თავაშვებულთა კუნძული". ფილმს წარმატება არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, მომდევნო ფილმმა „ღამის გრძელი კოცნა" დიდი შემოსავალი მოუტანა, მაგრამ დევისი ქმარს გაშორდა და დიდი ხნით ჩამოშორდა კინოს.

ამჟამად ჯინა კვლავ დაუბრუნდა კინემატოგრაფს. ფილმმა „სტიუარტ ლიტლი", რომელიც ამერიკაში უპირველეს ჰიტად იქცა, 150 მლნ დოლარი მოგება მოიტანა. გერმანიაში, ავსტრალიასა და იაპონიაში მიღებულმა მოგებამ ხომ მოლოდინს გადააჭარბა. მაყურებელს ისეთი გრძნობა აქვს, რომ რასაც ჯინა ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი წარმატებით მთავრდება. მისი პროდიუსერი დუგლას უიკი ამბობს: „ჯინა გამორჩეული პიროვნებაა, არავის ჰგავს. უდიდესი გარდასახვის უნარი აქვს, იგი უსაზღვროდ ნიჭიერია".

კინოდან იძულებითი „შვებულებისას" მსახიობმა თავისუფალი დრო შეივსო... არ გაინტერესებთ, რით? მშვილდოსნობით. ამ საქმესაც მისთვის ჩვეული გულმოდგინებით მოეკიდა, აშშ-ის ოლიმპიურ ნაკრებშიც მოხვდა და შარშან, აგვისტოში, ოლიმპიურ თამაშებზე (28-ე ადგილიდან) 22-ე ადგილზე გავიდა. ტელევიზორში თავისი თავი რომ ნახა, აღფრთოვანებულმა თქვა: „ისრის ტყორცნა ჩვენს ცხოვრებას ჰგავს — ან ასიანში მოარტყამ, არ არა".

მიუხედავად იმისა, რომ სამჯერ იყო გათხოვილი, ახლა მარტო ცხოვრობს, ვარსკვლავს არ უყვარს პირადი ცხოვრების საქვეყნოდ გამოტანა და ამიტომაც ჰოლივუდში თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში არასოდეს მოხვედრილა სექსუალური სკანდალების ქრონიკაში. თუმცა კარიერას პირველ ადგილზე აყენებს, ჯინას ოჯახური სითბო მოსწყურდა და ხშირად ფიქრობს შვილების გაჩენაზე, ამიტომაც აპირებს მეოთხედ გათხოვებას.

# იცით თქვენი კერპების ნამდვილი სახელები?

**შოუბიზნესში ფსევდონიმის გამოყენება ჩვეულებრივი ამბავია — ვიღაც მალავს თავის არც ისე ლამაზ გვარს, ზოგიც, პირიქით, — ცნობილ სახელს. ჰოლივუდში ბოლო დროს ფსევდონიმი აღარ არის მოდაში, იგი ძველ ვარსკვლავებს შემორჩათ.**



**ნორმა ჯინ ბეიკერი (მერილინ მონრო)** ალბათ ერთადერთია, რომლის ნამდვილი სახელი ყველამ იცის. ეს არც არის გასაკვირი — იგი ხომ ჰოლივუდის უცნობილესი ვარსკვლავი იყო და ქალღმერთს უწოდებდნენ; მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ მსახიობს სულ სხვა გვარი ჰქონდა — ნორმა ჯინ მორტენ სონი. თუმცა ეს ფაქტი სულაც არ ჰფენს შუქს მის წარმომავლობას. არავინ იცის, ვინ იყო მისი მამა. გვარი ბეიკერი გოგონამ მიიღო, როცა ბაპტისტი გახდა. მერილინ მონრო კი გამოჩნდა 1946 წელს, დამწყები მსახიობის მიერ კინოსტუდიასთან კონტრაქტის დადების შემდეგ. 20 წლის გოგონა კვირაში 125 დოლარს იღებდა, იმ დროისათვის ეს სოლიდური თანხა გახლდათ. მონრო — ნორმას ბებიის გვარი იყო, ხოლო სახელი მსახიობ მერილინ მილერის პატივისცემით დაირქვა.

**მაიკლ შაჰუბი (ომარ შარიფი)** დაიბადა ჯერ კიდევ კოლონიურ ეგვიპტეში, როცა იქ ინგლისელები ბატონობდნენ. მამამისი ღარიბი ვაჭარი იყო. მაიკლი ალექსანდრიაში, ინგლისურ სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კაიროში კოლეჯი დაამთავრა. მალე მაიკლმა მიიღო ისლამი და სამსახიობო კარიერა ომარ შარიფის სახელით დაიწყო.



**ნიკოლას კოპოლა (ნიკოლას ქეიჯი)** ფრენსის ფორდ კოპოლას უსაყვარლესი ძმისწულია. მან გვარი იმიტომ გამოიცვალა, რომ ცნობილი გამხდარიყო საკუთარი შრომის წყალობით და არა ბიძის ხარჯზე. ეფექტი აბსოლუტურად საწინააღმდეგო გამოვიდა. ახალგაზრდა მსახიობის კეთილშობილებამ გააოცა ცინიკოსი ჰოლივუდი, ზოგმა ისიც კი იკითხა, ეს ნაბიჯი რეკლამისთვის ხომ არ გადადგაო.

ნიკოლას კოპოლა გვარს დაესესხა კომიქსების საყვარელ პერსონაჟს ლუკ ქეიჯს.

**ალენ სტიუარტ კონიგსბერგი (ვუდი ალენი)** დაიბადა 1935 წელს 1 დეკემბერს, ნიუ-იორკში. მომავალმა რეჟისორმა ფსევდონიმი 17 წლის ასაკში აიღო, როცა ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ჩაირიცხა და კომიკოს დევიდ ალბერტისათვის კვირაში 20 დოლარად სცენარების წერა დაიწყო. რატომ აირჩია ვუდი ალენმა ეს ფსევდონიმი, თავადაც არ ამხელს.



**ისურ დანილოვიჩი (კერკ დუგლასი).** რუსი ებრაელი ემიგრანტები ჰანს და იაკობ დანილოვიჩები ამერიკაში 1912 წელს გადასახლდნენ. ისური მათ ნიუ-იორკში შეეძინათ. მომავალმა სპარტაკმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ამ სახელით ჰოლივუდის ოლიმპზე ვერ ავიდოდა და ფსევდონიმად აირჩია აისიდორ დემელ, მაგრამ არ გაუმართლა. შემდეგ ფსევდონიმი შეიცვალა — კერკ დუგლასი დაირქვა და... პოპულარობაც მოიხვეჭა.



**კატრინ დორლეაკი (კატრინ დენევი)** დაიბადა 1943 წლის 22 ოქტომბერს და 1957 წლამდე დორლეაკის გვარს ატარებდა. კატრინის მშობლები მსახიობები იყვნენ, ასე რომ, გოგონას ბედი წინასწარ იყო განსაზღვრული. კინოში თამაში 13 წლისამ დაიწყო დედის ქალიშვილობის გვარით. საქმე ის გახლდათ, რომ იმ დროისათვის მისი უფროსი და, ფრანსუაზა უკვე სახელმოხვეჭილი მსახიობი იყო და კატრინს არ უნდოდა, რომ დები ერთმანეთში აერეოდათ.

**კარლოს ირვინ ესტევეზის (ჩარლი შინი)** შესახებ იმდენ რამეს ჩმახავდნენ, რომ უკვე შეუძლებელია ტყუილ-მართლის გარჩევა.

მსახიობს ორი მიზეზი ჰქონდა ფსევდონიმის ასაღებად. იმ დროისათვის, როცა მან მსახიობობა გადაწყვიტა, მარტინ შინი უკვე საქვეყნოდ ცნობილი არტისტი იყო. დედის გვარს ატარებდა უფროსი ძმა, მსახიობი ემილიო ესტევეზი. ძმებს ერთმანეთი არ უყვარდათ, ყოველდღე ჩხუბობდნენ. კარლოსს არ უნდოდა, რაიმე საერთო ჰქონოდა ძმასთან.

# „მლაშე" ნიანგი



ეს გიგანტური ნიანგი მარილიან წყლებში ცხოვრობს და ინგლისელებმა სოლტიც („მარილიანი") ამიტომ შეარქვეს. მიუხედავად იმისა, რომ „მლაშეა", თავს ჩინებულად გრძნობს არა მარტო ზღვაში, არამედ მდინარეებსა და ჭაობებშიც.

გიგანტური ნიანგები დიდი მესაკუთრენი არიან. მომხდურებს ადვილად და უბრძოლველად არ უთმობენ საცხოვრებელ ტერიტორიას. მამალ ნიანგებს ხშირად სისხლისმღვრელ ორთა ბრძოლაში უწევთ თავიანთი „მიწა-წყლის" დაცვა.

მამალი სოლტი 7 მეტრამდე იზრდება და ტონასაც იწონის. ეს თითქოსდა ზოზინა არსება საკმაოდ სწრაფი მოცურავეა, რაც ყველა ცხოველს როდი შეუძლია და, მით უმეტეს, ადამიანს. მაგალითად, სოლტიმ 400 მ-იანი დისტანცია გაცურა 3-4-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა იან ტორპმა. იგი ასეთივე მარჯვეა მიწაზეც. ასე რომ, სოლტი მეტად საშიში ქვეწარმავალია...

ნიანგი საკბილოს მეტად ოსტატურად უსაფრდება, წყალში ან სილაში ისე ჩაწვება, რომ მხოლოდ ყვითელი თვალები და ნესტოები უჩანს. როგორც კი მსხვერპლი ყურადღებას მოადუნებს, ნიანგი კუდის დახმარებით, რომელსაც პროპელერივით იყენებს, წყლიდან „ამოფრინდება" და მსხვერპლს თავს დააცხრება. სოლტს ძალიან უყვარს კუ, თევზი, კიბორჩხალა, გარეული ღორი, ველური ძაღლი დინგო. თუმცა არც ადამიანზე თავდასხმას ერიდება.

ნიანგებს უყვართ მზეზე ნებივრობა, ე.წ. ბუდესაც ნაპირზე იკეთებენ, სადაც 40-60 კვერცხს დებენ. ნორჩ რეპტილიებს გულმოდგინედ დარაჯობს დედა ნიანგი, რადგან პატარებით ყელის ჩაკოკლოზინება ძალიან უყვართ არა მარტო ცხოველებსა და ფრინველებს, არამედ ღვიძლ მამებსაც კი...

ადამიანებსაც მოსწონთ ნიანგის ხორცის ბიფშტექსი, მისი ტყავით კი მშვენიერ ჩანთებს, ფეხსაცმელს, ქუდებს და ქამრებს ამზადებენ.

# მარტორქას ყველა გზას უთმობს



მარტორქა მეტად უცნაური ცხოველია. ტროპიკების ახლანდელი ბინადარი ოდესღაც ბეწვიანი ყოფილა და გამყინვარების პერიოდში ტუნდრის ბატონ-პატრონად ითვლებოდა. ალბათ დღემდე ისეთივე ბანჯგვლიანი იქნებოდა, ნეოლითის ხანაში მონადირეებს რომ არ მოესპოთ, რომელთა მადასაც მამონტებიც შეეწირნენ.

მარტორქები ბინადრობენ: აფრიკაში — თეთრი და შავი, აზიაში — ინდური და სუმატრული.

მარტორქამ ღრმა ძილი იცის. მის გასაღვიძებლად მარტო ყვირილი კი არა, ქვების სროლაც დაგჭირდებათ, — ამბობს პროფესორი გრჟიმეკი. ახალდაბადებული მარტორქა ძალიან აგრესიული და საშიშია, თავს ესხმის დაუპატიჟებელ სტუმარს, მაგრამ იმის გამო, რომ კარგად ვერ ხედავს, მომხდური ახერხებს თავის დაღწევას.

მარტორქები ძალზე მოსიყვარულე ცხოველები არიან. შეუძლიათ მთელი ორი საათი ეფერონ და ეალერსონ ერთმანეთს, რაც რეკორდია ცხოველთა შორის. ამის გამო გავრცელდა ხმა, მისი რქა პოტენციას აძლიერებსო. თუ რქის შემადგენლობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ის არაფერ შუაშია. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მარტორქების სიყვარულის ხანგრძლივობა სპეციფიკური ჰორმონების ბრალია, რასაც დღემდე იკვლევენ.

ამ ძლიერი და უზარმაზარი ცხოველის მეზობლად თავს უსაფრთხოდ გრძნობენ ჟირაფები, ანტილოპები და ფრინველებიც კი. მარტორქას ხომ სპილოს გარდა, ყველა გზას უთმობს.



# იმპრესიონისტი წავი

მოხდა სასწაული და დამწყები მხატვრის პირველივე ნახატი 300 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა.

არ იკითხავთ, ვისი იყო ეს ნახატი?

წლინახევრის წავისა, რომელსაც ბეტი ერქვა!

ერთხელ, ბეტის დიასახლისი, სოფი, მოლბერტთან იდგა და გატაცებით ხატავდა. წავი მიცუნცულდა ქალთან, ჯერ საღებავები დაყნოსა, მერე ტილო და მოლბერტი. ეტყობა, მოეწონა, რადგან დიდხანს გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ფუნჯის მოძრაობას. სოფიმ რაღაც იგუმანა და საცდელად ბალახზე დააწყო ქაღალდი და საღებავები.

და იცით, რა მოხდა?

ბეტიმ თათი ჩაყო საღებავში და ქაღალდზე ფაქიზად დაასკუპა ლამაზ-ლამაზი ვარდისფერი ლაქები.

სოფის ჯერ ეგონა, წავმა ქაღალდზე თათუნები გაიწმინდაო, მაგრამ ბეტიმ ხატვა განაგრძო.

ასე მოხდა მეორე დღესაც.

სოფი წავის ნახატებს ინახავდა და მალე თავის პერსონალურ გამოფენაზე ერთი კუთხე დაუთმო ბეტის ნახატებსაც, რომლებმაც მნახველის დიდი მოწონება დაიმსახურა. ხელოვნებათმცოდნეები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, წავის ხატვის მანერა ნამდვილად იმპრესიონისტულიაო.

# ხარხარი — სიკვდილს მოასწავებს

ხალებიანი აფთარი აფრიკის სავანეთა ბინადარია.

აფთრები ნადირობისას კუდს აიშვერენ და ბეწვაჯაგრულნი მსხვერპლს მანამ მისდევენ, სანამ ქანცი არ გაუწყდებათ. დევნისას თავზარდამცემად ღმუიან, ხითხითებენ, ხარხარებენ კიდეც. მსხვერპლს მუცელს გამოფატრავენ და როდესაც სისხლისგან დაიცლება, მიესევიან და ცოცხლადვე ჭამენ.



აფთრები ცხოვრობენ ოჯახებად. ერთ ოჯახში დაახლოებით 100-მდე მხეცია და საკმაოდ დიდ ტერიტორიას იკავებს. ოჯახს მეთაურობს ყველაზე ეშმაკი და ღონიერი აფთარი.

ძუ და ხვადი ცხოველები გარეგნობით თავდაპირველად ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებიან, ძუს ლეკვების დაყრის შემდეგ დაეტყობა ძუძუები.

დედა აფთარი ლეკვებს თითქმის წელიწად-ნახევარი აწოვებს ძუძუს, რადგან ზრდასრულ თანამოძმეებს მათთვის არ მოაქვთ საკვები და არც სანადიროდ მიჰყავთ.

ეს საზარელი მხეცები უფრო ხშირად დიდ ცხოველებს ეტანებიან, მაგალითად, ანტილოპას, ზებრას... თუმცა ეს უკანასკნელი საშიში მოწინააღმდეგეცაა.

აფთართაგან მჭამელი უფრო მეტია ხოლმე, ვიდრე მონადირე. ტრაპეზისას ისინი სულ სისხლში არიან მოსვრილნი და ხშირად ერევათ მსხვერპლი და მოძმე — ერთმანეთს აჭამენ ყურებს, ცხვირს, თათებს; ზოგჯერ, თუ ნადირი ვერ მოიხელთეს, შეიძლება მშიერმა აფთრებმა ერთმანეთიც შეახრამუნონ.

მოხარხარე ხალებიან აფთრებს შეუძლიათ 10-15 წუთში ისე შესანსლონ ანტილოპა, რომ მისგან ჩიჩქიც არ დარჩეს — სისხლიან ბალახსაც კი სძოვენ. აფთრები არაფერზე ამბობენ უარს, განსაკუთრებით კი უყვართ ლომის ბოკვერები, პატარა მარტორქები და ბეჰემოთები...

# ცეზარი და ბროლია

## (ნამდვილი ამბავი)



ეს ამბავი ამ 40-45 წლის წინ მოხდა თბილისის ზოოპარკში. აქ შემთხვევით მოხვედრილმა შიმშილით დაოსებულმა უპატრონო ძაღლის ლეკვმა მტაცებელ ცხოველთა ვოლიერში ამოჰყო თავი. ჩაცუცქდა მელიების სადგომთან, პირზე ნერწყვმომდგარი, სევდიანი თვალებით შესცქეროდა, როგორ სადილობდნენ „კუდაგრძელები". მომვლელები გალიიდან გალიაში გადადიოდნენ და ცხოველებს აპურებდნენ. ერთმა მათგანმა შენიშნა კუთხეში მობუზული ლეკვი, შეებრალა და ხორცის ნაჭერი გადაუგდო. ცუგა ხარბად დააცხრა საკვებს, მერე კი ქალთან ჩაცუცქდა და მადლიერების ნიშნად დრუნჩი ფეხზე დაადო.

იმ დღიდან იქაურობას არ მოშორებია ბროლია, — ასე დაარქვეს თოვლივით ქათქათა ლეკვს.

იგი შეეჩვია მხეცებს. დილადრიან მოივლიდა ზოოპარკს, გულმოდგინედ ათვალიერებდა ყველა განყოფილებას. ნებაყოფლობით იცავდა წესრიგს. ბავშვებს და ონავარ ყმაწვილებს ვოლიერებთან არ უშვებდა. ანცებს ყეფით მიეჭრებოდა და სანამ ვოლიერს არ მოაშორებდა, არ მოეშვებოდა.

ყველაზე მეტად ბროლიას ცხოველთა მეფე ცეზარზე შეუვარდა გული. საათობით იდგა ხოლმე გალიის წინ...

ბროლიას არ აშინებდა ლომის ბრდღვინვა. ეტყობოდა, მასთან დაახლოება სურდა.

ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ზოოპარკის თანამშრომლებს. ნეტა, რა მოხდება, ძაღლი რომ ლომის ვოლიერში ჩავსვათო, — დაინტერესდნენ სპეციალისტები.

და, აი, ცხოველთა მეფის ცხოვრებაში საოცარი ამბავი მოხდა — მისი მყუდროება დაარღვია ბროლიამ. ცეზარმა კბილები დაკრიჭა და მრისხანედ გახედა უცნაურ ცხოველს. ბროლიამ კი უშიშრად მიირბინა მასთან და ცხვირით მუცელში შეუვარდა. გამწყრალი ლომი აღრიალდა, მაგრამ ბროლიას წარბიც არ შეუხრია, ანცობა დაიწყო. დარბოდა და ცეზარს სათამაშოდ იწვევდა. ფიქრშიც არ გაუვლია, რომ ამ მძვინვარე ცხოველს კბილის ერთი გაკვრით შეეძლო მისი დაფლეთა.

ასე უჩვეულოდ დაიწყო ლომისა და ძაღლის მეგობრობა.

რას არ სჩადიოდა ოინბაზი ბროლია მეფის გულის მოსაგებად. დარბაისლურად წამოწოლილ ცეზარს მიეპარებოდა, კუდში პირს ჩაავლებდა და ექაჩებოდა, — ნუ გეზარება, ვითამაშოთო. ლომიც ხათრს ვეღარ უტეხდა, წამოიზლაზნებოდა, გაიზმორებოდა და დაჰყვებოდა პატარა მეგობრის ნება-სურვილს.

გაზაფხულზე ცეზარმა ბეწვი გამოიცვალა, მუცელზე, რამდენიმე ადგილას, ბეწვის კოშტები დარჩა. ეტყობა, ბროლიას არ მოეწონა ეს და გადაწყვიტა, „მეფის ტანსაცმელი" თვითონ მოეწესრიგებინა. კვალდაკვალ დასდევდა გალიაში მოსეირნე ლომს და კბილებით აცლიდა დაგორგლილ ბალანს. მალე სავსებით გაუსუფთავა ქათიბი. ბროლია იშვიათ გონიერებას იჩენდა. მაგალითად, ზაფხულში, როდესაც ცეზარი მხართეძოზე წამოწვებოდა, ძაღლიც მის კუდთან მოიკალათებდა და უშფოთველად თვლემდა.

ძილში ბროლიას ბუზები აწუხებდა, ისინი ცეზარსაც ეხვეოდა და კუდით იგერიებდა. ამიტომ ლომის კუდთან ბუზის ჭაჭანებაც არ იყო.

როცა აცივდებოდა, ძაღლი „რეზიდენციას" იცვლიდა — ღამე ლომის ხშირი და გრძელი ბეწვით დაფარულ მუცელთან იძინებდა. დღისით კი, თუ შესცივდებოდა, წინა თათებს შორის ჩაუჯდებოდა ხოლმე. ბროლიას გალიაში თივით სავსე ყუთი დაუდგეს. ძაღლმა თივაში მოიკალათა. ცეზარს არ მოეწონა მეგობრის დაკარგვა და ყუთი ნაფოტებად აქცია, თივა კი გალიაში მიმოფანტა. ამის შემდეგ ბროლიასა და ცეზარს მუდამ ჩახუტებულებს ეძინათ.

კვირაობით დიდ მტაცებელ ცხოველებს პროფილაქტიკის მიზნით ულუფას არ აძლევდნენ.

ერთხელ ცეზარი საზაფხულო ვოლიერში იყო, ხოლო ბროლია — ზამთრის სადგომში. ძაღლს შეეძლო ცეზართან გასვლა, ლომს კი არა. ბროლიას ხორცის ნაჭერი შეუგდეს. მან დაინახა, რომ ცეზარს გვერდი აუარეს, ამიტომ არ დააყოვნა და ხორცი მეგობარს მიუცუნცულა, ლომმა კი პირი არ დააკარა — ბროლია მშიერი დარჩებაო.

ლომს ქვედა ყბაზე ფისტულა გაუჩნდა. რაც დრო გადიოდა, ჭრილობა ურთულდებოდა, ჭამა უჭირდა და თანდათან სუსტდებოდა. იარა მეტად უხერხულ ადგილზე იყო, ამიტომ ლომს არ შეეძლო გალოკვით მისი მოშუშება და საშინლად იტანჯებოდა. ბროლიამ „გადაწყვიტა", რადაც უნდა დასჯდომოდა, განეკურნა მეგობარი. დაუწყო ჭრილობის ლოკვა. ცეზარმა იგრძნო, რომ საჭირო იყო ოთხფეხა „ექიმისთვის" ხელი შეეწყო და თავს ისე მოაბრუნებდა ხოლმე, რომ ბროლიასათვის გაეადვილებინა საქმე. რამდენიმე კვირის შემდეგ ცეზარს ჭრილობა შეუხორცდა და სრულიად განიკურნა.

ერთხელ, ვოლიერს გარეთ ბროლიამ ფეხი იტკინა და წკმუტუნი მორთო. საზაფხულო გალიაში მოსეირნე ლომმა მეგობრის ხმა რომ გაიგონა, თანაგრძნობა საშინელი ღრიალით გამოხატა. გააფთრებული მხეცი კბილებით ღრღნიდა რკინის ბადეს, ყალყზე დგებოდა, გალიას აზანზარებდა...

ბროლია დაუყოვნებლივ შეუშვეს ლომთან. ცეზარი მივარდა ძაღლს, შეათვალიერა, მიუალერსა და დამშვიდდა.

ამ უჩვეულო მეგობრობამ გაახალისა და გაამხნევა ცეზარი, მაწანწალა ბროლიას კი მშვიდი ცხოვრება დაუმკვიდრა...

**გალაქტიონ ტაგანაშვილი**

# პუმა — თავდასხმების ოსტატი



არსებობს ზუსტი სტატისტიკა: უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ჩრდილო ამერიკაში პუმა ადამიანებს 58-ჯერ დაესხა თავს, რომელთაგან 22 სიკვდილით დამთავრდა. ზოგჯერ ეს კატისებრთა ოჯახის წარმომადგენელი ცხოველი დასახლებულ პუნქტებსაც უახლოვდება. დაფიქსირებულია შემთხვევა, როცა პუმას თავდასხმის შემდეგ ერთ ფერმერს დაახლოებით 600 ნაკერი დაადეს 50 ღია ჭრილობის ამოსაკემსად.

დიახ, ეს ლამაზი ცხოველი ზოგჯერ თავს ესხმის ადამიანს. სიგრძით პუმა 2 მ-ს აღწევს, ამას ემატება 82 სმ-იანი კუდი. საშუალოდ იწონის 105 კგ-ს. ბეწვი ხშირი და მოკლე აქვს, ზემოდან მუქი ყვითელი, ქვემოთ — თეთრი. პუმა ერთადერთი ერთფერი (ლაქების გარეშე) კატაა ამერიკული სახეობებიდან. მხოლოდ ახალდაბადებულ კნუტებს აქვთ ლაქები.

არც ერთ ამერიკულ კატას არ აქვს ისეთი გავრცელების არეალი, როგორიც პუმას — დაწყებული ჩრდილო ამერიკითა და კანადით, მთელი სამხრეთ ამერიკის ჩათვლით. იგი, ძირითადად, მთის ტყეებში ბინადრობს, ამიტომაც მთის ლომსაც უწოდებენ. ამ ძლიერ კატას ჯუნგლებშიც შეხვდებით, დაბლობის ტროპიკულ ტყეებშიც და პამპასებშიც. მარჯვედ ადის მთის ფერდობებზე, ხეებზე, თუ დასჭირდა — შესანიშნავად ცურავს.

ნადირობს სხვადასხვა ცხოველზე, ზოგჯერ თავს ესხმის შინაურ საქონელსა და ფრინველს. მსხვერპლს მანამ არ მოეშვება, სანამ მთლიანად არ შეჭამს, მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო შეხედულებაც — პუმას ორ კვირაში ერთხელ ჭამა ყოფნისო.

პუმა ძალზე სწრაფი ცხოველია — შეუძლია 7 მ-იანი ნახტომის გაკეთება, ამიტომაც ნადავლი არასოდეს უსხლტება. ამბობენ, მის მსხვერპლს გადარჩენის შანსი თითქმის არ აქვსო. 10 შემთხვევიდან 8 პუმას სასარგებლოდ მთავრდება.

პუმა მონადირეების ოცნების საგნად მიიჩნეოდა მუდამ — ამიტომაც ასეულობით ათასი მხეცი განადგურდა. ამას დიდად შეუწყო ხელი თეოდორ რუზველტმა, რომელიც, უცნაურია, მაგრამ ცხოველთა დაცვის საზოგადოების დამაარსებელი იყო. აშშ-ის პრეზიდენტმა პუმების განადგურებაზე თანხმობა ნიუ-იორკის ზოოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტისგანაც მიიღო, ამის შემდეგ მათზე ნადირობა უფრო გახშირდა.

ახლა პუმა მომრავლებულია — 1971 წლიდან მათ სახელმწიფო იცავს. მის საპოვნელად ყველაზე მარჯვე დრო ზამთარია, როცა თოვლზე კვალს ტოვებს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძუ პუმებს თავიანთი ტერიტორია აქვთ. იყო შემთხვევა, როცა ეს ცხოველი მშობლიური ადგილიდან 20 კმ-ის მოშორებით გადაიყვანეს, მაგრამ მაინც უკან დაბრუნდა. პუმა კატასავით მონიშნავს თავის ტერიტორიას და მასავით კაწრავს ხეებს.

ხვადი, რომელიც ჩვეულებრივ, მარტოობას არჩევს, წლის მანძილზე რვამდე ძუს ანაყოფიერებს. ძუს მაკობა 90 დღე-ღამე გრძელდება. შობს ორ, სამ, ზოგჯერ ხუთ კნუტსაც. კნუტები სწრაფად იზრდებიან, მაგრამ სქესობრივ სიმწიფეს სიცოცხლის მესამე წელს აღწევენ. საზოგადოდ, პუმა დაახლოებით ოც წელს ცოცხლობს. იგი ადამიანისთვის საშიში ცხოველია, მისი ბინადრობის ადგილებში სასურველი არ არის უჯოხოდ გამოჩენა. შემჩნეულია, რომ პუმას მაღალი ადამიანებისა ეშინია. თავდასხმის შემთხვევაში ადამიანი არ უნდა გაიქცეს, პირიქით, მშვიდად უნდა შეხვდეს.

მოზრდილი პუმები მეტად აგრესიულები არიან.

# მრავალსახეობა პასპორტისა

*ისტორიკოსები პირველ პასპორტად მონების სხეულზე აღბეჭდილ დამღებსა და მათ განსაკუთრებულ სამოსელს მიიჩნევდნენ. პირველი პასპორტი XV საუკუნის დამლევს გამოჩნდა გერმანიაში, როცა აუცილებელი გახდა პატიოსანი მოგზაურების ყაჩაღებისგან განსხვავება. შემდგომი განვითარება საპასპორტო სისტემამ რუსეთსა და საფრანგეთში, XV-XX საუკუნეებში ჰპოვა. XX საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა პასპორტების საბოლოო გაცალკევება — საზღვარგარეთის (საზღვარგარეთ წამსვლელის საბუთი) და პირადობის დამადასტურებელი (შინა სარგებლობისთვის). კომპიუტერული ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად დაიწყეს იმგვარი დოკუმენტების დამზადება, რომლებზეც ინფორმაციის წაკითხვა სკანერის საშუალებით შეიძლება. XX საუკუნის დამლევს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გაჩნდა პირადობის დამადასტურებელი ელექტრონული მოწმობა.*

*მომავალში ევროპელებს ალბათ ერთნაირი პასპორტი ექნებათ — ლურჯი, ოქროს 12 ვარსკვლავით დამშვენებული. სადღეისოდ კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირი პასპორტი არსებობს.*

## გოლფ-კლუბის საწევრო ბილეთი

ბრიტანელებისთვის ყველაზე მარტივია თავისი პირადობის დადასტურება. ამის გაკეთება შეიძლება დიდ



ბრიტანეთში არსებულ ყველა კანონიერ საფუძველზე მოქმედი ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთით. მთავარია, რომ მასზე მფლობელის ფოტო იყოს. პირადობის დამადასტურებელი ერთიანი სისტემა ქვეყანაში არ არსებობს. ბრიტანელებს უკანასკნელ ათასწლეულში მხოლოდ ორჯერ მოსთხოვა ხელისუფლებამ პირადობის მოწმობის ტარება, 1914 და 1940-იან წლებში; ეს სამხედრო მდგომარეობით იყო გამოწვეული და როგორც კი მშვიდობა დამყარდა, „საპასპორტო სისტემა" გააუქმეს.

საარჩევნო ბიულეტენის, ფულადი გზავნილების მისაღებად და ა.შ. ბრიტანელები მძღოლის მართვის უფლებას, პროფკავშირის ბილეთს, სეზონურ სარკინიგზო ბილეთს და საკრედიტო ბარათებს იყენებენ.

ბრიტანეთში პასპორტის მსურველს შეუძლია ფოსტას გაუგზავნოს წერილი, თავისი ფოტოიანი რომელიმე საბუთის ასლი, დაბადების მოწმობა, რამდენიმე ფოტო და 50 გირვანქა სტერლინგი. არც პასპორტის დაკარგვაა დიდი უბედურება, მისი შეცვლა გოლფის კლუბის ბილეთითაც შეიძლება.

## არამძღოლის პირადობის მოწმობა

ამერიკულ პასპორტს ზუსტად ისეთივე სტატუსი აქვს, როგორიც ბრიტანულს. იგი მხოლოდ საზღვარგარეთ გასვლისას სჭირდებათ. მაგრამ, ბრიტანულისგან განსხვავებით, მას სახელმწიფო დეპარტამენტი გასცემს. მისი დაკარგვა სერიოზული საქმეა და შეიძლება ციხეც კი მოჰყვეს. ეს პასპორტი მხოლოდ იმ ქვეყნებში მოქმედებს, რომლებსაც შეერთებული შტატები აღიარებს. პირადობის დასადასტურებლად ამერიკული პასპორტის გამოყენება ძნელია: კანონის თანახმად, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მოქალაქემ პასპორტი უნდა ჩააბაროს, მაგრამ ამას ყველა არ აკეთებს. ამერიკელების უმეტესობა პირადობის დასადასტურებლად მანქანის მართვის უფლებას იყენებს. ამან გამოიწვია ის, რომ თითქმის ყველა შტატში მართვის უფლებაში ახლა მფლობელის დაბადების წელია აღნიშნული. ამერიკელთა უმცირესობისთვის, ვინც არ იცის, ან



არ სურს მანქანის მართვა, არსებობს მართვის უფლების განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც ოფიციალურად ჰქვია „არამძღოლის პირადობის მოწმობა".

## მუზეუმის ბილეთი

ესპანეთის ქვეყნის შიგნით მოსახმარი პასპორტი ძალზე სერიოზული დოკუმენტია. იგი უნდა თან იქონიოს 14 წელს მიღწეულმა ყველა ესპანელმა. იქ ყველაფერი ისევე დაწვრილებითაა მოცემული, როგორც რუსეთის პასპორტში, სამხედრო სამსახურის გავლაც კი. უპასპორტოდ ესპანელი სამსახურში ვერ მოეწყობა, ვერც სასწავლებელში შევა, ვერც ქვეყნის შიგნით იმოძრავებს, საბუთების უქონლობას ორდღიანი პატიმრობა შეიძლება მოჰყვეს. თუმცა ესპანურ პასპორტს შეღავათიც ბევრი აქვს — უფასო სწავლა საშუალო სკოლაში, სამედიცინო მომსახურება, აგრეთვე უპრობლემო გადაადგილება ევროკავშირის ტერიტორიაზე, გარდა ამისა, პასპორტის პატრონი უფასოდ შედის მუზეუმში.

ბრაზილიის ყველა მცხოვრები — მოქალაქეებიც და უცხოელებიც, ვალდებულნი არიან, იქონიონ პირადობის დამადასტურებელი საბუთი, რომელშიც არის პატრონის სურათი, თითების ანაბეჭდი და მოქალაქეობის აღმნიშვნელი შტამპი. ამის გარდა, ბრაზილიელებს უნდა ჰქონდეთ საზღვარგარეთის პასპორტი. ადგილობრივი კანონების მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობა იმდენად უფლება არ არის, რამდენადაც ბრაზილიელთა მოვალეობა. პოლიციის მოთხოვნით, მოქალაქემ უნდა უჩვენოს საარჩევნო უბანში გაკეთებული შესაბამისი აღნიშვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობისთვის ელის ჯარიმა. მაგრამ საქმე ის არის, რომ პირადობის დამადასტურებელი ბარათი ცელოფანგადაკრულია, ამიტომ აღნიშვნა საზღვარგარეთის პასპორტში კეთდება და იგი მოქალაქეს თან უნდა ჰქონდეს.

საერთოდ, მესამე სამყაროს ქვეყნების პირადობის დამადასტურებელი საბუთები გამოირჩევა ინფორმაციის სისრულით. მალაიზიურ პი-



რადობის მოწმობაში მითითებულია ორივე მშობლის გვარი, აღმსარებლობა, ეთნიკური ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის, სქესი, თითების ანაბეჭდი.

# ამბავი ლურჯწვერასი

ადამიანი, რომელსაც ლეგენდამ ლურჯწვერა უწოდა, თურმე ნამდვილად არსებობდა, მაგრამ მას არასოდეს მოუკლავს თავისი 6 ცოლი. თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ ერთი ჰყავდა და ისიც ღვთით აღესრულა. ამავდროულად, ლურჯწვერას პროტოტიპი — ფრანგი მარშალი ჟილ დე რე, ჟანა დ'არკის თანამოაზრე, გაცილებით საშიში და ვერაგი დამნაშავე იყო. მან სიცოცხლე კოცონზე დაასრულა 200 ბავშვის მკვლელობისათვის.

ჟილ დე რეს ცხოვრების გზა ტრადიციული იყო იმ დროის ფრანგი მაღალი საზოგადოებისათვის, რომლისთვისაც უცხოა მუშკეტერების გალანტური თავგადასავლები თუ რომანტიკული დუელები. ეს იყო შუა საუკუნეების ეპოქა, დაუნდობელი და სისხლიანი. ამ ატმოსფეროში აღიზარდა საფრანგეთის მომავალი მარშალი და მკვლელი-მანიაკი.

გი დე ლავალის, ბარონ დე რეს, საფრანგეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ბატონის ვაჟი ჟილი დაიბადა 1404 წელს ანჟუში — შანტოხეს ციხე-კოშკში. მან ადრე დაკარგა მშობლები. ბიჭი აღზარდა ბაბუამ, დედის მხრიდან — ჟან დე კრაონმა. სოლიდური ასაკის მიუხედავად, ჟან დე კრაონი ნამდვილ ყაჩაღურ ცხოვრებას ეწეოდა, შიშის ზარს სცემდა მოსახლეობას. თავის ბნელ საქმეებს მან შვილიშვილიც შეაჩვია.

16 წლის ჟილმა მოიტაცა საცოლე. 18 წლისამ სიდედრი გაძარცვა, მოგვიანებით გზაში დაუხვდა მეფის შიკრიკს. მისი თანამედროვეების თქმით, ახალგაზრდა ყაჩაღი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული იყო — ძალიან უყვარდა წიგნების კითხვა, მუსიკა, ხელოვნება და საკმაოდ მამაცი მეომრის სახელიც მოიხვეჭა.

საოცრად პოპულარული გახდა ჟილი საფრანგეთ-ინგლისის ომის დროს. ბრეტონის მაღალი საზოგადოებიდან ის იყო პრაქტიკულად ერთადერთი, ვინც აქტიურად შეება დამპყრობლებს, იყენებდა. მისთვის ჩვეულ მეთოდებს — უეცარ თავდასხმებს, სამხედრო ეშმაკობას, ჩასაფრების ტაქტიკას. ხმებმა, იღბლიან და მამაც ბრეტონელზე მეფემდეც მიაღწია და კარლოს V-მ იგი მცველად დანიშნა: ისინი მხარდამხარ იბრძოდნენ საფრანგეთის გასათავისუფლებლად, კარლოს V-



ის კორონაციის დროს, რეიმსში, ჟილ დე რე ორლეანელი ქალწულის გვერდით საპატიო ადგილზე იდგა. გი 25 წლის იყო, როცა მეფემ დააჯილდოვა საფრანგეთის მარშლის წოდებით.

კარიერის კიბეზე ასე ელვისებური ალმასვლით გაბრუებული ახალგაზრდა არისტოკრატი მალე სამხედრო სამსახურს თავს ანებებს, სახლდება მამაპაპეულ ციხე-კოშკში და გარყვნილების მორევში იძირება. ჟილ დე რემ თავისი აურაცხელი სიმდიდრე ქარს გაატანა, რამაც უფსკრულის პირს მიიყვანა. „ფული უნდა ვიშოვო ნებისმიერი გზით", — გადაწყვიტა და ეს განზრახვა მისი სიცოცხლის დევიზად იქცა.

მარშალს საშინელი აზრები მოსდის თავში: უნდა სატანას ერთგულება დაუმტკიცოს და მას სწირავს უმწეო ჩვილების სისხლსა და ხორცს. 14 წლის მანძილზე თავისი ციხე-კოშკის სარდაფებში იტყუებდა ბავშვებს ეშმაკის შესაწირად. მარშალს ამ საქმიანობისათვის საგანგებო ემისრები ჰყავდა. დაღუპული ბავშვების ნუსხამ 200-ს გადააჭარბა. მშობლებმა ეკლესიას მიმართეს საშველად.

გამოძიების პერიოდში გამოაშკარავდა მარშლის ყველა დანაშაული. არც თავად დაუმალავს ცოდვები. სახალხოდ მოინანია კიდეც, მაგრამ ამან ვერ უშველა. ის ჯერ საჯაროდ ჩამოახრჩვეს, შემდეგ კი დაწვეს.

ასე დასრულდა შუა საუკუნეების მანიაკი-სატანისტის და, ამავდროულად, საფრანგეთის ცნობილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის ცხოვრება.

# ყველაზე ცეცხლოვანი ცეკვა

***სამბა — ცეცხლოვანია, შავი და მშვენიერი; სამბა — პოეზიაა; სამბა — თავად არის ბრაზილია.***

რიოს ძველ უბანში, ზღვის სანაპიროსთან კაცი ზის და ლუდს ყიდის. იგი ქუჩის გამყიდველია და გამვლელი ისე ჩაუვლის, მისკენ არც მიიხედავს. არადა, ეს კაცი **დარსი მონტეირო** გახლავთ: ცნობილი მომღერალი, სამბას ცოცხალი ისტორია.

და როდესაც ღამე ძალას იკრებს, მონტეირო ნამდვილ ცხოვრებას იწყებს: მოედანზე იკვრება დიდი წრე. პანამებიანი, თეთრ ფეხსაცმელებიანი და ბრჭყვიალა ქამრებით წელდამშვენებული ადამიანები, რიტმს აყოლილნი, ეშხში თანდათანობით შედიან. დარსი — ღამის მეფე — კი მღერის: „ერთად შეყრილი ამდენი შავი ტარაკანა არასოდეს მინახავს, აიღე რეზინის ჯოხი, გაწყვიტე ისინი". ლუდის გამყიდველი ღამის შოუს ვარსკვლავია და დიდებულად მღერის. ოდესღაც დარსი მონტეირო პარიზში ცხოვრობდა. ნახევარი ევროპა შემოვლილი აქვს, უკრავდა ნიუ-იორკში, სასტუმრო „ასტორიაში" და იტალიის სიმფონიურ ორკესტრში. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა... ახლა დარსი 70 წლის არის და მინდვრის თაგვივით ღარიბ-ღატაკია. ამაში ბრალი ქალებს მიუძღვით. ქალებმა დამღუპესო, — ჩივის დარსი.

დარსი დღეს იქ ცხოვრობს, სადაც დაიბადა — ფაველა სერინჰაში, ღარიბთა უბანში, პატარა ქოხში. მუსიკისმცოდნეები, რომლებიც სამბას წარმომავლობის დადგენას ლამობენ, დარსის ბოლო „ჯონგეიროდ" მიიჩნევენ, არქაული ჯონგოს მომღერლად, მოცეკვავედ და კომპოზიტორად. ჯონგო კი ის აფრიკული საცეკვაო რიტმია, რომელიც, ბრაზილიელთა აზრით, არის სამბას მშობელი.

სამბას წარმომავლობა მონათმ-



ფლობელობის დროინდელ ჯურღმულებში იღებს სათავეს. ვარაუდობენ, რომ იგი ლუანდას ტომის წრიული ცეკვა „სემბადან" წარმოიშვა და ბრაზილიაში მე-16 საუკუნეში ჩააღწია. რიო დე ჟანეირო არის ლტოლვილთა ქალაქი, საცეკვაო კაფეებით, საროსკიპოებით, მუსიკალური სალონებით — ერთი სიტყვით, ტროპიკული მონმარტრი. ქუჩებში ცხოვრება დუღს: ერთმანეთს ერწყმის ათასობით აჟღერებული ბარი, ზღვის ტალღების ტყლაშუნი და მცირე ზომის ინსტრუმენტებზე შესრულებული „სამბას" ჰანგები.

ამ მუსიკის ჯუნგლებში დარსი თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. რიტმის ჯადოქარი აქ აჟღერებული მუსიკის დირიჟორიც გახლავთ და სამბას მოცეკვავეთა ქორეოგრაფიც. თუ მავანი ბრაზილიურ სამბაზე რაიმეს გაგებას მოინდომებს და ამისთვის დარსის მიმართავს, იგი აუცილებლად ცეკვას დაიწყებს. ენა არ მიჭრის და თუ შეიძლება სამბაზე ფეხებით გიამბობთო, — ეტყვის.

ეს თანამედროვე მუსიკალური ჰანგები ევროპული ჰარმონიის და აფრიკული რიტმის ფლირტის შედეგად წარმოიშვა. სამბას მუსიკა ტროპიკულ კოქტეილს ჰგავს, რომელშიც ღმერთმა იცის, რაღა აღარ არის არეული. აგერ უკვე საუკუნეა, ყავისფერი სამბა ბრაზილიელთა ეროვნული სიამაყის გვირგვინს წარმოადგენს. სამბას წიაღში იშვნენ პროფესიონალი მუსიკოსები, მოცეკვავეები, შეიქმნა მთელი ინდუსტრია: უშვებენ ფირფიტებს, ვიდეოკლიპებს.

და მოდაც ვერაფერს აკლებს სამბას. რიო დე ჟანეირო იყო და არის ქალაქი, სადაც კაფეებში ცეკვავენ სამბას, სკოლებში ასწავლიან სამბას და კარნავალებზე მთელი ქალაქი ცეკვავს სამბას.

ბრაზილიელები ამბობენ, ქალი, სამბა და დიდება — აი, ეს არის ნამდვილი სამოთხეო!

# ცოტა რამ კონიაკის ისტორიიდან

ამბობენ, კონიაკის წარმოება დაახლოებით 300 წლის წინ სამხრეთ საფრანგეთში დაიწყესო. მანამდე კი, ყურძნის ღვინის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტი ბრენდვაინის სახელით იყო ცნობილი. კონიაკი, XV საუკუნის ბოლოს გამოიგონეს.

ლეგენდის მიხედვით, ამ პოპულარული სასმლის მამად მიჩნეულია ვინმე დე ლა კრუა-მარონი, რომელიც საფრანგეთის პროვინცია კონიაკში ცხოვრობდა და ბრენდით ვაჭრობით ირჩენდა თავს. ამბობენ, მთელ სასმელს ვერ იმეტებდა და ცოტას თავისთვისაც იტოვებდა. ამ ცოტა-ცოტაობაში გალოთდა კიდეც. ადამიანის სახე დაკარგა და მოჩვენებებიც დაეწყო. ერთხელ, გალეშილს თავად სატანა გამოეცხადა და მისი ცოდვილი სულის წაყვანა მოინდომა, თანაც უცნაური საშუალებით: დე ლა კრუა-მარონს ორჯერ უნდა ებანავა ქაფქაფა ყურძნის წვენით სავსე ქვაბში. შიშისაგან გამოფხიზლებული საბრალო კაცი კისრისტეხით გაიქცა გადასადუღებე-



ლი დანადგარისკენ, თან ბურტყუნებდა — თუ ორჯერ გადადუღებული ადამიანის სული სამუდამოდ ეშმაკს ჰბარდება, კაცი არ ვიყო, თუ ღვინის განმეორებით დისტილაციით საოცარი შედეგი არ მივიღოო. ეტყობა, მიიღო კიდეც, რადგან ორჯერადი გაფილტვრით სასმლის წარმოება სწორედ პროვინცია კონიაკში დაიწყეს.

რაც უფრო დიდი ხნისაა კონიაკი, მით უფრო გემრიელი და სურნელოვანია. ამ დასკვნასაც საინტერესო წინაპირობა უძღოდა: 1701 წლის ინგლისსაფრანგეთის ომის გამო შეუძლებელი გახდა კონიაკის სპირტის გატანა სხვა ქვეყნებში, ამიტომაც გადაწყდა მათი შენახვა მუხის კასრებში. ომი დასრულდა, ექსპერტებმა კასრები შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ კონიაკს არომატიც და გემოც საგრძნობლად გაუკეთილშობილდა.

ჩვენს ქვეყანაში „კონიაკს" უწოდებენ ყველანაირ სასმელს, რაც კონიაკის ტექნოლოგიით მზადდება, იქნება ეს ფრანგული „ჰენესი" თუ სომხური „არარატი", მაგრამ იურიდიულად კონიაკად წოდების უფლება აქვს სასმელს, რომელიც მზადდება პროვინცია კონიაკის მხოლოდ ექვსი რაიონის ზვრებში მოყვანილი ყურძნისაგან.

ყველაზე ცნობილი კონიაკებია: ტკბილი — „რემი მარტინი", „სილინიაკი" და „ბისკვიტი"; ხავერდოვანი — „მარტელი", „ჰენესი", „პრინ იუბერ დე პოლინიაკი", მწკლარტე — „კუვუაზიე", „ოთარი", „დელამენი"; ნაზი და რბილი — „კამიუ" და „ლარსენი".

კონიაკის მარკირება სიძველის (ასაკის) მიხედვით VS (ეს ნიშნავს, რომ კონიაკის სპირტი 2 წლისაა), VSOP (4,5 წლისაა), XO (10 წელზე მეტი ხნისაა). ელიტარული კონიაკები მარკირდება ასე: „EXSTRA" (40 წლიანი კონიაკი) და „GRANDE-RESERVE" (50 წელზე მეტი ხნის). „NAPOLEON"-ი სულაც არ არის კონიაკის სახელწოდება, არამედ ნიშნავს იმას, რომ მასში შემავალი სპირტი ექვს-ნახევარი წლისაა.

ახლა კონიაკის დალევის წესებსაც გავეცნოთ: კონიაკიანი ბოთლი სუფრასთან დაჯდომამდე ნახევარი საათით ადრე უნდა გაიხსნას და სუფრის დასასრულამდე არ დაიხუფოს — მისი სურნელება მთელ ოთახს უნდა მოედოს. შემდეგ საგანგებოდ კონიაკისთვის განკუთვნილ, სფეროს ფორმის ბოკლებში ჩაისხას, ოღონდ არავითარ შემთხვევაში ბოკალი არ უნდა გაივსოს — კონიაკი ფსკერიდან 1/8-ამდე ისხმება. დალევასაც ნუ იჩქარებთ, ჯერ არომატი შეიგრძენით. პირველი არომატი — მსუბუქი და ჰაეროვანია; მეორეს აქვს ყვავილების, ვანილის, შოკოლადისა და ფიჭის სურნელი, რომელიც კონიაკმა მუხის კასრიდან შეისრუტა, მესამეს კი, მსუყე არომატს, მაშინ შეიგრძნობთ, როდესაც ცხვირს ბოკალში ჩაყოფთ (ტყუილად კი არ არის სფეროსებრი!). ამ სურნელით გაჟღენთილია 15 და მეტი ხნის სასმელი. ახლა კი გემოს გასინჯვაც შეიძლება — პირველი ყლუპი პატარა უნდა იყოს და თუ პირში ხანძარს აჩენს — ე.ი. არჩევანში არ შემცდარხართ.

და კიდევ ერთი — კონიაკს არაფერს აყოლებენ.

# ყოფილი დედოფალს სამშობლოს ენატრება...

ირანელი დიპლომატის ქალიშვილი ფარაჰ დიბა 1959 წელს სპარსეთის შაჰმა მოჰამედ რეზა ფეჰლევიმ მეორე ცოლად შეირთო. ცოლ-ქმარს ოთხი შვილი შეეძინა. 1979 წელს შაჰი ტახტიდან ჩამოაგდეს და იძულებული გახდა, ოჯახითურთ ემიგრაციაში წასულიყო. ამჟამად ფარაჰი პარიზში ცხოვრობს.

„შტერნი“ ესაუბრა ყოფილ დედოფალს:



— ***თქვენო უდიდებულესობავ, განმარტოებით ცხოვრობთ. საჯარო შეხვედრებს ერიდებით. რატომ?***

— მცველების გარეშე შინიდან ვერ გავდივარ, რათა ყოველგვარ მოულოდნელობას ავარიდო თავი. ჩემს სამშობლოში კვლავაც ტერორი და ძალადობა მძვინვარებს. მეორე ათასწლეული მიიწურა და ირანში ადამიანებს დღესაც სიკვდილით სჯიან, მართალ სიტყვას ახშობენ.

— ***ამბობენ, მეგობარი გყავთ...***

— არა, შაჰი ჩემი ერთადერთი და უკანასკნელი სიყვარული გახლდათ და, ამავდროულად, დიდი ტკივილი. მის პირად ნივთებს დღემდე ვერ ველევი. კარადაში ძველებურად ჰკიდია მისი კოსტიუმები, უნიფორმები. ყველა ოთახში არის მისი ფოტოები, სამახსოვრო ნივთები. ჩემთვის იგი კვლავაც ცოცხალია.

— ***ამბობენ, სამეფო ოჯახი ოცდაათი მილიარდი დოლარის ქონების მფლობელიაო.***

— ეს თეირანის რეჟიმის მიერ არის შეთითხნილი და მსოფლიოში გავრცელებული, ჩემი ოჯახის წინააღმდეგ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად.

— ***გენატრებათ ირანი?***

— განგებამ ინება, რომ ჩემი სამშობლოდან შორს მეცხოვრა. მაკლია ირანი, მისი ბუნება, სურნელი... ბაზარში გავლასა და იქ ჩემს თანამემამულეთა სახეების ხილვაზე ვოცნებობ. რაღა თქმა უნდა, აშშ-სა და საფრანგეთში ცხოვრება მშვენიერია, მაგრამ არც ერთი და არც მეორე ჩემი სამშობლო არ არის.

— ***რას გვეტყოდით თქვენი ყოველდღიური ცხოვრების შესახებ?***

— ვალდებულებები უხვად მაკისრია. ემიგრანტთა ჯგუფების შეკრებებში ვმონაწილეობ, ბევრს ვმოგზაურობ. ფრანგული ოპერა და ბალეტი დიდ სიამოვნებას მანიჭებს, ამერიკაში ყოფნისას მეტ დროს კითხვას ვანდომებ. ბევრი მეგობარი მყავს და დიდი ოჯახი მაქვს. ასე რომ, მოსაწყენად დრო არ მრჩება.

— ***როგორია დედოფალი ბებიის როლში?***

— ძალიან მიყვარს ჩემი შვილიშვილები. ისინი ყვავილებივით არიან და მძიმე წუთებს მიიოლებენ. ხანდახან ეჭვი შემიპყრობს ხოლმე — მართლა იმას ვაკეთებ, რაც უნდა გავაკეთო, შევძლებ დევნილი ირანელებისათვის შვების მიცემას და იმ პასუხისმგებლობის აღსრულებას, რომელიც მათ გამო მეკისრება? ასეთ დროს საკმარისია შვილიშვილებთან დალაპარაკება ან მათი ხმის გაგონება, რომ მაშინვე ენერგიის მოზღვავებას ვგრძნობ. ნამდვილი ბებია ვარ, სიამოვნებით ვეთამაშები შვილიშვილებს.

— ***შვილიშვილებს თქვენი გარდაცვლილი მეუღლის შესახებ თუ ელაპარაკებით?***

— მეუღლის ხსოვნის შენარ-



ჩუნებას ფოტოებით ვცდილობ, რაღა თქმა უნდა, პატარებს ბაბუაზე ხშირად ვესაუბრები.

— ***პრინცესა სორეამ ყოფილი მეუღლის — შაჰის შესახებ ორი წიგნი გამოაქვეყნა. თქვენ არ აპირებთ მოგონებების დაწერას?***

— ამჟამად ავტობიოგრაფიაზე ვმუშაობ, მეტს ვერაფერს გეტყვით.

— ***წელს შაჰის გარდაცვალებიდან 20 წლისთავი შესრულდა. როგორ გაატარეთ ეს დღე?***

— ეს მძიმე დღეა ჩვენი ოჯახისათვის. ჩემი ქვეყნის მომავალი ბუნდოვანია, სიმარტოვის შეგრძნებაც სასტიკად მთრგუნავს. მაგრამ მადლობელი ვარ იმ შესანიშნავი შვილებისთვის, რომლებიც შაჰმა მაჩუქა. ამ დღეს კაიროში ვიყავით. შაჰის საფლავზე ცრემლები დავღვარეთ და ვილოცეთ.



# რა ხდება მონაკოში?

მონაკოში დიდი მღელვარებაა, პრინცი რენიე საშინლად შეურაცხყოფილი გახლავთ. საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, — დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ფულის გათეთრება, ძირითადად, მონაკოში ხდებაო. განრისხებულ რენიეს ქვეშევრდომთა 90% ეთანხმება. მონაკო მოითხოვს, რომ პატივი სცენ მის სუვერენიტეტს.

195 ჰა ტერიტორიის მქონე ქვეყნის „საბრუნავი კაპიტალი“ — 41 მლრდ ფრანკია. მონაკო შეიძლება ხმელთაშუა ზღვის ჰონკონგად ჩაითვალოს.

მაინც ვინ არიან მონაკოელები?

აი, რას ვკითხულობთ შარლ-მარგერიტ დიუპატის 1785 წლის მოგზაურობის ჩანაწერებში: „სალ კლდეზე ორი-სამი ქუჩა თუ იქნება, რვაასამდე საცოდავი მოსახლე შიმშილით კვდება, სასახლე ნანგრევებადაა ქცეული. აქ არის ფრანგული ბატალიონი, რამდენიმე ფორთოხლის და ზეითუნის ხე, რამდენიმე მაყვლის ბუჩქი. მონაკოს დაცვაც ჰყავს — ოციოდე გლეხი. ხელმწიფე უყვართ. მისი ბრალი ხომ არ არის, რომ ქვეყანა ასე პატარაა“.

2000 წლის მიწურულს მონაკოელებს სულაც არ რცხვენიათ თავიანთი წარმოშობისა.

მათი წინაპრები ჩამოსულან იტალიიდან, ესპანეთიდან და საფრანგეთიდან. ისინი ზღვის ზღარბებს იჭერდნენ, ბოსტნეულს ყიდდნენ, მეთუნეები და მწყემსები ყოფილან. ყველაზე იღბლიანებს ზეთის სახდელებიც ჰქონიათ. უძველესი ოჯახები კლდეზე XV საუკუნის დასაწყისში დასახლებულან.

რენიე მონაკოდან ძალზე იშვიათად გადის. უნდა ითქვას, რომ მონაკოელებიც ძალზე შფოთავენ ხოლმე, როცა თავადი მიემგზავრება ქვეყნიდან, რომლის საზღვრებსაც მხოლოდ ყვავილები წარმოადგენს.

ქვეყანა პატარაა, ყველა ერთმანეთს იცნობს.

მიუხედავად ყველაფრისა, რენიესთან უამრავი წერილობითი მიმართვა მიდის ქვეშევრდომობის მიღების თხოვნით. პასუხს შეიძლება ორი წელიც დასჭირდეს. წელს ორმოცამდე ადამიანმა მიიღო მონაკოს მოქალაქეობა. ფიქტიური ქორწინებების თავიდან ასაცილებლად წყვილებისთვის ხუთწლიანი ერთობლივი ცხოვრებაა საჭირო.

უკვე 50 წელია, რაც სამთავროს მართავს რენიე . პარიზი და მონაკო ერთმანეთს 1918 წელს დაუკავშირდნენ „მფარველი მეგობრობის“ ტრაქტატით. მთავარი ნიშნავს სახელმწიფო მინისტრს, მთავრობის მეთაურს. ფუნქციონერთა შორის არიან საფრანგეთიდან შემოთავაზებული შუამავლებიც.

რენიემ, როგორც ჭკვიანმა სტრატეგმა, შესანიშნავად აუღო ალღო მონაკოსთვის გარე სამყაროსთან ახლო ურთიერთობის დიდ მნიშვნელობას. მისთვის არასასურველია კარჩაკეტილობა, იზოლაცია, რასაც შედეგად აუცილებლად მოჰყვებოდა ფისკალური და საბაჟო სანქციები.

თავადმა ითხოვა მონაკოს ევროსაბჭოში მიღება. ეს კი ითვალისწინებს ქვეყანაში სხვადასხვა პროცედურის ჩატარებას, რასაც ეწინააღმდეგებიან კონსერვატორები.

მონაკოელების ყურადღებისა და მღელვარების ობიექტია ტახტის მემკვიდრე, 42 წლის პრინცი ალბერი. იგი საოცრად ფაქიზი, წრფელი, მოკრძალებული, ძალზე თავაზიანი პიროვნებაა. დემოკრატი, მაგრამ მამის ჩრდილში მყოფი, ჯერ არ ამჟღავნებს გულისთქმასა და მისწრაფებებს. იგი ტახტზე მხოლოდ მას შემდეგ ავა, როცა თვითონაც ეყოლება მემკვიდრე. ე.ი. უნდა დაცოლშვილდეს, რასაც საშველი არ დაადგა.

მოკლედ, პატარა მონაკოსთვის უცხო არ არის დიდი ქვეყნის არც ერთი პრობლემა.

...მონაკოს პატარა დედოფალი, ჰანოვერის პრინცესა ალექსანდრა, ერთიანად მაქმანებშია გახვეული და გაოცებული შესცქერის კიბესთან მომლოდინე ქვეშევრდომთ, რომლებიც მის პირველ გამოჩენას მონაკოს სამეფო სასახლის აივანზე სიხარულითა და ზეიმით შეხვდნენ. თუმცა გოგონა მათთვის ჯერ „მისი უმაღლესობა“ კი არ არის, არამედ პრინცესა კაროლინას ნაბოლარა შვილი.

...საფრანგეთთან დაპირისპირებაც ჩაცხრა და პაწია, მშვენიერი ალექსანდრა მონაკოელთა პატრიოტიზმს კიდევ ერთ ლამაზ შტრიხს ჰმატებს.

# ევროპის სამეფო ტახტების სათადარიგო მემკვიდრეები

## ბროკერი

კრონპრინცი ალექსანდრ ყარაგეორგიევიჩი, იუგოსლავიის მეფის პეტრეს ვაჟი, დაიბადა 1945 წელს, ლონდონში. სასტუმროს ის ოთახი, სადაც იგი ქვეყანას მოევლინა, ერთი დღით იუგოსლავიის ტერიტორიად გამოცხადდა. ბიჭუნა ბრიტანეთის მეფე გეორგ V-მ და პრინცესა ელისაბედმა, ბრიტანეთის ახლანდელმა დედოფალმა მონათლეს, — იუგოსლავიის ტახტის პრეტენდენტის ცხოვრებიდან ეს ერთადერთი ღირსშესანიშნავი ფაქტია.

ალექსანდრი თავმდაბალი ადამიანია. ლონდონის ცენტრიდან ოდნავ მოშორებით, პატარა კოტეჯში ცხოვრობს. ოდესღაც სამსახურში — სითის სადაზღვევო კომპანიაში ყოველდღიურად დადიოდა. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა იმ ვალდებულებათა შესრულებაში, რასაც მას ტიტული და ევროპის სამეფო ოჯახებთან ნათესაობა ავალებდა. მისი მეუღლე გახლავთ



ბერძენი პრინცესა კატარინა.

90-იანი წლების დასაწყისში, იუგოსლავიაში სოციალიზმის რღვევის შემდეგ, კრონპრინცი მთელ მსოფლიოში იუგოსლავიის ოპოზიციის ინტერესებს უწევდა ლობირებას. ბრიტანეთის, ესპანეთის, ნიდერლანდების, ბელგიის შეურიგებელი პოზიცია მილოშევიჩისადმი, ნაწილობრივ ამ ქვეყნის მონარქებთან კრონპრინცის ნათესაურმა დამოკიდებულებამაც განსაზღვრა. ბოლო წლებში ალექსანდრ ყარაგეორგიევიჩმა ბიზნესი მიივიწყა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იუგოსლავიის ოპოზიციური ძალების არაოფიციალურ წარმომადგენლობას ჩაუდგა სათავეში.

## კონტრაბანდისტი

ლეკა ზოგუ სამხრეთ აფრიკის გაერთიანებულ რესპუბლიკაში მცხოვრები ალბანეთის პირველი და უკანასკნელი მეფის, ზოგუს ვაჟიშვილი, ევროპის ტახტის მემკვიდრეთა შორის ყველაზე სკანდალური კრონპრინცია. ლეკა ზოგუს ევროპის არისტოკრატია არ სცნობს და თვითმარქვიად მიიჩნევს. ბატონი ზოგუ, რომელიც საკუთარ თავს ლეკა ალბანელს უწოდებს, არამეფურად იქცევა. 20 წლის განმავლობაში არსებული საერთაშორისო ემბარგოს მიუხედავად, იგი მამამისს სამხრეთ აფრიკის იარაღით ვაჭრობაში ეხმარებოდა და თანაც ცოლად უბრალო ავსტრალიელი ქალი, სახელად სიუზენი შეირთო (მთელი მსოფლიოს მონარქისტების აზრით, ქალმა, რომელსაც სიუზენი ერქმევა, არ შეიძლება გვირგვინი დაიდგას).

ალბანეთში კომუნიზმის დაცემის შემდეგ ბატონი ზოგუ დაჟინებით ცდილობდა ალბანეთში გამეფებას, რაც არა მარტო ხალხის, არამედ ალბანელი მონარქისტების უკმაყოფილებასაც იწვევდა. 1997 წელს მას ალბანეთში მონარქიის აღდგენის თაობაზე რეფერენდუმის მოწყობა უნდოდა, მაგრამ ხალხმა ამაზე უარი განაცხადა — ზოგუ ნამდვილმა ისტერიკამ შეიპყრო და მან მთავრობას თაღლითობა დასწამა.

## ბიზნესმენი

სიმეონ კობურგ-გოთა თავს კვლავ ბულგარეთის მეფედ მიიჩნევს. სიმეონ ტახტზე 1943 წელს, მამამისის — მეფე ბორის -ის სიკვდილის შემდეგ ავიდა. მთელი ბულგარეთი დარწმუნებული იყო, რომ ბორის ჰიტლერმა მოაკვლევინა. სიმეონი მაშინ 6 წლისა გახლდათ. კიდევ ერთი წლის შემდეგ კომუნისტებმა დახვრიტეს პრინცი-რეგენტი კირილი, 1946 წელს კი მეფე სიმეონი ქვეყნიდან განდევნეს. მეფე სიმეონის ერთადერთი გატაცება მუშაობაა. განდევნილი მეფე ფინანსურად ეხმარებოდა ევროპაში ჩასულ ემიგრანტებს. ბულგარეთში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, იგი ევროპის



დედაქალაქებში თავისი ქვეყნის ინტერესების ლობირებას ეწევა. ხელისუფლებას არ ესწრაფვის, მაგრამ ბულგარელებს ხშირად შეახსენებს ხოლმე, რომ ისინი მისი ქვეშევრდომები არიან. მას შემდეგ, რაც ბულგარეთის ხელისუფლების დეკრეტის თანახმად, დაუბრუნეს ყველა სამეფო სასახლე და პარკი, ერთი სასახლე დაუყოვნებლივ დედაქალაქის ხელისუფლებას აჩუქა. ახლა იგი განიხილავს ერთ-ერთი პარტიის მიერ შეთავაზებულ წინადადებას — 2002 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წამოაყენოს თავისი კანდიდატურა.

## ხელმოცარული

ანრი ორლეანელი, გრაფი პარიზელი, საფრანგეთის ტახტის მემკვიდრე და პოტენციური მეფე ჰენრიხ V, ლუდოვიკო XV-ის პირდაპირი შთამომავალი არის ევროპული სამეფო სახლების ყველაზე ძველი და სკანდალური ოჯახის წარმომადგენელი.

ის პარიზში მომცრო ბინაში ცხოვრობს. იშვიათად ხვდება პრესის წარმომადგენლებს. თუკი ინტერვიუს მიცემაზე თანხმდება, მეგობრები წინასწარ აფრთხილებენ, ჟურნალისტებთან რაზე არ შეიძლება საუბარი. მამამისი გარდაიცვალა სიღარიბეში, რადგან ოჯახის ქონება დაანიავა. შვილებს საჯაროდ ნაძირალებს ეძახდა. ანრის ერთი ძმა ალჟირის ომებში დაიღუპა, მეორეს პატიმრობა მიესაჯა შეიარაღებული ძარცვის გამო, პატიმრობიდან გაიქცა და აფრიკაში საეჭვო სენით გარდაიცვალა. მამის დაკრძალვაზე ერთ-ერთმა დამ საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეს არარაობა და უღირსი უწოდა. ანრის ჰყავს კონკურენტები — ბონაპარტესა და ბურბონების შთამომავლები.

## ჩემპიონი

მეფე კონსტანტინე ოლდენბურგელი საბერძნეთის სამეფო ტახტს 1967 წელს ჩამოაშორეს. ტახტზე ასვლიდან ზუსტად სამ წელიწადში იგი ქვეყნიდან გაასახლა ხელისუფლებაში მოსულმა ხუნტამ. სამშობლოში დაბრუნების იმედი გადაიწურა „შავი პოლკოვნიკების“ დიქტატურის დამხობის შემდეგაც. საბერძნეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, მეფესა და მისი ოჯახის წევრებს აუკრძალეს ქვეყანაში გამოჩენა.

ამჟამად კონსტანტინე (იგი არის ბრიტანეთის დედოფლის ბიძაშვილი და ცოლისძმა ესპანეთის მეფისა) და მისი მეუღლე დედოფალი ანა-მარია (დანიის დედოფლის და) ცხოვრობენ ლონდონში.

კონსტანტინე ცნობილია მსოფლიოში არა მხოლოდ თავისი ნათესავებით. ის სახელგანთქმული იახტსმენი, ერთ-ერთი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელია (მეორე — ნორვეგიის მეფე ულაფ V-ს აქვს).

საბერძნეთის ამჟამინდელი ხელისუფლების ჯიბრით, რომლებიც ვერ იტანენ კონსტანტინეს, მისმა მეგობარმა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა მარკიზმა სამარანჩმა, იგი სოკ-ის საგანგებო დელეგატად მიიწვია — მეფე კონსტანტინე ოლიმპიადაში გამარჯვებულებს აჯილდოებს.

დაბოლოს, იგი ჩამოგდებულ მეფეთა უფლებების დამცველია. ცოტა ხნის წინ სარჩელი შეიტანა ევროსასამართლოში საბერძნეთის მთავრობის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა 1994 წელს კონფისკაცია უყო სამეფო უძრავ ქონებას. „მეფეებსაც აქვთ სამოქალაქო უფლებები“, — განაცხადა პირველ მოსმენაზე კონსტანტინე -მ.

## მოსარჩელე

ვიტორიო ემანუელე ალბერტო კარლო თეოდორი უმბერტო ბონიფაციო ამედეო დამიანო ბერნარდინო ჯენარო მარია სავოიელი ჰერცოგი, იტალიის უკანასკნელი მეფის ვიქტორ ემანუელ -ის შვილიშვილი, ცნობილია იმით, რომ სამშობლოში დაბრუნებას ცდილობს. იტალიის კანონების თანახმად, სავოიის სამეფო სახლის წარმომადგენლებს ქვეყანაში გამოჩენაც კი ეკრძალებათ — ეს არის სასჯელი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს სამეფო ოჯახის წევრებს მუსოლინის რეჟიმთან თანამშრომლობის გამო დაეკისრათ. ამიტომ სავოიელი ჰერცოგი შვეიცარიაში ცხოვრობს. თავისი



კოლეგის, საბერძნეთის მეფე კონსტანტინე -ის მსგავსად, ისიც სასამართლოში ეძებს სამართალს, რადგან მიაჩნია, რომ ეს აკრძალვა არღვევს მის თავისუფლად გადაადგილების უფლებას. მოსამართლეები ყოველთვის ჰერცოგის მხარეზე არიან, მაგრამ იტალიის ხელისუფლება ყურს არ იბერტყავს — მათ გადაწყვეტილებებს ვითომ ვერც ამჩნევს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ვიტორიოს ვაჟი, ვენეციის თავადი და შვეიცარიის ერთ-ერთი ბანკის თანამშრომელი შარშან იმუქრებოდა, კანონს დავარღვევო. ვენეციის თავადს ვატიკანში გამართულ კათოლიკე ახალგაზრდობის კონგრესში უნდოდა მონაწილეობის მიღება: მაშინ გრანდიოზული სკანდალი როგორღაც თავიდან იქნა აცილებული — ვატიკანის წარმომადგენლებმა თავადს თავის გეგმებზე უარი ათქმევინეს.

რა შეიძლება ითქვას სახელმწიფოზე, რომელიც რუკების უმეტესობაზე აღნიშნულიც არ არის. ალბათ, ის, რომ იგი ევროპაში ყველაზე პატარაა და მასში 31 ათასი მცხოვრებია. ლიხტენშტეინს სულ ორიოდე მდინარე აქვს, სამი ხიდი და 6 პატარა ქალაქი, მათგან ყველაზე დიდია დედაქალაქი ვადუცი. სიმდიდრის მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე 35 ათასი დოლარი მოდის.

ლიხტენშტეინი მონარქიული სახელმწიფოა. მას მთავარი მართავს პარლამენტისა და კონსტიტუციის საშუალებით. ახლანდელი მთავარი ჰანს ადამ ლიხტენშტეინის ტახტზეა 1990 წლიდან. მან თავის ხალხს შესთავაზა — მანამდე გითავკაცებთ, ვიდრე ეს თქვენ გენდომებათო. ეს სიტყვები იმის დასტურია, რომ ის ღრმადაა დარწმუნებული თავის თავშიც და თავის ხალხშიც.

# პატარა სამოთხე



ხალხს უყვარს თავისი მთავრები, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მათ ლიხტენშტეინი სამოთხედ აქციეს — მატერიალურ, ფინანსურ, საგადასახადო სამოთხედ. ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის ოციან წლებში, ჰანს ადამის წინაპრებმა თავიანთ სუვერენულ მიწაზე ათასნაირი საგადასახადო პრივილეგია შემოიღეს, რამაც უაღრესად დადებითი შედეგი გამოიღო. სადღეისოდ, ლიხტენშტეინში სხვადასხვა კომპანიის უამრავი შტაბბინაა. ჰანს ადამსს ისღა დარჩენია, დივიდენდები შეაგროვოს.

სხვათა შორის, ლიხტენშტეინელად გახდომა ძალიან ძნელია. ქვეყანაში 30-40 წელი მაინც უნდა იცხოვრო, მერე ნაცნობების რეკომენდაციის საფუძველზე დაწერო თხოვნა პარლამენტში, იქიდან თანხმობის მიღების შემთხვევაში, თხოვნა მთავარსაც უნდა მიართვა, ის გადაწყვეტს, ხარ თუ არა ამ სამოთხეში ცხოვრების ღირსი.

ლიხტენშტეინს არმია არ ჰყავს, არც ელჩებს გზავნის სადმე, ამ საქმე თავის მეურვე შვეიცარიას ავალებს.

მთავარი ოთხსაუკუნოვან ციხე-კოშკში ცხოვრობს, თანაც მეტისმეტად მოკრძალებულად. ბულვარულ პრესაში ვერ იპოვით ვერც ერთი მთავრის სასიყვარულო ამბებს.

1434 წლიდან მოყოლებული ლიხტენშტეინს სანტიმეტრითაც არ გადაუწევ-გადმოუწევია თავისი საზღვრები. ლიხტენშტეინის თანამედროვე ისტორია 1719 წლიდან იწყება, როცა ჯერ კიდევ X საუკუნიდან ცნობილმა გვარმა გააერთიანა შელენბერგისა და ვადუტას მამულები და საკუთარი სუვერენიტეტის აღიარებას მიაღწია. მას შემდეგ ლიხტენშტეინი ხან ავსტრიასთან მეგობრობს (პირველ მსოფლიო ომამდე), ხან შვეიცარიასთან, როგორც დღეს.

ლიხტენშტეინში ყოველწლიურად 100 ათასზე მეტი ტურისტი ჩადის. საფოსტო მარკების გამოშვება სახელმწიფო შემოსავლის 4%-ს შეადგენს. ლიხტენშტეინში ამზადებენ ოპტიკურ ბოჭკოებს NASA-სთვის, კბილის პროთეზებს და ა.შ. ქვეყანას სულ 24 ადგილიანი ციხე აქვს, უმუშევარი კი სულ რაღაც 7-10 კაცია, რომლებსაც სახელმწიფო ხაზინიდან ყოველთვიურად მნიშვნელოვან დახმარებას აძლევენ.

# ამიშები უშუქოდ და ავტომობილების გარეშე ცხოვრობენ

ურბანიზებული ამერიკის შუაგულში მდებარეობს ქვეყანა, რომლის შესახებ ცოტა ვინმემ თუ იცის და, რომელიც შუა საუკუნეების კანონებს მისდევს. ამ ქვეყნის მცხოვრებნი არ ზეიმობენ ამერიკის ეროვნულ დღესასწაულებს, თითქმის არავინ იცის, ვინ არის კლინტონი... მათ უფლება არ აქვთ, ისარგებლონ ელექტროობით, ჰქონდეთ ტელევიზორი, ვიდეომაგნიტოფონი, რომ აღარაფერი ვთქვათ მობილურ ტელეფონზე და თუ მაინც ვინმე მოინდომებს, ვთქვათ, ტელევიზორის შეძენას, მას კომუნიდან გააგდებენ.

რელიგიური კანონების თანახმად, მათ ეკრძალებათ ფოტოს გადაღება, მანქანის ყოლა და მართვა. ეზიზღებათ კაცობრიობა ნარკოტიკების მოხმარებისათვის, გაყრისათვის, თვითმკვლელობისა და ტერორიზმის გამო და კიდევ იმ დანაშაულთათვის, რომელსაც ის სჩადის. „თქვენ გსურთ, რომ ჩვენც ასეთ „მხეცკაცებად“ ვიქცეთ და შევარცხვინოთ ჩვენი ისტორია და რელიგია?“ — ამბობენ ამ ქვეყნის მცხოვრებლები.

ამიშთა პირველი კოლონია (ასე ჰქვია ამ უცნაურ ხალხს), ზოგჯერ მათ „ორჯერ მონათლულ ბაპტისტებსაც“ უწოდებენ, ამერიკაში შვეიცარიიდან გადმოსახლდა. 1720 წლიდან ისინი პენსილვანიაში ცხოვრობენ. კარგა ხანს მათი რაოდენობა 5 ათასს არ აჭარბებდა, ბოლო წლებში კი 10.000-ს მიაღწია. კიდევ 125 ათასი ამიში ცხოვრობს ამერიკის სხვა შტატებში — ინდიანასა და ოჰაიოში.



ამიშები შეერთებულ შტატებში ბიბლიის კანონებით ცხოვრობენ და სრულიად არ ცნობენ ამერიკულ კანონებს (საგადასახადოს გარდა). როცა ქალაქ ლანკასტერში — ამიშთა ქვეყნის ადმინისტრაციულ ცენტრში ხვდები, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს დრო შეჩერდა და ყველაფერი, რაც გარშემო ხდება, მისტიკაა.

ამიშთა ცხოვრების მთავარი სიმბოლო ცხენია — გადაადგილების ერთადერთი საშუალება. ამიშები დასანახად ვერ იტანენ მანქანას, რადგან ითვლება, რომ ის ცხოვრების ტემპს აჩქარებს, რაც რელიგიური თვალსაზრისით დაუშვებელია. ხდება ხოლმე, რომ ამიშს გადაუდებელი საქმე აქვს მეზობელ „არაამიშურ“ სოფელში ან ქალაქში, მაშინ ის თემის უფროსს სთხოვს ავტობუსით წასვლის ნებართვას. სხვათა შორის, რატომღაც ყოველთვის ისე ხდება, რომ თუ ამიში ტოვებს თავის კოლონიას, იგი პირველ რიგში აუცილებლად მანქანას ყიდულობს. თუმცა, იქიდან ძალიან ცოტა ვინმე მიდის, მყარია ოჯახური კავშირი, რელიგიის გავლენა. კვირაობით ოჯახებით დადიან ეკლესიაში წირვის მოსასმენად.

ამიშთა დასახლებები 75 ადამიანისაგან შედგება. როგორც კი ჩამობნელდება, დასაძინებლად წვებიან. გათენებიდან საღამომდე ქალები კერძების კეთებით არიან გართულნი, მთავარი საჭმელი — სიმინდის ღვეზელია. ქალებს კიდევ მოსავლის აღებასაც ანდობენ. რაც შეეხება მამაკაცებს, ისინი ყველანი ფერმერები არიან, თუმცა ნებაყოფლობითი მეხანძრეებიც ჰყავთ და მშენებლებიც. სხვათა შორის, ამიშებს რელიგია უკრძალავს იყოს ფაბრიკის მუშა.

ყველა მამაკაც ამიშს შავი კოსტიუმი აცვია. ქალებს მხოლოდ გათხოვებამდე აცვიათ შავი კაბები, ქორწილის მერე თეთრ ქუდებს იხურავენ. მამაკაცები კი წვერ-ულვაშს ატარებენ. საშუალოდ ოჯახს 7 შვილი ჰყავს, ხშირად 12-14-იც. სკოლაში ბავშვებს ასწავლიან სუფთა წერას, მათემატიკას, მუსიკას, ბიბლიას, ინგლისურ და გერმანულ ენებს. ბავშვები არ უნდა დაინტერესდნენ სპორტით, პოლიტიკით. აქ გამოდის ერთადერთი გაზეთი, რომელიც ადგილობრივ სიახლეებს ბეჭდავს.

ამიშები შვილებს ძალიან მკაცრად ზრდიან, თავიდანვე შრომას აჩვევენ. თუ რომელიმე ბავშვი რაიმეს, მაგალითად, მეცნიერების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს გამოიჩენს, მაშინვე ჩაუხშობენ მას, — შენ ეს არ გჭირდება, მეცნიერების გარეშეც კარგი მუშაკი დადგებიო.

კარჩაკეტილობის მიუხედავად, ამიშთაგან თანდათანობით ბევრი ისწრაფვის ცივილიზაციისაკენ, ბევრი ახალმოსახლე სახლთან ახლოს აგებს სატელეფონო ჯიხურს (ტელეფონის ქონა შინ არ შეიძლება, ითვლება, რომ იგი ადამიანს მეტისმეტ ცნობისმოყვარეობას უღვიძებს და ლაქლაქას ხდის). ამიშები ამბობენ, ელექტროობის წინააღმდეგნი არ ვართ, მაგრამ არ გვინდა ის, რაც ელექტროობას მოჰყვება — ტელევიზია ანუ ძალადობა, პორნოგრაფია, რეკლამა...

მათთან სტუმრობის შემდეგ ადამიანს სულაც არ რჩება იმისი განცდა, რომ ამიშები „ამერიკის რელიგიური შერეკილები“ არიან და უიმედოდ ჩამორჩნენ გარე სამყაროს. მართალია, მათ არ იციან ამერიკის ან სხვა ქვეყნების პრეზიდენტის გვარები, არა აქვთ მობილური ტელეფონი, ინტერნეტი, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც სჭირდებათ. სულიერად ისინი გაცილებით ნეტარნი არიან, ვიდრე XX საუკუნისკენ მიმავალი ამერიკა. უბრალოდ, მათ სურთ იცხოვრონ ისე, როგორც ცხოვრობდნენ შორეულ შვეიცარიაში მათი წინაპრები და არად აგდებენ იმას, რომ ეს ვიღაცას შეიძლება სასაცილოდ მოეჩვენოს...

# ჩვეულებები, ტრადიციები

## ტაილანდი

ეროვნული დღესასწაულები, რა თქმა უნდა, ხალხურ ტრადიციებს უკავშირდება. ზოგ ქვეყანაში დღესასწაულს აუცილებლად სასმელი ახლავს, ზოგან — მრავალფეროვანი სუფრა, ტაილანდში კი ზეიმის დღეებში სპილოებს ასეირნებენ, ერთმანეთს აჯიბრებენ. ტაილანდის ჩრდილოეთ პროვინცია სურინიდან იღებს სათავეს ეს უჩვეულო დღესასწაული, რომელშიც 150-ზე მეტი გაწვრთნილი სპილო მონაწილეობს, — ძალიან დიდებიც და ძალიან პატარებიც. სპილოები ათრევენ მორებს, ხორთუმით ბუშტებს ჰაერში ისვრიან, ფეხბურთსაც კი თამაშობენ, ბოლოს, ერთმანეთს შეაბრძოლებენ ხოლმე, იმ დღეების გასახსენებლად, როცა მათ ომში იყენებდნენ. ტაილანდელები იოლად იჭერენ ველურ სპილოებს და კარგ მონადირეებად ითვლებიან. სპილოების რაოდენობა იმდენად შემცირდა, რომ ნადირობამ აზრი დაკარგა და ახლა ისინი გაწვრთნილი სპილოების მონაწილეობით წარმოდგენებს მართავენ და თავს ამით ირჩენენ.



## ეგვიპტე

ეგვიპტელები რამადანისთვის წინასწარ ემზადებიან. იმარაგებენ ბრინჯს, შაქარს, ჩირს. რამადანის დროს მუსულმანებს ეკრძალებათ ჭამა მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, ამიტომაც ქალაქი საღამოს იწყებს ცხოვრებას



და მოსახლეობას არ სურს დრო საჭმლის ყიდვასა და კეთებაში დაკარგოს. ის, რასაც ყურანი დღისით კრძალავს, საღამოს ნებადართულია. სიბნელის დადგომასთან ერთად იხსნება კაფეები, ბარები, რესტორნები. სხვათა შორის, ეს ყველაფერი მარტო მუსულმანებს კი არა, ეგვიპტეში ჩასულ ტურისტებსაც ეხება. რამადანის მარხვა 30 დღეს გრძელდება და ხსნილების დღესასწაულით მთავრდება.

## შვეიცარია

უკვე რამდენიმე საუკუნეა, ნოემბრის ბოლოს ბერნში ყოველწლიურად იმართება ხახვის ბაზრობა. ქალაქის მთავარი მოედანი უზარმაზარ ბაზრად იქცევა ხოლმე, ახლომახლო შენობებს ხახვის გალებით რთავენ, მოქალაქეთა საკარნავალო კოსტიუმებიც ძირითადად, ხახვს განასახიერებს. იმ დღეს უამრავი ხახვი იყიდება. შვეიცარიელები ბევრ ხახვს იყენებენ, მას კულინარიის მეფედ მიიჩნევენ. ქვეყანაში ხახვის ერთდღიანი ზეიმიღა დარჩა იმ ორკვირიანი საშემოდგომო ბაზრობიდან, რომელიც XV საუკუნიდან არსებობს. ამბობენ, რომ ეს ბაზრობა ბერნში 1405 წელს მომხდარ ხანძარს უკავშირდება, როცა ბერნელების დასახმარებლად უახლოესი პროვინციებიდან გლეხებიც ჩამოვიდნენ. ამიტომაც ქალაქის თავის ბრძანებით, გაიმართა პირველი ბაზრობა, რათა გლეხებს ჭირნახულის გაყიდვის საშუალება ჰქონოდათ.

## კომორა



კომორის კუნძულის მცხოვრებლებისათვის, ტრადიციის თანახმად, ქორწინების ცერემონია განსაზღვრავს მამაკაცის შემდგომ მდგომარეობას საზოგადოებაში. ახალგამომცხვარ ქმარს ეძლევა იმის საშუალება, რომ მეჩეთში ლოცვის დროს წინა რიგებში დაიკავოს ადგილი, საპატიო სტუმარი იყოს სხვადასხვა დღესასწაულზე, უხუცესთა გვერდით მიუჯდეს სუფრას. ყოველივე ამის მისაღწევად მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყნის მამაკაცები საზღვარგარეთ მიდიან სამუშაოდ.

20-25 წლის თავაუღებელი შრომის შემდეგ 45 წლის მამაკაცი, ბოლოს და ბოლოს, ახერხებს გარკვეული თანხის თავმოყრას. 20 მილიონი კომორული ფრანკი (ანუ 40 000 დოლარი) საცოლის გამოსასყიდად არის საჭირო, დანარჩენი საჩუქრებიც შესაძენია. ოქროს სამკაულები 2 კგ-ზე ნაკლებს არ უნდა იწონიდეს. 9 დღიან ქორწილსაც ბევრი ფული სჭირდება. საპატარძლოს ოჯახი საქმროსთვის ყიდულობს ავეჯით გაწყობილ სახლს და ჩასაცმელ-დასახურავს, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე ეყოფა.

ერთი შეხედვით, ყველაფერი კარგადაა, მაგრამ, ქორწილის შემდეგ იწყება, რაც იწყება. ქალის მშობლები (ესეც ერთგვარი ტრადიციაა) სიძეს უცხადებენ, სახლი და ავეჯი ვალით ვიყიდეთ, მოვალეები გვაწუხებენ და შენი მოტანილი ოქროს სამკაულებით უნდა გავისტუმროთ, აბა რა ვქნათო.

# მოოქროვილი ბრუნეი



280 ათასი ადამიანი ცხოვრობს ეგზოტიკურ ბრუნეიში, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში არსებული კონფლიქტების ფონზე ისე მშვიდად გამოიყურება, თითქოს იქ არავის არაფერი ჰქონდეს გასაყოფი და ეს ასეცაა.

ბრუნეის სასულთნოს 600 წელია ბოლკიახთა მოდგმა მართავს. ამ ხნის განმავლობაში ვინღა აღარ იყო ბრუნეიში — მაგელანის ექსპედიცია, ჰოლანდიელი და ბრიტანელი კოლონიზატორები, ფრანგი მოგზაურები. XX საუკუნის დამლევს ბრუნეიმ ბრიტანეთის იმპერიის პროტექტორატის ტიტული მიიღო და ისევ მსოფლიო მოვლენების მიღმა დარჩებოდა, თუ 1906 წელს ქვეყანაში არ აღმოაჩენდნენ და 1929 წლიდან არ დაიწყებდნენ ნავთობისა და გაზის გიგანტური მარაგის დამუშავებას. სულთანმა ნავთობისა და გაზის საშუალებით, სწრაფად მოაგვარა შინაური პრობლემები. ინგლისურმა კომპანია „შელიმ“ ნავთობის და გაზის მოპოვების უფლება მიიღო, სულთნის ხაზინაში მოგების 60% შედიოდა. მისმა ოჯახმა სიმდიდრესთან ერთად, თანდათანობით, საერთაშორისო დამოუკიდებლობა შეიძინა და 1984 წელს ბრუნეი დამოუკიდებელი გახდა, თავად სულთანი კი აქტიურად ჩაება მსოფლიო პოლიტიკაში.

ბრუნეის ნავთობ-გაზის ერთპიროვნული მფლობელი სულთანი ჰასანალ ბოლკიახი ქვეყნის 29-ე მმართველია, 54 წლისაა. განათლება პრესტიჟულ ინგლისურ სამხედრო აკადემიაში მიიღო. 7 შვილი ჰყავს, ყველა ოფიციალურ ფოტოზე მისი ორი ცოლია გამოსახული. პოლიტიკური ინტრიგების თავიდან ასაცილებლად ქვეყანაში მხოლოდ ერთი პარტიაა დაშვებული, რომელშიც სულ 53 ადამიანია გაერთიანებული, ისინი აღტაცებულნი არიან სულთნის პიროვნებით და თუ ვინმეს მმართველი არ მოსწონს, მას პარტიაში არ იღებენ.

სულთნის რეზიდენცია ტბის პირასაა განლაგებული, ბაღი მოოქრული ალაყაფის კარით მთავრდება, უზარმაზარ პარკში შადრევნები ჩქეფს, მილებიც, საიდანაც წყლის ჭავლი ამოდის, მოოქრულია. წარმოუდგენელი ფუფუნება და სიმდიდრე თვალს სჭრის ადამიანს.

სულთნის ფარეხში უკანასკნელი მარკის ასობით მანქანა დგას, საჯინიბოში კი საუკეთესო ბედაურები. ეს სიმდიდრე არ აღიზიანებს ბრუნეიელებს, რადგან სულთანი ბრძენი კაცია და თავის ქვეშევრდომებსაც კარგად აცხოვრებს. რიგითი მოქალაქის საშუალო შემოსავალი წელიწადში 16 ათასი დოლარია. ეს კი ბრუნეის საშუალებას აძლევს, რომ ცხოვრების დონის მიხედვით მსოფლიოს ქვეყნების პირველ ათეულში მოხვდეს.

ბრუნეის ნავთობის 95% იაპონიაში მიდის, შემოსულ თანხას სულთანი მარტო შვეიცარიის ბანკში კი არ დებს თავის ანგარიშზე, არამედ რიგ პროექტებშიც. მაგალითად, ბრუნეიელებს ავსტრალიაში თავიანთ ქვეყანაზე უფრო მეტი ტერიტორია აქვთ შეძენილი და მისი წყალობით შეიქმნა ხორბლეულის საკუთარი სასურსათო ინდუსტრია, ახლა ძროხის ხორცი ავსტრალიური საძოვრებიდან მარტო ბრუნეის ხალხს კი არა, იაპონელებსაც ეგზავნებათ.

ბრუნეიელებს შეუძლიათ უფასო განათლება მიიღონ მსოფლიოს რომელ ქვეყანაშიც სურთ, ავტომობილის თანხის 70%-ს მოქალაქე იხდის, დანარჩენს — სახელმწიფო. ყველაფრის მიუხედავად, ბრუნეიელთა უმეტესობა ისევ ცხოვრების ძველ წესს ამჯობინებს.

# ოღონდ მათ სულში სიცივე ნუ დაისადგურებს



ბიოლოგიური კანონის თანახმად, ადამიანთა 20%-ს ფსიქიკური იმუნიტეტი გენეტიკურად აქვს დაქვეითებული.

საკმარისი არ არის შეასრულო მშობლის ჩვეულებრივი პროგრამა-მინიმუმი — შვილს ჩააცვა, აჭამო, გაასეირნო. აუცილებელია, ვასწავლოთ მას ყოველდღიური სიხარული. უნდა ვეცადოთ, რომ ამქვეყნად თავისი მოვლინება შეაფასოს, როგორც საჩუქარი. მშობლებს ჰგონიათ, რომ ბავშვმა დარდი არ იცის. მაგრამ სპეციალისტები ირწმუნებიან, ჩვილებიც კი, ხშირად ხდებიან დეპრესიის მსხვერპლნი. ოღონდ დიდებთან შედარებით, დეპრესია პატარებში სხვანაირად გამოიხატება. შესაძლოა ყველაზე ოპტიმისტ მშობლებსაც კი შეეძინოთ მელანქოლიისკენ მიდრეკილი ბავშვი. ამის მიზეზი კი ხშირად არის უსიამოვნო ფაქტორები, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბავშვის (ჩანასახისაც) ნერვულ სისტემაზე. მომავალი დედები ყურადღებას არ აქცევენ ტოქსიკოზებს და ჰემოგლობინის მცირე დაცემას. ყოველივე ეს კი იმის მიზეზია, რომ ჩანასახს ჟანგბადის უკმარისობა აქვს. მედიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ თურმე ეპიდემიის დროს „ვერაგი" ვირუსი ჩანასახში „შეიჭრება" და თავის ტვინის უჯრედის გენეტიკურ აპარატში მოიკალათებს, რაც მომავალში იწვევს ბავშვის ნერვული სისტემის დასუსტებას — პატარა ვერ უძლებს ასაკობრივ დატვირთვასაც კი და მის სულში დეპრესია თანდათან იკიდებს ფეხს.

ეს გარეგნულად არც ჩანს, მაგრამ შვილის ნერვულ სისტემას დროზე თუ არ მივხედეთ, საქმე სადავიდარაბოდ გაგვიხდება. ბავშვის გუნების გამოსაკეთებლად, დეპრესიის თავიდან ასაცილებლად ნორვეგიელი ექიმები გვირჩევენ, რომ მეტი ვიცინოთ. სიცილს ძლიერი გამაჯანსაღებელი ეფექტი აქვს. სიცილის მეშვეობით რეფლექსურად გამომუშავდება ე.წ. სიამოვნების ჰორმონი — ენდორფინი, რომელიც აძლიერებს ორგანიზმის ბუნებრივ დაცვას. იგი გახლავთ დეპრესიის ნატურალური „შხამსაწინააღმდეგო" საშუალება. ხშირად ატარეთ ბავშვი ცირკში. ერთ ბრძენს უთქვამს, ხალხის ჯანმრთელობისათვის უმჯობესია ქალაქში ერთი ცირკის გახსნა, ვიდრე ათი აფთიაქისო. არ დაიშუროთ პატარებისთვის საჩუქრები, ამით ხომ ძალიან გაახარებთ. ყველაფერი ილონეთ, რათა მათ ფაქიზ სულებში სიცივემ არ დაისადგუროს.

გაგაცნობთ ბავშვის დეპრესიის რამდენიმე სიმპტომს: კუთხეში ზის გაუნძრევლად, არ ერთობა მოძრავი თამაშობებით; უჭირს დაძინება; უმიზეზოდ ჭირვეულობს (პატარები თითს წოვენ ხოლმე); ზანტად მოძრაობს, მალე იღლება; ხშირად შიში იპყრობს (სიბნელეში არ იძინებს, ითხოვს, კარი ღია დატოვონ); ზოგჯერ ყვირილით იღვიძებს; ხშირად სტკივა თავი ან მუცელი; ფრჩხილებს იკვნეტს; თმას იწიწკნის; ჰგონია, რომ არავის უყვარს; აქვს აკვიატებები, უნებლიე შარდვა; ვერ ასწრებს საშინაო დავალების შესრულებას; ლექსებს ვერ იმახსოვრებს; ხშირად გაღიზიანებული და უხეშია; თანაკლასელებს ეჩხუბება და შესაძლოა, გაკვეთილებიც დატოვოს; ხშირად აწუხებს კუჭის შეკრულობა; ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ყველაფერი მობეზრდა; ავიწყდება კბილების გახეხვა; მოუწესრიგებელია; უჭირს ხელის დაბანა; უკმაყოფილოა თავისი გარეგნობით; ბევრს ჭამს და ვერ ნაყრდება ან პირიქით; ეძებს კონფლიქტებს; აწუხებს ნევროლოგიური დაავადებები: გასტრიტი, კუჭის წყლული ან ნაღვლის ბუშტის ანთება.

ჩამოთვლილთაგან 4-5 სიმპტომი თუ აღმოუჩინეთ თქვენს შვილს, მიმართეთ ფსიქოლოგს. მშობლებს კი გირჩევთ: თავი აარიდეთ შვილებთან დავას, თქვენი ურთიერთგაგება და სიყვარული ბავშვის სულს გაცივებისაგან იხსნის; მეტი ყურადღება მიაქციეთ მათ სულიერ მდგომარეობას ადრე გაზაფხულსა და შემოდგომაზე; ნუ გააზრდევინებთ თქვენს პატარებს ბებიასა და ბაბუას. რაც უნდა კარგები და მზრუნველები იყვნენ ისინი, დედ-მამას მაინც ვერ შეუცვლიან.

სპეციალისტების აზრით, უფრო ჭირვეულნი არიან ნებივრად გაზრდილი ბავშვები ან ისინი, რომლებსაც ყურადღება აკლიათ. მთავარია, არაფერი გამოგრჩეთ, თორემ მოზარდი თუ „ჩაიკეტა", „სული თუ გაუცივდა", მისი მობრუნება ძალიან ძნელია.



# მკურნალი ცყუპეში

ზოგჯერ ისეთ გუნებაზე დადგება ხოლმე ადამიანი, რომ არავისთან დალაპარაკება არ უნდა, სარკეში ჩახედვაც კი ზარავს. ეს ფსიქიკური ენერგიის მიქცევის, დეპრესიის მანიშნებელია.

დეპრესიის საწინააღმდეგო უამრავი საშუალება არსებობს: ავტოთრენინგი, სიცილი, ყვავილების სურნელიც კი... მაგრამ შავნაღვლიანობისგან თავის დაღწევაში ყველაზე მეტად ტყუპები დაგეხმარებიან. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან საომრად წასულებს ტყუპების მიერ მოქსოვილ ან შეკერილ პერანგს გაატანდნენ. იგი ყოველნაირ უბედურებას აცილებდა ადამიანს და ახალისებდა კიდეც. მოეფერეთ, ჩაეხუტეთ პატარა ტყუპებს — უეჭველად დაგიამებთ, გაგიქარწყლებთ ნებისმიერ სევდას და მწუხარებას.

მოზრდილ ტყუპებს მოაქსოვინეთ თქვენთვის სამაჯური ან ყელსაბამი და მათვე გაგიკეთონ — განიტვირთებით და სულიც დაგიმშვიდდებათ. დაახატვინეთ პატარა ტყუპებს თუნდაც ქაღალდის ნაგლეჯზე ყვავილები, ორნამენტები ან თუნდაც ფერადი ხაზები გაავლებინეთ და ისე შეინახეთ, რომ ხშირად შეეხოთ და თვალი შეავლოთ. გვერწმუნეთ, თანდათან, შეუმჩნევლად სასიამოვნო შეგრძნება დაგეუფლებათ...

# როგორ დავიცვათ პაცარები...

მშობლებს ნაკლებად აინტერესებდათ, რა გავლენას ახდენდნენ მეგობრები ბავშვზე და ისიც მიეჩვია როლს, რომელსაც ფსიქოლოგები „უფრო ძლიერის მსხვერპლს" უწოდებენ.

ბავშვი სკოლაში ბევრ ზეწოლას ითმენს, თავის თავს ვერ იცავს. მეგობრები უფრო მეტ გავლენას ახდენენ მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ვიდრე მშობლები. ცხადია, მშობლებს სურთ, შვილი დაიცვან მავნე ზეგავლენისაგან. ვთქვათ, არ მოგეწონათ მისი ნებიერი და ტრაბახა თანაკლასელი, რომელიც შინ მოიწვია. თქვენ არჩევანს არ უწონებთ... ხომ არ არის ეს დიქტატი? მშობელი ხელს უნდა უწყობდეს შვილის თანატოლებთან მეგობრობას, ფხიზლად ადევნებდეს თვალს მათ საქციელს. მაგრამ მასთან ურთიერთობისას, უსათუოდ უნდა ეძებოს ზღვარი, ოქროს შუალედი.



ზოგიერთი მშობელი „ზემოდან" დაჰყურებს მდაბიო ოჯახის შვილს. სწორედ ეს უკარგავს თავდაჯერებულობას თქვენს შვილს სკოლაში და სათამაშო მოედანზე. მისი ადგილი თითქოს არსადაა. რასაკვირველია, მშობლის რჩევა აუცილებელია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვათ პოზიცია — „უფროსებმა უკეთ იციან". ასეთი ტონით მხოლოდ გააღიზიანებთ ბავშვს, წინააღმდეგობის გრძნობას გაუღვივებთ და ისიც ყველაფერს უკუღმა გააკეთებს...

შვილი თქვენს მოკავშირედ უნდა აღზარდოთ, ამიტომ, რაც შეიძლება მშვიდად, პატივისცემით მოისმინეთ მისი აზრი და ნუ იჩქარებთ განაჩენის გამოტანას — „სისულელეა, მეტი არაფერი"...

მათ შეპასუხების უფლება არ აქვთ და ამიტომ სიტყვებით კი არა, „ცუდი" ქცევით გპასუხობენ.

აღელვებული დედა ყვება, — შევესწარი, ჩემი პირველკლასელი ბიჭუნა სათამაშო დათუნიას ურტყამდა და უშვერი სიტყვებით ლანძღავდაო. რა დაგიშავა-მეთქი, — ვკითხე. ბავშვი შეკრთა და ატირდა. თურმე, თანაკლასელი მუდამ აწვალებს, მასწავლებლის შეკითხვაზე ხელს არ აწევინებს, წერისას ხელს უშლის და სახელმძღვანელოებსაც უხევს.

ამ შემთხვევაში მშობელი უსათუოდ უნდა ჩაერიოს.

გახსოვდეთ, ამხანაგებთან ურთიერთობა ჩვენი შვილების საზოგადოებრივი ცხოვრებაა. ამ გზით სწავლობენ ისინი სხვებთან დამოკიდებულებას და წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტას. რასაკვირველია, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ მათი ურთიერთობები, მაგრამ თვალყური შეუმჩნევლად უნდა ვადევნოთ და, მხოლოდ და მხოლოდ კრიტიკულ შემთხვევებში ჩავერიოთ...

# ფსიქოლოგები ბჭობენ

40 წელია, ამერიკელი გოგონები თამაშობენ საყვარელი თოჯინით, რომელსაც ბარბი ჰქვია. ამდენივე ხანია კამათობენ ფსიქოლოგები, „იმეგობრონ" თუ არა პატარებმა ბარბისა და მისი „ოჯახის წევრებთან".

პარადოქსია, რომ თუ ადრე მშობლები თავიანთ გოგონებს თოჯინა-„ბაიებით" ანებივრებდნენ, დღეს ლამაზ, ქერათმიან ბარბისა და მის საყვარელს ამჯობინებენ...



შვილიც აღფრთოვანებულია ასეთი საჩუქრით.

ამერიკელი თერაპევტის ჯეკ კილკის აზრით, — როგორც კი ბარბი გოგონას სათამაშო სამყაროში დასახლდება, იქიდან თანდათანობით განდევნის დედობის, მამობისა და ქორწინების ფენომენს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ელემენტი (თოჯინა) უარყოფით როლს შეასრულებს მომავალი მეუღლისა და დედის ფორმირებაში. იქნებ სწორედ ამ ელემენტმა განაპირობა დღევანდელი (და შეიძლება ხვალინდელი) ქალების უკმაყოფილება იმის გამო, რომ მათ მხოლოდ „დის და დედის" როლი ეკუთვნით. ასე რომ, ერთი შეხედვით, უწყინარ დედოფალასთან (ათასნაირი სამოსითა და საბანაო აუზებით) ურთიერთობა მომავალში გოგონას ეგოისტ და ჭირვეულ ადამიანად ჩამოაყალიბებს. თოჯინით „დედაშვილობანა" რომ ეთამაშა, პატარა მოსიყვარულე, მზრუნველი მეოჯახე ქალი დადგებოდა.

ჩვენ გვსურს, რომ ბავშვებისთვის შექმნილმა „მოდურმა ცდუნებამ" უარყოფითად არ იმოქმედოს მომავალი თაობის ხასიათისა და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ სპეციალისტები წინააღმდეგობასაც წააწყდნენ: გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ გოგონები, რომლებიც ბარბისთან „მეგობრობენ", უფრო ენერგიულნი, თავის თავში დარწმუნებულები არიან; ადვილად ეჩვევიან გარემოს შეცვლას, სწავლასა თუ სხვა საქმიანობაში დიდ წარმატებებს აღწევენ, ცდილობენ, დაემსგავსონ საოცნებო თოჯინას.

ფსიქოლოგებმა ბიჭებზე დაკვირვებით დაასკვნეს, რომ ისინი ბავშვობაში აგრესიულნი არიან, ამიტომაც ირჩევენ „მამაკაცურ" სათამაშოებს — პისტოლეტს, ჯარისკაცებს, ტანკებს, მანქანებს. ომობანას თამაში მათთვის უარყოფითი ემოციებისა და ფსიქიკური დაძაბულობისგან განტვირთვის ერთ-ერთი საშუალებაა. ცხოვრებამ, ისტორიამ მოულოდნელი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი წარმოაჩინა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში დაახლოებით 20 წლის მანძილზე არ დაუმზადებიათ საომარი იარაღის მსგავსი სათამაშო. მოსალოდნელი იყო, რომ პისტოლეტსა და ომობანას მოკლებული ბავშვები ნამდვილ მშვიდობის მტრედებად გაიზრდებოდნენ, მაგრამ მოხდა სრულიად საწინააღმდეგო — ბაჭიებისა და თოჯინების გარემოცვაში გაზრდილი ბიჭები დიდი აგრესიულობით, მერყეობით და კონფლიქტურობით გამოირჩეოდნენ.

უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მამაკაცური და ქალური ხასიათის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ბავშვის გარემო სავსე იყოს როგორც მშვიდობიანი, ისე საომარი სათამაშოებით.

# ორსულებს — ჩაიკოვსკი, ჩვილებს — ინტერნაციონალი...

მეცნიერებმა დიდი ხნის წინ დაადგინეს, რომ მუსიკა ზეგავლენას ახდენს ადამიანის ნერვულ სისტემაზე, მცენარეზე, ცხოველებზე; მაგრამ სიახლეა მუსიკით დღენაკლული და სამშობიარო ტრავმიანი ჩვილების მკურნალობა.

ჩაატარეს ცდა: დღენაკლულ ბავშვს, რომელიც არათანაბრად სუნთქავდა, ძილში შფოთავდა ან საერთოდ არ ეძინა, ჩაურთეს რიტმული, სასიამოვნო მუსიკა. ორიოდ წუთის შემდეგ პატარას სუნთქვა თანაბარი გაუხდა, გულისცემა დაუმშვიდდა; ვისაც არ ეძინა — თვალები მილულა ან დაიძინა.

ეს სასწაული, ცხადია, ახსნა-განმარტებას მოითხოვს. ბოლო დროს დღენაკლული ბავშვების რაოდენობა თანდათან იზრდება ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. მათ სამკურნალოდ მრავალ სამედიცინო ღონისძიებას მიმართავენ. მეცნიერებმა ძლიერი პრეპარატები უმტკივნეულო, სასიამოვნო პროცედურებით შეცვალეს. არომათერაპიის, ცურვის, მასაჟების ფონზე მუსიკამ მოულოდნელი შედეგი გამოიღო. როგორც დადგინდა, მუსიკა ორგანიზმში ერთბაშად აწესრიგებს გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქ, საჭმლის მომნელებელ და ცენტრალურ ნერვულ სისტემებს. თითოეულ პაციენტს „თავის" მუსიკას, რიტმს, ტემპს და ტონალობას ურჩევენ. სწორედ ეს გახლავთ მუსიკათერაპიის „საიდუმლო".

დამამშვიდებელი, ძირითადად, იავნანაა, რომელიც აუმჯობესებს პულსს, აღადგენს სუნთქვის სიხშირეს, აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მუშაობას. მოდუნებულ ბავშვებს ჭამამდე 20-30 წუთით ადრე რიტმულ მარშს ასმენინებენ, აღგზნებულთ — დამამშვიდებელ მელოდიებს. მუსიკალური კურსი 7-10 დღე გრძელდება. ამ დროის მანძილზე ბავშვის ბიორიტმი სწორდება.

დიდი ხანია აღმოჩენილია, რომ 18 კვირის ემბრიონს ესმის ჰანგები და არჩევს რიტმულ მელოდიას... ამ დროიდან ისმენენ ბავშვები დედებთან ერთად მუსიკას, ამიტომ სასურველია, მშვიდი მუსიკა მოასმენინოთ.

არათანაბარი სუნთქვის მქონე ბავშვებს „ინტერნაციონალს" ასმენინებდნენ და კარგი შედეგიც მიიღეს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია რიტმი და არა მუსიკის რევოლუციური შინაარსი. ბავშვებს, ძირითადად, ასმენინებენ ჩაიკოვსკის, ბეთჰოვენის, ვივალდის, მოცარტის ნაწარმოებებს. თანამედროვე რუსი კომპოზიტორი ვლადიმირ კირიუშინი სპეციალურად ფეხმძიმე ქალებისა და დღენაკლული ბავშვებისათვის წერს მუსიკას. მას „ემბრიონის კომპოზიტორს" უწოდებენ. ძალიან საინტერესოა კირიუშინის მიგნება — როგორ მეორდება კლასიკურ მუსიკალურ ნაწარმოებებში ამა თუ იმ ნოტის შერწყმა, რაც მრავალ თაობას აჯადოებს. 40 წელი სწავლობდა კომპოზიტორი ამ ბგერათა შერწყმას. მისი აზრით, რადგან კაცობრიობას ერთნაირად ხიბლავს ერთი და იგივე ბგერის შერწყმა, მაშასადამე, მას სამკურნალო ძალა აქვს. გამოკვლევის შედეგად გაირკვა: კლასიკური მუსიკა ემბრიონს უფრო მოსწონს, ვიდრე დედას, ხალხურ სიმღერებზე დედა და ემბრიონი ერთნაირად რეაგირებენ. — მუსიკა ქმნის თავისებურ ხიდს ტვინის ნახევარსფეროებს შორის და ორგანიზმში გამომუშავდება ე.წ. ბედნიერების ჰორმონი. ის ფეხმძიმენი, რომელთაც ამ მეთოდით ასმენინებდნენ მუსიკას, უფრო ადვილად მშობიარობდნენ. საოცარი ის არის, რომ ბავშვი იბადება სწორედ იმ მუსიკის ტონალობის ყვირილით, რომელსაც ისმენდა.

# ბავშვმა უნდა გამოიძინოს

იმაზე ლაპარაკი, რომ ბავშვები ადრე უნდა დავაწვინოთ, რათა დილით ადრე ადგნენ, უშედეგო აღმოჩნდა. დილაობით თითქმის ყველა ოჯახში ერთი და იგივე სურათია: აღვიძებენ გამოუძინებელ ბავშვებს, ისმის უკმაყოფილო ხმები, ტირილი...

სკოლაში სწავლა 8 ან 9 საათზე იწყება. დაგვიანება არ შეიძლება. რა ვუყოთ გამოუძინებელ ბავშვებს? ფსიქოლოგების აზრით, ძილდაკლებულ პატარას მძიმე სტრესი ელოდება. უჭმელობას ადამიანი 30 დღესაც გაუძლებს, მაგრამ უძილობას მხოლოდ 2-3 დღე. საკმარისია, 2-3 საათის ძილი დააკლდეს ადამიანს და ეს მაშინვე აისახება მის გონებრივ აქტივობაზე. თუ უძილობა „დაუგროვდა" ადამიანს, სუსტდება მეხსიერება, უქვეითდება მხედველობა, მზადდება ნიადაგი ნერვულ-ფსიქოლოგიური დარღვევებისათვის. ყოველივე ეს კი ეროვნული კატასტროფის მომასწავებელია. სკოლამდელი და დაწყებითი კლასის ასაკის ბავშვებს ღამით 10 საათი და დღისით 1-2 საათი მაინც უნდა ეძინოთ.

უფროსკლასელებისათვის საკმარისია 8 საათიანი ძილი. საუცხოო იქნება, თუ მოსწავლეები საღამოს 9 საათისათვის უკვე ლოგინში იქნებიან. მაგრამ ეს ხომ იშვიათად ხდება. მოზარდები 11-ზე ან უფრო გვიან იძინებენ, რაც არღვევს ორგანიზმის ბუნებრივ ბიორიტმს.

ყველაზე სასარგებლოა შუაღამემდე დაძინება. ამ დროს ხდება ძალების აღდგენა. ცნობილია, რომ ზრდის ჰორმონიც ძილის პირველ ნახევარში გამოიყოფა. გამოუძინებელი ბავშვების გონებრივი მუშაობა 30%-ით ქვეითდება. ძილის უკმარისობა პირველ რიგში ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, რაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებას იწვევს.



გამოუძინებელი ბავშვი მალე იღლება, ხშირად ეცვლება გუნება-განწყობილება, გაღიზიანებულია, ეკარგება ჭამის მადა, აგრესიული ხდება. ამ დროს ბავშვი იწყებს უმიზეზოდ მხრების აჩეჩვას, ხელების ქნევას. შარდის შეუკავებლობაც გამოუძინებლობის ბრალია.

მშობლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ პატარებს, რომლებსაც დილით უწევთ სიცხე, სტკივათ მუცელი, ეწყებათ ღებინება. ეს ე.წ. ფსიქოსომატური რეაქციებია. ცრემლები და წამოძახილი — „არ მინდა სკოლაში წასვლა" — არ არის განებივრებული ბავშვის ჭირვეულობა. იგი სწორედ ძილის რეჟიმის დარღვევის შედეგია. ამასთან, ბავშვის ორგანიზმი ძალზე პლასტიკურია, იგი ყველანაირ პირობებს ეგუება. მაგრამ, რატომ დავაყენოთ პატარა გამოცდის წინაშე, თუკი არის საშუალება, მოვახდინოთ ძილისა და სიფხიზლის რეჟიმის ორიენტირება ყოველგვარი წამლების გარეშე.

## რედაქციაში შეკითხვა მოვიდა



**ამბობენ, კატა კარგია იყოლიოს მაღალწნევიანის ოჯახმაო. მართალია თუ არა ეს მოსაზრება?**

***გიორგი გიორგაძე***

დასავლელ ფსიქოლოგებს სწამთ, რომ შინ კატის ყოლა, მის მიმართ სითბოსა და სიყვარულის გამომჟღავნება ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებს. ექიმებიც აღიარებენ, რომ ამ ცხოველს კეთილისმყოფელი გავლენა აქვს პატრონზე. ფისოს მოფერება ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აწესრიგებს არტერიულ წნევას. კატა შეიგრძნობს ადამიანის ორგანიზმის დაავადებულ ადგილს, მასზე წვება და სატკივარს თავისკენ „მიაცუნცულებს“.

# ქათმის ბულიონიც წამალი ყოფილა



მეცნიერებმა ქათმის ბულიონის მარგებლიანობის საიდუმლო ამოხსნეს.

როგორც გაირკვა, ბულიონში უამრავი ანთებსაწინააღმდეგო ნივთიერება შედის. ორგანიზმში მოხვედრისას (ბულიონთან ერთად), ნივთიერებები იმ სისხლის უჯრედების მოძრაობას ანელებენ, რომლებიც ლორწოს წარმოქმნიან. ლორწო კი, თავის მხრივ, ხველებასა და სურდოს იწვევს... მიირთვით ცხელი ბულიონი და იგრძენით — თქვენ ნაკლებად გახველებთ...

# ჯარა-ექიმის რჩევები

— თუ ძილის წინ და დილით შეჭამთ თითო ვაშლს, თქვენი კუჭ-ნაწლავი ნორმალურად იმუშავებს. კუჭის შეკრულობის დროს უზმოზე მარგებელია ვაშლის მორსი. თუ შეკრულობა ქრონიკულია, საუზმეზე მიირთვით ხორცსაკეპში გატარებული ვაშლისა და უმი კომბოსტოს (1:1) ნარევი, რომელიც არც ისე გემრიელია, მაგრამ შედეგს მალე იგრძნობთ — რამდენიმე კვირის შემდეგ ყაბზობა თავს დაგანებებთ.

ვაშლი ძალიან სასარგებლოა გულისათვის, რადგან მასში შემავალი პექტინები სისხლში ქოლესტერინის დონეს არეგულირებს და ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს. ვაშლის რბილობი ხელს უწყობს ოპერაციის შემდეგ ჭრილობების სწრაფად შეხორცებასა და ავადმყოფის იმუნური სისტემის გაძლიერებას.

ნიკრისისა და რევმატიზმის დროს აუცილებელია ყოველდღე სვათ ვაშლის წვენი, რომელიც ორგანიზმიდან გამოდევნის მავნე ნივთიერებებს. ტკივილის დროს ცოტა ცხიმში შეწვით ერთი ნაჭერი ვაშლი და შეჭამეთ, დარჩენილი წვენიც დალიეთ — ტკივილი გაგივლით.

**გაითვალისწინეთ, სულ ორი ვაშლია საკმარისი იმისათვის, რომ ორგანიზმმა მიიღოს დღე-ღამის ვიტამინური ნორმა.**


**ექიმი ჰომეოპათი**

**განგკურნავთ ნებისმიერი დაავადებისგან სწრაფად და იაფად, გარანტიით!**

**აკადემიის პოლიკლინიკა (სპორტის სასახლესთან) კაბ. №16. 10–15 სთ-მდე**

ართრიტები, მიოზიტები, კოქსართროზი, რადიკულიტები, ოსტეოქონდროზები (მარილები), სქოლიოზები, კიფოზები (ხერხემლის გამრუდებები), თავის ტკივილები, თავბრუსხვევა, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი.



**ამ დაავადებებს მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, რუსეთსა და საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდით.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე ალმაშენებლის 60-ში, კატასტროფების საავადმყოფოში (ყოფილი მიხაილოვის), I სართ. მანუალური და ფიზიოთერაპიის კაბინეტი. ტელ: 75-06-14; 877-44-01-08



ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

**ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე**

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9

ტელ: 96-95-69; 877-43-31-26

**მკურნალობა უახლესი აპარატურით**

**ალერგიის კომპიუტერული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, ჰიპერტონიის (წნევა), ნევროზის, ლოგონევროზის (ენაბლუობა) მკურნალობა უახლესი აპარატურით.**

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №18ა, რეაბილიტაციის ცენტრი, მე-6 სართ, ბიორეზონანსული თერაპიის კაბინეტი, ექიმი **ზურაბ ხაჩიაშვილი**

☎ 39-01-12 (სამს.) 10-15 სთ 39-58-77 (ბინა)

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტიანობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.**

**SGS** – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

**SGS** – თანამედროვე ტექნიკური ბაზა

**SGS** – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

**SGS** – განკურნების მაქსიმალური გარანტია

**SGS** – აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში:**

1. სქესობრივი აქტის გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები;
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება;
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება;
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ;
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება;
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური **SGS**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# რა ელის კაცობრიობას მესამე ათასწლეულში...

თუკი მესამე ათასწლეულში მსოფლიოში მშვიდობა დაისადგურებს და კაცობრიობა საკუთარ პოტენციალს სასიკეთოდ წარმართავს, მეცნიერება ბევრ სიურპრიზს მოგვიძღვნის, რაც, ბუნებრივია, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც აისახება. სწავლულთა მტკიცებით, ეს ცვლილებები უთუოდ შეეხება მედიცინის დარგსაც.

მომავალში ადამიანები უამრავ დაავადებას დაამარცხებენ და გაცილებით დიდხანს იცოცხლებენ. მედიცინის სხვადასხვა სფეროში მრავალ სენსაციურ აღმოჩენას ექნება ადგილი, მათ შორის უმნიშვნელოვანესია 2000 წელს გაშიფრული ადამიანის გენომი — გენთა ერთობლიობა. როგორც ვარაუდობენ, სპეციალისტები ტვინის კოდსაც განსაზღვრავენ, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ადამიანის აზრების წაკითხვა. თუმცა, ეს პროცესი, ნაწილობრივ, ტვინის სკანირების საშუალებით, დღესაც ხორციელდება. ამ მეთოდით შესაძლებელია ადამიანის ემოციების განსაზღვრა, თუნდაც მას საკუთარ თავში „ჩაკეტვის“ მიდრეკილება ჰქონდეს.

გენური ინჟინერიის მიღწევები ინტელექტის, მავნე ჩვევების, დეპრესიის, უამრავი მემკვიდრული დაავადების პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტას შეძლებს, ხოლო როდესაც სიბერის გენის გამოყოფა მოხერხდება, ადამიანები სიცოცხლის ბოლომდე ახალგაზრდად იგრძნობენ თავს.

თუმცაღა, გასათვალისწინებელია, რომ გენური ინჟინერიის მიღწევები შესაძლებელია ასეთივე წარმატებით გამოიყენონ ბოროტი ზრახვებისათვის, მაგრამ, იმედია, კაცობრიობა მესამე ათასწლეულში მაინც, უფრო ჰუმანური და კეთილი აზრებით „აღიჭურვება“.

უახლოეს მომავალში ადამიანები გაცილებით ლამაზები იქნებიან, რადგანაც საშვილოსნოს შიდა ქირურგიის მეშვეობით, ჯერ კიდევ მუცლადყოფნისას მნიშვნელოვნად გამოსწორდება განვითარების მანკები და დეფექტები. რამდენიმე ასეთი ოპერაცია უკვე ჩატარდა მსოფლიოს წამყვან კლინიკებში, მომავალში კი ოპერაციის ჩატარების ტექნიკა ბევრად უფრო დაიხვეწება.

ადვილად მოგვარდება ადამიანის გასუქების პრობლემაც. როგორც ამერიკელი მკვლევარები ვარაუდობენ, ჭარბი წონის წინააღმდეგ ბრძოლა მომავალ საუკუნეში გენური გზით გადაწყდება. ყოველ შემთხვევაში, გასუქების გენად მონათლული ქრომოსომის მონაკვეთი ამერიკელებმა თაგვებსა და ქათმებში უკვე აღმოაჩინეს.

დიდი მიღწევები იქნება პარფიუმერიულ ტექნოლოგიაშიც. კოსმეტოლოგიურ საშუალებათა დახვეწის შედეგად მანდილოსნებს საკუთარი სილამაზის შესანარჩუნებლად ბევრად ნაკლები წვალება დასჭირდებათ. საქმე ისაა, რომ ამ დარგის ახალი მიღწევები ქალის კანის ელასტიკურობას სიბერემდე უზრუნველყოფს.

ბევრად ხელმისაწვდომი გახდება პლასტიკური ოპერაციებიც — მეცნიერთა მტკიცებით, ამ საუკუნის 30-იანი წლებისთვის 35 და 60 წლის ქალები არც გარეგნულად და არც ასაკობრივად ველარ გაარჩევენ. სილიკონი წარსულს ჩაბარდება და მკერდის ზომისა და ფორმის შეცვლის მსურველებს ბუნებრივი მასალისაგან შექმნილ იმპლანტანტს შესთავაზებენ.

სხეულის ჭარბთმიანობას ლაზერული ქირურგიის ერთი სეანსი უშველის. თმის ფერის შეცვლა კი, სურვილისამებრ, თუნდაც ყოველდღიურად იქნება შესაძლებელი, რაც თმას არანაირ საფრთხეს არ შეუქმნის.

მოდერნიზება და აღმოჩენები ფეხსაცმელს და ტანსაცმელსაც შეეხება. კერძოდ, ადამიანები ისეთ ფეხსაცმელს ჩაიცვამენ, რომელიც ჰაერის ტემპერატურის მიხედვით შეიცვლის თბოიზოლაციურ თვისებებს. ტანსაცმელი კი ადამიანს კანის დაავადებებისაგან განკურნავს. ფაქტი სახეზეა! ერთ-ერთი ინგლისური ფირმა უკვე უშვებს ანტიმიკრობულ თეთრეულს, რომელიც პათოლოგიური დაავადებების გამომწვევი მიკრობების გამრავლებას მნიშვნელოვნად აფერხებს.



გერმანელი მეცნიერები ქმნიან ექსპერიმენტულ, განსაკუთრებულ მოლეკულურ სტრუქტურებს. სამკურნალო ნივთიერებებით გაჯერებული ეს სტრუქტურები თეთრეულზე მიმაგრდება და ბევრ პრობლემას გადაჭრის. სამკურნალო ნივთიერებები ორგანიზმის კანის სითბოს ზეგავლენით დაიწყებენ მოქმედებას.

შემუშავებულია კიდევ ერთი ქსოვილი, რომელსაც აქტიურად მსუნთქავს უწოდებენ. სიცივეში მისი უთხელესი მემბრანები ორგანიზმის სითბოს გარეთ არ ატარებენ, ხოლო სიცხეში მემბრანები ე.წ. მიკროფანჯრების სახით გაიხსნება და ვენტილაციაც გაძლიერდება.

ასეთი ქსოვილი ლაბორატორიაშია შექმნილი და მას ჭუჭყი არ ეკარება. მისი ფერი მზის სხივებზე იცვლება, სიბნელეში კი ნათებას იწყებს. ასეთ ქსოვილს სარეცხი მანქანა და უთო არ ესაჭიროება. ჩვენ მომავალში ამდაგვარი ქსოვილით შევიმოსებით და დიასახლისთა შრომა მართლაც რომ მნიშვნელოვნად შემცირდება.

ერთი სიტყვით, თუ პოლიტიკურად დაძაბულ სიტუაციებს მშვიდობიანად დავაღწიეთ თავი, მეცნიერები გვაიმედებენ, რომ დღევანდელ დღესთან შედარებით მომავალი გაცილებით ხალისიანი, ლამაზი და ნაკლებად პრობლემური იქნება. ხოლო დღეს დიასახლისისთვის ყოველდღიური და აუცილებელი ატრიბუტი მომავალში მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატებადღა გამოდგება.

***მაია მუხიგული***


MEDI

**საახალწლო ფასდაკლება**

სამედიცინო ცენტრში

**მედი**

**ლაზერული ეპილაცია**



- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- ჩხვლეტის გარეშე
- უმტკივნეულოდ
- სწრაფად
- გარანტირებული ეფექტით

**ამიერკავკასიაში ერთადერთი**

**ალექსანდრიტის ლაზერის უახლესი სისტემის აპარატით**

**ი.ჭავჭავაძის გამზ. N70 25-02-02 22-50-43**

**„ჰერბალ ვი“ — „ვიაგრას“ მცენარეული ალტერნატივა**




**სექსუალური აქტივობის გაუმჯობესების 100%-ით უსაფრთხო, მაღალეფექტური მცენარეული საშუალება**

**HERBAL V Y — მამაკაცებისათვის.** – აბსოლუტურად უსაფრთხო მათთვისაც კი, ვინც დაავადებულია მაღალი წნევით, გულის ან სხვა დაავადებით; – აუმჯობესებს ლიბიდოს, ასტიმულირებს ნევროსექსუალურ ფუნქციას, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ასპექტში; – წარმატებით ხსნის სექსუალური დარღვევებით გამოწვეულ ტკივილებს წელისა და მუცლის არეში, მატებს ენერგიას და სიცოცხლის ხალისს; – რთული, ორგანული მიზეზებით განვითარებული იმპოტენციის დროს, აუცილებელი სერიოზული მედიკამენტოზური სამკურნალო კურსის განსაზღვრულ ეტაპზე „ჰერბალ ვი“ ქმნის შესანიშნავ ფონს და ახანგრძლივებს მათ ეფექტს; — **„ჰერბალ ვი“-ს უკომპლექსოდ იყენებენ აბსოლუტურად ჯანმრთელი მამაკაცებიც, რომლებსაც ნერვული დაძაბულობისა და გადაღლილობის გამო დროდადრო დაქვეითებული აქვთ სექსუალური აქტიურობა, აგრეთვე სპორტსმენები, საუკეთესო შედეგების მისაღწევად!**

**HERBAL VX — ქალებისათვის.** — სექსუალური პრობლემები მავნე ზემოქმედებას ახდენს როგორც მამაკაცის, ასევე ქალის მთელ ორგანიზმზეც და იწვევს ნევროზებს. რიგ სერიოზულ დაავადებებს. „ჰერბალ ვი“-ს ქალების ვარიანტი აძლიერებს სექსუალურ ლტოლვას, ააქტიურებს სასიცოცხლო ძალებს, ამცირებს წინამენსტრუალურ და პრეკლიმაქსურ დაძაბულობას და მატებს ენერგიას.

**HERBAL VY** და **HERBAL VX** – მამაკაცებისა და ქალებისათვის – „ვიაგრას“ უაღრესად პოპულარული უსაფრთხო მცენარეული ალტერნატივა მსოფლიოს ელიტურ საზოგადოებაში! **ინგლისურ-შვეიცარული კომპანია „სვისჰელსის“ ნაწარმი.**

**აიღეთ ცხოვრებისგან საუკეთესო!**

**მოიკითხეთ სააფთიაქო ბაზებსა და აფთიაქებში.**

**„სვისჰელსის“ ექსკლუზიური დისტრიბუტორი კომპანია „ფლორეტი“ ტ: 99-87-37**

# ფსიქები მიწისქვეშეთიდან

სპეცსამსახურების გამძაფრებული ურთიერთდაპირისპირება არასდროს მთავრდება, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსები განმუხტვის დასაწყისზე საუბრობენ. წლები შეიძლება გავიდეს, სანამ საიდუმლო კონკრეტულ ოპერაციას ფარდა აეხდება. სხვათა შორის, როცა აშშ-ზეა საუბარი, პრესა, ჩვეულებრივ მხოლოდ ცსს-ზე (ЦРУ) წერს, თუმცა სამხედროებიც არ თამაშობენ უკანასკნელ როლს (ლაბადისა და ხანჯლის თანამეგობრობაში).

70-იანი წლების დასასრულს, ცსს-ის არაერთი ჩავარდნის შემდეგ, პენტაგონმა დაიწყო ზესაიდუმლო სპეცფორმირებების შექმნა: სპეციალური ოპერაციების განყოფილება (სოგ) პოდპოლკოვნიკ ჯონ ლონგჰოფერის ხელმძღვანელობით, „ყვითელი ნაყოფი", ოპერატიული ჯგუფი 160, „ზღვის ქაფი", რაზმი „დელტა".

თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები ყველა ამ საიდუმლო სამსახურსა და ქვედანაყოფს უწოდებდნენ „ფსიქებს მიწისქვეშეთიდან", რადგან ისინი პენტაგონის ნახევრად სარდაფში იყვნენ განლაგებულნი. კონსპირაციის მიზნით, შესასვლელი შენიღბული იყო მაგნოლიებში ჩაფლული ჯიხურით. ეს შენობა სულაც არ შეეფერებოდა შტაბს: ჭერიდან წყალი წვეთავდა და ამიტომ კომპიუტერებს პოლიეთილენს აფარებდნენ და მაგიდებზე პლასტიკატის ვედროები იდგა.

1980 წელს, ეროვნული უშიშროების საბჭომ საიდუმლო დირექტივით სანქცია გასცა, შექმნილიყო სპეციალური სადაზვერვო-დივერსიული აპარატი (თავდაცვის სამინისტროს ეგიდით), რომელიც „გავლენას მოახდენდა საერთაშორისო მდგომარეობაზე აშშ-ისთვის მოსაგები პოზიციით". პენტაგონს ამისათვის უზარმაზარი თანხა გამოუყვეს და მათ შესაძლებლობა მიეცათ ვაშინგტონში და მის გარეთ განეთავსებინათ „მინი-ცსს" და „კრიშად" სხვადასხვა ფირმა გამოეყენებინათ.

სადაზვერვო-დივერსიული ნაწილებისა და ქვედანაყოფების მოქმედების საერთო კოორდინაცია დაევალა სპეციალური ოპერაციების გაერთიანებულ ხელმძღვანელობას, გენერალ-მაიორ რიჩარდ შოლტესის მეთაურობით. „მინი-ცსს"-მ აქტიური მოქმედება დაიწყო.

...ომის შემდეგ საოკუპაციო ზონებად დაყოფილ გერმანიაში, ფრანკფურტში, ამერიკის არმიის ჯგუფის შტაბში განლაგებული იყო კავშირების საბჭოთა სამხედრო მისია. ოფიციალურად მისი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ხელი შეეშალა რაიმე წინააღმდეგობისათვის საბჭოთა და ამერიკელ ხელმძღვანელობას შორის და მოეგვარებინა კონფლიქტები. მაგრამ „ცივი ომის" პერიოდში ეს მისია გადაიქცა საბჭოთა მთავარი სადაზვერვო სამმართველოს გენშტაბის მთავარ ჯაშუშურ შტაბბინად — მთელი შტატი დაკომპლექტებული იყო კაგებეს მუშაკებით. ისინი არა მარტო ვიზუალურად ზვერავდნენ ამერიკის სამხედრო ობიექტებს, არამედ ფარულად ახერხებდნენ იქ შესვლასაც და რეგულარული კონტაქტები ჰქონდათ ადგილობრივ აგენტებთან გფრ-ის მთელ ტერიტორიაზე.

სპეციალური ოპერაციების გაერთიანებული (სოგ-ი) ხელმძღვანელობის შექმნამდე, პენტაგონმა ვერაფერი მოუხერხა ამ „გველების ბუდეს", როგორც კავშირის საბჭოთა მისიას ეძახდნენ, მაგრამ საკუთარი „მინი-ცსს"-ის შექმნამ მდგომარეობა მკვეთრად შეცვალა. სოგ-ის ოპერატიულმა მუშაკებმა გერმანიიდან პესიმისტური პატაკი ჩამოიტანეს. იქ ნათქვამი იყო,



რომ შეუძლებელია რომელიმე რუსი ოფიცრის გადმობირება, რადგან ამის საშუალება არ არის. ისინი არასდროს ტოვებენ მისიას, სადაც მათი საცხოვრებელი ბინებიცაა განლაგებული. თავისუფალ დროს კი, ისინი მხოლოდ ჯგუფურად, კოლექტიურად დადიან. მოსასმენი აპარატის დაყენება მათ ბინებში შეუძლებელია, სადღეღამისო მორიგეობის გამო, თანაც გერმანელებს და საერთოდ, უცხო პირებს ტერიტორიაზე არ უშვებენ. მომსახურე პერსონალიც რუსები არიან და ყაზარმული რეჟიმით ცხოვრობენ.

მაგრამ იმედის ნაპერწკალი გაჩნდა, როცა გაიგეს, რომ საბჭოთა „კანტორამ" ფირმა „ოპელში" გადაწყვიტა მანქანების შეკვეთა. რუსელჰაიმის ასაწყობ ქარხანაში, თურქი მუშის სახით ჩანერგეს აგენტი „ყვითელი ნაყოფიდან", მან შეძლო რუსების მოთხოვნის გაგება. რუსებმა ფირმას განუცხადეს, რომ მანქანებს პირდაპირ კონვეიერიდან წაიყვანდნენ, თანაც აწყობის საბოლოო ეტაპს მათი მეთვალყურე დაესწრებოდა, რათა გამორიცხულიყო მანქანაში მოსასმენი აპარატურის დამონტაჟება.

სპეციალური ოპერაციების განყოფილებამ „ოპელისაგან" სასწრაფოდ შეიძინა ორი სერიული ეგზემპლარი. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავით მანქანები შტატებში ჩააფრინეს და დაიწყეს მუშაობა იმაზე, შეიძლებოდა თუ არა ერთ ღამეში მანქანის მთლიანად დაშლა და ხელახალი აწყობა. თუკი ეს მოხერხდებოდა, მაშინ გაჩნდებოდა რაღაც შანსი რუსების შეძენილ მანქანებზე მოსასმენი აპარატების დაყენებისა. როგორც იქნა, მიიღეს საჭირო რეზულტატი და ოპერაციის მონაწილენი გფრ-ში სხვადასხვა გზით ჩავიდნენ. ოპერაციის გეგმა დაამტკიცეს და ახლა მხოლოდ ბრძანებას ელოდნენ.

როგორც ქარხანაში მომუშავე აგენტმა გაარკვია, რუსები მხოლოდ წინა საღამოს ატყობინებდნენ ქარხნის დირექციას, რომ მანქანას დილით წაიყვანდნენ. ქარხანაში, რათა არ დაერღვიათ აწყობის ტემპი, წარმომადგენელი პირდაპირ კონვეიერთან მიდიოდა და ირჩევდა მანქანას. შემდეგ ოფიცრის თანმხლები რუსი მექანიკოსი გულდასმით ამოწმებდა „ოპელს" სპეციალური ხელსაწყოებით, მუშები ამთავრებდნენ აწყობას, რუსები სხდებოდნენ მანქანაში და მიჰყავდათ. იმედის ერთადერთი მარცვალი ის იყო, რომ ეს ყველაფერი ცვლის დაწყებამდე ხდებოდა.

სამი საათის შემდეგ ახალი მანქანა ჩონჩხად იქცა. დადგა ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი. საკმარისი იყო მცირეოდენი შეცდომა, რომ გეგმა ჩავარდებოდა. ერთი სიტყვით, ამერიკელებმა რეკორდულ დროში ჩაატარეს უნიკალური ოპერაცია. მანქანაზე სხვადასხვა ადგილას ისე დაამონტაჟეს მოსასმენი აპარატურა, რომ მის აღმოსაჩენად მანქანის დაშლა იქნებოდა საჭირო. საბჭოთა მისია ვერაფერს მიხვდა...

სანამ შტატებში ტექნიკოსები ითვისებდნენ „ოპელის" აწყობას, სოგ-ის ოპერატორებმა, ვითომ „ფორდის" კომპანიის თანამშრომლებმა, შეძლეს ქარხნის მცველების მოსყიდვა და ისინი დაჰპირდნენ, რომ ღამით შეუშვებდნენ ქარხნის ტერიტორიაზე. „ფორდელებს" ვითომ „ოპელის" ტექნიკური სიახლის გაცნობა უნდოდათ. ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულის ტოლფასი იყო, მაგრამ დიდმა თანხამ მცველები შეაცდინა და როცა წინა საღამოს რუსებმა დარეკეს, ღამის მცველებმა ამერიკელები ქარხანაში შეუშვეს. მექანიკოსები სირბილით მივიდნენ კონვეიერთან, სადაც გამზადებული „ოპელი" იდგა. ყოველ წუთს მნიშვნელობა ჰქონდა. დილის 7.45 წთ-ზე იწყებოდა მუშაობა.

სამი საათის შემდეგ ახალი მანქანა ჩონჩხად იქცა. დადგა ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი. საკმარისი იყო მცირეოდენი შეცდომა, რომ გეგმა ჩავარდებოდა. ერთი სიტყვით, ამერიკელებმა რეკორდულ დროში ჩაატარეს უნიკალური ოპერაცია. მანქანაზე სხვადასხვა ადგილას ისე დაამონტაჟეს მოსასმენი აპარატურა, რომ მის აღმოსაჩენად მანქანის დაშლა იქნებოდა საჭირო, ყველაფერი დილის 6 საათზე დამთავრდა, კონვეიერზე ისევ იდგა ახალი „ოპელი". ასეთი მეთოდით ამერიკელებმა რამდენიმე მანქანა „დატენეს" მოსასმენი აპარატურით, საბჭოთა მისია ვერაფერს მიხვდა. ყოველ რადიოფიცირებულ „ოპელს", საითაც არ უნდა წასულიყო, შორიახლოს მიჰყვებოდა სოგ-ის ოპერმუშაკების ორი მანქანა. მანქანაში მიმდინარე ყველა საუბარი იწერებოდა და მაშინვე იგზავნებოდა ვაშინგტონში დეტალური ანალიზისთვის. ამრიგად, სპეციალური ოპერაციების ორგანიზაციამ გფრ-ის ტერიტორიაზე გამოავლინა რუსების მთავარი სადაზვერვო სამმართველოს აგენტურული ქსელი. სხვათა შორის, რუსები ვერ ხვდებოდნენ, რისი ბრალი იყო მათი აგენტურის ჩავარდნა.

„მინი-ცსს"-ის ყველა ქვედანაყოფი საგანგებოდ იყო გასაიდუმლოებული, ისევე, როგორც მათ მიერ ჩატარებული ოპერაციები. ეს კი თითქმის ყოველთვის იწვევს იმას, რომ მათთვის ყველაფერი დასაშვებია. ამას ვერ ასცდნენ „ფსიქებიც". საიდუმლო გარემოცვის წყალობით, ისინი თავხედურად ითვისებდნენ სპეცოპერაციებისთვის გამოყოფილ თანხებს, რომელსაც ხშირად ძვირად ღირებულ რესტორნებში ქეიფებში ხარჯავდნენ, სადაც ისინი წარმატებული კომერსანტების როლს თამაშობდნენ.

პენტაგონი იძულებული შეიქნა, გამოეძია „მინი-ცსს"-ში დატრიალებული ამბები. შედეგი მეტად სავალალო იყო. არმიის სპეცსამსახურები დაავადებულნი აღმოჩნდნენ თაღლითობის საყოველთაო ვირუსით.

სოგ-ის უფროსი, პოდპოლკოვნიკი ლონგჰოფერი, „ყვითელი ნაყოფის" მეთაური და მისი მოადგილე, გადასცეს სამხედრო ტრიბუნალს, შეცვალეს ყველა უფროსი ოფიცერი, ხოლო ექვსასმა ოპერატიულმა მუშაკმა დააბრუნა უკანონოდ გაფლანგული თანხა.

ბოროტი ენები ამბობენ, დამნაშავეებს იმიტომ გამოუტანეს ასეთი უმნიშვნელო სასჯელი, რომ ეშინოდათ მათ მიერ პენტაგონის მაღალჩინოსნებზე შეგროვილი მასალების გამომზეურებისაო.

# ყვითელი მდინარე

## ჩინეთში, ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინ დაიწერა ტრაქტატი შპიონაჟზე, გადმოსაბირებელი პირების მეთოდების კლასიფიკაციით.

60-იანი წლების დასაწყისში დასავლეთი შეძრა ჩინელი ემიგრანტების მოზღვავებულმა ტალღამ, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჰონკონგის, ტაივანისა და კონტინენტური ჩინეთის ტრიადებთან. ალაპარაკდნენ კოზა ნოსტრას აღმოსავლურ ვარიანტზე, რომელიც გაცილებით სასტიკი იქნებოდა, რადგან ჰქონდა მრავალსაუკუნოვანი ისტორია, უძველესი ტრადიციები, კარგად გათვლილი იდეოლოგია.

დასავლეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლებს არაერთხელ აღუნიშნავთ: ტრიადები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ და „პრივატიზაცია" გაუკეთონ ევროპისა და ამერიკის კრიმინალური ბიზნესის რიგ მიმართულებებს, ასევე, გაავრცელონ თავიანთი საკუთარი, ტრადიციული კრიმინალური მიმართულებანი, საიდანაც მიღებული მოგება მილიარდობით დოლარით აისახება და მკაცრ კონტროლს დაექვემდებარება.

60-იან წლებში ჩინელების შემოსევა ყველაზე მეტად დაეტყო აშშ-ის დასავლეთ სანაპიროს, ჰოლანდიას, ბელგიას, საფრანგეთს, გერმანიას, დიდ ბრიტანეთსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს. საგრძნობლად დაზარალდა ამსტერდამი და ჰააგა — მსხვილი სატრანსპორტო კვანძები, ნარკოტიკების აზიიდან ევროპასა და ამერიკაში გადასაზიდი ტრადიციული გზები.

ჰააგის კრიმინალური პოლიციის კომისარმა მაშინ პირდაპირ განაცხადა: „დამნაშავეთა სამყარო, რომელსაც ჩვენ შევეჯახეთ, იმდენად დაბალი დონისაა, რომ მასთან ბრძოლა ტრადიციული მეთოდებით შეუძლებელია. ნიდერლანდების პოლიციას წარმოდგენაც კი არა აქვს, თუ რამდენი ჩინელია ქვეყანაში".

ამ მხრივ რა მდგომარეობაა მათ მეზობლებში? სამწუხაროდ, საკმაოდ ცუდი. სულ ახლახან, მოსკოვის ერთ-ერთ საერთო საცხოვრებელში იპოვეს ჩინელი ბიზნესმენი მამაკაცისა და მისი მეგობარი ჩინელი ქალის ხელ-ფეხშეკრული გვამები. და ეს ერთეული შემთხვევა როდია. საბჭოთა სახელმწიფოს ნგრევისა და სავიზო რეჟიმის შესუსტებასთან დაკავშირებით, 90-იანი წლების რუსეთში მომრავლდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ ჩადენილი დანაშაული.

მაინც, საიდან გაჩნდნენ აზიელი ემიგრანტი-არალეგალები? მათი ნაწილი სსრკ-ში კარგა ხნის წინ შემოვიდა ე.წ. „ინტერნაციონალიზმის პრინციპების" საფუძველზე. შემდგომში ისინი არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ. უცხოეთის „დამნაშავეთა ლეგიონის" სხვა წევრები შემოვიდნენ დსთ-ის გამჭვირვალე საზღვრებიდან. საგრძნობლად გაიზარდა იმ უცხოელთა რაოდენობაც, რომლებიც რუსეთს იყენებენ სატრანზიტოდ ან ლტოლვილების თავშესაფრად. ხშირად არალეგალები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი იმ პირებთან, რომლებიც რუსეთში ლეგალურად ცხოვრობენ.

მილიციის 1992 წლის სტატისტიკით, იმ წელს ქვეყანაში რეგისტრირებული იყო უცხოელების მიერ ჩადენილი 520 დანაშაული, შარშან კი ამ რიცხვმა 30.000-ს მიაღწია. ამ დანაშაულის უმეტესი ნაწილი ჩაიდინეს კრიმინალურმა დაჯგუფებებმა, ანუ ბანდებმა. ამაში გასაკვირი არაფერია. არალეგალური მდგომარეობა ყოველთვის იყო ნოყიერი ნიადაგი დამნაშავეებისათვის. ჩინელი არალეგალები ნებისმიერ ქვეყანაში აყალიბებენ თავის სახელმწიფოს და ცხოვრობენ განსაზღვრულ კრიმინალურ სამყაროში, სადაც მოენემაც კი ვერ შეაღწია. ჩინურ თანამეგობრობაში რკინისებური დისციპლინა და მკაცრი კონსპირაცია სუფევს. ნებისმიერი დარღვევა ან კლანის კანონების შეუსრულებლობა სასტიკად ისჯება. მოსკოვში მოქმედებს ორ ათეულზე მეტი ჩინური დაჯგუფება, რომლის სპეციალიზაციაა თანამემამულეების, ვიეტნამელების, ავღანელებისა და სხვა აზიელების არალეგალური მიგრაცია, რასაც ტრიადისთვის უზარმაზარი შემოსავალი მოაქვს.

დამოუკიდებელი ექსპერტების ცნობით, აზიიდან ევროპაში ერთი კაცის გადმოყვანა 5 ათასიდან 12 ათასამდე დოლარი ღირს.

ჩინელებმა რუსეთის დედაქალაქი უკვე გადაინაწილეს რუს და კავკასიელ ბანდიტებთან შეთანხმებით და მოგებაც გაინაწილეს. ისინი, ძირითადად, „აეროპორტისა" და „სოკოლის" რაიონებში ცხოვრობენ, აქვთ თავიანთი რესტორნები, სავაჭრო ცენტრები, ბაზრები... ასეთივე სურათია რუსეთის სხვა ქალაქებშიც.

სულ ახლახან, ჩინელმა ბანდიტებმა დააქუცმაცეს სამი თავიანთი თანამემამულე მხოლოდ იმისთვის, რომ მათ ვალის გადახდის ერთი დღით გადავადება ითხოვეს. სხვების დასაშინებლად, დამახინჯებული გვამები მეხუთე სართულის ფანჯრებიდან გადაყარეს. დახოცილი ჩინელების ასეთი გამოფენა ტიპური არ არის, რადგან ადამიანები, ხშირ შემთხვევაში უჩინარდებიან და მათ არც არავინ ეძებს.

მოქალაქე-ობივატელებს არ ესმით, თუ რას ნიშნავს ამ საშინელი მასის მოზღვავება. ახლახან მილიციამ გაანადგურა ჩინელი ტერორისტების — „ჩელნოკების" ბანდა. ღრმად დასაფიქრებელია ის ფაქტი, რომ არალეგალურმა ემიგრანტებმა შემოიღეს თავისი წესები და მისტიკური აღმოსავლური ატრიბუტიკა — სარიტუალო მახვილები, ნიღბები, მარაოები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ეცდებიან, ნოყიერ ნიადაგზე გააღვივონ აზიური იდეოლოგია, რომელიც ხალხს მხოლოდ სიკვდილს მოუტანს! თითქოს რა საშიშროებას უნდა წარმოადგენდეს ნიღაბი ან მარაო? მაგრამ ის, რაც თეთრკანიანი ადამიანისთვის არაფერს ნიშნავს, ჩინელისთვის ღრმა აზრითაა დატვირთული, რადგან ისინი ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუცნობ, აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზაციას განეკუთვნებიან.

ზოგიერთი დამოუკიდებელი ექსპერტის ვერსიით, მთელ მსოფლიოში ჩინელი ემიგრანტების მიერ ჩადენილი დანაშაულის ზრდა განპირობებულია დამსჯელი ექსპედიციებით, რომელიც ჩინეთიდან მოსული ბრძანებით სრულდება, რათა მიიღონ ხარკი საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეებისგან. ეს ხარკი იმდენად დიდია, რომ სამშობლოში დარჩენილი ახლობლებისა და საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, ემიგრანტი ჩინელები ნებისმიერ დანაშაულზე მიდიან.

ექსპერტების აზრით, ჩინელი არალეგალები ცდილობენ აქტიურობა გამოიჩინონ ეკონომიკურ ფრონტზე — რუსი კორუმპირებული ჩინოვნიკებისა და კრიმინალი ბიზნესმენებისგან განსხვავებით, მათ საზღვარგარეთ არ გააქვთ დანაშაულის გზით ნაშოვნი ფული. მათ ურჩევნიათ ფულის ადგილზე რეალიზაცია, იძენენ უძრავ ქონებას, ყიდულობენ პერსპექტიული საწარმოების აქციებს, ქრთამს აძლევენ ჩინოვნიკებს და ა.შ. არ არსებობს იმის გარანტია, რომ ზოგიერთი ტრიადის უკან არ იმალება აზიური სპეცსამსახურების პირქუში აჩრდილი.

რუსეთის შსს-ის მონაცემებით, მსოფლიოს სხვადასხვა დამნაშავეთა თანამეგობრობა, რუსეთის ტერიტორიას უკვე დიდი ხანია იყენებს როგორც ბაზას, თავისი ხალხის მესამე ქვეყნებში გადასასროლად და უმძიმესი დანაშაულის ჩასადენად. საკმარისია გავიხსენოთ ჩეჩნეთში არსებული საერთაშორისო ტერორისტების ბანაკები! კრიმინალების მსხვერპლნი არიან არა მარტო რუსები, არამედ უცხოელი ბიზნესმენებიც.



სხვათა შორის, დიდი ხანია ახალ წელს აღმოსავლური კალენდრით ვხვდებით, თითქოს უკვე ვიქეცით ჩინელებად. ალბათ, ვიღაცას ხელს აძლევს, რომ მოქალაქეებმა აღმოსავლური ეგზოტიკის დევნაში დაივიწყონ საკუთარი რწმენა: მართლმადიდებლობა, ისლამი, იუდაიზმი! აზიური იდეოლოგია გეგმაზომიერად და მუდმივად ინერგება საზოგადოებაში. სხვა ერის ბანდიტებს კი განსაკუთრებით ხიბლავთ აზიური სისასტიკე.

„უცხოეთის ლეგიონი" იერიშზე გადმოდის. ჯერ კიდევ ძველი ბრძენები გვაფრთხილებდნენ: „მოერიდე „ყვითელ" საფრთხეს!

# აუქციონერებმა მარია კალასი შეურაცხყვეს



პარიზში დასრულდა ცნობილი საოპერო მომღერლის მარია კალასის პირადი ნივთების ორდღიანი აუქციონი. სააუქციონო სახლი „დრუო-მონტენი“ და კერძო კოლექციონერები ვაჭრობით კმაყოფილი დარჩნენ — ხაზინაში 1,25 მლნ დოლარი შევიდა. დიდი მომღერლის შემოქმედების თაყვანისმცემლებმა და მათ, ვინც პირადად იცნობდა მარია კალასს, აუქციონი მისი ხსოვნის შეურაცხყოფად მიიჩნიეს, რადგან აუქციონზე გამოტანილი იყო ისეთი ნივთები, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ხელოვანის შემოქმედებასთან. მომღერლის ფონდი იძულებული შეიქნა, შეეძინა მომღერლის ქვედა საცვლები არა გასართობად, არამედ მისი ხსოვნის პატივსაცემად. ფონდის წარმომადგენლის ცნობით, ისინი დაწვავენ შეძენილ ნივთებს. მარია კალასის აკომპანიატორმა, პიანისტმა რობერტ საზერლენდმა ამ აუქციონს გარდაცვლილი მსახიობისა და მისი მეგობრების შეურაცხმყოფელი აქცია უწოდა.

ყველაზე ძვირად — 120 ათას დოლარად გაიყიდა — კალასის თილისმა — მეუღლის ნაჩუქარი სურათი „წმინდა ოჯახი“. მომღერლის ოქროს დისკში 27 400 დოლარი გადაიხადეს.

# რისთვის აღარ იყრებიან...

შვედეთში ათიდან ოთხი განქორწინების მიზეზია ერთ-ერთი მეუღლის ხვრინვა, ხოლო ეგვიპტეში — სიგარეტის წევა. ბრიტანეთში ცოლ-ქმარი შორდება ერთ-ერთის უწესრიგობის გამო, როცა მეუღლე პირად ნივთებსა და ტანსაცმელს მთელ სახლში ფანტავს. ტრადიციული მიზეზები — უფულობა და ღალატი — ბოლო ადგილზეა. ძალზე მოდური გახდა გაყრა სატელევიზიო გადაცემების შეფასებაში უთანხმოებისა და სიზარმაცის გამო.

ერთი ამერიკელი წყვილი ახლახან იმიტომ გაეყარა ერთმანეთს, რომ ქმარმა ვერ აიტანა ოჯახში ორი ბულტერიერი. ცოლმა კი ძაღლები არჩია...

ვირტუალური მაღაზიები და სექსი რაც არის, უკვე ყველამ იცის, მაგრამ ვირტუალური გაყრა ახალი ხილია. არც ისე დიდი ხნის წინ არაბეთის გაერთიანებული საამიროს მოქალაქემ, რომელსაც აშშ-ში გადასახლება უნდოდა, მეუღლეს ი-მეილით შეატყობინა — უკვე გაგშორდიო. იურისტები საგონებელში ჩაცვივდნენ — შეიძლება კი ასეთი გაყრა კანონიერი იყოსო?

ახალი მონაცემებით, განქორწინების ერთი მეოთხედი აშშ-ში ხდება იმის გამო, რომ „მეორე ნახევარი“ საიტს ოჯახური ბედნიერების ნიშანსვეტად მიიჩნევს.

დაბოლოს, სამწუხაროდ, გაყრა არასოდეს არ არის გვიან. 1984 წელს ამერიკელმა ცოლ-ქმარმა იდა და საიმონ სტერნებმა ხასიათთა შეუწყობლობის გამო გადაწყვიტეს გაყრა: ცოლი 91 წლისა იყო, ქმარი — 97-ისა...

# პირველი კუტიურე

ინგლისელი ჩარლზ ფრედერიკ ვორტის მოდების სახლი 1857 წელს გაიხსნა პარიზში, რიუ დე ლა პეს ქუჩაზე. აქ იმოსებოდა გასული საუკუნის ევროპის ბომონდი: იმპერატორები და დედოფლები, თავადის ასულები და ჰერცოგის მეუღლეები, ცნობილი მსახიობები და მომღერლები. ვორტი ევროპის პირველი კუტიურეა, რომელმაც წერტილი დაუსვა უსახელო მკერავის ხელოვნებას. მან პირველმა გამოიყენა მანეკენი, დაიწყო თავისი კაბების დემონსტრირება ცოცხალი მოდელების მეშვეობით, გამოაქვეყნა პირველი მოდური სურათები, თუმცა სამხატვრო განათლება არ ჰქონია.

ამას წინათ პეტერბურგში, ერმიტაჟის ერთ-ერთ დარბაზში გამოიფინა ვორტის უნიკალური ტანსაცმელი. ეს იშვიათი შემთხვევაა. საერთოდ, ამგვარი სამოსი წლობით ინახება ფონდებში. ექსპოზიცია XX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსული სამეფო კარის ყოფას ასახავს. დამთვალიერებელს შეუძლია ნახოს ვორტის მიერ შეკერილი იმპერატორ ალექსანდრე -ის მეუღლის, დედოფალ მარია ფიოდოროვნას 18 კოსტიუმი.

დედოფალი მთელი 30 წლის მანძილზე მხოლოდ ამ კუტიურეს უკვეთავდა სამოსს.

# აღმოჩენილია უნიკალური ენა



ჩინელმა არქეოლოგებმა ტიბეტში აღმოაჩინეს ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია გაურკვეველი ენით დაწერილი ხელნაწერები, წიგნები და წერილები. სპეციალისტების ჯგუფი დიდი ხნის მანძილზე ამაოდ ცდილობდა დოკუმენტების გაშიფვრას. რამდენიმე თვის წინ ჯგუფს შეუერთდა პეკინელი სტუდენტი ქალიშვილი. გოგონამ ხელნაწერები გადაათვალიერა და ნახევარი საათის შემდეგ ტექსტის თარგმნა დაიწყო. შემდეგ გაოგნებულ მკვლევარ მამაკაცებს აუხსნა ამ ენის აგებულების პრინციპები.

ამ უცნაურ ენას, რომელიც თურმე ათასწლეულების წინ შეიქმნა, მეცნიერებმა ნუშუ უწოდეს. იგი ქალების გამოგონილი ყოფილა, რათა ვერც ერთ მამაკაცს ვერ გაეგო მათი ნაწერის შინაარსი. მკვლევართა აზრით, ამ ენის შექმნაში უეჭველად მონაწილეობდა ვინმე გენიოსი. ნუშუს იეროგლიფების შექმნისას ავტორებმა გაითვალისწინეს სხვადასხვა ასაკის ქალთა ფსიქიკის ყველა ნიუანსი, ამიტომ მანდილოსანთათვის გასაგები სურათ-ხატები არაფერს ეუბნებოდა ძლიერი სქესის წარმომადგენლებს. სავსებით შესაძლებელია, რომ ნუშუს შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის მაგიას.

სამწუხაროდ, ნუშუს კვლევის პროცესი გასაიდუმლოებულია. შესაძლოა, კვლევა-ძიების შედეგები ჩვენთვის გამოცანად დარჩეს.

# მადლობა ამერიკელ პაპას



1957 წელს ამერიკელ ქიმიკოსს, ვიქტორ მილეზს შვილიშვილი შეეძინა. როცა ახალგამომცხვარმა პაპამ შვილიშვილს 23-ჯერ გამოუცვალა საფენი, თავის თავს გაუბრაზდა — ბოლოს და ბოლოს, მე ქიმიკოსი ვარ თუ არაო და დაიწყო ერთჯერად საფენებზე მუშაობა.

ყველა ნიმუშს საკუთარ შვილიშვილზე ცდიდა. უჩვეულო საფენები ბაზარზე 1961 წელს გამოჩნდა და ნამდვილი რევოლუცია მოახდინა. საფენებს „პამპერსი“ დაარქვეს (ინგლისური სიტყვიდან „პამპერ“ — განებივრება), მთელი მსოფლიოს მადლიერი დედები მზად არიან, ძეგლი დაუდგან პაპა მილეზს, რომელიც შარშან, 100 წლის ასაკში გარდაიცვალა.

პროგნოზის თანახმად, შეიქმნება „პამპერსი“, რომელიც დედას მიაწვდის პატარას ჯანმრთელობის ცნობას და რეკომენდაციასაც გაუწევს, როგორ კვებოს შვილი.

# რატომ დაყრუვდა პეტრე დიდი?

ახლახან იაპონელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სიგარეტის ბოლი იწვევს არა მარტო ფილტვების, კუჭ-ნაწლავის, ყელის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, არამედ სიყრუესაც! ადამიანს, რომელიც დღეში ერთ კოლოფ სიგარეტს ეწევა, დაყრუების ორ-სამჯერ მეტი შანსი აქვს, ვიდრე არამწეველს. თურმე, თამბაქო ხელს უშლის სისხლის მიწოდებას შუა ყურისთვის, საიდანაც გადაიცემა ხმის სიგნალები.

„სიგარეტით სიყრუის“ ტიპური მაგალითია პეტრე , რომელმაც შემოიტანა რუსეთში თუთუნი.

რუსეთის პირველ იმპერატორს თურმე ძალიან უყვარდა ჩიბუხის გაბოლება. სიცოცხლის ბოლო წლებში პეტრე სიყრუეს უჩიოდა.

პასიური მწეველები უფრო ნაკლებად ზარალდებიან, მაგრამ თუ მწეველთან ერთად ცხოვრობთ, შესაძლებელია, თქვენც დაყრუვდეთ.

# მსოფლიოს პოპულარული ცრუპენტელები

ინგლისურმა ჟურნალმა „ფორ ჰიმ“ გამოაქვეყნა მსოფლიოს ცნობილ მატყუარათა სია.

XX საუკუნის ბოლოს „ექიმმა“ კარტერ მოფატმა დიდი ქონება იშოვა დახვეული თუთუნის — „ამონიაფონის“ მეშვეობით. მწეველებს იმედი ჰქონდათ, რომ 2-3 კვირაში თუთუნის წყალობით იტალიელ ტენორებად იქცეოდნენ. საუკეთესო რეკლამა იყო თავად კარტერი, რომელსაც შესანიშნავი ხმა ჰქონდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ბუნებამ დააჯილდოვა და არა თამბაქომ.

კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი შეუდარებელი ცრუპენტელა გახლდათ გრაფი კალიოსტრო. 1784 წელს გრაფმა დაარწმუნა ლონდონელები, რომ 1800 წლისა იყო. ახალგაზრდული იერის შენარჩუნება ვითომ „ეგვიპტური ღვინის“ შემწეობით მოახერხა. ინგლისის მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები უზარმაზარ თანხებს იხდიდნენ „ჯადოსნურ ღვინოში“. მრავალი წლის შემდეგ ეგვიპტეში დასახლებული კალიოსტრო გამოტყდა, — ელექსირად საკუთარ შარდს ვასაღებდიო.

გრაფმა ვიქტორ ლუსტინგმა ორჯერ მოახერხა ეიფელის კოშკის გაყიდვა! მან დაარწმუნა ერთ-ერთი ვაჭარი, რომ ის ადგილი, სადაც ეიფელის კოშკია აშენებული, ჩემი საკუთრებააო. კოშკი დანგრევის პირას იყო. გრაფმა კომერსანტს რამდენიმე მილიონი დოლარი გამოართვა და დაჰპირდა, კოშკს დავანგრევ და მიწას მოგცემო, თავად კი საზღვარგარეთ გაიპარა. პირში ჩალაგამოვლებულ ვაჭარს შერცხვა და ეს ამბავი პოლიციაში არ განაცხადა. მადაზე მოსული გრაფი სამშობლოში დაბრუნდა და პარიზის სიამაყე მეორედ გაყიდა.

ეშმაკმა პროფესორმა ჰერბერტ ედვარდსმა ბრწყინვალედ იცოდა მშობლიური ქვეყნის ისტორია და ამით კარგადაც ითბობდა ხელს. სადღაც ამოქექა, რომ ოდესღაც კუნძული მანჰეტენი ინდიელებისგან ვინმე ედვარდსს ეყიდა. პროფესორმა შეძლო დაერწმუნებინა რამდენიმე ათასი მოგვარე, რომ კანონით მათ, ყველას, ეკუთვნოდა ცნობილი წინაპრის მემკვიდრეობის ნაწილი. სამართლიანობის გამარჯვებისათვის ჰერბერტ ედვარდსმა ჩამოაყალიბა დიდი ედვარდსის შთამომავალთა საზოგადოება და რეგულარულად კრეფდა საწევრო გადასახადს. მანჰეტენი არავის რგებია, მაგრამ თავად პროფესორმა ამ საქმით 50 მლნ იშოვა.

# ხელმოცარული ქურდები

ნოემბრის დასაწყისში ლონდონის პოლიციამ დააკავა მძარცველების ჯგუფი, რომელიც ცდილობდა 7 მლნ დოლარად შეფასებული ცისფერი ბრილიანტების მოპარვას ათასწლეულის სასახლიდან. შემოდგომაზე კომპანია „დე ბირსმა“ გადაწყვიტა, ლონდონელებისთვის ეჩვენებინა 12 უიშვიათესი ცისფერი ბრილიანტი, რომელთა შორის ბრწყინავდა 203 კარატიანი ათასწლეულის ვარსკვლავი. 9 ბანდიტმა განიზრახა გამოეყენებინა მოულოდნელობის ეფექტი და სასახლეში შეჭრილიყვნენ დილით, მუზეუმის გახსნამდე, დაცვის შეცვლის დროს. რა იცოდნენ საბრალოებმა, რომ სქოთლენდ-იარდი უკვე მზად იყო მათ დასახვედრად. 100 შეიარაღებული პოლიციელი ქუჩაში, სასახლის გარშემო, ჩვეულებრივი გამვლელივით დადიოდა, პოლიციის თანამშრომლები იყვნენ დამლაგებლები, ტაქსისტები, თვით თარჯიმნები და მუშა-გამფორმებლებიც კი.



მძარცველებმა ბულდოზერით სასახლის კარი შეამტვრიეს და ვიტრინებს ჩაქუჩებით მისდგნენ... კანონდამცავებს თითის განძრევაც კი არ დასჭირვებიათ, ისე დააკავეს ისინი — უეცარი დახვედრით გაოგნებული ბანდიტები თავად გაიშოტნენ იატაკზე. დაკითხვაზე მძარცველები უმალ გამოტყდნენ, რომ ჯგუფის ხელმძღვანელი იყო ცნობილი ვინი ტეილორი. პოლიციის ხელში ჩავარდნილმა ტეილორმა დანაშაული მას შემდეგ აღიარა, რაც შეიტყო, რომ ძვირფასეულობა შუშისა იყო. პოლიციისგან მიღებული ინფორმაციის შემდეგ „დე ბირსის“ ადმინისტრაციამ ძვირფასეულობის ასლები ბროლისგან დაამზადა...



**თარაზულად**: 6. კრემლი, ვაშინგტონი; 7. ნაცარი, ფქვილი; 8. დიანა, სვანეთი; 10. ორმო, კლდე; 12. ხელი, ვაზი; 13. ქელეხი, ხორბალი; 16. გამოცანა, ბადე; 17. ხვლიკი, ცისარტყელა; 18. გარემარბი, ფეხბურთი; 23. ცეცხლი, ვაზნა; 24. გარსი, ჰაერი; 26. წყნეთი, ტაძარი; 27. პლაკატი, სახელი; 28. ჯგუფი, ავაზაკი; 29. ლიმონი, ფეიხოა; 32. ღუმელი, ლავაში; 33. კანონი, ღმერთი.

**შვეულად**: 1. მარანი, ხორბალი; 2. ქსოვილი, იხვის ფეხი; 3. სიზმარი, მაჯლაჯუნა; 4. თხილი, შაქარი; 5. კვაჭი, სპეციალისტი; 9. მგელი, ბუნაგი; 11. მინა, ყელი; 14. კალაპოტი, წყალი; 15. საბუთი, უფლება; 19. ანძა, ეკრანი; 20. გვარი, შოტლანდია; 21. წლოვანება, ხანი; 22. დანაშაული, სისხლი; 25. მოვალეობა, როლი; 30. ატომი, მუხტი; 31. ხმიადი, ებრაელი.

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 5. სერვიზი; 6. ფუნთუშა; 10. ლიფტი; 11. ტრიფონი; 12. ფრაკი; 15. თავლა; 16. კაირო; 18. ფარდა; 20. დანა; 21. გემი; 23. ლომი; 24. ტაფა; 26. ირინა; 30. ბოსი; 31. ბასტი-ბუბუ; 33. აუტი; 39. უნარი; 40. მანდილი; 41. ფანტა; 42. ანანასი; 43. ოპიზარი.

**შვეულად**: 1. სექტა; 2. ბზარი; 3. მუშნი; 4. ეშერა; 7. სინათლე; 8. აფონია; 9. აკლდამა; 13. გვარდია; 14. ლიფსიტა; 16. კენჭი; 17. ორერა; 19. შორტი; 22. აფიშა; 25. ვიოლინო; 27. რეტი; 28. ნება; 29. არტისტი; 31. ბლუ; 32. ურო; 34. კრინი; 35. შანსი; 36. ყდა, 37. კლიპი; 38. ჟანრი.

# ნებისმიერ კოვბოის შეუძლია სახელმწიფოს მართვა

**ეს გამონათქვამი ძალიან ჰგავს ლენინის თეორემას — „სახელმწიფოს მართვა ნებისმიერ მზარეულ ქალს უნდა შეეძლოს“. რაღა თქმა უნდა, აშშ-ის 41-ე პრეზიდენტის, ჯორჯ ბუში-უფროსის ვაჟი — აშშ-ის 43-ე პრეზიდენტი „მზარეული“ ნამდვილად არ არის. იგი ნამდვილი ტეხასელი კოვბოია, მაგრამ ეს, როგორც ირკვევა, გაცილებით ცუდია, ვიდრე მზარეულობა, რადგან მზარეულები თავიანთი მზარეულობით არც ტრაბახობენ და არც ამაყობენ. სხვანაირადაა საქმე ჯორჯ ბუში-უმცროსთან დაკავშირებით. რაღა თქმა უნდა, ამერიკელ პრეზიდენტებზე წინათაც ბევრ ანეკდოტს ჰყვებოდნენ — მაგალითად, რეიგანის დაბნეულობაზე, მაგრამ ბუშისნაირი პრეზიდენტი ამერიკას ბოლო ასწლეულის მანძილზე არ ჰყოლია.**

## რატომ იგებს ბუში ყოველთვის?

ერთხელ 13 წლის ჯორჯი და მისი მეგობარი დუგ ჰენი დედა ბარბარამ ჰიუსტონის გოლფ-კლუბში წაიყვანა. ჯორჯს თამაში არ გამოუვიდა და გინება დაიწყო. ბარბარა იძულებული შეიქნა, ბიჭი გოლფის მოედნიდან გამოეყვანა, მანქანაში ჩაესვა და შინ გაემგზავრებინა. როგორც მისი მეგობარი ჰენი ამბობს: „ჯორჯი თავისი ტემპერამენტის შესაბამისად მოიქცა. მას საერთოდ, წაგება არ შეეძლო... მაშინაც კი, როცა აგებს, ჯორჯი არ აგებს, — აკეთებს დასკვნებს იგივე ჰენი, — იგი ან ანგარიშს აყალბებს, ან თამაშის წესებს ცვლის მანამდე, ვიდრე არ მოიგებს. უკიდურეს შემთხვევაში, იგი უბრალოდ წყვეტს თამაშს და მიდის. მსგავს საქციელს ვინმეს იშვიათად აპატიებენ. ჯორჯს კი ყველაფერი გაუდიოდა იმიტომ, რომ ძალიან სასიამოვნო ბიჭი იყო.“



პატარა ჯორჯი ოთხი წლისაა და უკვე გინებაც იცის.

ბუშის მეორე მეგობარი როლანდ ბეტსი კი იგონებს, როგორ თამაშობდნენ ისინი ტენისს 1992 წელს: „ჯორჯი პირდაპირ გვამასხარავებდა. დაგვცინოდა, მაიმუნობდა და შეუსვენებლად ყბედობდა. თოვლი წამოვიდა. მან კი ჩვენ, მოგებულები, კორტებიდან არ გაგვიშვა, ვიდრე მოგებულად არ ვაღიარეთ.“

## როგორ იწრთობოდა ფოლადი?

ოჯახური გადმოცემის თანახმად, ბუშს ეს „გამარჯვების ჟინი“ მემკვიდრეობად ერგო ბებიამისის, დოროთი უოკერ ბუშისგან, რომელიც თავგადაკლული მოცურავე იყო და მენის სანაპიროზე (სადაც არის ბუშების საგვარეულო მამული) შორ დისტანციებზე ცურვაში ვერავინ სჯობდა. დოროთიმ თავისი შვილებისა და შვილიშვილებისათვის შეადგინა ტაბელი, სადაც სპორტის ყველა სახეობაში მიღწევები ქულებით აღინიშნებოდა. როგორ არ ცდილობდა ბუში-უმცროსი მამამისის, ბუში-უფროსის — იელის უნივერსიტეტის ბეისბოლის გუნდის ყოფილი კაპიტნის, მფრინავისა და ცსს-ის დირექტორის დამარცხებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ზოგიერთი „ბუშოლოგი“ მიიჩნევს, რომ სწორედ ამ ვითარებამ ითამაშა მთავარი როლი უმცროსი ბუშის ხასიათის ჩამოყალიბებაში.

არადა, ეს დედის დამსახურებაცაა. ბარბარა პატარა ჯორჯს პირსახოცით ამათრახებდა და დამცინავი ეპითეტებით ამკობდა. ხანდახან დედის „სპარტანული“ აღზრდის მეთოდი ისეთ მკაცრ ხასიათს იღებდა, რომ მამა ამას ვერ უძლებდა და ოთახიდან გადიოდა.

ბუშების ოჯახის ახლო მეგობრის, ლუის პოლკის აზრით, „ჯორჯ-უმცროსი არის კლონირებული ბარბარა-დედა.“ ბუში-მამა კი ხშირად იტყოდა ხოლმე: „ძალიან მიყვარს ჩემი ცოლი, მაგრამ ხანდახან საზღვარს გადადის და სისულელეების როშვას იწყებს. ჯორჯი სულ მას ჰგავს.“

ბარბარა კი თავის შთამომავლობაზე დიდ იმედებს ამყარებდა. როცა 60-იან წლებში ძმები კენედები ამერიკის მმართველთა ახალ დინასტიაზე ალაპარაკდნენ, ბარბარამ თქვა: „დამაცადეთ, მალე ჩემს ბიჭებსაც ავუშვებ და მაშინ ნახეთ (ბუშებს სამი ვაჟიშვილი ჰყავთ).“

თავად უმცროსი ჯორჯი პოლიტიკურ კარიერაზე საერთოდ არ ფიქრობდა. როგორც მისი ბავშვობის მეგობარი ჩარლი იანგერი ამბობს, „ჯორჯს ეს სისხლში ჰქონდა, მაგრამ არა თავში“. ჯორჯს თავში ქარი უქიქინებდა. იგი სიცოცხლით ტკბებოდა — დაქეიფობდა, კოკაინით ერთობოდა, ბეისბოლს აღმერთებდა და ყველას, ყველას უყვარდა. როგორც პოლკი ამბობს: „ჯორჯი გარშემო მყოფთ იოლად ხიბლავდა, ამასთან, არაფერი ანაღვლებდა. იგი ბუნებით ლიდერი იყო, მაგრამ აკლდა მოტივაცია.“ მშობლების აზრით, იგი პოლიტიკოსობას მხოლოდ იმიტომ არ მოინდომებდა, რომ პოლიტიკური ცხოვრება ნაკლებად მხიარული და მიმზიდველია.

## ადამიანი, რომელმაც გაროზგა პრეზიდენტი

ჯორჯ ბუში-უმცროსი ტეხასში სწავლობდა. ერთხელ, როცა მეოთხე კლასში იყო, სახეზე მელნით წვერ-ულვაში დაიხატა. მასწავლებელს, ფრენსის ჩილდრესს ბიჭის ოინბაზობა თვალში არ მოუვიდა და იგი დირექტორთან წაათრია. დირექტორი ჯონ ბიზილო მეტად მკაცრი, წესრიგის მოყვარული ადამიანი გახლდათ — მან უწესო, მელნით სახეგათხუპნილ ბუშს შარვლის ჩახდა უბრძანა. მერე ყუთიდან დიდი საეგზეკუციო ჯოხი ამოიღო და ცელქ ბიჭს უკანალზე სამჯერ გადაუჭირა.

— როცა დავარტყი, ჯორჯმა ისეთი ღრიალი მორთო, თითქოს კლავდნენ. მაგრამ ეს დასჯა სამუდამოდ დაამახსოვრდა, — იხსენებს აწ უკვე ღრმა მოხუცებული ჯონ ბიზილო. ახლა მას შეუძლია იამაყოს, რომ იგი ერთადერთი ადამიანია (რაღა თქმა უნდა, ბუშის მშობლების გარდა) პლანეტაზე, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტი გაუროზგავს. ალბათ, როგორ შურს ბიზილოსი ალბერტ გორს.

## რატომ არ უყვარს კლინტონი?

ბუში-უმცროსი სუპერპრესტიჟულ იელის უნივერსიტეტში სწავლობდა. მისი და პოლიციის ნაცნობობაც პირველად მაშინ შედგა. მომავალი პრეზიდენტი ოტელიდან საშობაო გვირგვინის მოპარვის მცდელობისთვის დააპატიმრეს. მეორეჯერაც ქურდობისთვის დააკავეს — ბუშს იელისა და პრისტონის უნივერსიტეტებს შორის გამართული საფეხბურთო მატჩის შემდეგ კარის ძელის მოპარვა უნდოდა! პოლიციამ ქურდი პირდაპირ კარიდან ჩამოხსნა, დაჰკითხა და პრისტონიდან (სადაც შეხვედრა მიმდინარეობდა) გააძევა.

და რაც ნიშანდობლივია, სტუდენტი ჯორჯ ბუში-უმცროსი ლუდის ბარებში ბობოქრობდა და არა ბარიკადებზე. იმ დროს, როცა კლინტონი, გორი და ბევრი სხვა მისი თაობის სტუდენტი ვიეტნამში ომს პროტესტს უცხადებდა, ბუში აპოლიტიკურ სფეროში ცელქობდა. სხვა მხრივ კი, ულტრაპატრიოტი გახლდათ, არასოდეს მოუშვია თმა-წვერი, ყოველთვის სუფთად იყო გაპარსული. მას შეეძლო აკვარიუმიდან ოქროს თევზები ამოეყვანა და გადაეყლაპა, შეეძლო მოეპარა საფეხბურთო კარის ძელი, დაერღვია წესრიგი, მაგრამ კანონისა და სისტემის საწინააღმდეგო არასოდეს არაფერი გაუკეთებია. მას მამამისიც კი კონსერვატორად მიიჩნევდა. „წარმოიდგინეთ, რა მტკივნეული იქნებოდა ჩემთვის იმის გაგება, რომ მამაჩემისთვის იდეალი ალბერტ გორი იყო“, — ამბობდა მერე მწარე ირონიით უმცროსი ბუში.

ბუში მაშინ პოლიტიკურ თემებზე, განსაკუთრებით, ვიეტნამზე საერთოდ არ ლაპარაკობდა, მამასთანაც კი. ყოფილი პრეზიდენტის ვაჟიშვილი აპოლიტიკური და ანტიინტელექტუალური სტუდენტი გახლდათ. როგორც მისი მეგობრები ამბობენ, „ჯორჯს ვიეტნამის ხსენებაც კი არ უნდოდა და კირკეგორს არ კითხულობდა.“

მაგრამ სწორედ ამ აპოლიტიკურობასა და ანტიინტელექტუალიზმზე აღმოცენდა შემდეგ კონსერვატორული ფილოსოფია და ამანვე განაპირობა „კვერცხისთავა“ ლიბერალის სიძულვილი.

ბუშს კლინტონი სტუდენტური წლებიდანვე არ უყვარდა, მეტიც — ვერ იტანდა. კლინტონისადმი ზიზღი მხოლოდ პარტიული ხასიათისა არ არის, იგი, ძირითადად, პირადულია. თუმცა უნდა ითქვას, რომ არც იმას, ვინც ამბობდა, „ხელები შორს ვიეტნამისგან“, და არც იმას, ვინც ვიეტნამზე საერთოდ კრინტს არ ძრავდა, ამ ომში მონაწილეობა არ მიუღია. კლინტონმა მობილიზაციას ინგლისში გაქცევით დააღწია თავი, ბუში კი მამის მეგობრებმა ტეხასის ნაციონალურ გვარდიაში ჩარიცხეს. ჯორჯი დიდი პატრიოტი კი იყო, მაგრამ მამის მსგავსად სამშობლოსთვის სისხლის დაღვრა არ უნდოდა.

## სამოსანი

ჯორჯ ბუშმა უნივერსიტეტი სამებზე დაამთავრა და ამიტომაც კიდევ უფრო მეტად ვეღარ იტანდა „კვერცხისთავას“. ახლანდელ წინასაარჩევნო კამპანიის დროს თავლაფს ასხამდა იმ „ელიტარულ არსებებს, რომლებიც მხოლოდ იმიტომ, რომ იელის დიპლომები აქვთ, ფიქრობენ თითქოს ჩვეულებრივ ადამიანებზე ჭკვიანები არიან და უფლება აქვთ ყველას ჭკუა ასწავლონ“.

ბუში ცუდად სწავლობდა ანდოვერის კოლეჯშიც. პირველივე წერით სამუშაოში, ლიტერატურაში ნული მიიღო. თანაც ეს ნული მასწავლებელმა წითელი მელნით და დიდი ზომისა დაუწერა. მაგრამ, ეტყობა, ეს ბუშის



ნამუშევრისადმი თავისი დამოკიდებულების გამოსახატავად საკმარისად არ მიიჩნია და ნაშრომს ქვემოთ მიაწერა: „საძაგლობაა! სამარცხვინოა!“.

კოლეჯის დიდ სასადილოში ბუში და სხვა შფოთისთავები ერთ მხარეს ისხდნენ, „ბეჯითი მოსწავლეები“ კი — მეორე მხარეს. შფოთისთავები ბეჯითებს კარაქის ნაჭრებს ესროდნენ, აქაოდა, შესაძრომად კარგად გაიქონეთო.

## ღმერთმა დედოფალი ვერ დაიფარა

არც ჭაბუკობაში დაჭკვიანებულა ბუში. ერთხელ მამამისმა, პრეზიდენტობის ჟამს, ინგლისის დედოფალ ელისაბედ -ის პატივსაცემად ბანკეტი გამართა. წინდახედულმა ბარბარამ ყოველგვარი მოულოდნელი უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, თავისი უფროსი ვაჟი მაგიდის მეორე ბოლოში დასვა — რაც შეიძლება შორს მისი უდიდებულესობისაგან. მიუხედავად ამისა, ჯორჯმა მაინც მოახერხა და დედოფალს შემდეგი სიტყვებით წარუდგა: „მე ჩემს ოჯახში თეთრ ყვავად ვითვლები“. ამაზე მისმა უდიდებულესობამ, სწორედ დედოფალს რომ ეკადრება, ისე აწკიპა წარბები და თქვა: „ო!“ დედოფლის ლაკონიურმა პასუხმა, ჩანს, პრეზიდენტის ვაჟი ვერ დააკმაყოფილა და ინტერესით ჰკითხა:

— თქვენს ოჯახში ვინ არის თეთრი ყვავი?

— ეს კი თქვენი საქმე არ არის, — მკვახედ უპასუხა დედოფალმა.

ჯორჯ ბუში მის უდიდებულესობას მაინც არ მოეშვა და საიდუმლოდ გაანდო, ჩემს კოვბოურ ჩექმებზე „ღმერთო, ჰფარვიდე დედოფალს!“ ამოვტვიფრეო. ეს რა არის, მისი უდიდებულესობა კიდევ იოლად გადარჩა. ნაკლებად გაუმართლა დედამისის მეგობარს, 50 წლის ხანში შესულ ქალბატონს, რომელიც ბუშებთან სტუმრად იყო. კარგად შეზარხოშებული ბუში პატივცემულ მატრონას ხელზე ეამბორა და ისე, სხვათა შორის, ჰკითხა: „ქალბატონო, როგორია სექსი 50 წლის ასაკში?!“ ქალბატონმა გაოცებისაგან მეტყველების უნარი დაკარგა.

„ბუში პატარა ბიჭივით იქცეოდა, რო-



1981 წელი. ჯორჯი — ორი ქალიშვილის ბედნიერი მამა. იგი ცოლს აღარ ღალატობს.

გორც მდიდარი მშობლების უმწიფარი შვილიკო“, — იგონებს მისი ერთ-ერთი კოლეგა. ამის გამო მეგობრებმა ჯორჯს მეტსახელად ბომბასტიკ (გაბღენძილი) ბუშკინი შეარქვეს.

## სექს-ტური პეკინში

ერთხელ ბომბასტიკის მიზეზით, კინაღამ ამერიკა-ჩინეთს შორის კონფლიქტი წარმოიშვა. უფროსი ბუში, ჩინეთში ელჩად ყოფნის დროს, ვაჟიშვილმა მოინახულა. ჯორჯმა არც აცია, არც აცხელა და ჩინელ გოგონასთან რომანის გაჩაღება მოისურვა. მაგრამ იმ დროს ჩინეთში გოგონები ბულვარულ რომანებს კი არა, მაო ძე დუნის „წითელ წიგნს“ კითხულობდნენ, ქვეყანაში კულტურული რევოლუცია მძვინვარებდა და ამიტომაც ახალგაზრდა, უკულტურო კონტრრევოლუციონერის სატრფიალო თავგადასავალი შეიძლებოდა შეფასებულიყო, როგორც იმპერიალისტური ამერიკის მხრივ მაოისტი ქალების კომუნისტური მორალის გახრწნის მცდელობა. ბუშმა-უფროსმა ვაჟი მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, სასწრაფოდ შტატებში გაამგზავრა.

## რატომ იძინებს ბუში მამაკაცებთან ერთად?

ცოლის შერთვის შემდეგ, ჯორჯ ბუში ქალებისკენ აღარ იხედება, ხოლო „მონიკაგეითის“ შემდეგ ყველა ოდნავ მომხიბვლელ ქალშიც კი მონიკა ლევინსკი ელანდება.

1998 წელს, როცა ბუში ტეხასის გუბერნატორად იყრიდა კენჭს, ერთი ახალგაზრდა ქალი ძალიან ცდილობდა, მომავალი გუბერნატორისთვის თავი მოეწონებინა. საარჩევნო შტაბის მუშაკები ერთმანეთს ეკინკლავებოდნენ, წამოეგებოდა თუ არა მათი ბოსი მომხიბვლელი ქალის გადმოგდებულ ანკესზე... და მოულოდნელად იფეთქა სკანდალმა, მაგრამ არა სექსუალურმა. ბუშმა საჯაროდ, ყველას თანდასწრებით, მეტად უხეშად მოიშორა აბეზარი ქალბატონი. ბუშის საქციელმა მისი თანამშრომლების აღშფოთება გამოიწვია. „ეს იმას ნიშნავს, რომ ცოლიანი კაცი ვარ“, — აუხსნა მომავალმა გუბერნატორმა მათ.

„მონიკამანია“ ხანდახან სრულ აბსურდამდე აღწევდა... როცა ბუში რომელიმე სასტუმროში ჩერდებოდა, თავის ნომერში ღამის გასათევად დაგ ვიდს ეპატიჟებოდა. როგორც დაგ ვიდი ამბობს: „ამას იგი ქალების თავიდან მოშორების მიზნით აკეთებდა. უნდოდა, ყველას სცოდნოდა, — რომანი არავისთან მაქვსო.“

## გინების დიდოსტატი

სიტყვაბილწი ბუში-უმცროსი ყოველთვის იყო. 1951 წელს მამამისი თავის მეგობარს სწერდა: „ჯორჯი გაიზარდა, თითქმის კაცია. უკვე ოთხ-ნახევარი წლის არის. მეტისმეტად ყვინჩილობს, ბილწსიტყვაობს კიდეც“.

ერთხელ მშობლების თანდასწრებით გუდას პირი მოხსნა და ყველა უცენზურო სიტყვა, რაც კი იცოდა, ერთბაშად გადმოაფრქვია. დაისაჯა კიდეც ამისთვის მკაცრად — დედა ბარბარა შვილს ყურში სწვდა, აბაზანაში შეათრია და პირი საპნიანი წყლით გამოარეცხვინა.

ეტყობა, ამან ვერ უშველა მომავალ პრეზიდენტს, რადგან საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის დროსაც ბილწსიტყვაობდა.

შვილისგან განსხვავებით, უფროსი ბუში მეტად თავშეკავებული გახლდათ. ბომბასტიკი იგონებს: „მამაჩემს ძალიან უჭირდა ჩემთან სექსზე საუბარი, რცხვენოდა რჩევის მოცემა. ის კი არა, სიტყვა „პრეზერვატივიც“ კი ვერ წარმოთქვა“.

უფროსი ბუშის მრისხანება მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შემოიფარგლებოდა: „შენ მე იმედი გამიცრუე, შვილო!“ სამაგიეროდ, ჯორჯ-უმცროსს მამამისი ერთხელ კინაღამ შემოელახა... შობის წინა დღეს ჯორჯი გვარიანად გამოთვრა. მაშინ 26 წლისა იყო. სამაგალითოდ იქცევაო, ნამდვილად ვერ იტყოდით. ჰოდა, ქეიფიდან შინ რომ ბრუნდებოდა, მანქანა მეზობლის ნაგვის ყუთს დაააჯახა. ატყდა ჩხუბი. მამამ შვილს უბრძანა, ახლავე ჩემთან, კაბინეტში ამოდიო. სასმლით ტვინგახურებული ჯორჯი მამამისის კაბინეტში ღრიალით შევარდა: „რა, გინდა მუშტებით ვიჩხუბოთ? როგორც კაცი კაცს...“ მამა-შვილი უმცროსმა ძმამ, ფლორიდის ახლანდელმა გუბერნატორმა, ჯეპმა გააშველა.

## ნორჩი ნატურალისტი

ამერიკის ახლანდელ პრეზიდენტს რთული დამოკიდებულება ჰქონდა ცხოველებთანაც, განსაკუთრებით, ბაყაყებთან. ერთი ხანდაზმული ქალბატონი, ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრი, თავს უყრიდა იმ კვარტალის ბიჭებს, სადაც ბუშები ცხოვრობდნენ და რძითა და ორცხობილათი უმასპინძლდებოდა, თან ცხოველების სიყვარულს უნერგავდა. ბიჭები გემრიელად შეექცეოდნენ ტკბილეულს, ხოლო როცა ქალი მათ დამოძღვრას დაამთავრებდა, სასწრაფოდ გარბოდნენ ბაყაყების დასახოცად...

იმ ხანდაზმულმა ქალბატონმა ჯორჯ ბუშს ცხოველები ვერ შეაყვარა.

მშობლებმა წესიერი ლაპარაკი ვერ ასწავლეს.

მამამ შვილს პრეზერვატივის გამოყენება ვერ ასწავლა. სამაგიეროდ, ასწავლა, როგორ გამხდარიყო პრეზიდენტი.



**ე.შ.** — ეს რა არის, ვანიჩკა? ქორწილი გამომაპარეთ თუ რავაა თქვენი საქმე?
**ვ.ზ.** — კითხულობს: „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი“.

***გალა ქტიონიშვილი, თბილისი***



**ზ.ჟ.** — გამარჯობათ ბატოო! მე ზურაბი ვარ, ჟვანია, თქვენ ბატონი სქოული, არა?
**მ.ს.** — იეს, იეს, AES-TELASI!
**ზ.ჟ.** — ვახ, ჰაიეს! ეხა არ გადამრიო! სომეხი ხარ, ბიჭო?

***ს. კიცხელი, თბილისი***



**რ.გ.** — რატომ ხარ, ჯანსულ, ამ სურათში მთლად შიშველი?
**ჯ.ჩ.** — ბავშვობის სურათი დამეკარგა და გუშინ გადავიღე.

***ელგუჯა შალამბერიძე***



**ს.ა.** — ანზორ, უკან არ მიიხედო, მგონი გვითვალთვალებენ.
**ა.ბ.** — არ მეშინია, ჩემო სოსო, ვერ მიცნობენ, თმები სხვანაირად მაქვს დავარცხნილი.

***დათო, თბილისი***



**ნ.ჯ.** — ბიჭო, გაიგე?! ამერიკელებს წამალი გამოუგონიათ, 150 წლამდე იცოცხლებს თურმე ადამიანი.
**ი.მ.** — დავიღუპეთ!!! ჩვენი შვილთაშვილების პრეზიდენტიც შევარდნაძე იქნება?!

***ნუგზარ ბარათაშვილი, თბილისი***



**დ.თ.** — ხანდახან მგონია, რომ ვლაპარაკობ რაღაცას, მაგრამ თურმე ჩუმად ვარ.
**ჯ.ხ.** — ხმა ამოიღე რა, რას გაჩუმებულხარ!

***ვალოდია, თბილისი***



**ე.შ.** — ვხედავ თევზაძე-ეს
თოფით მხარზედა-ა,
ჯარიც მეტი ჰყა-ავს
თავის თმაზედა.

***(კ/ფ „იმერული ესკიზები“)***
***მამუკა ჩხიროძე, სამტრედია***



იმერული ვარიანტი
**რ.ყ.** — ბატონო ვიტალი! მიირთვით კიდევ ერთი ნაჭერი ხაჭაპური.
**ვ.ხ.** — უკვე მივირთვი ორი ნაჭერი, გემრიელია ძალიან.
**რ.ყ.** — ორიც მიირთვი და სამიც, მაგრამ გადაიღე კიდევ.

***ვლადიმერ ფოფხაძე, თბილისი***



**კ.თ.** — ექიმო, რაღაც ამ ბოლო დროს ძალიან ადვილად ვღიზიანდები.
**ა.ჯ.** — რა ბრძანეთ?
**კ.თ.** — ჰა ახლა!! ნერვები არ ამიშალო!

***ნინო სურმავა, თბილისი***



**დ.მ.** — ვავა, ნენა, რომელ წყალში გადავვარდე, მაგრამ ეგრეც რომ ვქნა, რომელიმე ჰესის ტურბინაში გავიჩხირები და მაინც მე დამაბრალებენ უდენობას.

***ბადრი კობახიძე, რუსთავი***



**ვ.ჩ.** — დავით, თუ იცი, რა არის „მწვანეა და ჭაობში ცხოვრობს“.
**დ.თ.** — ტანკი.
**ი.მ.** — ჰმ, იცოდი, არა?!

***უ. ოქროპირიძე, მცხეთა***



**ლ.გ.** — ამბროსიჩ, მაგ ჭიქას ნუ დალევთ, ბიჭებმა გაიხუმრეს და საწამლავი ჩაუყრიათ. აგერ, მეორეს მოგაწვდით.
**ე.შ.** — ჰმ, მიყვარს ხუმრობა, მიყვარს...

***იოსებ მაგრაქველიძე, თბილისი***



**ე.შ.** — რაფერ ხართ, ძამა, მამულეთში?
**ზ.ჟ.** — თქვენ რომ გაგიხარდებათ, ისე!
**ე.შ.** — რავა, დაწყდით სუყველა?

***მამუკა ღვალაძე, ბაღდათი***



**გ.ა.** — რომ არ დამვიწყებოდა, ხელისგულზე კი დამინიშნია, კაცო, მაგრამ რა არ უნდა დამვიწყებოდა, რომ აღარ მახსომს?! (თავისთვის): ეჰ, გია, გია, რა „მორევში“ ჩაგაყოფინეს თავი!

***ს. თელაველი, თბილისი***



**ვ.ლ.** (ფიქრობს) — ვაიმე, დედა! ისევ მაჯლაჯუნები მელანდება. ახლა თვალს გავახელ და თუ კიდევ აქ იქნება და თან კიდევ იცინის, ნამდვილად გავგიჟდები.

***ზურაბ გვიშიანი, თბილისი***



**ვ.რ.** — შევარდნაძე სანაგვეზე...
მღებრიშვილიც სანაგვეზე...
**თ.მ.** — ბიჭებო, გაკოჭეთ ეს მუტრუკი და თბილისის ნაგავსაყრელზე დააგდეთ.
**ვ.რ.** — ხელი... ხელი გამიშვით თქვე ნაგვებო, თქვენა!

***ზაზუ, თბილისი***



**ბ.გ.** — ამბროსიჩ! 3 „ლიმონს“ ვიხდი და კიდევ ერთხელ დამამტკიცეთ მინისტრად.
**ე.შ.** — ანგელოზის ფრთებს თუ ხედავ ჩემს ზურგზე?
**ბ.გ.** — დიახ!
**ე.შ.** — დიახ და წადი ახლა, ცოდვა არ ჩამადენინო ამ ანგელოზ კაცს (მარცხენა ხელით იღებს პისტოლეტს)!

***გ.ბ. „გურჯაანელი“***



**ნ.ლ.** (ფიქრობს) — მახათიც ველარ გვშველის „სმკ“-ელებს, რითი გინდა ამ უდენობაში, გაერთო კაცი? ნათაძე მაინც გამოივლიდეს, ბორჯომს შევასხამდი.

***უავტორო***



პრეზიდენტს მიესალმებიან მოცეკვავე ოფოფები (ქართული მულტფილმის მიხედვით)

***ლია ბედოშვილი, მცხეთა***



**ნ.შ.** (ფიქრობს) — ხო, მიდი, მიდი გამიშალე ხელები. ოხ, ედუარდ, ედუარდ, მოიცა, მოდი სახლში, არ გამიბლატავა ეს ჟვანიები?

***თორნიკე მეუნარგია, თბილისი***



(ხმა პარლამენტის დარბაზში) — ახლა ჩვენ წინაშე მოხსენებით წარდგება ფინანსთა მინისტრი, ბ-ნი ზურაბ ნოღაიდელი და წლის განვლილი თვეების მუშაობის ანგარიშს ჩაგვაბარებს.
**ზ.ნ.** (ფიქრობს) — ვაიმე, თუ ფინანსთა მინისტრი ვარ, დავიღუპე.

***(კ/ფ „ლონდრეს“ ვარიანტში)***
***ლ. ქაჩიბაია, თბილისი***



**მ.მ.** — აი, სათვალეც გავიკეთე და ვიწყებ თქვენი ხელების დათვალიერებას, ფრჩხილები დაჭრილი გაქვთ? აბა, ჯერ შენი მანახე, კახა!
**კ.თ.** — აუ, ჯერ ვახოსი ნახე, რა...

***დათო დარბაიაძე, გორი***



**ჯ.ბ.** — პარლამენტში გამოზრდილ ღორებზე რომ გვაქეიფეთ დეპუტატებმა გუშინ, ჯიგრის ყაურმა რატომ არ მოიტანეს, რეზო?
**რ.ყ.** — ჯიგარი არც ერთს არ ჰქონდა.
**ჯ.ბ.** — რას ამბობ, კაცო, ღორს ჯიგარი არ ჰქონდა?
**რ.ყ.** — პარლამენტში გაზრდილს ჯიგარი ექნებოდა?!

***ლელა-„გოგიტა“, თბილისი***

**„საბალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები:**

. *ეს ნივთებია:* გასაღები და ძაფი ნემსით.

. *რებუსი:* ახალი წელი მოსულა, ახალი სიხარულითა...

. *საახალწლო კროსვორდი:* 1. გველი; 2. ჩიჩილაკი; 3. კალანდა; 4. ბროლია; 5. ცოცხს; 6. გოზინაყი; 7. კარნავალი; 8. თხილი; 9. ინდაური; 10. ჩურჩხელა; 11. შობა; 12. თოვლი; 13. წიწვი; 14. მეკვლე; 15. ლაპლანდია; 16. ვარსკვლავი.

V. *საახალწლო გამოცანები:*
ა) ნაძვის ხე; ბ) თოვლი.

# პირველი ქართველი ესპანეთში

## გიორგი დემეტრაძე „რეალ სოსიედადის“ ღირსებას დაიცავს



კიევის „დინამოს“ აწ უკვე ყოფილი ფორვარდი, 24 წლის გიორგი დემეტრაძე ამიერიდან ესპანეთის პრიმერა დივიზიონის კლუბის — „რეალ სოსიედადის“ ღირსებას დაიცავს, რომლის განკარგულებაშიც 2004 წლის 30 ივნისამდე იქნება. შეთანხმება ითვალისწინებს, აგრეთვე, კონტრაქტის გაგრძელებას კიდევ ორი წლით. ოფიციალური მონაცემებით, ბასკურმა კლუბმა ქართველი თავდამსხმელის სანაცვლოდ, დაახლოებით 800.000.000 პესეტა ($4.250.000) გადაიხადა, თუმცა ესპანელი ჟურნალისტების მტკიცებით, ეს თანხა $4,9 მილიონს შეადგენს, რაც კლუბის ისტორიაში სარეკორდოა.

კონტრაქტის მიხედვით, დემეტრაძეს კიდევ ერთ წელიწადს უნდა ეთამაშა კიევის „დინამოში“, მაგრამ ვალერი ლობანოვსკიმ თავად გადაწყვიტა ქართველის გაყიდვა. 19 დეკემბერს „დემემ“ ბოლო ვარჯიში ჩაატარა უკრაინულ კლუბში და იმავე დღეს გაფრინდა ესპანეთში, მეორე დღეს კი კონტრაქტიც გააფორმა. 21 დეკემბერს დემეტრაძე სან-სებასტიანის „ანოეტას“ სტადიონზე ადგილობრივი პუბლიკის წინაშე წარდგა. ბასკებს იმედი აქვთ, რომ ქართველი ფორვარდი ღირსეულად შეცვლის თურქეთის ნაკრების ფორვარდს — არიფს, რომელმაც „სოსიედადი“ რამდენიმე თვის წინ დატოვა.

— სამშაბათს შემატყობინეს, რომ სასწრაფოდ უნდა შემეწყვიტა ვარჯიში და ერთ საათში გასაფრენად მზად ვყოფილიყავი. კიევიდან პარიზში გავფრინდი, იქიდან — სან სებასტიანში. კონტრაქტის პირობებით კმაყოფილი ვარ. იმედია, ახალ კლუბში თავს მაქსიმალურად გამოვავლენ, — განაცხადა ფეხბურთელმა სან სებასტიანში ჩასვლიდან მეორე დღეს.

სან სებასტიანის „რეალ სოსიედადი“ უკანასკნელი სამი ათეული წელია, პრიმერა დივიზიონში გამოდის. კლუბი ახლა უმძიმეს კრიზისს განიცდის და სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე იმყოფება. ასეთმა სავალალო მდგომარეობამ აიძულა ბასკური კლუბის ხელმძღვანელობა, სასწრაფოდ გამოეძებნა გზები უმაღლეს დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად. პირველი ნაბიჯი ცნობილზე ცნობილი მწვრთნელის, ესპანეთის ნაკრების ყოფილი დამრიგებლის — ხავიერ კლემენტეს გათავისუფლება გახლდათ, თუმცა მდგომარეობა ვერც მისმა შემცვლელმა — პერიკო ალონსომ გამოასწორა და ორიოდე დღის წინ ისიც გადადგა. მეორე ნაბიჯი ბევრად რადიკალური აღმოჩნდა, კლუბის დირექტორთა საბჭომ პრეზიდენტ ლუის ურანგას ხელმძღვანელობით, გამოაცხადა, რომ მომავალი წლის მარტში კლუბის მთელი თავკაცობა გადადგებოდა. თუმცა ურანგამ შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა.

გუნდის გადარჩენის ერთადერთ იმედად ბასკური კლუბის გულშემატკივრები ძლიერ ფინანსურ ბაზას მიიჩნევენ. ქართველი ფორვარდის ტრანსფერი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მიმდინარე წელს ესპანურ ფეხბურთში. ფეხბურთელების შესაძენად უფრო დიდი თანხები მხოლოდ იმ კლუბებმა გადაიხადეს, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში გამოდიან ან გამოდიოდნენ.

თავად ფეხბურთელისთვის რომ ესპანეთში სჯობს კარიერის გაგრძელება, ამას მტკიცება არ სჭირდება. რაც არ უნდა იყოს, „ბარსელონასა“ და „რეალთან“ თამაში სჯობს, „ნივასა“ და „ტავრიასთან“ თამაშს. გიორგი დემეტრაძე „ალანიაში“ გამოსვლისას იქაური პუბლიკის კერპი იყო, იმედია, არც სან სებასტიანში შეირცხვენს თავს.

# ლუიშ ფიგუ — „ფრანს ფუტბოლის“ რჩეული



ყოველკვირეულმა ფრანგულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“, რომელსაც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ვინაობის გამოვლენის პატივი ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ხვდა წილად, ტრადიციულად წლის ფეხბურთელები დაასახელა. საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ დასახელდა — ასეთია ჟურნალის მიერ გამოკითხულ მსოფლიოს სპორტულ ჟურნალისტთა საერთო აზრი. რამდენიმე დღის წინ იგივე გამოკითხვა ჩაატარა ინგლისურმა „ვორლდ სოკერმა“ — ფიგუ იქაც პირველი იყო. მხოლოდ ფიფას მიერ გამოკითხულმა სხვადასხვა ნაკრების მწვრთნელებმა არ მიიჩნიეს პორტუგალიელი საუკეთესოდ და პირველი ადგილი ფრანგს — ზინედინ ზიდანს მიაკუთვნეს. ლეგენდარული ეუსებიოს შემდეგ, ლუიშ ფიგუ მეორე პორტუგალიელია, რომელმაც „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვაში გაიმარჯვა.

### „ფრანს ფუტბოლის“ საუკეთესო ათეული

| | | |
|---|---|---|
| 1. | ლუიშ ფიგუ (პორტუგ.) რეალი | — 197 ქ. |
| 2. | ზინედინ ზიდანი (საფრ.) იუვენტუსი | — 181 |
| 3. | ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) მილანი | — 85 |
| 4. | ტიერი ანრი (საფრანგეთი) არსენალი | — 57 |
| 5-6. | ალესანდრო ნესტა (იტ.) ლაციო | — 39 |
| 5-6. | რივალდო (ბრაზილია) ბარსელონა | — 39 |
| 7. | გაბრიელ ბატისტუტა (არგენ.) რომა | — 26 |
| 8. | გაისკა მენდიეტა (ესპან.) ვალენსია | — 22 |
| 9. | რაულ გონსალესი (ესპან.) რეალი | — 18 |
| 10-11. | დევიდ ბექჰემი (ინგ.) მანჩ. იუნ. | — 10 |
| 10-11. | პაოლო მალდინი (იტ.) მილანი | — 10 |

### „ოქროს ბურთის“ ლაურეატები 1990-2000

1990. ლოთარ მათეუსი (გერმანია)
1991. ჟან პიერ პაპენი (საფრანგეთი)
1992. მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია)
1993. რობერტო ბაჯო (იტალია)
1994. ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი)
1995 ჟორჟ ვეა (ლიბერია)
1996 მათიას ზამერი (გერმანია)
1997 რონალდო (ბრაზილია)
1998 ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)
1999 რივალდო (ბრაზილია)
2000 ლუიშ ფიგუ (პორტუგალია)

# აი, კაცი! — პაოლო დი კანიო ანტიგმირიდან გმირად იქცა



როგორც ჩანს, ინგლისურ ფეხბურთში გაუთავებელ სკანდალებს დასასრული არ უწერია — ჯერჯერობით მაინც. არც ისე დიდი დრო გასულა, მას შემდეგ, რაც მთელი საფეხბურთო ბრიტანეთი შეძრა „არსენალის“ ნიგერიელი ლეგიონერის ნვანკო კანუს უღირსმა საქციელმა: როცა აუტიდან მოწინააღმდეგის მიერ დაბრუნებული ბურთი კანუმ მეტოქის კარში გაიტანა, გოლი ფორმალურად, ფეხბურთის ყველა წესის მიხედვით ჩასათვლელი იყო. ჩაითვალა კიდეც. თუმცა შემდეგ „არსენალის“ მწვრთნელმა გადათამაშება მოითხოვა და წლის ჯენტლმენადაც აღიარეს. როგორც ჩანს, „პატიოსანი თამაშის“ პრიზს ამჯერად „ვესტ ჰემის“ სკანდალურად ცნობილ ფორვარდს პაოლო დი კანიოს ველარავინ შეეცილება. პრემიერლიგის ამასწინანდელ მატჩში „ვესტ ჰემსა“ და „ევერტონს“ შორის, დი კანიომ საოცარი რამ ჩაიდინა: მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, მაშინ როდესაც ანგარიში 1:1 იყო, დი კანიო მეტოქის კართან ბურთით მარტოდმარტო აღმოჩნდა, გოლის გატანაში ხელს არავინ უშლიდა — მეტოქის მეკარე, რომელმაც სათამაშო სიტუაციაში რამდენიმე წამით ადრე ტრავმა მიიღო, ფეხზე ველარ დგებოდა. იტალიელმა კი გოლის გატანის ნაცვლად, ბურთი ხელში აიღო და მსაჯს თამაშის შეჩერება სთხოვა — წაქცეულ მეკარეს გოლის გატანა არ აკადრა! დი კანიო, რომელიც პრემიერლიგის ერთ-ერთ ყველაზე სკანდალისტ და მოჩხუბარ ფეხბურთელად ითვლებოდა და რომელსაც წინა სეზონში მსაჯის ცემისათვის 11 მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს — უმალ გმირად იქცა. ტრიბუნები ლამის ჭკუიდან გადაიყვანა ფეხბურთელის მოქმედებამ. მადლიერების წერილი ფორვარდმა თავად ფიფას პრეზიდენტისგანაც მიიღო. უღირდა კი „ვესტ ჰემს“ დი კანიოს ჯენტლმენობა დაკარგულ ორ ქულად? — კლუბის ბანაკში ამ საკითხთან დაკავშირებით აზრები გაიყო, პაოლო დი კანიო კი ბრიტანელი საფეხბურთო პუბლიკის ერთ-ერთ კერპად იქცა.

# ფიფა კოკა-კოლას წლის რეიტინგი

20 დეკემბერს ფიფა კოკა-კოლამ 2000 წლის საბოლოო რეიტინგი გამოაქვეყნა. საქართველოს ნაკრებმა სეზონი იმავე ადგილზე დაასრულა, რომელზედაც დაიწყო. 508 სარეიტინგო ქულით საქართველო 66-ე ადგილზეა და 9 ქულით უსწრებს მომდევნო ადგილზე მყოფ ესტონეთს. ყოფილი საბჭოეთის გუნდებიდან მხოლოდ რუსეთს და უკრაინას ჩამოვრჩებით. რეიტინგის ლიდერი კვლავ ბრაზილიის ნაკრებია, მეორე ადგილზე კი — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი საფრანგეთის ეროვნული გუნდი. 2000 წლის საბოლოო რეიტინგის პირველი ოცეული კი ასე გამოიყურება:

| | | |
|---|---|---|
| **1.** | **ბრაზილია** | **— 821 ქულა** |
| **2.** | **საფრანგეთი** | **— 801** |
| **3.** | **არგენტინა** | **— 773** |
| **4-5.** | **იტალია** | **— 742** |
| **4-5.** | **ჩეხეთი** | **— 742** |
| **6.** | **პორტუგალია** | **— 738** |
| **7.** | **ესპანეთი** | **— 735** |
| **8.** | **ჰოლანდია** | **— 709** |
| **9-10.** | **იუგოსლავია** | **— 707** |
| **9-10.** | **პარაგვაი** | **— 707** |
| **11.** | **გერმანია** | **— 705** |
| **12.** | **მექსიკა** | **— 693** |
| **13.** | **რუმინეთი** | **— 683** |
| **14.** | **ნორვეგია** | **— 675** |
| **15.** | **კოლუმბია** | **— 672** |
| **16.** | **აშშ** | **— 659** |
| **17.** | **ინგლისი** | **— 657** |
| **18.** | **ხორვატია** | **— 656** |
| **19.** | **ჩილე** | **— 639** |
| **20.** | **სამხ. აფრიკა** | **— 635.** |
| **(66.** | **საქართველო** | **— 508)** |

# ვინ ყიდის თოვლს ზამთარში?

შესაძლოა, სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადაზე, რომელიც 2002 წელს უნდა გაიმართოს, ერთადერთ შაკვანან კუნძულ მოთხილამურეს — ბოიტას, რომელმაც მაყურებელთა აღფრთოვანება გამოიწვია ნაგანოს ოლიმპიადაზე, რომელიმე პუერტო რიკოელმა მოთხილამურემაც გაუწიოს კონკურენცია. პუერტო რიკოში მინიმალური ტემპერატურა ზამთარში 30 გრადუსია. ათლეტთა მომზადებაზე იზრუნა პუერტორიკოელმა ბიზნესმენმა გუსმანმა, რომელიც იმისათვის, რომ თანამემამულენი სამშობლოში მოემზადონ, არანაირ თანხას არ იშურებს. გუსმანი კანადაში ყიდულობს თოვლს, ტონას 650 დოლარად, შემდეგ კი გემით საკუთარი ქვეყნის ცენტრალურ პორტში მიაქვს. სან-ხუანში უკვე 300 ტონა თოვლი ჩაიტანეს. ბიზნესმენს თოვლი არა მარტო სპორტსმენთა მოსამზადებლად სჭირდება. ქვეყნის დედაქალაქის ცენტრალურ პარკში გუსმანი, ე.წ. „ზამთრის სახლის“ აშენებას აპირებს. შენობა გარედანაც ნაყიდი თოვლით „დაითოვლება“, იატაკი კი თოვლის სქელი საფარით იქნება დაფარული. თოვლის უნახავ პუერტორიკოელებს გუნდაობისა და ციგაობის საშუალება მიეცემათ, თუმცა ეს გასართობი თითოეული მათგანისათვის საათში $30 ეღირება.

# იურგენ კოლერი „ალანიაში“?



სენსაციური ცნობა გაავრცელა რუსულმა პრესამ: „სპორტ-ექსპრესის“ ინფორმაციას თუ დავეყრდნობით, სავსებით შესაძლებელია, უტიტულოვანესი გერმანელი ფეხბურთელი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, გერმანიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი იურგენ კოლერი ვლადიკავკაზის „ალანიაში“ აღმოჩნდეს. სავარაუდოა, რომ დორტმუნდის „ბორუსია“, სადაც ამჟამად ფეხბურთელი ირიცხება, 35 წლის კოლერს ტრანსფერზე დააყენებს. გერმანელი ფეხბურთელის რუმინელი აგენტი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას „ალანიასთან“ და თუ ორივე მხარემ თანხმობა განაცხადა, შესაძლოა მომავალ სეზონში „ალანიამ“ სტარტი კოლერთან ერთად აიღოს. იურგენ კოლერს გერმანიის ნაკრებში ჩატარებული აქვს 108 მატჩი, ამ მაჩვენებლით გერმანიაში მას მხოლოდ იურგენ კლინსმანი და ლოთარ მათეუსი უსწრებენ. ბუნდესნაკრებში კოლერზე ნაკლები მატჩი აქვს ჩატარებული თავად ფრანც ბეკენბაუერს. კარიერის საუკეთესო წლებში კოლერი გამოდიოდა მიუნხენის „ბაიერნში“, ტურინის „იუვენტუსში“. დორტმუნდის „ბორუსიაში“ 1995 წლიდან თამაშობს. რუსული გაზეთის აზრით, დღეს კოლერის ფასი 3 მილიონი მარკაა. ერთ ამდენს გერმანელი ალბათ წლიური ხელფასის სახით მოითხოვს, თუკი რასაკვირველია, „ალანიაში“ ჩაირიცხა.

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დამამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლb6-g6!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მათს **სამ** სვლაში.



მსოფლიო სპორტი
ფასი 20 თეთრი
ყოველ კვირას, სამშაბათს და ხუთშაბათს
სპორტული გაზეთი ტოტალიზატორის მოყვარულთათვის და არა მარტო მათთვის
უახლესი სპორტული ინფორმაცია, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატებისა და ჩემპიონთა ლიგის შედეგები და მიმოხილვა, სტატისტიკა, ფსონები, ცხრილები, ინტერვიუები, კურიოზები, სპორტული კროსვორდები, მთელი კვირის სპორტული TV პროგრამა, ფერადი პლაკატი და სხვ.
ინფორმაცია ჩვენი, წარმატება თქვენი!

# მომავლის იმედით...

საუკუნე დამთავრდა და ბევრ სფეროში შედეგების შეჯამების დრო დადგა.

ქართულმა სპორტმაც თვისებრივი ცვლილებები განიცადა ბოლო ათწლეულში, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, — 2000 წელი მაინც განსაკუთრებული იყო ქართული სპორტისათვის — თავი დავანებოთ იმას, რომ ეს ოლიმპიური წელი იყო და მწირი დაფინანსების მიუხედავად არცთუ ურიგოდ იასპარეზეს ჩვენმა ათლეტებმა, ამ წელს სპორტის კონკრეტულ სახეობებშიც დიდი ძვრები მოხდა.



თემურ ქეცბაია, როგორც ყოველთვის, ერთ-ერთი საუკეთესო იყო ნაკრების თამაშებში

პირველ რიგში, ალბათ ქართული ფეხბურთის შესახებ უნდა ვთქვათ. უკვე 10 წელია დამოუკიდებელი საქართველოს ნაკრები არსებობს და გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, რომ გასულ შემოდგომაზე ჩატარებულმა ორმა მატჩმა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, დიდი იმედები ჩაუსახა ქართველ გულშემატკივარს — ნაკრებმა იმაზე უკეთ წარმოაჩინა თავი, ვიდრე თვით იმ დროს, როდესაც წინა შესარჩევ ციკლში, მაშინ ბრწყინვალედ მოთამაშე ბულგარელებსაც მოუგეს ჩვენებმა და უელსის ნაკრებიც გაანადგურეს ორივე მატჩში. რევაზ ძოძუაშვილისა და დავით ყიფიანის მწვრთნელთა ტანდემის დანიშვნას დაუფარავი ირონიით შეხვდნენ გულშემატკივრები და, რა დასამალია, ჩვენც — ჟურნალისტები. მით უმეტეს, რომ ოფიციალურ თამაშებამდე ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში, არცთუ ძლიერ მეტოქეებთან, ნაკრები საკმაოდ უსუსურად გამოიყურებოდა. მაგრამ გამართლდა რევაზ ძოძუაშვილის დანაპირები ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში: „გვაცალეთ, ბატონო, გვაცალეთ!“ ლიტვასა და იტალიაში ჩატარებულმა მატჩებმა ცხადყო, რომ ნაკრები სწორ გზაზე დგას და ამის დასტური იტალიის ნაკრების თავკაცის ჯოვანი ტრაპატონის სიტყვებიცაა. მან ანკონის მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ იტალიის ნაკრების მთავარ მეტოქედ მსოფლიო ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლაში, უკვე რუმინეთს კი არა, საქართველოს თვლის.

ცხადია, სიმართლეა ის, რაც არაერთხელ თქმულა — ქვეყნის ფეხბურთის სახე ეროვნული ჩემპიონატია და თითქოს ამ მხრივაც კარგად უნდა იყოს საქმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ის პრობლემები, რომლებიც თავიდანვე თან დაჰყვა საქართველოს პირველობას, დღესაც მოუგვარებელია — არაობიექტური (მეტი რომ არ ვთქვათ) მსაჯობა, ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში, მოუწყობელი სტადიონები და ფედერაციის უხეირო მუშაობა. თუმცა, არც გარკვეული პროგრესის უარყოფა შეიძლება — წელს შეიცვალა ეროვნული ჩემპიონატის გათამაშების ფორმულა, რამაც უფრო დაძაბული გახადა იგი. თორმეტგუნდიანი პირველობა, სადაც პირველი ეტაპის შემდეგ მხოლოდ 6 გუნდი აგრძელებს მედლებისა და ევროპული ტურნირების საგზურებისათვის ბრძოლას, უფრო მეტად უზრუნველყოფს ყოველი მატჩის მნიშვნელობის გაზრდას. მეორე ექვსეულში მოხვედრილი გუნდები კი ასევე უშეღავათო ბრძოლას მართავენ ძლიერთა შორის ადგილის შესანარჩუნებლად. ეს სისტემა მაქსიმალურად გამორიცხავს „ოქროს შუალედის“ არსებობას, რაც 16 გუნდიანი პირველობის ჩატარების პირობებში ყოველთვის ჩნდებოდა ჩემპიონატის ბოლო შვიდ-რვა ტურში და ცხრილის შუაგულში „გაჭედილი“ გუნდები, როგორც ამბობდნენ, არც ქულების „გაყიდვაზე“ იყვნენ უარს. ცხადია, ამგვარი ვაჭრობა არავისთვის დაუმტკიცებიათ, მაგრამ, როგორც იტყვიან, „კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს“.

მიუხედავად იმისა, რომ შარშან თბილისის „დინამოს “ ჰეგემონია დაამხო ქუთაისის „ტორპედომ“, „დინამო“ მაინც ქართული საკლუბო ფეხბურთის სახედ აღიქმება და მასში მიმდინარე არცთუ სასიამოვნო პროცესები საერთო შეშფოთებას იწვევს. ცხადია, პირველ რიგში კლუბის პრეზიდენტის — მერაბ რატიანის კორუფციაში დადანაშაულებას, მის დაპატიმრებას და „დინამო“-„მრეტების“ დაუსრულებელ „ეპოპეას“ ვგულისხმობთ, რომელიც ჯერაც მოუგვარებელია და რასაც უეჭველად მოჰყვება უეფა-ს სანქციები.

თანამედროვე სპორტი მხოლოდ ფიზკულტურა რომ აღარ არის, ამაზე აღარავინ დავობს — სპორტი დღეს მძლავრ ინდუსტრიად და ბიზნესად იქცა. აქედან გამომდინარე, მისი შედეგები სპორტსმენთა ნიჭისა და მომზადების გარდა, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული დაფინანსებაზეც, რაშიც კერძო სექტორთან ერთად სახელმწიფომაც უნდა მიიღოს მნიშვნელოვანი მონაწილეობა. პირველ რიგში ეს ოლიმპიური გუნდის მომზადებას ეხება. თვით ისეთ განვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორებიც აშშ, გერმანია და დიდი ბრიტანეთია, სადაც სპორტის დაფინანსების ძირითად წყაროს სპონსორ ფირმათა სახსრები წარმოადგენს, ოლიმპიური გუნდი სახელმწიფო ზრუნვის საგანია და შედეგებიც შესაბამისი აქვთ. ჩვენი ქვეყნის მწირი ბიუჯეტიდან გამომდინარე, წელს სიდნეის ოლიმპიადაზე მოასპარეზე ქართველ ოლიმპიელებს ამ მხრივ არცთუ ურიგოდ ჰქონდათ საქმე — ჩვენს მკითხველს შეიძლება ახსოვს „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული ინტერვიუები ოლიმპიადის წინ, როდესაც ყველა ქართველ მონაწილეს გავესაუბრეთ — მწვრთნელებს, სპორტსმენებსა თუ სხვადასხვა სახეობათა ფედერაციების ხელმძღვანელებს. მაშინ ბევრმა მათგანმა გულწრფელად აღნიშნა ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობა და კმაყოფილება გამოთქვა იმ ფულადი პრემიების დაწესების გამო, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი დაჰპირდა გამარჯვებულ ოლიმპიელებს. შედეგიც შესაბამისი იყო — ექვსი მედალი ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა და იმ დელეგაციისთვის, რომელსაც მხოლოდ ოცდაათიოდე სპორტსმენი შეადგენდა, არცთუ ურიგო მიღწევაა. ყოველ შემთხვევაში წინა, ატლანტის ოლიმპიადასთან შედარებით სიდნეი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

დეკემბერში ჩატარდა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ყრილობა, რომლის მთავარი საკითხიც ახალი პრეზიდენტის არჩევა იყო. მძიმე ავადმყოფობაგადატანილი ჯანო ბაგრატიონი ხელმეორედ აირჩიეს ამ პოსტზე. ბ-ნი ჯანო დაჰპირდა სპორტულ საზოგადოებას და ეს ჩვენთან — ჟურნალისტებთან საუბარშიც დაადასტურა, რომ მომავალი — ათენის 2004 წლის ოლიამპიადისათვის მზადება ახლავე დაიწყება და ის პროგრესი, რომელიც სიდნეიში იქნა მიღწეული ატლანტასთან შედარებით, იქაც გაგრძელდება.

სახელმწიფო რომ სპორტის სფეროში სერიოზულ „ჩარევას“ აპირებს, ეს სპორტის დეპარტამენტის შეფის შეცვლამაც დაადასტურა. კახი ასათიანი, რომელიც თითქმის საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან განაგებდა სპორტს, ირაკლი მეძმარიაშვილმა შეცვალა. კაცმა, რომელიც ქალაქის ვიცე-მერად არის ნამუშევარი და რომლისთვისაც ძნელი არ იქნება



ნინო ხურციძემ საჭადრაკო ოლიმპიადის შემდეგ, სამწუხაროდ, მსოფლიო ჩემპიონატზე ვერარაფერი შემატა თავისი მედლების კოლექციას.

ქართული „ეკონომიკის მამებთან“ ჭიდილში იმ მათხოვრულ თანხებზე მეტი მოიპოვოს სპორტისათვის, რაც ბიუჯეტით არის გამოყოფილი. სხვათა შორის, „ქაღალდზე“ მან ამას უკვე მიაღწია — მომავალი წლის ბიუჯეტში 1,1 მილიონის ნაცვლად უკვე 2 მილიონია გამოყოფილი. ახლა საქმე ამ ფულის რეალურად გადარიცხვაზეა. ცხადია, არც 2 მილიონია საკმარისი სპორტის სრულფასოვნად განვითარებისათვის, მაგრამ ბიუჯეტის საყოველთაო სეკვესტრის პირობებში სპორტისათვის თანხის მომატება უკვე იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო მას აღარ თვლის მეორეხარისხოვან საქმედ.

როდესაც გასული წლის შედეგებს ვიხილავთ, არ შეიძლება ცალკე არ აღინიშნოს ქართველ მოჭადრაკეთა გამოსვლები, რაც გაორებულ გრძნობას აღძრავს. ერთის მხრივ საკმაოდ წარმატებული გამოსვლა სტამბოლის საჭადრაკო ოლიმპიადაზე, სადაც ქართველთა ორივე გუნდმა — მამაკაცებმაც და ქალებმაც გააუმჯობესეს წინა — ელისტის ოლიმპიადის შედეგები, ხოლო ნინო ხურციძემ ოქროს მედალიც კი მოიპოვა თავის დაფაზე, და მეორე მხრივ — ამ ოლიმპიადის დამთავრებისთანავე ინდოეთში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის შედეგებსაც დიდი იმედით ველოდით ყველანი, მაგრამ ქართველმა მოჭადრაკეებმა მანამდე არნახული ფიასკო განიცადეს.

ჭადრაკი, ისევე როგორც ფეხბურთი, საქართველოში თითქმის „ეროვნულ სახეობადაა“ აღიარებული და საერთაშორისო ასპარეზზე ქართველ მოჭადრაკეთა წარმატებასა თუ წარუმატებლობას, განსაკუთრებული გულისტკივილით განიცდის ჩვენებური გულშემატკივარი. ამიტომ, ვფიქრობთ, ქართველ ქალ მოჭადრაკეთა რეგრესი სერიოზული მსჯელობის საგანი გახდება. როგორც ამასწინანდელ ინტერვიუში ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ქ-ნმა ნონა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, ჭადრაკშიც ერთადერთი პრობლემა დაუფინანსებლობაა და ამ პრობლემის მოგვარების შემდეგ შედეგებიც არ დააყოვნებს. ვნახოთ, „აღდგომა და ხვალეო“ — ყოველ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, ქართული სპორტის ახალი ხელმძღვანელები აღნიშნული სიძნელის მოსპობას გვპირდებიან, ხოლო დიდი საჭადრაკო ტურნირები არც 2001 წელს იქნება ნაკლები.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქართველ ლეგიონერ ფეხბურთელთა „მოღვაწეობა“.

განსაკუთრებით „გერმანული ლეგიონია“ გამოსაყოფი, რომელიც წლის დასაწყისში მხოლოდ „ფრაიბურგში“ მოთამაშე სამი ქართველი ფეხბურთელით განისაზღვრებოდა. გასულ წელს მათ „კიოლნელი“ არჩილ არველაძეც დაემატა, რომელმაც თავიდანვე დაიმკვიდრა გუნდში ძირითადი თავდამსხმელის ადგილი და მთავარი მოვალეობის შესრულება — გოლების გატანაც დაიწყო.

ხოლო „ფრაიბურგმა“ კი, რომელიც გუნდის მწვრთნელის — ფოლკერ ფინკეს თქმით, ძალიან კმაყოფილია ქარველთა თამაშით, კიდევ ერთი ჩვენებური — გიორგი კიკნაძე დაიმატა. მისი დებიუტი იანვარში შედგება.



გამოჯანმრთელებული ჯანო ბაგრატიონი ენერგიულად შეუდგა მუშაობას და დაპირებებსაც არ იშურებს

ინგლისში, როგორც იქნა, შედგა ახალგაზრდა ქართველი თავდამსხმელის, რატი ალექსიძის დებიუტი ვარსკვლავებით დახუნძლული ლონდონის „ჩელსის“ ძირითად შემადგენლობაში. პრემიერლიგასვე დაუბრუნდა გიორგი ქინქლაძე, ოღონდ ამჯერად „დერბი ქაუნთის“ მოთამაშედ. მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე წარმატებული ქართველი ფეხბურთელი, რომელიც ბრიტანეთის კუნძულზე თამაშობს, შოტლანდიის „დანდიში“ მოასპარეზე საქართველოს ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძეა, რომელიც იქაურ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგებით გასული წლის შოტლანდიის ლიგის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

შვეიცარიაში სამი ქართველი თამაშობს: ყაველაშვილი, ჯამარაული და ხომერიკი. როგორც ერთხმად აღნიშნავენ შვეიცარიელი ჟურნალისტები, „ციურიხის“ ყველა წარმატება ყაველაშვილისა და ჯამარაულის კარგი თამაშითაა განპირობებული.

სულ ახლახან ქართველებმა კიდევ ერთი ელიტური საფეხბურთო ქვეყანა „აითვისეს“ — გიორგი დემეტრაძე პირველი ქართველი გახდა, ვინც ესპანეთის „პრიმერა დივიზიონში“ ითამაშებს.

არ შეიძლება განუხორციელებელ თუ გადადებულ ტრანსფერებზეც არ ვთქვათ — დიდი ხნის წინ დაწყებული ლაპარაკი კახი კალაძის კიევიდან მილანში გადასვლის თაობაზე ლაპარაკადვე დარჩა. ხოლო მეორე ქართველი მცელის, ზურაბ ხიზანიშვილის გადასვლა ლონდონის სახელოვან „არსენალში“ თბილისის „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელთა (იმავე საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის მესვეურთა) უზომო მადის გამო ჩაიშალა. თუმცა, ღვთის მადლით, ახლა ყველაფერი გაირკვა და დიდი შანსია, ხიზანიშვილმა ლონდონის სხვა კლუბში — „ვესტ ჰემში“ ითამაშოს.

უკანასკნელი ინფორმაცია ქართველ ლეგიონერებზე, მათგან ყველაზე „სკანდალურს“ — მოსკოვის „ლოკომოტივში“ მოთამაშე ზაზა ჯანაშიას შეეხება. როგორც გახსოვთ, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მისმა ჩაუსვლელობამ ლიტვასა და იტალიაში, ნაკრების თამაშებზე. თუმცა ისიც გეხსომებათ, რომ რევაზ ძოძუაშვილმა ჩვენთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა. ჯანაშიას მე თვითონ ვუთხარი, რომ არ ჩამოსულიყოო. ეს ფრაზა ინტერვიუს სათაურშიც კი გვქონდა გამოტანილი, იმხელა აჟიოტაჟი იყო ამტყდარი ამასთან დაკავშირებით. ცხადია, ბ-ნი რეზო სწორად მოიქცა, როდესაც შეეცადა ყველაფრის გარკვევამდე პრესისა და გულშემატკივართა „თავდასხმებისაგან“ დაეცვა ნაკრებისათვის ესოდენ საჭირო თავდამსხმელი, მაგრამ, როგორც თავად ჯანაშიას შემდგომდროინდელმა ინტერვიუებმა გაარკვია, განსაკუთრებით რუსულ პრესაში მოთავსებულმა ინფორმაციებმა, მას მართლაც „ლოკომოტივი“ ურჩევნია თავისი ქვეყნის ნაკრებს. მაგრამ არც რუსებმა დაუფასეს ერთგულება — როგორც „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა ფილატოვმა ორიოდე დღის წინ განაცხადა, მან დაითანხმა გუნდის მთავარი მწვრთნელი იური სიომინი, რომ თუ ჯანაშია ასე გააგრძელებს, იგი გასაყიდთა სიაში აღმოჩნდება. „ასე გაგრძელებაში“ კი, არც მეტი, არც ნაკლები, ის იგულისხმება, რომ ფილატოვი ჯანაშიასაგან წონაში დაკლებას მოითხოვს. თუმცა, ეს, ალბათ, საბაბია. მიზეზი კი მოსკოვის „ლოკომოტივის“ თხუთმეტმილიონიანი ბიუჯეტის გაზრდის სურვილია.

ასეა — „ღამურებს“ ბოლოს არც ფრინველები იღებენ და, თაგვებში დაბრუნებაც უჭირთ.

სპორტის სხვა სახეობებში განსაკუთრებულ წარმატება-წარუმატებლობაზე ლაპარაკი, ალბათ, ძნელია. მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც ქართველი სპორტსმენები იშვიათად მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებებში. თუმცა, წლის ბოლოს ჩატარებულ სახეობათა ფედერაციების ყრილობებზე, სადაც თითქმის ყველგან შეიცვალა მათი ხელმძღვანელობა, ხაზგასმით ითქვა, რომ უკვე ამ წლიდან დაფინანსების „ალტერნატიული“ წყაროები გამოიძებნება და ეს სპორტსმენთა მიერ მიღწეულ შედეგებშიც ჰპოვებს ასახვას.

ღმერთმა ქნას, ასე იყოს და მომავალი სპორტული წლის შეჯამებისას უფრო მეტი გვქონდეს სათქმელი ქართული სპორტის გამარჯვებების შესახებ.

**ზვიად გურული**

# წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული ჟურნალ „TIME“-ის ვერსიით

გასული წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული შეადგინა პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა „თაიმ“-მა. საინტერესოა, რომ საუკეთესოთა გამოვლენისას, ჟურნალისტებმა გაითვალისწინეს არა მარტო ათლეტთა სპორტული მიღწევები, არამედ მათი მორალური და ადამიანური თვისებებიც.



ვლადიმირ კრამნიკი

საპატიო ათეულში პირველი ადგილი ავსტრალიელ მორბენალ ქალს ქეთი ფრიმენს მიაკუთვნეს, რომელმაც ოლიმპიური „ოქრო“ 400 მეტრზე სირბილში მოიპოვა. მეორე პოზიციაზე ამერიკელთა კერპი, 30 წლის მეგოლფე ტაიგერ ვუდსია. ახალგაზრდა შავკანიანმა გასულ წელს გამართული ოთხი უმნიშვნელოვანესი ტურნირიდან სამი მოიგო. ათეულის მესამე წევრიც ამერიკელი სპორტსმენია — ჩოგბურთელი ქალი ვინუს უილიამსი, მეოთხე კი მისივე თანამემამულე, უკვე ლეგენდად ქცეული მძლეოსანი ქალი მერიონ ჯონსია, რომელმაც სიდნეიში სამი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა. მეხუთე ადგილი რუს მოჭადრაკეს, ვლადიმირ კრამნიკს ხვდა წილად. ამ 25 წლის კაცმა წლეულს მსოფლიო საჭადრაკო ტახტიდან თავად გარი კასპაროვი ჩამოაგდო და მეთოთხმეტე ოფიციალური გვირგვინოსანი შეიქნა. ათეულის მეექვსე წევრი ამერიკული ფეხბურთის მოთამაშე ვინმე კურტ უორნერია, რომელიც თურმე კლუბ „სენტ ლუის რემსში“ გამოდის და გუნდის წარმატებებში ლომის წილი დაუდია. მეშვიდე ადგილზე ცნობილი ველომრბოლელი ლენს არმსტრონგია, მერვეზე — ამერიკელი ბეისბოლისტი პედრო მარტინესი. ამერიკელები კალათბურთს გვერდს ხომ არ აუვლიდნენ და წლის მეცხრე სპორტსმენად შაკილ ონილი დაასახელეს. წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულის სიას კი არასპორტსმენი ასრულებს. მეათე ადგილი ჟურნალმა ინდიანას უნივერსიტეტის პრეზიდენტს მაილს ბრენდს მიაკუთვნა, რომელსაც ასეთი პატივი იმისათვის ერგო, რომ თავისი უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდის მწვრთნელი სტუდენტებთან უხეში ურთიერთობისათვის გაათავისუფლა — უცნაური ხალხია ამერიკელები.



მერიონ ჯონსი

CMYK

# მკითხველის მაჯისცემა

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი ფეხს უწყობდა მრავალფეროვნებითა და ათასი სიახლით, ემოციებით დატვირთულ 2000 წელს. საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში მოახერხა (შეძლებისდაგვარად) რეიტ-ინგმა „შეჭრა". პოლიტიკური დაძაბულობებით, არჩევნების ციებ-ცხელებით, ათასი გაუთვალისწინებელი თუ ლოგიკური ცვლილებებით სავსე წელიწადი-ვით მრავალფეროვანი იყო მისი თემებიც.

როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, მკითხველები გაცილებით მეტ ინტერესს იჩენენ სოციალური საკითხებისა და უახლესი პოლიტიკური მოვლენებისადმი, ისეთი თემებისადმი, რომლებიც პირდაპირ კავშირშია დღევანდელობასთან და რომლის უშუალო მონაწილეებიც თავად არიან. ასე რომ, პოლიტიკოსებო, ყური უგდეთ ხმას ერისას.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე მკითხ-ველებს შევთავაზეთ ასეთი კითხვა: **ახლა რომ საარჩევნო ურნასთან იდგეთ, რომელ კანდიდატს მისცემდით ხმას?**

ხმები ასე განაწილდა:



**1. ედუარდ შევარდნაძე 36,1%**
**2. ჯუმბერ პატიაშვილი 28,7 %**
**3. ასლან აბაშიძე 1,5%**

დამატებითი კითხვის საშუალებით შევიტყვეთ, რომ საპრეზ-იდენტო არჩევნებში სულ რესპონდენტთა 51-მა მიიღო მონაწილეობა.

**წლის დასაწყისში პრეზიდენტ შევარდნაძის ყველაზე ერთგულ ადამიანად მკითხველმა ზურაბ ჟვანია დაასახელა. მისი პოლიტიკის ყველაზე საიმედო საყრდენად შსს დასახელდა.**

პრეზიდენტის ინაუგურაცია აღდგომის დღეს კი მკითხველთა 65,5-ს მიზანშეუწონლად მიაჩნდა.

ახლად არჩეული პრეზიდენტისაგან რესპონდენტები ყველაზე მეტად კორუფციის აღმოფხვრას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ქართული ეკონომიკის აღორძინებას ელოდნენ... და ალბათ, დღესაც იმავეს ელიან...

შევარდნაძის საკადრო პოლიტიკას მკითხველთა უმრავლესობა უარყოფით-ად აფასებს, რესპონდენტთა მხოლოდ 12-ს მიაჩნია სწორად მის მიერ განხორციელებული საკადრო ცვლილებები.

დღესდღეობით **ყველაზე მდიდარი ადამიანია**

**1. ედუარდ შევარდნაძე**
**2. ნიკო ლეკიშვილი**
**3. ნუგზარ შევარდნაძე**
**4. გოგი თოფაძე**



**ყველაზე ღარიბი პოლიტიკოსი —**

**1. ნოდარ ნათაძე**
**2. შალვა ნათელაშვილი**
**3-4. ირინა სარიშვილი-ჭანტურია**
**3-4. ელენე თევდორაძე**

ყველაზე **იღბლიან პოლიტიკოსებშიც** პირველობა პრეზიდენტმა არავის დაუთმო. **უიღბლოთა პირველ სამეულში** ნათელაშვილი დაწინაურდა, მომდევნო ადგილებს ზვიად გამსახურდია და ჯუმბერ პატიაშვილი ინაწილებენ.

მკითხველთა 73-ის აზრით, **საქართველოს დღევანდელი პარლამენტი ქართველი ხალხის ნებას არ გამოხატავს,** მკითხველთა მხოლოდ 1 მიიჩნევს პარლამენტს ქართველი ხალხის ნების გამომხატველად.

პრეზიდენტის გარდა საქართველოში ყველაზე გავლენიანი ადამიანები ზურაბ ჟვანია და ასლან აბაშიძე არიან.

პოლიტიკური ელიტის შემოსავლის წყაროდ მკითხველთა 51-მა კორუფცია დაასახელა; 12-მა — კერძო ბიზნესი. პასუხებში პოლიტიკურმა პროსტიტუციამაც გაიჟღერა.

**ყველაზე კოლორიტული ქართველი პარლამენტარი ვახტანგ ბოჭორიშვილია.**



**ყველაზე კაცური კაცები — გოგი თოფაძე, ედუარდ შევარდნაძე და მუხრან მაჭავარიანი.**

**ყველაზე მჭევრმეტყველნი: შალვა ნათელაშვილი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, მიხეილ სააკაშვილი.**

ახალი მინისტრებიდან კი მკითხველმა ყველაზე დიდი წარმატებები სულხან მოლაშვილს, მიხეილ მაჭავარიანსა და გია არსენიშვილს უწინასწარმეტყველა.

იმ ცნობილ პიროვნებათა სამეული, რომლისაც **ყველაზე მეტად სჯერათ ჩვენს მკითხველებს,** ასე გამოიყურება:

**1. მიხეილ სააკაშვილი**
**2. შალვა ნათელაშვილი**
**3. ედუარდ შევარდნაძე**

ყველაზე **კორუმპირებულ უწყებად** საქართველოში (მანამდე, სანამ საბაჟო და საგადასახადო სამსახურები გაერთიანდებოდა და მის შეფად მაჭავარიანი მოგვევლინებოდა) **საბაჟო, საგადასახადო და შსს** დასახელდა.

ჩვენი მკითხველების უმრავლესობას — 69-ს ეჭვი ეპარება იმაში, რომ ქართული ეკონომიკა უახლოეს მომავალში გაჯანსაღდება;



ენერგოკრიზისში კი ყველაზე მეტად მკითხველი მაფიოზურ დაჯგუფებებს ადანაშაულებს; ასევე, მნიშვნელოვან მიზეზად ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებს. **„ვისი ან რისი ბრალია ენერგოკრიზისი საქართველოში?"** — ამ კითხვით 2000 წლის თებერვალში მივმართეთ მკითხველებს და მათაც მაშინ ყველაზე ნაკლებად მინისტრი მირცხულავა დაადანაშაულეს. წლის ბოლოს იგივე **დავით მირცხულავა წლის ცრუპენტელად დასახელდა.**

ელექტროენერგიის დანახარჯს რესპონდენტთა დიდი ნაწილი — 62 რეგულარულად იხდის; 35 — შეძლებისდაგვარად; 3-ს კი — არასოდეს გადაუხდია.

ზამთრის სიცივეში ჩვენი მკითხველები ძირითადად შეშის, ბუნებრივი აირისა და ნავთის იმედზე არიან. ყველაზე მცირე მომხმარებელი, მარტივი მიზეზის გამო, ელექტროენერგიას ჰყავს. მხოლოდ 2 აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ამ ზამთარს არაფრით არ თბება. მათ გასათბობ საშუალებათა ნუსხას მიეკუთვნება — თბილი ტანსაცმელი, მეორე ნახევარი, სირბილი და ხტუნვა, მზე, „გრელკა"...

ბოლო 2 წლის განმავლობაში საკუთარი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა მკითხველებმა შემდეგნაირად შეაფასეს:

| | | |
|---|---|---|
| საშუალოზე ბევრად დაბალი | — | 34 |
| საშუალოზე დაბალი | — | 41 |
| საშუალო | — | 22 |
| საშუალოზე მაღალი | — | 3 |

აღსანიშნავია, რომ 730 რესპონდენტიდან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა საშუალოზე ბევრად მაღალი დონის მაცხოვრებელი.

ყველაზე მეტად, ჩვენი მკითხველების ოჯახის ბიუჯეტს, საკვებზე დახარჯული ფული ამცირებს, გასათბობი საშუალებები და ტრანსპორტით მგზავრობაც არანაკლებ ათხელებს მათ ჯიბეებს.

**„რომელი „უ" გიშლით ყველაზე მეტად ხელს სრულფასოვან ცხოვრებაში?"** — ამ კითხვაზე რესპონდენტთა უმრავლესობის აზრი ასეთია:

**1. უფულობა**
**2. უმუშევრობა**
**3. უიღბლობა**

უნდა აღინიშნოს, რომ სრულფასოვანი ცხოვრების ხელისშემშლელ ფაქტორ-თა რეიტინგში ყველაზე ბოლოს უწიგნურობა დასახელდა.

მკითხველთა აზრით, დღეს ყველაზე მეტად ბიზნესში გარკვევაა საჭირო, ასევე, აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობისა და უცხო ენების ცოდნა.

მათთვის ყველაზე უფრო ფასეული **ჯანმრთელობაა, მშვიდობა და ეკონომიკური კეთილდღეობაც** არანაკლებ საჭირო და მნიშვნელოვანია.

ჩვენს მკითხველებს **ყველაზე მიუღებლად მიაჩნიათ: დასმენა, ტყუილი და ქრთამის აღება; ტრანსპორტში ფულის გადაუხდელად მგზავრობა**, მათთვის შედარებით მისაღებია.

ყველაზე მეტად **დაკარგული ტერიტორიების, ერის მთლიანობისა და გარდაცვლილი ახლობლების ნოსტალგიას განიცდიან ადამიანები.**

ჩვენი მკითხველების აზრით, ახალი **ქართველები ყველაზე მეტ ფულს უძრავი კაპიტალის დაგროვებისათვის ხარჯავენ,** ისინი ფულს არც უცხოური ავტომანქანებისათვის და კაზინოში დასახარჯად იშურებენ...

რაც შეეხება ჩვენს მკითხველებს და არა ახალ ქართველებს, შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, სიამოვნებით გაატარებდნენ დროს ბუნებაში, არც შოუ-პროგრამებსა და რესტორნებს გამოტოვებდნენ.

საერთოდ, **გართობა-დასვენებისათვის უპირველესი ატრიბუტი ისევ და ისევ ფულია,** ასევე, აუცილებელია განწყობა და საუკეთესო მეგობრები.

**განტვირთვის საუკეთესო საშუალებები ძილი, შხაპი და მუსიკაა.**

რაც შეეხებათ პატარებს, მათთვის საუკეთესო გასართობი კომპიუტერული თამაშები, ატრაქციონი და მულტფილმებია.

**ქართველ მამაკაცებს ყველაზე მეტად განსაზღვრება — მეოჯახე შეშვენით,** ყველაზე ნაკლებად — მორჩილი; ჩვენი მკითხველების აზრით, ქართველი **ქალებიც უპირველესად მეოჯახენი არიან,** მათ ყველაზე ნაკლებად განსაზღვრება — ზარმაცი შეეფერებათ.

**XX საუკუნის ქალები,** რომლებიც, ჩვენი მკითხველების აზრით, ყველაზე მეტად **იმსახურებენ ღირსების ორდენს:**



**1. დედა ტერეზა**
**2. ნონა გაფრინდაშვილი**
**3. ნინო რამიშვილი**
**4. მარგარეტ ტეტჩერი**
**5. საკუთარი დედა**

**პროფესიონალ ქართველ სამართალდამცავებად დასახელდნენ:**

**1. ლავრენტი ბერია**
**2. ალექსი ინაური**
**3. ედუარდ შევარდნაძე**

უახლოესი წარსულის ცნობილი ადამიანებიდან კი **მკითხველი ყველაზე კეთილგანწყობილია მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიასა და გია ჭანტურიას მიმართ;**

**9 აპრილის ტრაგედიაში მათ ბრალი დასდეს:**

**1. მიხეილ გორბაჩოვს**
**2. დიმიტრი იაზოვს**
**3. ეგორ როდიონოვს**

**ყველაზე საამაყო ფაქტი საქართველოს ისტორიაში „ძლევაი საკვირველია".**



**ქართველი ერის წინაშე ყველაზე ვალმოხდილი მეფე — დავით აღმაშენებელი.**

**ყველაზე ლამაზი ქალაქი — თბილისი.**

**საყვარელი ქართული სპექტაკლი — „კავკასიური ცარცის წრე".**

**ყველაზე ლამაზად თბილისი რევაზ ლაღიძემ უკვდავყო.**

სანამ ქართული კინოს მესვეურნი კინოცენტრის შექმნაზე დაობენ, მანამდე მკითხველი უპირატესობას ფრანგულ კინოს ანიჭებს.

საზღვარგარეთის ქვეყნების პრეზიდენტებიდან **მკითხველი ბილ კლინტონის მიმართაა ყველაზე კეთილგანწყობილი.**

უკვე სამი წელია, რაც ქართული ტელეარხებიდან რუსთავი 2, I და II არხები ლიდერობენ;

მკითხველებს ყველაზე მეტად საინფორმაციო გადაცემები მოსწონთ, ასევე, უპირატესობას ანიჭებენ მუსიკალურ-გასართობ გადაცემებსა და ჟურნალისტურ გამოძიებებს.

„კვირის პალიტრას", მისივე მკითხველების აზრით, ყველაზე მეტად შეეფერება განსაზღვრებები — მრავალფეროვანი, პოპულარული და საინტერესო. გაზეთს ხელში აიღებენ თუ არა, ჩვენი მკითხველები, თურმე, პირველ რიგში ან რუბრიკას — „კვირიდან კვირამდე" ან „წარმატებებს გისურვებთ" კითხულობენ, უამრავი მკითხველს კი გაუჭირდა 32 გვერდიდან რომელიმესათვის პირველობის მინიჭება.

ახალი რუბრიკებიდან მკითხველმა საუკეთესოდ **„რას გვეტყვი, მამაო"** აღიარა.

რესპონდენტთა უმრავლესობის ყველაზე მეტ ყურადღებას ტელერეკლამა, საგაზეთო რეკლამა და ქუჩის სარეკლამო დაფები იქცევს; რაც შეეხება ყველაზე ეფექტურად რეკლამირებულ კომპანიას, მკითხველთა 35%-მა „კოკა-კოლა" დაასახელა. მათი აზრით, ძლიერი სარეკლამო კამპანია აქვთ „ჯეოსელსა" და „ყაზბეგსაც".

მკითხველებმა საკუთარი აზრი დააფიქსირეს პროსტიტუციის ლეგალიზაციისა და სამორინეების გაუქმების შესახებ.



45-ის აზრით, პროსტიტუციის ლეგალიზაცია უნდა მოხდეს, 38-ის აზრით, ეს დაუშვებელია. განსაზღვრული მოსაზრება ამ ფაქტზე რესპონდენტთა 17-ს არ გააჩნია;

43 სამორინეების გაუქმების მომხრეა, 31 — წინააღმდეგი, 26-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

**პლანეტის ყველაზე მომხიბვლელი ქალი ჯულია რობერტსია, მამაკაცი — ალენ დელონი.**



**წლის ყველაზე სკანდალური მოვლენა — სავიზო რეჟიმი რუსეთთან.**

**წლის ადამიანი — მიხეილ სააკაშვილი.**

საუკუნის დასასრულს „კვირის პალიტრა" **საუკუნის ადამიანს** ასახელებს. (იხ. 39-ე გვ.)

## №51 (220) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს 688 რესპონდენტი გამოეხმაურა. 8 ბარათი არასწორად იყო შევსებული. საკონკურსო იყო 680 ბარათი. 230-მა ქალმა და 450-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია წლის ყველაზე სკანდალური მოვლენა?“**

წლის ყველაზე სკანდალურ მოვლენად „სავიზო რეჟიმი რუსეთთან“ დასახელდა. მკითხველთა 41-მა მიაკუთვნა მას მაქსიმალური — 9 ქულა. მინიმალური — 1 ქულა მხოლოდ რესპონდენტთა 1-მა დაუწერა. **7,45** საშუალო ქულით იგი პირველ ადგილზეა. შემდეგ ადგილზეა „დაძაბულობა პანკისის ხეობაში“, საშუალო ქულაა 6,62. უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით მას „აკაკი ელიავას მკვლელობა“ (18) და „გაქცევა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან“ (15) უსწრებენ. „დაძაბულობა პანკისის ხეობაში“ მკითხველთა 13-მა შეაფასა მაქსიმალური — 9 ქულით.

წლის სკანდალურ მოვლენათა შორის მესამე ადგილი მკითხველმა „აკაკი ელიავას მკვლელობას“ მიაკუთვნა.

რესპონდენტთა აზრით, „არჩევნები მარტვილში,“ „მოსასმენი აპარატურა პარლამენტში“ და „ბასილ მკალავიშვილის ძალისმიერი აქციები“ აქ ჩამოთვლილ მოვლენებთან შედარებით, ნაკლებად სკანდალურია. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა (39) მკითხველმა მიაკუთვნა გრაფას — „მოსასმენი აპარატურა პარლამენტში.“

თუმცა, სულ ბოლო ადგილზე 2,45 საშუალო ქულით „ბასილ მკალავიშვილის ძალისმიერი აქციებია“.




საპრიზოს ზუსტად ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 68 წლის თბილისელი **შალვა ბიძინაშვილია.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 26 დეკემბერს, 17 საათზე.

## №52 (221) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№52 (221) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 27 დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 28 დეკემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

თემა №52 (221) — ახალი წელი

**ყველაზე მეტად რა გახარებთ ახალ წელს** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№52(221) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| N | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნაძვის ხე | |
| 2 | საახალწლო საჩუქარი | |
| 3 | გულუხვი, ფეხბედნიერი მეკვლე | |
| 4 | გოზინაყი | |
| 5 | პატარების მხიარული განწყობა | |
| 6 | საახალწლო სუფრა | |
| 7 | საშობაო არდადეგები | |
| 8 | თოვლი | |
| 9 | საახალწლო ტელეგადაცემები | |

*მკითხველის რეიტინგი* *

დაასახელეთ XX საუკუნის ადამიანი მსოფლიოში

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

მკითხველის რეიტინგს 522 რესპონდენტი გამოეხმაურა. მათ უნდა დაესახელებინათ **2000 წლის ადამიანი საქართველოში.**

მკითხველთა 4,8-ს გაუჭირდა წლის ადამიანის დასახელება; 4,2-მა განაცხადა, რომ არავინ იმსახურებს ამ ტიტულს.

**2000 წლის ადამიანთა პირველი ათეული ასე გამოიყურება:**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მიხეილ სააკაშვილი | 21,5% |
| 2. | ედუარდ შევარდნაძე | 18,6% |
| 3. | გოგი თოფაძე | 8,6% |
| 4. | ასლან აბაშიძე | 4,0% |
| 5-6. | შალვა ნათელაშვილი | 3,6% |
| 5-6. | გიორგი კანდელაკი | 3,6% |
| 7. | გურამ შარაძე | 2,7% |
| 8-9. | ნინო რამიშვილი | 1,3% |
| 8-9. | კახა თარგამაძე | 1,3% |
| 10. | ნანი ბრეგვაძე | 1,0% |

ერთ-ერთმა მკითხველმა 2000 წლის ადამიანად ჩვენი მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის ადამიანთა პირველი სამეული ასეთი იყო: **1. ედუარდ შევარდნაძე, 2. მიხეილ სააკაშვილი, 3. გიორგი კანდელაკი.**

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________




გია ბარამიძე, ზურაბ ჟვანია, ხათუნა გოგორიშვილი, კახა ჩიტაია

**ე.შ.** თავისთვის ბუტბუტებს: — მსოფლიო ბანკის ამ პატარა ამანათით ამდენ მინისტრებს რა დააძღობს?!

***ფოცოცა, ტყიბული***

**ე.შ.** — რა პრიალებს კაცო, ზურიკოს თავია თუ მეჩვენება?..

**უკნიდან:** — არა, ბატონო ედუარდ, კრივის ხელთათმანებია პარლამენტარებისთვის...

***კოტე, თბილისი***

**ე.შ.** — ალათასა, ბალათასა, ხელი ჩავყავ კალათასა... მესამეჯერ თუ ამირჩევთ, მაშინ მოგცემთ ბარაქასა.

***მამუკა ჩხიროძე, სამტრედია***

ლეიბორისტული ფანტაზია: — 2007 წელი

**ე.შ.** — ბოოთლებს ვიბარებ, ბოთლეეებს!!!

***გურამ რეხვიაშვილი, „მარკშეიდერი“, თბილისი***

**ე.შ.** — წუწურაქ თოფაძეს ამ ერთ „იაშიკ პივად“ უნდა კასტელის საქმე მოვაგებინო?

***ბექა ფარადაშვილი, თბილისი***

**დუტა:** — აბა დარბაზს ვკითხოთ: შემდეგს ვის თავს ამოიღებს შევარდნაძე ამ ყუთიდან? A...

***კოტე, თბილისი***



ედუარდ შევარდნაძე

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 167 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ე.შ.** — ნეტავ რა არის ესაო?

თავისუფალი პრესაო?!!
მადიდეთ ელიბოსავით,
ლექსი მოსდევდეს ლექსსაო,
თორემ აგიგებთ წესსაო.

***ვაჟა აგაშენაშვილი, თბილისი***

პრეზიდენტი ითვლის საქართველოს ბიუჯეტს, მთავრობა თვალს არიდებს.

***კახა ლელუაშვილი, ქვიშხეთი***

**მოქალაქე** — ამოარჩიეთ, ბატონო ედუარდ, ამოარჩიეთ, საუკეთესო ვაშლია.

**ე.შ.** — რა არის ამოსარჩევი, ერთი ვაშლია.

**მოქალაქე** — თქვენც ერთი ხართ, მაგრამ გირჩევთ.

***დავით ჩუთლაშვილი, ყვარელი***

ე. შევარდნაძე ფიქრობს, ფიქრობს და ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ „კვირის პალიტრის“ რედაქციას გაუგზავნოს წერილი და ქართველ ხალხს მოუხადოს ბოდიში ამ გაუსაძლის სიდუხჭირეში ჩაგდებისათვის.

***ა. ცივიაშვილი, თბილისი***

ქართველი „სანტა კლაუსი“ ახალი წლისთვის ემზადება.

***ნათელა ღვალაძე, თბილისი***

ნაწყვეტი „ახალი საქართველოს მითოლოგიიდან“: „წელსა მას 1991-სა გახსნა ედუარდ ამბროსის ძემ „პანდორას ყუთი“ და შიმშილმა, უფულობამ და უშუქობამ მოიცვა მთელი მისი სამფლობელო, რომელსაც ეწოდებოდა საქართველო“. მემატიანე.

***ქართველიშვილი, თბილისი***

## ფოტო განწყობისათვის



— საოცარი პროგრესია... წერილს ვაგზავნი 2010 წლის ჯუნგლებში

## წინა სკანვორდის პასუხები





# როგორ შევხვდეთ გველის წელიწადს?

ამქვეყნად ყველაზე მეტად გველს სითბო უყვარს.

პირველი — ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ახალი წლის ღამეს ოთახებში ორპირმა ქარმა არ ითარეშოს, არ ისმოდეს ღია კარის ხათქახუთქი და აუცილებლად უნდა ენთოს თუნდაც ერთი ცვილის სანთელი. უმჯობესია კელაპტარი, რადგან ცოცხალი, მოლაპლაპე ცეცხლი გველს იზიდავს.

მეორე — ქოთნის ყვავილები დღესასწაულის სრულუფლებიანი წევრები უნდა იყვნენ, განსაკუთრებით ტროპიკული, სამხრეთული მცენარეები. თუ პალმა არ გაქვთ, კაქტუსიც გამოდგება. გველს ნუგბარი სასმელ-საჭმელი უყვარს. ამიტომ საკმარისია სუფრას ტროპიკული ხილით თუ დაამშვენებთ — თუნდაც ანანასით, ბანანით ან მანგოთი. გარდა ამისა, გველის გასტრონომიული მიდრეკილების გათვალისწინებით, სუფრაზე ფრინველისა და კვერცხისგან დამზადებული კერძიც უნდა დადგათ.

სანამ 12 საათი ჩამორეკავს, წინასწარ პატარა ზანზალაკი მოიმარაგეთ. იაპონური გადმოცემით, ადამიანს 108 უბედურება დასდევს. ამიტომაც იაპონიაში ახალი წლის ღამეს 108-ჯერ დაიწკრიალებს ზანზალაკი, რომელიც უბედურებებს განდევნის. არ დაგავიწყდეთ 12 საათზე ზანზალაკის აწკრიალება, რათა პრობლემები მოიშოროთ, რამდენი პრობლემაც გაქვთ, იმდენჯერ დააწკრიალეთ. გველს მშვიდი მუსიკა უყვარს, თავაწყვეტილმა მხიარულებამ ან ხმაურმა შესაძლოა გააღიზიანოს.

გველის საყვარელი ფერია ვერცხლისფერი, მით უმეტეს, რომ ვერცხლის სამკაული ახლა მოდაშია. უკიდურეს შემთხვევაში, პლატინაც გამოგადგებათ.

ტანთ ყველაფერი საუკეთესო ჩაიცვით, რაც კი გაქვთ. გველს ფუფუნება უყვარს და არისტოკრატიული გემოვნებითაც გამოირჩევა. მთლად უკეთესი, თუ გველის ტყავის მსგავს სამოსელს შეარჩევთ.

ნაძვის ხისთვის ბრჭყვიალა გირლიანდებსა და ბურთებს ნუ დაიშურებთ. გველს უყვარს მბრწყინავი, მოლაპლაპე საგნები და კიდევ... ყურადღება.





„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია). **„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან****. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ.თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის Iკ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი; ქობულეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე;* ***არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ახმეტაში* ***ყუთები დაიცლება ყოველი თვის I კვირის ხუთშაბათს 10 სთ.-დან.*** *დედოფლის წყაროში* ***თვის II კვირის ხუთშაბათს.*** *ბოლნისში* ***თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან.*** *ჟინვალსა და დუშეთში* ***კი თვის IV კვირის ხუთშაბათს.***


**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (52) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№52 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 28 დეკემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.


## გამოვიდა

2001 წლის

კედლის მოსახვევი კალენდარი

ქალბატონებისთვის




## რესტორანში

ტიპი ეძახის ოფიციანტს:

— თუ ძმა ხარ, კონდიციონერს დაუწიე რა, მიბერავს...

ხუთი წუთის შემდეგ:

— ეი, მოიხედე. ჩართე, დამცხა...

კიდევ ხუთი წუთის შემდეგ:

— არ გესმის, დაუწიე, გავიყინე...

ოფიციანტს მოუბრუნდა სხვა სტუმარი:

— ნერვები არ გეშლება ამდენ ჩართვა-გამორთვით?

— არა, კონდიციონერი საერთოდ არ გვაქვს!


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

[R] ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.**

**სარედაქციო კოლეგია.**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44

palitra@access.sanet.ge

palitra@geo.net.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა“ ©**

**გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.